კვირის პალიტრა

გზა

№43 (2 2005. ფასი 60 თ.

63

1168
2005

ასპარეზი — გუცაევის თავგადასავლები და ყიფიანის „ვერა კრუზი“

ახალი თაობის ნინო ანანიაშვილი და რესტორანი „ფიროსმანი“ ნიუ-იორკში

ქეთი ყიფშიძეს საქმრომ ულალატა „სპერთოდ შემეცვალა მამაკაცებზე შეხედულება...“

გზავნილები — სიყვარულმა ასაკი არ იცის...

რა აყიდვინა ლევან ნულაძემ რუსთავის მერს და რამ შეაშინა საწოლზე „ფრენისას“...

როგორ აღმოაჩინა კაბუმ ზანგის „ის“

ანუ რატომ მოსთხოვა ნინა ნკრიალაშვილს, ახლიდან გადაეღო კლიპი

„TV კურიერი" უკვე პარასკევობით

ჟურნალშია ფლის ჰიტი „სუდოკუ"

№43 (281)
27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„შარო, საიდან მოდიხარ“ ანუ დიდი დიპლომატიიდან პატარა იპოდრომისკენ 3
ერთი კითხვა 4
კოლეგა
ამოჩემებული პროფესია, სამართლიანი უფროსი და კრიტიკოსი მამა 6
სარბიელი
დღეს შოუს ეპოქაა 8
საქმიანი ქალი
არშემდგარი საჯადრაკო პარტიის ფაქტორი და ცხოვრების ნეკროგული მოდელი, რომელსაც უნდა ვერიდოთ 10
კონტაქტები
საქართველოსა და ირლანდიას ბევრი რამ აქვთ საერთო 12
კრიმინალი
● ყოფილ პოლიციელებს ყალბი ვალუტის ბიზნესში ადანაშაულებენ 14
● 23 წლის ახალგაზრდამ 88 წლის ქალი გააუპატიურა 17
გზავნილები
სოფლის მამენებელი ანუ მამაჩემის საცოლე დედაჩემის ყოფილი დაქალი აღმოჩნდა 18
პრობლემა
ნარკოტიკული ჭაობი: „ვფიქრობდი, რომ ერთხელ გასინჯვით ნარკოტიკებზე არ „შევჯდებოდი“...“ 22
მადლი
ბადრი პატარკაციშვილმა ცხოვრებისეული გამოცდილების „საკონტროლო პაკეტი“ შეიძინა და ფონდი, რომელიც ბავშვთა ლეიკემიას უტევს 24
სახე
ქეთი ყიფშიძეს საქმრომ უღალატა – „როცა გავიგე, სიცილი ამიტყდა, ვერ ვიჯერებდი...“ 26
კულისები
რა აყიდვინა ლევან წულაძემ რუსთავის მერს და რამ შეაშინა საწოლზე „ფრენისას“ „კვაჭის“ პარტნიორი „ელენი“ 28
ტესტი
ერთგული მკითხველი 29
დიზაინერი
მექალთანე იტალიელები ქუჩაში გოგონებს დასდევენ... 30

ნარკოტიკული ჭაობი

„მოზარდები ფიქრობენ, რომ ე.წ. პლანი არ იწვევს ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორიც ძლიერ ნარკოტიკებს ახასიათებს. ეს შეხედულება მცდარია. მარიხუანის აქტიური მოხმარება ადამიანის ტვინში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს – კერძოდ, შიზოფრენიის მსგავს ფსიქოზურ მდგომარეობას...“

22

ამოჩემებული პროფესია, სამართლიანი უფროსი და კრიტიკოსი მამა

„ეს პროფესია ბავშვობიდან მქონდა ამოჩემებული, ამიტომ გავხდი ჟურნალისტი და ამით კმაყოფილიც ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვიღლები, ბევრს ვმუშაობ, მაინც მომწონს ეს ყველაფერი. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი და ვიდრე საკუთარი ოჯახი არ მაქვს, ეს დრო უნდა გამოვიყენო...“

6

რამ შეაშინა საწოლზე „ფრენისას“ „კვაჭის“ პარტნიორი „ელენი“

სულ ახლახან, რუსთავის დრამატულ თეატრში სპექტაკლის – „რამდენიმე ეპიზოდი კვაჭი კვაჭანტირაძის ცხოვრებიდან“ – პრემიერა შედგა. დარბაზი გადაჭედილი გახლდათ, ხოლო ბილეთისა თუ მოსაწვევის გარეშე დარჩენილი ზოგიერთი მაყურებელი კედელს აჰკვროდა...

28

გადაფრენები, ფესტივალები, „დასვენება“ საავადმყოფოში...

„ჩვენ ყველამ ჩვეულებრივად აღვიქვით, მაგრამ კლიპის დამონტაჟების დროს, სტუდიაში მოვიდა კაბუ. უყურებდა ტელევიზორის ეკრანს და ხმას არ იღებდა. ბოლოს მეკითხება – რას აკეთებო? – საყვავილე ქოთანს-მეთქი. – ქოთანი კი არა, უნამუსო ვიყო, ეს თუ ზანგის „ის“ არ იყოსო...“

54

ჯანმრთელობა
- ქრონიკული ბრონქიტი 32
- წყლული „კვალს“ ტოვებს 33

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 34

ემიგრანტები
ახალი თაობის ნინო ანანიაშვილი და რესტორანი „ფიროსმანი“ ნიუ-იორკში 34

შოუმენი
მუსიკის ლორდი 37

მსახიობი
მანიაკი მონარდეები და სამშობლოდან დატუქსული ფრანგი კინოვარსკვლავები 40

რომანი
რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 42

ასპარეზი
ვოვა გუცაევი – ფეხბურთელი, რომლის შესაძენად „რეალი“ არაფერგზე იხევდა უკან 46

ავტო 50

ბომონდი 51

ნყვილი
მე-6 კლასიდან ჩასახული სიყვარული 52

მომღერალი
გადაფრენები, ფესტივალები, „დასვენება“ საავადმყოფოში და... რამ აქცია ფალოსად საყვავილე ქოთანი 54

სპორტული მოზაიკა 56

ადამიანი
„მაშინაც იყვნენ უვარგისები – გოგი ქალი ვერ ითმენდა უპაცობას...“ 58

ასტროლოგია
ქალი, მამაკაცი და გოდიაქო 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
ნებისყოფა და ყურადღება 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ახალი თაობის ნინო ანანიაშვილი და რესტორანი „ფიროსმანი“ ნიუ-იორკში

„მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკში საკმაოდ ბევრი კარგი რესტორანია, ქორწილისთვის შევარჩიეთ ქართული რესტორანი „ფიროსმანი“. ასევე გეტყვით, რომ ყოველთვის მინდოდა, ჩემს ქორწილში თეთრ კაბაში გამოწყობილს, „ქართული“ ცეკვა შემესრულებინა „დაისიდან“ და ეს ოცნება ამერიკაში ამიხდა...“

34

ქეთი ყიფშიძეს საქმრომ უღალატა

„კარგი, მოდი, სიმართლეს გეტყვით: 2 კვირის წინ, ჩემმა საქმრომ ცოლი მოიყვანა... ესპანეთში ცხოვრობდა. მოხდა ისე, რომ რამდენიმე დღე არ დაურეკავს. მეც რაღაც ჩემი საქმეებით ვიყავი დაკავებული, ვიფიქრე, ალბათ ვერ მოიცალა და ვერ დამირეკა-მეთქი. როცა გავიგე, ცოლი მოიყვანაო, სიცილი ამიტყდა, ვერ ვიჯერებდი...“

26

ვოვა გუცაევი – ფეხბურთელი, რომლის შესაძენად „რეალი“ არაფერზე იხევდა უკან

„მე და დათო ყიფიანს გვერდიგვერდ გვიწევდა ჯდომა და ვინაიდან დათო ყველაფრის ცოდნაზე თავს დებდა, ერთხელაც შეეცადა, ფილმი ჩემთვის თარჯიმანზე ადრე გადაეთარგმნა. უეცრად, ეკრანზე წითელი ასოებით დაიწერა – „ვერა კრუში“. დათომ მაშინვე ამიხსნა...“

46

თქეში

– ვარდების რევოლუციის დროს, კაცმა არ იცის, რა მომივიდოდა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო და იმ დამყაყებულ ხელისუფლებას იარაღი გამოეყენებინა...

– პირველად ვნანობ, რომ არ გამოიყენა... – კბილებში გამოცრა ლანამ.

42

„შარო, სილან მილიხარ“

ანუ დიდი დიპლომატიდან ჰაცარა იპილომისაკენ

დიდი შარიანი საქმეა პოლიტიკოსობა — როდის წაიტეხ კისერს, არ იცი. ეს, როცა პოლიტიკოსი ხარ, თორემ თუ პოლიტიკის აზრზე არ ხარ, რა პრობლემაა, იჯექი წლების მანძილზე პარლამენტში ან კანცელარიაში, — ვინ შეგაწუხებს?!

თუ მთავრობაში ხარ, ხომ საერთოდ მოლიპულ გზაზე დგახარ, რადგან მთავრობა გუნდური პრინციპით მუშაობს და შენც ისეთივე უნდა იყო, როგორებიც სხვები არიან: ეფექტურობით არც უნდა ჩამორჩე და არც გაუსწრო... თუ ჩამორჩი, კიდევ არა უშავს, შეგიცოდებენ და წამოგწევენ, მაგრამ თუ დაწინაურდი და წარმატებებს მიაღწიე, ვინაა შენი შემცოდებელი?!

მთავრობის გუნდის მუშაობის ეფექტურობა ის არის, რომ ხალხმა არ უნდა გაიგოს, რაც პოლიტიკაში ხდება. სწორედ ამიტომ მებრალება ჩვენი ახალგაზრდა „მამა-მარჩენალი“; როგორ გინდა, აარჩიო ასეთი მინისტრები? ბევრმა გაუმართლა კიდეც: თავდაცვის მინისტრი საერთოდ არ ლაპარაკობს, პრემიერ-მინისტრი იღიმის, კულტურის მინისტრი მხოლოდ ცეკვავს და მღერის, სახელმწიფო მინისტრი იგინება და ა.შ. ყველაზე მეტად კი, გასაიდუმლოებული მუშაობა შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებს ევალებათ. მაგრამ ორი ასეთი მინისტრი სად გინდა იპოვო ერთ ციცქნა საქართველოში? ამიტომაც ადგა პრეზიდენტი და ეს ორი სამინისტრო შეაერთა. მინისტრად კი ისეთი კაცი დანიშნა, რომელიც ყოველდღე ლაპარაკობს, მაგრამ არაფერს ამბობს...

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ამ ჰარმონიულ და იდილიურ მინისტრთა კაბინეტში ადგილი ვერ შეინარჩუნა საგარეო საქმეთა მინისტრმა?!

საპარლამენტო უმრავლესობა ვერ იტანდა და ოპოზიცია აქებდა. არის თუ არა ეს ორი მიზეზი სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ პრეზიდენტს ასეთი გადაწყვეტილება მიეღო? რა თქმა უნდა, არის (ისე, ოპოზიცია თუ ამ ტაქტიკით გააგრძელებს მუშაობას, ისე გამოაცვლევინებს „მამაჩვენს“, მთელ მინისტრთა კაბინეტს, რომ თვითონაც კმაყოფილი დარჩება).

როგორც კულუარებში ამბობენ, პრეზიდენტს სხვა მიზეზებიც ჰქონია: მართალია, საგარეო საქმეთა მინისტრია, მაგრამ ჩემზე ხშირად რატომ უნდა იაროს უცხოეთშიო? — ოო, ეს მართლაც დიდი მიზეზია. ან კიდევ, კაცმა რომ თქვას, ერთ წელზე მეტია, მინისტრი იყო და არც სამაჩაბლო დაუბრუნებია, არც აფხაზეთი, არც სოჭი და არც საინგილო. ესაა მინისტრობა?!

გნებავთ, სხვა მინისტრების ეფექტურობას შევადაროთ: მაგალითად, თავდაცვის მინისტრმა რეზერვისტთა ბატალიონები შექმნა, კიდევ რეზერვისტობა შემოიღო და კიდევ... ღმერთო, გამახსენე... ჰო, კიდევ რეზერვისტთა ბატალიონები ჩამოაყალიბა... საგარეო საქმეთა მინისტრმა კი მხოლოდ ის მოახერხა, რომ რუსეთის ბაზებს „აახვევინა“ და ნატოსა და ევროკავშირთან კიდევ უფრო დაგვაახლოვა. მაგრამ სად ეს ორად ორი საქმე და სად თავდაცვის მინისტრის სამი იმოდენა საქმე... აღარაფერს ვამბობ თუნდაც სოფლის მეურნეობის მინისტრზე, რომლის პროფესიონალიზმის შედეგადაც შემოდგომაზე ყურძენი დამწიფდა და ზაფხულში — საზამთრო...

მართალია, ექსმინისტრი ქალბატონის თხოვნას ათასობით ადამიანი გამოეხმაურა და იპოდრომის ტერიტორია მხარდამჭერებით გადაიჭედა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ კმაყოფილია საპარლამენტო უმრავლესობა. მინისტრთა კაბინეტშიც ისევ გუნდურმა იდილიამ დაისადგურა.

თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, კიდევაა ერთი მინისტრი, რომლის რეფორმატორული მოღვაწეობა ეფექტურ შედეგებს იძლევა. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხსნან, სანამ მართლა ბოლომდე არ მოუწესრიგებია განათლების სისტემა. თორემ „ღმერთმა დაგვიფაროს“ და მართლა განათლებული თაობა თუ წამოვიდა, იმათ რაღას დააჯერებ, მაგარი მთავრობა ვართო!..

P.S. *მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე:*

— ბატონებო, ჩვენი საქმიანობა უნდა იყოს ეფექტური, მაგრამ არ არის საჭირო რიგითი მოქალაქეები ბოლომდე ინფორმირებული იყვნენ იმის შესახებ, თუ რა ხდება დიდ პოლიტიკაში. მეთანხმებით?

— რა თქმა უნდა.

— ბატონო მინისტრო, თქვენ მოხსნილი ხართ თანამდებობიდან.

— რატომ?!

— რა შეკითხვაა?! თქვენ უკვე რიგითი მოქალაქე ხართ და არ უნდა იცოდეთ, რა ხდება დიდ პოლიტიკაში.

პროვოკატორი

„დავით აღმაშენებლის ნაცვლად, სამ ხელს დადგამენ“

— რა აზრი აქვს დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანის გაპროტესტებას მაშინ, როცა დემონტაჟი უკვე დაიწყო?

გიორგი კოზახიძე, *მოძრაობა „წინ, საქართველო“:*

— ინვესტორები არ არიან წინააღმდეგი, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლი ამ ადგილას იდგეს და რა აწუხებს ზოგიერთ ე.წ. ქართველს, ჩემთვის გაუგებარია. დავით აღმაშენებელი ჩვენთვის

მხოლოდ მეფე არ არის, ის წმინდანია, ამიტომ მისი ძეგლის ხელის ხლება საპატრიარქოსა და წმინდა სინოდის ნებართვის გარეშე არ უნდა გადაწყვეტილიყო. ჩვენ დავანახვებთ ბოკერიას და უგულავას, რომ ჭეშმარიტ ქართველებს უფრო მეტი ძალა აქვთ, ვიდრე ქვეყნის იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლებს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას, სამი ხელის დადგმას აპირებენ, რევოლუციონერების — საკაშვილის, ბურჯანაძის და ჟვანიას ხელები იქნებაო. საინტერესოა, „ამ ხელებმა“ რა საქმე გააკეთეს ისეთი, დავით აღმაშენებლის ჩანაცვლებას რომ აპირებენ?! ეს წმინდა მეფის და მთელი ქვეყნის დაცინვაა. თუ მთავრობა გადაწყვეტილებას არ შეცვლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ გამართული აქციები, მოგონება იქნება. ■

„ქალბატონ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ვუახლოვდებით

— ნატო საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებით ინტერესდება. როდის გახდება რეალური ნატოში გაწევრების საკითხი?

გიორგი ბარამიძე, *სახელმწიფო მინისტრი:*

— ჩვენ მოვითხოვეთ, რომ საგანგებო შეხვედრებზე, რომლებსაც ნატოს სპეციალური წარმომადგენელი რობერტ სიმონსონი მართავდა, გაკეთებულიყო ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შეფასება, რათა გაზაფხულზე, როდესაც ნატოს მხრიდან საქართველოსთან პარტნიორობის პროგრამის ოფიციალური შეფასება მოხდება, რაიმე საკითხი გაურკვეველი არ იყოს. ამ გეგმის შესრულებისას, საქართველომ სერიოზულ პროგრესს მიაღწია. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კმაყოფილია საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით, ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის მიმდინარეობით. საგანგებო შეხვედრების დროს, მათ აღიარეს, რომ ჩვენთან კოორდინაციის სტრუქტურები კარგად არის ჩამოყალიბებული, თავისი ამოცანა ყველას აქვს გაცნობიერებული. თუმცა, არის საკითხები, რომლებზეც მეტი მუშაობაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, რომ 2006 წლის ბოლოს, ნატოსთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა, ნატოში გაწევრების გეგმით შეიცვლება. საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის პერსპექტივა დღეს ისეთი რეალურია, როგორიც არასდროს. ■

ქათმის გრიპს ისეთივე სიმპტომები აქვს, როგორიც ჩვეულებრივ გრიპს

— სამცხე-ჯავახეთში ასობით ქათამი დაიხოცა, ექსპერტები „ქათმის გრიპს“ გამორიცხავენ. რა ინფორმაცია გაქვთ თქვენ და ადამიანის დასნეულების შემთხვევაში, რა არის ამ ვირუსის პირველი ნიშნები?

პაატა იმნაძე, *დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი:*

— ქათმის გრიპი ადამიანზე ძალზე იშვიათად გადადის. ამ ვირუსით ადამიანის დაავადების შემთხვევები ჯერჯერობით, მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაფიქსირდა. იქ მილიონობით ფრინველი დაავადდა და ეს ვირუსი მხოლოდ 120-მდე ადამიანს გადაედო. ეს ის ხალხია, ვისაც ფრინველთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა. ჩვენთან ეს ვირუსი ჯერ არ შემოსულა, მაგრამ რისკი არსებობს. ყველაზე მეტად ქათმის გრიპის გავრცელების რისკ-ტერიტორიები, სამცხე-ჯავახეთის ტბები, ჯანდარისა და პალიასტომის ტბებია — იქ, სადაც გადამფრენი ბატები და იხვები ხვდებიან. რაც შეეხება სიმპტომებს: ქათმის გრიპს ისეთივე ნიშნები აქვს, როგორიც ჩვეულებრივ გრიპს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ უფრო მძიმედ მიმდინარეობს — ეს ახალი ტიპის ვირუსია, რომელთან მიმართებაშიც ადამიანის ორგანიზმს იმუნიტეტი არ გააჩნია. საბედნიეროდ, ვირუსი 70 გრადუსზე გაცხელებისთანავე იღუპება. უმ ქათამს და კვერცხს კი არავინ ჭამს. მაგრამ ვინც დაავადებულ ფრინველს ხელს მოჰკიდებს, ეს ხელი ცხვირთან არ უნდა მიიტანოს, რომ ვირუსმა ორგანიზმში არ შეაღწიოს. ამ ეტაპზე, უბრალოდ სიფრთხილეა საჭირო. საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნება მაშინ, თუ ვირუსმა სახეცვლილება განიცადა და ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის თვისება შეიძინა. ამ შემთხვევაში, ვირუსი გავრცელდება, როგორც ჩვეულებრივი გრიპი და დედამიწაზე ძალიან ბევრი ადამიანი დაავადდება. ■



რატომ აიტაცა საზოგადოებამ „ქაჯები“?

— სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად იპოდრომზე მისული ადამიანების სიმრავლე ბევრისთვის მოულოდნელი იყო. თქვენი აზრით, რეალურად რა პერსპექტივა აქვს ყოფილ მინისტრს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს?

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— ხალხის აქტიურობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. სალომე ზურაბიშვილი მინისტრობიდან საჯარო პოლიტიკოსად ერთ დღეში, მაყურებლების თვალწინ გარდაიქცა. საფრანგეთის დიპლომატიურ კულუარებში, ევროპული სათბურის პირობებში გაზრდილი მინისტრი, რომლის უკანაც არანაირი ინტერესები არ მოიაზრება, ყველასათვის მოულოდნელ განცხადებას აკეთებს: არ ბრუნდება საფრანგეთში, სადაც გზა ხსნილი აქვს და აგრძელებს ქართულ პოლიტიკაში მოღვაწეობას... მოსახლეობის რეაქცია ამ მოულოდნელმა ნაბიჯმა გაამძაფრა, რასაც მუდმივად თან ერთვის ის ფონი, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი: უმუშევრობა, უკმაყოფილება სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ინტელიგენციის წრეში, ასევე — 40-50 წელს გადაცილებული ადამიანების განწყობილება, რომელთაც, ასაკის გამო, მუშაობის საშუალებას აღარ აძლევენ და ა.შ. ზურაბიშვილმა საკუთარ თავს საზოგადოების მხარდაჭერით ტკბობის უფლება არ მისცა და რევოლუციური სულისკვეთებით განმსჭვალული განცხადებები არ გააკეთა, რითიც უფრო მეტი ადამიანის კეთილგანწყობილება დაიმსახურა. თუ ხელისუფლება ამ პროცესში ბოროტი განზრახვის წაკითხვას არ შეეცდება და ხალხის უკმაყოფილების ხარისხს დაინახავს, შეძლებს, ყველაფერი გამოასწოროს. ხელისუფლებამ გვერდიდან უნდა შეხედოს საკუთარ თავს, ისიც გააანალიზოს, სიტყვა „ქაჯები“ ასე რატომ აიტაცა საზოგადოებამ. ალბათ იმიტომ, რომ ხშირად, ტელეეკრანებიდან აგრესიული, ქედმაღლური გამომეტყველების პოლიტიკოსები გველაპარაკებიან. ხალხს გულშემატკივარი ხელისუფლება სჭირდება. თუ ეს განწყობილება დაინახეს, სიტყვა „ქაჯებს“ ასეთი ოვაციით აღარ შეხვდებიან... სალომე ზურაბიშვილს აქვს დიდი პოტენციალი იმისთვის, რომ წონიანი პოლიტიკური გაერთიანების თითქმის ცარიელი ნიში შეავსოს. თუმცა, ოპოზიციის პერსპექტივა მაინც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გონივრულად იმოქმედებს ხელისუფლება.

■

„ეს ოფიციალური ინფორმაციაა, ეს ინფორმაცია ოფიციალურია“

**— ბ-ნ ალეკო ელისაშვილი, ბ-ნ ბაბილინა ბ-ნ ბაბილინა ბ-ნ ბაბილინა

amoCemebuli profesia, samarTliani ufrosi da kritikosi mama

ბოლო დროს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში ახალგაზრდა ჟურნალისტი, ეკა ქადაგიშვილი უფრო ხშირად ჩანს და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან რეპორტაჟებს გვთავაზობს. 25 წლის ჟურნალისტი ჯერჯერობით, სერიოზულად შეყვარებული არ არის და ცდილობს, ოჯახის შექმნამდე, როგორც პროფესიონალი, დაოსტატდეს. ეკას ინტერვიუსთვის უქმე დღეს შინ ვესტუმრე, თუმცა, მისი აქტიური საქმიანობის გამო, ტელეფონი არ გაჩერებულა: თანამშრომლები ურეკავდნენ და ათასგვარ რამეს ეკითხებოდნენ. დანარჩენს საკუთარი თავის შესახებ ეკა გვიამბობს.

ნათია ქივიძე

— როგორ დაიწყო შენი ჟურნალისტური კარიერა? თუ არ ვცდები, პროფესიით ჟურნალისტი არ ხარ...

— საერთოდ, ყოველთვის, ჟურნალისტიკაზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ ყველამ მირჩია, რომ ჯობდა, სხვა ფაკულტეტი დამემთავრებინა, ხოლო ჟურნალისტად მუშაობას მაინც შევძლებდი. ამიტომ ჩავბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ბერძნულის განხრით. იმ 4 წლის მანძილზე, რომელიც უნივერსიტეტში გავატარე, ჟურნალისტიკასთან საერთოდ არ მქონია შეხება, რადგან ბერძნულ ენას ბევრი მეცადინეობა სჭირდება, თან ჩვენ ისედაც გაძლიერებულად ვსწავლობდით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე კი, ინგლისურენოვან გაზეთში — „ჯორჯიან თაიმსში“ დავიწყე მუშაობა. თუმცა, პრაქტიკა მანამდეც მქონდა გავლილი: 13-დან 15 წლამდე, გაზეთ „7 დღეში“ ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, დიდ სტატიებს არ ვწერდი. პრესკონფერენციებზე დავდიოდი და პატარ-პატარა წერილებს ვამზადებდი. ამან ნამდვილად შემძინა გამოცდილება, რადგან მაშინ ამ გაზეთის რედაქტორი ზვიად ქორიძე იყო და ყველა ჩემს სტატიას ის ან სხვა კომპეტენტური პირი ასწორებდა. მერე, სწავლის გამო, მქონდა ოთხწლიანი პაუზა. „ჯორჯიან თაიმსში“ მუშაობა ძალიან დამეხმარა ინგლისური ენის დონის ამაღლებაში, რადგან ძირითადად, უცხოელებთან მქონდა ინტერვიუები, მერე მასალასაც ინგლისურად ვწერდი. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა საკმარისი დრო არ მქონდა, სტატია ქართულად დამიწერია და მერე, რედაქციაში უთარგმნიათ. ერთი წელი ვმუშაობდი იქ და მერე, „ჯიპაში“ ჩავბარე, ჟურნალისტიკის მაგისტრატურაში, სადაც ასევე ერთი წლის განმავლობაში ვსწავლობდი. ასე რომ, პროფესიით მაინც ჟურნალისტი გამოვდივარ. „ჯიპა“ ჩემთვის ძალზე დიდი სკოლა იყო. იმ ერთი წლის განმავლობაში, მართლა ბევრი რამ ვისწავლე.

— მერე, პირდაპირ „რუსთავი 2“-ში მიხვედი?

— „ჯიპა“ ზუსტად ვარდების რევოლუციის დროს დავამთავრე. მერე „ინტერნიუსში“ დავიწყე თითქოს მუშაობა: „თითქოს“ იმიტომ ვამბობ, რომ იქ მხოლოდ ერთი სიუჟეტი მოვამზადე და უკვე დეკემბრის ბოლოს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი მაია მიქაშავიძე, მე და კიდევ ორ გოგოს დაგვიკავშირდა და გვითხრა — ხვალ ეკა ხოფერიასთან ხართ დაბარებულებიო. სიმართლე რომ ვთქვა, „რუსთავი 2“-ში წასვლას არც ვაპირებდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ჯერ ამისთვის მზად არ ვიყავი და იქ მუშაობას ვერ შევძლებდი. მაიას უარი ვერ ვუთხარი და მაინც წავედი. ეკა დაგველაპარაკა და გვითხრა, დაიწყეთ მუშაობაო და გამოსაცდელ ვადად ერთი თვე მოგვცა. კარგად მახსოვს, ჩემს დაბადების დღეს — 30 დეკემბერს იყო ჩემი პირველი სამუშაო დღე...

— შენი პირველი სიუჟეტი თუ გახსოვს?

— რა თქმა უნდა. ამას მაინცდამაინც სიუჟეტი არ ერქვა, მაგრამ მაინც. ეკამ დამავალა, რომ საახალწლოდ, „ღამის კურიერისთვის“ რეპორტაჟი გამეკეთებინა. სწორედ იმ დროს, ნიკა მემანიშვილს ჰქონდა დაწერილი მუსიკა — „ფიფქებო“. ამ მუსიკის თანხლებით უნდა ყოფილიყო საახალწლო კადრები, ტექსტის გარეშე. არქივის მასალებიც გამოვიყენე, ქუჩაშიც ბევრი კადრი გადავიღეთ და მართლაც, ძალზე საინტერესო გამოვიდა. იმ დღიდან ზუსტად ერთი წელი რომ გავიდა — ე.ი. მომდევნო ახალ წელს, — ეკამ მკითხა — გახსოვს შენი პირველი სიუჟეტიო?.. ეს ძალზე „ლამაზად“ მახსოვს... „რუსთავი 2-ში“ სიარული რომ დავიწყე, ვფიქრობდი — ერთი კვირა ვივლი და თუ არ გამომივა, უკან წამოვალ-მეთქი. მაგრამ ჯერჯერობით, ისევ იქ ვარ, ეს კი იმის წყალობით მოხდა, რომ ძალიან დამეხმარნენ ეკა, ჟურნალისტები, ოპერატორები. ყველა მხარში ამომიდგა, ამიტომ არ გამჭირვებია იქ ყოფნა და მისვლიდან უკვე ერთ კვირაში, საკმაოდ საპასუხისმგებლო სიუჟეტების გაკეთებას მავალებდნენ. მაგალითად, მაშინ მალევე გავაკეთე სიუჟეტი ჰოლანდიურ ძროხებზე, რომლებიც სენაკში ჩამოიყვანეს. ლაშა ბაქრაძეს ასეთივე სიუჟეტი ჰოლანდიაში გააკეთა, მე — საქართველოში. მაშინ ეს ჩემთვის ყველაზე სერიოზული სიუჟეტი იყო...

— გაიხსენე საკუთარი ნამუშევარი, რომლითაც კმაყოფილი დარჩი.

— ერთის გახსენება ალბათ, გამიჭირდება, რადგან ბევრი საკუთარი სიუჟეტი მომწონებია. მაგრამ ძირითადად, ისეთები დამამახსოვრდა, რომლებიც მაყურებელსაც დაამახსოვრდა. ეს შეიძლება ყოფილიყო რაღაც უცნაური ახალი ამბავი ან რაიმე აქტუალური პრობლემა — მაგალითად, იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანების გამო რომ წავედი მასალის მოსამზადებლად. რა თქმა უნდა, იქ არ შეგვიშვეს, მაგრამ ეს ჩემთვის მართლაც, ძალზე საპასუხისმგებლო სიუჟეტი იყო.

— იქ ყოფნისას ალბათ, 4 წლის განმავლობაში ნასწავლი ბერძნული ენა გამოგადგა, არა?

— რა თქმა უნდა. მაგრამ იქ კითხვებს მხოლოდ მე ვსვამდი — ანუ მე კი ვეკითხებოდი ბერძნულად რაღაცებს, მაგრამ ისინი საერთოდ არ გვეკონტაქტებოდნენ... ისე, სიმართლე რომ ვთქვა, ბერძნულ ენას საერთოდ ვერ ვიყენებ... რაც შეეხება სიუჟეტებს — მათ შორის, ყველაზე კარგი ისეთი ყოფილა, რომელიც რაიმე პრობლემას შეეხებოდა და ამას გამოხმაურებაც მოჰყოლია.

— სიუჟეტის მომზადებისას, ალბათ, ბევრ წინააღმდეგობას აწყდები, ხომ?

— რა თქმა უნდა. ზოგჯერ რომელიმე სიუჟეტის მომზადება გამჭირვებია — ვთქვათ, ისეთ თემაზე, რომელიც მანამდე არ გამიკეთებია. მაგალითად, ერთხელ, პარლამენტში მომიწია მუშაობამ და ვამზადებდი თემას რაღაც



ჯერჯერობით, ისევ იქ ვარ, ეს კი იმის წყალობით მოხდა, რომ ძალიან დამეხმარნენ ეკა, ჟურნალისტები, ოპერატორები

იურიდიულ საკითხებზე. მახსოვს, გამიჭირდა, რადგან მანამდე, მსგავსი არაფერი გამიკეთებია. მაგრამ როცა სიუჟეტი მოვამზადე, მივხვდი, რომ გასაგებად გავაკეთე. შესაძლოა, იურიდიულ საკითხებში კარგად ვერ ვერკვეოდი, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში კარგად გავერკვიე და მაყურებელს ჩემი სათქმელი გასაგებად გადავეცი.

— ამ ბოლო დროს, უფრო აქტიურად მუშაობ, ეკრანზე უფრო ხშირად ჩანხარ. ამას რით ახსნი?

— ტელევიზიის მხრიდან კარგად მოიქცნენ, რომ უფრო დამტვირთეს და ეს ჩემთვისაც ძალიან კარგია იმისთვის, რომ გავიზარდო. აქამდე, ძირითადად, შოუბიზნესის, კულტურისა და სოციალურ თემებზე ვამზადებდი სიუჟეტებს. მაგრამ ამ ბოლო დროს, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ თავად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სხვა თემებზეც მემუშავა — მაგალითად, დღის თემაზე. ამას წინათ, ნინოშვილის ქუჩაზე სახლი რომ დაინგრა, იქ გამგზავნეს. იმ დღეს რომ ვიმუშავე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასე ცხოვრებაში არ მიმუშავია, რადგან „კურიერის“ ყველა გამოშვებაში მქონდა ჩართვა. რა თქმა უნდა, საოცრად დავიღალე, მაგრამ საღამოს ჩემი ნამუშევრით ძალზე კმაყოფილი დავრჩი და მივხვდი, რომ დაღლილი აღარ ვიყავი. იმ

იმ დღეს რომ ვიმუშავე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასე ცხოვრებაში არ მიმუშავია

დღეს შევძელი, რაც რეალურად ხდებოდა, მაყურებლისთვის ის გადამეცა. აქამდე ჩემთვის ვინმეს რომ ეკითხა — ასეთი დატვირთვით მუშაობას შეძლებ თუ არაო? — რა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი.

— როგორც ვატყობ, საკუთარი თავის მიმართ საკმაოდ კრიტიკული ხარ.

— მართალია. ნაწილობრივ თავდაჯერებულიც ვარ, რადგან ყოველთვის, როცა რაიმეს ვაკეთებ, ვიცი, რომ ასე უნდა გავაკეთო — ანუ ჩემს თავში დარწმუნებული ვარ, თუმცა, თუ ვინმე რაიმეს მირჩევს, არც იმას ვტოვებ უყურადღებოდ და რჩევებსაც ვითვალისწინებ ხოლმე. თვითკრიტიკული იმ თვალსაზრისით ვარ, რომ როცა ჩემი სიუჟეტი გადის ეთერში, მერე ხალხს ვეკითხები — რა მოგეწონა ან რა არ მოგეწონა-მეთქი? ვფიქრობ, რომ სხვისი აზრის გათვალისწინება აუცილებელია. თავში ავარდნილი არ მაქვს, არც საკუთარ თავზე მაქვს დიდი წარმოდგენა, ამიტომ ყოველთვის ვითვალისწინებ სხვის აზრს.

— ყველაზე მეტად ვისი აზრი გაინტერესებს ხოლმე?

— მამაჩემის. რა თქმა უნდა, ის ყველა ჩემს სიუჟეტს უყურებს და მერე მეუბნება, რა იყო კარგი და რა — ცუდი. ხშირად შენიშვნებს იმის გამო მაძლევს, რაც მეც ვიცი, რომ კარგად არ გამომივიდა. ყოველთვის ყველაზე სწორად მეუბნება, სად დავუშვი შეცდომა. თუ მამა მეტყვის, რომ იმ დღეს კარგად ვიმუშავე, ე.ი. მართლა ქების ღირსი ვარ...

— ოჯახში ჟურნალისტი გყავს თუ ეს პროფესია ასე ვთქვათ, „გენებში“ არ გაქვს?

— არა, ჩემთან ჟურნალისტი არავინ არის. ეს პროფესია ბავშვობიდან მქონდა ამოჩემებული, ამიტომ გავხდი ჟურნალისტი და ამით კმაყოფილიც ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვიღლები, ბევრს ვმუშაობ, მაინც მომწონს ეს ყველაფერი. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი და ვიდრე საკუთარი ოჯახი არ მაქვს, ეს დრო უნდა გამოვიყენო და ჩემს კარიერაში მაქსიმუმს მივაღწიო. უკვე თითქმის ორი წელია, რაც აქ ვმუშაობ და ვატყობ საკუთარ თავს, რომ მართლა გავიზარდე, როგორც ჟურნალისტი, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს საკმარისია, უფრი მეტის სწავლა მინდა.

— სხვა ტელეკომპანიებიდან შემოთავაზება ხომ არ მიგიღია და რა შემთხვევაში გადახვიდოდი სხვა არხზე?

— ჯერჯერობით, არსად წასვლას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე სხვა არხზე გადასვლის შანსი მქონდა, სადაც სხვა გადაცემაში ვიქნებოდი.

— ხშირად მსმენია — ეკა ხოფერია ძალზე მკაცრია თანამშრომლების მიმართო. რას იტყვი ამის შესახებ?

— ეკა ხოფერია მკაცრია, მაგრამ ვფიქრობ, რომ სამსახურში სიმკაცრე აუცილებელია. როცა ჟურნალისტის მიმართ მომთხოვნელობას არ იჩენენ, ის შესაძლოა, მოეშვას და ისე კარგად ვეღარ იმუშაოს, როგორც საჭიროა. მოკლედ, ეკა სამართლიანად მკაცრია. მე მასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ჩემთვის შენიშვნა დაუმსახურებლად არასოდეს მოუცია. რასაც მეუბნება, ვიცი, რომ სიმართლეა და შეცდომა მართლა დავუშვი. მაგრამ მის შენიშვნებს სისტემატური ხასიათი არ აქვს, იშვიათად ვიმსახურებ შენიშვნას. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა მას ჩემი სიუჟეტი მოსწონებია, დაურეკავს და ეს ჩემთვის უთქვამს. სულაც არ არის საჭირო, რომ ყოველ წუთს ვიღაცამ გაქოს და გადიდოს, იშვიათად კი — სასიამოვნოცაა...

— შიდაკონკურენციის შესახებ რა შეგიძლია თქვა? დღეს ძალზე აქტუ-



ვფიქრობ, რომ სხვისი აზრის გათვალისწინება აუცილებელია. თავში ავარდნილი არ მაქვს...

ალური გახდა თანამშრომლებს შორის პაექრობის საკითხი. თქვენ თუ აღიქვამთ ერთმანეთს კონკურენტებად?

— არა. ჩვენს სამსახურში ყველა ჟურნალისტს თავისი საქმე აქვს. მართალია, ხანდახან შესაძლოა, ხელმძღვანელობის დავალებით, სხვისი საქმეც გავაკეთოთ, მაგრამ ერთმანეთის კონკურენტები მაინც არ ვართ.

— ორიოდე სიტყვა შენს პირად ცხოვრებაზეც გვითხარი.

— აბა, რა გითხრა... ჯერჯერობით, მეუღლე არ მყავს და არც ამის კანდიდატი არსებობს: სერიოზულად ჯერჯერობით არავისზე ვფიქრობ. რაც შეეხება სიმპათიას — ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს პატარ-პატარა სიმპათიები...

— ტელევიზიამ ალბათ, უფრო მეტი თაყვანისმცემელი შეგძინა, არა?

— რომ გითხრა — რაც ეკრანზე გამოვჩნდი, მას მერე თაყვანისმცემლების რიცხვმა მოიმატა-მეთქი, — ტყუილი იქნება. რამდენიც იყვნენ მანამდე, ისევ იმდენი არიან *(იცინის)*...

■

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, საზღვარგარეთ ცხოვრობს, არც ქართული ენა დავიწყებია და არც აქცენტით ლაპარაკობს. ცდილობს, მისი შემოქმედების საფუძველი ყოველთვის უძველესი ქართული კულტურა და ხელოვნება იყოს. ქართველობა რომ ეამაყება, ამის ნიშნად, ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკით დამშვენებულ, ორიგინალურ სამაჯურსა და ყელსაბამსაც ატარებს. ბოლო დროს, სამშობლოში სტუმრობას მოუხშირა. პირველად 13-წლიანი პაუზის შემდეგ, გასულ ზაფხულს ეწვია და ქართველ მაყურებელს შემოქმედებითი „გამოცდა“ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ჩააბარა: გერმანიიდან ჩამოსულმა „ქართული მიმოდრამის კომპანიის“ დასმა ლაშა ონიანის მიერ ორიგინალურად დადგმული „კარმენი“ წარმოადგინა. ბიზეს მუსიკის გარეშე, სხვადასხვა კომპოზიტორის, მათ შორის გია ყანჩელის მუსიკაზე მიმოდრამის მსახიობების მიერ შესრულებული „კარმენით“ ქართველი მაყურებელიც, უცხოელების მსგავსად აღფრთოვანდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა დაიპყრეს, გერმანიიდან ჩამოსული ქართველები თანამემამულეებთან შეხვედრის დროს განსაკუთრებით ღელავდნენ...

დღეს შოუს ეპოქაა...

„ცერისა და ქუსლის მოძრაობა ქართულ ცეკვაში საუკუნეების მანძილზე დაიხვეწა“

ეკა ლომიძე

ამ ამბიდან ცოტა ხანში, ლაშა ონიანს (მის მიერ დადგმული, გრანდიოზული შოუების გარეშე გერმანელები უკვე არც ერთ მნიშვნელოვან საფეხბურთო მატჩს აღარ მართავენ) თბილისის მერიის სამსახურმა კიევში სექტემბრის დასაწყისში გამართულ საქართველოს კულტურის დღეებზე დასკვნითი შოუს დადგმა შესთავაზა, თან იმ პირობით, რომ ანალოგიური სანახაობა თბილისობის დღესასწაულზეც იქნებოდა წარმოდგენილი. 23 ოქტომბერს, ქართველმა მაყურებელმა ლაშა ონიანი, როგორც შოუს რეჟისორი ისე შეაფასა. ლაშა ფიქრობს, რომ თბილისში სხვა შოუს დადგმაც შეიძლებოდა, თუმცა, ამას დამატებითი ხარჯები დასჭირდებოდა, რისი საშუალებაც დამკვეთს არ ჰქონდა. მსოფლიოში ცნობილი შოუმენის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს თავბრუ დავახვიეთ ულამაზესი სანახაობებით, საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს და კარგა ხანსაც არ იარსებებს...

— საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და აქ ბიზნესის ნებისმიერი სფეროს განვითარებას განსაკუთრებული მიდგომა და სწორი მიმართულების მიცემა სჭირდება. უამისოდ ჩვენს ქვეყანაში წესიერი ღვინის ბიზნესიც კი არ არსებობს. ბიზნესი მარტო ის არ არის, რომ ბოთლს ეტიკეტი მიაკრა და გაყიდო. ჰოლანდიაში ან ევროპის ნებისმიერი ქვეყნის რომელიმე ბარში ქართულ ღვინოს ან ლუდს რომ მოითხოვ და მოგიტანენ — ეს არის ბიზნესი: ე.ი. ქართული პროდუქცია სერიოზულ საქმეშია ჩართული. გლობალიზაციის ეპოქაში ამას თუ ვერ შევძლებთ, ზედმეტია რამეზე ლაპარაკი. სანამ საქართველოს ბიზნესპარტნიორებად სახელმწიფოები არ ეყოლება, არაფერი გამოვა. როდესაც რამდენიმე ქვეყნის ბაზარზე რაღაც სეგმენტში მუდმივი ადგილი გაქვს, მაშინ შეგიძლია თქვა, რომ სერიოზულ ბიზნესს ეწევი. იმას კი, რაც საქართველოში ხდება, უბრალოდ, აღებმიცემობა შეიძლება დავარქვათ. ვერც შოუბიზნესს განვავითარებთ, თუ ჩვენი შვილები ბიზნესის სკოლებშიც ისევე სერიოზულად არ ისწავლიან, როგორც ცეკვის სტუდიებში. ვერაფერი ნუგეშია, რომ თითო-ოროლა ხელოვანს გააქვს ქართული ხელოვნება ქვეყნის ფარგლებს მიღმა. ამას მასობრივი სახე უნდა ჰქონდეს. უნდა ფლობდე ინფორმაციას — რომელ ქვეყანაში რა მოსწონთ და როგორ უნდა მიაწოდო. ქართველებმა საერთაშორისო ბაზარზე დასამკვიდრებლად უნდა იბრძოლონ. მაგრამ ამისთვის უცხოეთიდან კი არ უნდა დაელოდონ პროდიუსერებისა და იმპრესარიოების დაძახებას, აქ უნდა მოიძებნონ იმპრესარიოებიც და პროდიუსერებიც.

— თქვენ თვითონ ეძებდით გასასვლელ გზას თუ უბრალოდ გაგიმართლათ? ცნობილია, რომ ისეთ დროს წახვედით გერმანიაში, როდესაც ხელოვნებაზე კი არა, შიმშილისგან გადარჩენაზე ფიქრობდა ყველა...

— შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ამბავი ცოტა არაორდინარულიც გახლდათ. მაშინ, როდესაც ქვეყანა აფხაზეთის ომისგან თითქმის წელში იყო გაწყვეტილი, ჭკვიანი ხალხი ხელს მიშლიდა იარაღის ხელში აღებასა და ბრძოლაში, მეუბნებოდნენ — შენი თავდადება სხვაგან სჭირდება საქართველოსო. მაშინ პანტომიმის სახელმწიფო თეატრში ვმუშაობდი. მოულოდნელად, გერმანიაში ფესტივალზე მიგვიწვიეს. თეატრის დასიდან მხოლოდ მცირე ჯგუფი წავედით, ფესტივალზეც წარმატებით გამოვედით და უკან რომ ვბრუნდებოდით, მოულოდნელად, თბილისის აეროპორტი ჩაიკეტა 3 თვით. ღვთის წყალობით, თავის შენახვა არ გაგვჭირვებია. გამუდმებით გვიწვევდნენ სპექტაკლების დასადგმელად, სამომავლო თანამშრომლობაზე კონტრაქტებს ვაფორმებდით. როგორც კი თბილისისკენ საჰაერო გზა გაიხსნა, უკან დავბრუნდით, აქ კი სიურპრიზი დაგვხვდა: თეატრში გამოგვიცხადეს, რომ გაცდენების გამო, სამსახურიდან გაგვათავისუფლეს. არადა, თეატრისთვის ძალზე სერიოზული საგასტროლო კონტრაქტი ჩამოვიტანეთ... რაღას ვიზამდით?.. ის კონტრაქტი გავაუქმეთ და თეატრიდან გამოგდებულებმა, ცალკე დავიწყეთ რეპეტიციები. 8 თვის შემდეგ, გერმანიაში გველოდნენ. ასე დაიწყო გრძელი გზა, რომელმაც დიდი წარმატება მოგვიტანა. დღეს უკვე ძველი დასი აღარ არსებობს: პაატა ციქურიშვილი ამერიკაში წავიდა და იქ გააკეთა საკუთარი თეატრი,

ერთი და იმავე წრის გერმანელს და ქართველს ერთმანეთთან ურთიერთობისას არანაირი პრობლემა არ გააჩნიათ

კახა ბაკურაძე თბილისში დაბრუნდა 6 წლის წინ და მისი „მოძრაობის თეატრი“ ყველამ კარგად იცის. მე გერმანიაში შევრჩი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ასეც საქართველოსთვის ვიღვწი. კარგა ხანია, დავაარსე ჩემი საკუთარი „ქართული მიმოდრამის კომპანია“. ამასთანავე, მოგეხსენებათ, ვდგამ შოუებს, თუკი გერმანიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები რაიმე მნიშვნელოვან შეხვედრას მართავს. ასე გავითქვი სახელი, როგორც შოუს რეჟისორმა და გამიცნეს ევროპის ქვეყნებში.

— დიდი ხანია, მუსირებს აზრი, რომ თქვენსა და პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ამირან შალიკაშვილს შორის, დღემდე, დაძაბული ურთიერთობაა.

— ბატონ ამირანს შეიძლება, ვინმესთან ჰქონდეს პრობლემები, მაგრამ ჩვენ ერთმანეთთან პრობლემები არ გვქონია. რამდენჯერაც შევხვედრივარ, არასდროს მიგრძნია, რომ შეხვედრა არ უხარია. მიმაჩნია, რომ მას დიდი დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე. პანტომიმის თეატრი დააარსა და დღემდე (სხვა საკითხია, თუ რა დონეზე) შეინარჩუნა იმ ქვეყანაში, სადაც ჟანრის სახელწოდებასაც ვერ ამბობენ წესიერად: „პანტომიმის“ მაგივრად — „პანტონიმას“ წარმოთქვამენ... ბატონი ამირანის შეცდომად მიმაჩნია ის, რომ დღემდე, მისი თეატრის მსახიობებს არავინ აღიქვამს მსახიობებად — მოცეკვავეებს ეძახიან. არადა, პანტომიმას ვერ შეასრულებ, თუ მსახიობი არ ხარ. თუ პანტომიმა, ბალეტი, ცეკვა და უამრავი რამ არ იცი, მსახიობი ვერ იქნები. მაგრამ მარტო პანტომიმით დღეს ვერაფერს გახდები. მსოფლიოში ხელოვნების ჟანრების განვითარება ისეთი სისწრაფით ხდება, რომ ჩაგყლაპავენ, გადაგთელავენ, თუ ერთ ჟანრში ჩაიციკლე. სხვანაირად, შოუ არ გამოვა — დღეს კი, შოუს ეპოქა დგას.

— მინდა გკითხოთ თქვენი საინტერესო სამაჯურის შესახებ. პირველი ჩამოსვლისას იგი არ გეკეთათ ხომ?

— ეს ჩემთვის ძალზე ძვირფასი ნივთია, რადგან საქართველოს დროშის ფორმა აქვს და თან, ჩემი დის მიერაა გაკეთებული. ჩვენი დროშა განსაკუთრებით ვაჟკაცურია თავისი „სიმშვიდით“... ასეთივე ფორმის გულსაკიდიც მაქვს. მათი საშუალებით ფიქსირდება, რომ ქრისტიანი ვარ, თანაც, ისეთი ქრისტიანი, რომელსაც დროშაზე 5 ჯვარი აქვს!.. მეკითხებიან ხოლმე — ეს რომელი ქვეყნის დროშაა? — და მეც სიამოვნებით ვაკეთებ მინიექსკურსს საქართველოს შესახებ...

— კმაყოფილი ხართ საქართველოში გახშირებული საქმიანი ჩამოსვლით? ხომ არ აპირებთ, 23 ნოემბრისა და ახალი წლისთვისაც რაიმე სანახაობის მომზადებას?

— განსაკუთრებულ კმაყოფილებას იწვევს ის, რომ მივიწყებული ხალხი, რომელსაც სანთლით ვეძებდი, უკრაინაში შოუს დასადგმელად თბილისში ჩამოსულს, დასაქმებული დამხვდა. როგორც ჩანს, ამ ხალხის ერთი გამოჩენაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ვიღაცას დაენახა მათი შესაძლებლობები. რაც შეეხება ახალ სანახაობას, ჯერჯერობით არაფერი შემოუთავაზებიათ...

— თქვენს შოუში თითქმის უცნობი სახეები გამოჩნდნენ, რამაც გაკვირვება გამოიწვია.

— არ მესმის, გასაკვირი რა არის ან მხოლოდ ცნობილ სახეებზე რატომ უნდა კეთდებოდეს აქცენტი. ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ შოუში ის დავასაქმე, ვინც კარგად შეასრულებდა ჩემს ჩანაფიქრს. თუ სულ ერთსა და იმავე ხალხს აირჩევ, დანარჩენებს არასოდეს მიეცემათ შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალება და შეიძლება, ასე პოტენციური ვარსკვლავებიც კი დავკარგოთ. ამასთანავე, შეიძლება, ცნობილებმაც დაკარგონ წინსვლის უნარი — კონკურენტების არარსებობის გამო.

— სამწუხაროდ, ჩვენში გავრცელებულია აზრი, რომ ნიჭიერ ქართველებს საზღვარგარეთ წინსვლაში ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის უსაქციელობა ეღობება ხოლმე. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

საუბარში ლაშას მეუღლე, „ქართული მიმოდრამის კომპანიის“ მენეჯერი **თინა ეგიაშვილი** *ერთვება:*

— ეს არის უმეცარი ადამიანების მიერ გავრცელებული აზრი. გერმანიაში სწავლობს უამრავი ქართველი სტუდენტი. ევროპაში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება საკმაოდ რთულია, ქართველები კი, უმეტეს შემთხვევაში, წარმატებით ამთავრებენ მათ, რის გამოც, არაერთ გერმანელს გამოუხატავს აღფრთოვანება. განა, თბილისში საზოგადოების ყველა ფენა ეკონტაქტება ერთმანეთს?.. ასეა გერმანიაშიც. ერთი და იმავე წრის გერმანელს და ქართველს ერთმანეთთან ურთიერთობისას არანაირი პრობლემა არ გააჩნიათ. ისევე, როგორც უზნეო ევროპელი, არც უზნეო ქართველი უკვირს ვინმეს. იქ შესანიშნავად იციან, რომ ადამიანის ზნეობას ეროვნება კი არა, ადამიანური თვისებები განაპირობებს. გერმანიაში ქართველებს დიდ პატივს სცემენ. ამას განსაკუთრებით იგრძნობთ ზაარბრიუკენში. ჩვენც სწორედ იქ ვცხოვრობთ. მითი, თითქოს ქართველების მიმართ უარყოფითად არის განწყობილი ევროპა, სისულელეა და საქართველოშია შექმნილი. თბილისში რომ მოვფრინავდით, ბილეთის აღებისას მოლარემ მკითხა — ქართველი ბრძანდებითო? გამიკვირდა, საიდან მიცნობდა. ქალების ამოცნობა მიჭირს, ქართველ კაცებს კი სახეზე აწერიათ, რომ ქართველები არიან, უკვე ქართულ გვარებსაც ვცნობ „შვილსა“ და „ძეზე“ რომ ბოლოვდებაო, — მითხრა ღიმილით.

ლაშა:

— ამდენი ხანია, მსოფლიოში ვმოგზაურობ, მაგრამ არასდროს მიგრძნია აგრესია კი არა, უბრალოდ, ცუდი განწყობილება ქართველების მიმართ. ევროპაში კი ძალიან უყვართ ნებისმიერი ერის გამორჩეული წარმომადგენლები. მიაჩნიათ, რომ ასეთ ხალხს ხელშეწყობა სჭირდება იმისათვის, რომ განსაკუთრებული შესაძლებლობებით გააკეთილშობილონ კაცობრიობა.

— თქვენი გვარი არ აბნევს ევროპელებს? „ლა სკალაში“ მოღვაწე გია ონიანი ბევრს თურმე, გვარის დაბოლოების გამო, იტალიელი ჰგონია.

— ჯერჯერობით არავის შეჰპარვია ეჭვი ჩემს ქართველობაში. ეს შესაძლოა, იმის ბრალიც არის, რომ ჩვენს კომპანიას „ქართული მიმოდრამის კომპანია“ ჰქვია. ისე კი, სუფთა სისხლის ქართველი — დედითაც და მამითაც სვანი ვარ.

— ამბობენ, სვანებს განსაკუთრებული ხასიათი აქვთ: ძალიან ჯიუტები არიანო.

— ჩემი აზრით, სვანობა — კაიკაცობა და სულიერი სიჯანსაღეა... არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ძალიან მიყვარს კრივი. სახლში მიკიდია კიდეც სავარჯიშო მსხალი, რომელსაც სიამოვნებით „ვცემ“ ხოლმე. ძალიან ერთგული მეგობრობა შემიძლია. ალბათ, სვანების განსაკუთრებული ნიშანი ის არის, რომ ცუდი გაბრაზება იციან.

გაგრძელება იხ. გვ. 58

საქმიანი, ლიდერი და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი ქალების რიცხვი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ სწრაფად იზრდება. ამასთან, ხშირად გაიგონებთ, რომ ქალების სწრაფვა ლიდერობისაკენ მათ პირად ცხოვრებას ვნებს. მამაკაცების ერთი ნაწილი ამით ხსნის ქვეყანაში წარმატებულ, მაგრამ მარტოხელა ქალთა რიცხვის მომრავლებას. ამიტომაც, თუ ზოგი, ამა თუ იმ საქმიანი ქალის შესაძლებლობებით აღფრთოვანებას გამოხატავს, იქვე გამოჩნდებიან ხოლმე სკეპტიკოსები, რომლებიც ირონიულად აცხადებენ — მაგას ერჩივნა, შესაძლებლობები და ენერგია ოჯახისთვის დაეხარჯაო. მამაკაცთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქალები მათთან გასატოლებლად იბრძვიან, რაც ჩემი აზრით, სულაც არ შეეფერება სიმართლეს. მაგრამ ჩემი მოსაზრებები ვინმემ გაბრაზებული ადამიანის პოზიციად რომ არ მიიღოს, საქმიანი ქალის მიზნებისა და მისწრაფებების შესახებ პროფესიით ფსიქოლოგ ნინო ქვარიანს მივმართე, რომელმაც საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა არა მარტო ბიზნესში, არამედ უკვე პოლიტიკაშიც სცადა.

არშემდგარი საჭადრაკო პარტიის ფაქტორი და ცხოვრების ნევროზული მოდელი, რომელსაც უნდა ვერიდოთ

ეკა ლომიძე

— არსებობს მოსაზრება, რომ მალე საქართველოში საქმიანი ქალები უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე საქმიანი მამაკაცები...

— ეს თითქმის მატრიარქატის დადგომის წინასწარმეტყველებაა, რაზე კომენტარისგანაც თავს შევიკავებ. თუმცა ფაქტია, რომ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში საქმიანი ქალების რაოდენობა დღითი დღე იზრდება. ამ მხრივ, კარგა ხანია გამოირჩევა არასამთავრობო სექტორი, სადაც, როგორც რიგით თანამშრომელთა, ისე ხელმძღვანელთა სახით, ყველაზე მეტად ლიდერობენ ქალები.

— მიუხედავად ამისა, ბევრს მიაჩნია, რომ ქალები ძნელად აღწევენ წარმატებას საქმიან სარბიელზე.

— ნაწილობრივ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. რადგან საზოგადოებაში ქალის როლის მიმართ ჯერაც სტერეოტიპული დამოკიდებულებაა და უფრო ბუნებრივად აღიქვამენ ქალს, როგორც დედას და მეუღლეს, ვიდრე როგორც მინისტრს, პოლიტიკოსს და ა.შ. თუმცა მიმაჩნია, რომ თუ ქალი გადაწყვეტს, საქმიანი გახდეს და გეგმაზომიერად წარმართავს თავის კარიერას, შედეგსაც მიაღწევს. ეს არჩევანი თავად მან უნდა გააკეთოს, მე მაინცდამაინც არა ვარ მომხრე კვოტირების სისტემის და არ ვთვლი, რომ წინასწარ უნდა განვსაზღვროთ, რამდენი ქალი უნდა მოღვაწეობდეს ამა თუ იმ სფეროში.

— პირადად თუ შეგქმნიათ პრობლემები საქმიანი ურთიერთობებისას იმის გამო, რომ ქალი ხართ?

— ნამდვილად არა. თუმცა, საწინააღმდეგოს ბევრი ამტკიცებს. იმასაც კი ჩივიან, რომ საზოგადოებაში სუსტი სქესის დისკრიმინაცია ხდება. შეიძლება, ეს მართლაც ხდება, მაგრამ მეეჭვება, ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდეს. ამასთან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თუ ქალი კატეგორიულ გადაწყვეტილებას მიიღებს და შრომას არ დაიშურებს, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ დააკავებს და აუცილებლად მიაღწევს სასურველ შედეგს საქმიან სფეროში.

ხშირ შემთხვევაში, ქალი რომ ხარ, შეიძლება, სასარგებლოც კი აღმოჩნდე საქმიანი ურთიერთობებისას, რაც პირადად არაერთხელ მიგრძნია. თუნდაც ბოლო ხანს, საარჩევნო კამპანიის წარმოებისას, ამომრჩევლებისგან აშკარად კეთილგანწყობილებას ვგრძნობდი. როდესაც ისინი პრობლემებზე ლაპარაკობდნენ, ცდილობდნენ, ჩემთან საუბრის დროს, ნაკლებად აგრესიულნი ყოფილიყვნენ. ხშირად აღნიშნავდნენ პოლიტიკოსი ქალის უპირატესობას მიიჩნევდნენ, რომ ქალი უფრო გაწონასწორებული, გულისხმიერი, მშვიდობისმოყვარე და მაღალი პასუხისმგებლობის მქონეა.

— თქვენ იყავით არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გაქვთ საკუთარი ბიზნესკომპანიაც. თუ გიცდიათ, საქმიანი ურთიერთობებისას, კოზირად გამოგეყენებიათ ის ფაქტორი, რომ ქალი ხართ?

— არა არასდროს. ის, რომ ქალი ხარ იმდენად ნათელია, რომ ამაზე კიდევ დამატებით ხაზგასმა ზედმეტად მიმაჩნია. საქმიანი მოლაპარაკებების დროს ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, როგორც პროფესიონალმა მივიღო კომპლიმენტები და შედეგად მოჰყვეს საქმიანი კონტრაქტი, თუმცა თავაზიანი და ყურადღებიანი მოპყრობა ნებისმიერი ურთიერთობისას ქალი ხარ თუ კაცი სასიამოვნოა... საქმიან ქალს მართებს ეტიკეტის დაცვა, ჩაცმულობიდან დაწყებული — უამრავი წვრილმანით დამთავრებული.

— მაინც რა მოეთხოვება განსაკუთრებულად საქმიან ქალს?

— აუცილებლად კლასიკურად და სოლიდურად უნდა ეცვას. აგრეთვე, უნდა იყოს პუნქტუალური. საქმიან წრეებში ძალიან არ მოსწონთ, როდესაც შეხვედრებზე აგვიანებ. სხვათა შორის, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ახლა მოვიხადო ბოდიში ჩემი ლექტორების წინაშე იმის გამო, რომ ინსტიტუტში სწავლის დროს, ხშირად ვიგვიანებდი პირველ ლექციაზე. ეს ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ დილის ძილი მიყვარდა. ალბათ, პასუხისმგებლობის გრძნობაც ნაკლებად მაწუხებდა, რაც ჩემში მნიშვნელოვნად შეცვალა საქმიან წრეებთან ურთიერთობამ. ამ წრეში ტრიალი ბევრ სასარგებლო უნარ-ჩვევას ავითარებს ადამიანში. დღეს, 3 წუთითაც რომ დავაგვიანო სადმე, ამის გამო აუცილებლად ბოდიშს ვიხდი. ქალი ხარ თუ მამაკაცი, პროტოკოლი არ უნდა დაარღვიო, არ უნდა დაიგვიანო და თუ მაინც შეგემთხვა ასეთი რამ, პარტნიორებს უნდა აგრძნობინო, რომ მათი თითოეული დაკარგული წამის გამო წუხხარ.

— ცნობილი ამბავია, რომ იტალიელებს სჭირთ დაგვიანების სენი და ამის გამო არსებობს ცნებაც — „იტალიური ნახევარი საათი“. საქართველოში მოღვაწე იტალიელები კი ხუმრობენ, რომ მათი ნახევარი საათი მოსატანიც არ არის „ქართულ საათ-ნახევართან“, თანაც — ამ მავნე ჩვეულებაში უმეტესად მამაკაცებს ადანაშაულებენ.

— სხვათა შორის, სულ ორად ორი შემთხვევა მქონდა, როდესაც მოლაპარაკებებზე ყოფნისას, მეორე მხარის დაგვიანების გამო მომიწია ლოდინმა; ორივე შემთხვევაში, ქალებმა დააგვიანეს. საერთოდ, რაც უფრო საქმიანია, ქალი იქნება ეს თუ მამაკაცი, მით უფრო უკეთ იცის თითოეული წამის ფასი. ბიზნესწრეებში კი, სადაც დრო ძალიან ძვირად ფასობს, პუნქტუალობის აუცილებლობა — აქსიომაა. თანაც, თუ აგვიანებ ან რაღაც ფორსმაჟორის გამო, შეხვედრის გადადების აუცილებლობა გაჩნდა, თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უაზროდ არ ალოდინო მეორე მხარე, რომელსაც ასევე ძალიან ძვირად უღირს დრო.

— სხვათა შორის, ვიცნობ ქალებს, რომლებსაც საკუთარი ბიზნესის წარ-

მოებაზე ფიქრიც კი თავს სტკენთ. მათ არც ესმით საქმიანი ქალების. რა ხიბლი აქვს იმას, რომ თვითონ მართავ ბიზნესს?

— როდესაც საქმიან სფეროში ქალი თუნდაც პატარ-პატარა წარმატებებს აღწევს, ამით პირდაპირპროპორციულად იცვლება მასში თავდაჯერებულობის ხარისხი და შინაგანი თავისუფლება.

— ხომ არ ახდენს ეს გავლენას ქალის პირად ცხოვრებაზე? საქმიანი ქალების უმეტესობას მგონი, მამაკაცებთან ურთიერთობა უჭირს...

— ამ შემთხვევაში, ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ, მენტალიტეტის პრობლემას უფრო ვხედავ, ვიდრე სხვა მიზეზს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა ერჩივნოს მამაკაცს ქალი, რომელიც მთლიანად მასზეა დამოკიდებული და საკუთარი „მე“ შედარებით სუსტი აქვს, ვიდრე ქალი, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია. მიმაჩნია, რომ წყვილის თანაცხოვრება მაშინ უფრო ჰარმონიულია, როდესაც ორივეს გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. როგორც ფსიქოლოგი, შევნიშნავ, რომ თუ კაცს ეშინია ცხოვრებისეული გამოცდილებით მდიდარი ქალის, ეს მისი არასრულფასოვნების კომპლექსის ბრალია. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში კარგად ჩახედული ქალი კარგი მეუღლე, კარგი დედა და მართლაც, ერთგული ცხოვრების თანამგზავრი იქნება.

— თქვენს პირად ცხოვრებაზე რამდენად ახდენს გავლენას მუდმივად დაძაბული საქმიანი გარემო? მოუცლელობის გამო მგონი, დროც აღარ გრჩებათ საკუთარ თავთან ან სასურველ ადამიანთან განმარტოებისთვის...

— იყო საქმიანი ქალი, ეს მართლაც, ძალზე რთულია, რადგან ჩვენი ცხოვრება ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება საქმიანი კაცის ცხოვრებისგან. როდესაც რაღაც საქმის კეთებას იწყებ, ყოველთვის ვერ გათვლი, თუ რა დრო შეიძლება დაგჭირდეს მის დასამთავრებლად: ძალიან იცის გატაცება და შეიძლება, ამის გამო პრობლემებიც კი შეგექმნას მეგობრებთან. საქმის გამო ქრონიკული მოუცლელობა ჩემს პირად ცხოვრებაზეც ახდენს გავლენას. მაგრამ როგორც ჩანს, აქამდე შინაგანად არ ვიყავი მზად ოჯახის შესაქმნელად.

— ძალიან მოულოდნელად მოხდა თქვენი გამოჩენა პოლიტიკურ სარბიელზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ნაჩქარევი იყო?

— მართალია, მოულოდნელად გამოვჩნდი პოლიტიკურ საზოგადოებაში, მაგრამ ჩემს მეგობრებსა და ახლობლებს ეს არ გაჰკვირვებიათ. როგორც ჩანს, ისინიც ელოდნენ ჩემგან ასეთ არჩევანს. დღემდე, ყველა სამსახურში, იმის გამო, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვება მიწევდა, პასიურად მაინც ვიყავი ჩაბმული პოლიტიკაში. ამიტომაც, როდესაც დადგა ეტაპი, რომ გადაწყვეტილება უნდა მიმეღო, აღმოჩნდა, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი... თუმცა მანამდე, პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენას 2008 წლისთვის ვგეგმავდი.

— პოლიტიკაში წასვლა, თანაც, მაჟორიტარი დეპუტატის მანდატისთვის ბრძოლის გზით მძიმე არ გეჩვენათ?

— ვფიქრობ, რომ სწორედ ამიტომ, ძალზე საინტერესო გამომივიდა პირველი ნაბიჯები პოლიტიკაში. დაკმაყოფილდა ჩემი, როგორც ფსიქოლოგის, სოციოლოგისა და პოლიტიკური საქმიანობით დაინტერესებული პიროვნების ცნობისმოყვარეობა. მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსი მაშინ არის წარმატებული, თუ იგი ხალხისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობს და მის ინტერესებს ახმოვანებს. ამდენად, ამ არჩევნებში მივიღე უზარმაზარი გამოცდილება. შეიძლებოდა, კონსულტანტად მემუშავა წლების განმავლობაში და ამხელა გამოცდილება არ მიმეღო. ძალზე რთული პროცესი გახლდათ, რის გამოც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პოლიტიკა უფრო, აზარტული ხალხის საქმეა.

— თქვენ ხართ აზარტული?

— დიახ. მაშინ, როდესაც დეპუტატობისთვის ბრძოლა გადავწყვიტე, უფრო თეორიული წარმოდგენა მქონდა იმაზე, თუ რატომ მინდოდა პოლიტიკოსობა. ახლა კი, თითქოს, პოლიტიკის ინიექციით მოვიწამლე. ნებისმიერი სოციალური როლის შერჩევისას, თამამად უნდა გამოსცადო საკუთარი შესაძლებლობები. სხვანაირად არასდროს მეცოდინებოდა, როგორი მენეჯერი ვიქნებოდი კომპანიაში ან როგორ შევძლებდი დეპუტატობის კანდიდატობას და ა.შ. როდესაც ირგებ ამა თუ იმ როლს, უნებლიეთ სწორედ ის უნარ-ჩვევები და თვისებები აქტუალიზირდება, რომლებიც ამ როლის კარგად შესასრულებლად გესაჭიროება. ბავშვობაში საკმაოდ კარგად ვთამაშობდი ჭადრაკს. ერთხელაც, რამდენიმე ტურში გამარჯვების შემდეგ, ზონალურ შეჯიბრებაზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ მშობლების მოუცლელობის გამო, ეს ვერ მოხერხდა. დღემდე მაქვს ამის გამო უკმაყოფილების განცდა. რადგან ვერ გავიგე, სად გადიოდა ჭადრაკში ჩემი შესაძლებლობების ზღვარი. მაშინ, პროტესტის ნიშნად, ჭადრაკის თამაშს თავი დავანებე... მაგრამ ის ფაქტი, რომ არჩევნებში მარცხი განვიცადე, სულაც არ მიბიძგებს უკან დახევისაკენ. ახლა უფრო მეტად მაინტერესებს, თუ სად არის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი პოლიტიკაში...

— მოდი, ისევ მსუბუქ თემას დავუბრუნდეთ: თქვენ თქვით, რომ საქმიან ქალს სოლიდურად ჩაცმა მოეთხოვება. თქვენ რამდენად ბევრ დროს უთმობთ ჩაცმულობაზე ზრუნვას?

— მაქსიმალურად ვცდილობ, ყოველთვის კარგ ფორმაში ვიყო. კლასიკურ სტილს ვანიჭებ უპირატესობას.

— არსებობს ისეთი ნივთები, რომლებიც მხოლოდ საქმიანი ქალის ჩანთაში, ოთახში ან მანქანაში შეიძლება აღმოვაჩინოთ?

— პიჯაკებს, ჩანთებს და ბევრ სხვა აქსესუარს ნებისმიერი ქალისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს სუნამოს. ჩემთვის აუცილებელი ნივთია მობილური ტელეფონი და მის გარეშე, პარალიზებული ვარ, ამიტომ გამორიცხულია, რომ ის სადმე დამრჩეს. ჩემი საქმიანი ჩანთის მუდმივი „ბინადარია“ კოსმეტიკის მოზრდილი ჩანთა, რომელშიც არასდროს არ მიდევს სარკე. როდესაც ეს დავაფიქსირე, მე თვითონ გამიკვირდა...

— რამდენად დაზღვეული არიან საქმიანი ქალები კურიოზული მოულოდნელობებისგან?

— ზოგჯერ შესაძლოა, თავს არ ვიკავებდე სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებისგან, მაგრამ არ მახსოვს, რომ მათგან რომელიმე, კურიოზული ყოფილიყოს. ეს თვისება დამახასიათებელია ქართველებისათვის, რაც ძალიან უკვირთ უცხოელებს, რომლებიც ძალზე რაციონალურები არიან და უჭირთ დაუგეგმავ შეხვედრებზე წასვლა, რადგან ამის შესახებ მათ ბლოკნოტში ჩანაწერი არ არსებობს... არ მესმის მათი, არ ვიზიარებ ადამიანური თავისუფლების ამ დონეზე შეზღუდვას. არც ერთი სკამი და კარიერა არ ღირს იმად, რომ საკუთარ თავისუფლებაზე ვთქვათ უარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნევროზს ავიკიდებთ *(ეცინება)*...

— ამას როგორც ფსიქოლოგი ამბობთ?

— ისევე, როგორც მხოლოდ საქმიან მხარეზე ყურადღების გამახვილება, მხოლოდ პირად ცხოვრებაზე კონცენტრირებაც, ცხოვრების ნევროზული მოდელირების მაჩვენებელია. ცხოვრება მრავალფეროვანი უნდა გახადო. ადამიანს ამის უზარმაზარი შესაძლებლობა აქვს.

■

თუ გსურთ სამუდამოდ მოიცილოთ მუცელი, ანუ „ღიპი“, მოგვმართეთ, ჩვენ დაგეხმარებით იდეალური ფორმის მიღებაში!

თვეში 7-20კგ-მდე

დაგეხმარებით სხეულის კორექციის შეცვლაში ქირურგიული ჩარეკვისა და ქიმიური პრეპარატების გარეშე.

მის: მ. „რუსთაველი“, ჭოველიძის №2, IV სართ, ოთ. 415
ტელ: 93-98-46
899-67-88-43 ლევანი

საქართველოსა და ირლანდიას ბევრი რამ აქვთ საერთო

მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ჯოისის დღეებთან დაკავშირებით, ირლანდიის ელჩის, ჯასტინ ჰარიმანის ინიციატივითა და ხელშეწყობით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოფენილია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია. ჯეიმს ჯოისის „ულისე“, რომელიც მართლაც რჩეული მკითხველისთვისაა განკუთვნილი და რომელსაც სამშობლოშიც კი ძნელად კითხულობენ, პირველად საქართველოში ითარგმნა ინგლისურიდან ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში. ეს დიდი მთარგმნელის, პროფესორ ნიკო ყიასაშვილის გაუგონარი ვაჟკაცობა გახლდათ. „ულისე“ თავისუფლების აკვნად წოდებულ ამერიკაშიც კი აკრძალული იყო. მხოლოდ 1933 წლის 6 დეკემბერს გამოიტანა ამერიკელმა მოსამართლემ გადაწყვეტილება, რომ „ულისე“ პორნოგრაფიული რომანი არ არის და შეიძლებოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულიყო.

ჯეიმს ჯოისი

ლელა ჩიყაშვილი

სპეციალისტები აღიარებენ, რომ „ულისე“ საუკეთესო თარგმანი სწორედ ქართულ ენაზე შესრულდა. ეს არცთუ უმნიშვნელოა იმ განწყობილებისათვის, რომელიც თურმე ირლანდიაში საქართველოს მიმართ არსებობს. მეტიც, საბჭოთა წლებშიც კი არსებობდა. ბატონმა ჯასტინ ჰარიმანმა სიამაყით

იმედი მაქვს, გაისად გამოიცემა „ულისეს“ სრული ვარიანგი ქართულ ენაზე

გაიხსენა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ირლანდიელმა ქალბატონმა მერი რასელმა იმოგზაურა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი დაწერა წიგნი მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ. სათაურის დარქმევისას შეყოყმანდა თურმე. მაშინ მიღებული იყო წიგნისთვის თავად ქვეყნის სახელი დაერქმიათ (80-იან წლებში ეს ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველო გახლდათ). ირლანდიელებმა, რომლებიც უკვე კარგად იცნობდნენ საქართველოსა და მის კულტურას, უმორჩილესად სთხოვეს ავტორს: წიგნს რაც გინდა, ის დაარქვით, ოღონდ საბჭოთა საქართველო — არაო. ავტორმაც ასე დაარქვა თხზულებას: — „გთხოვთ, არ უწოდოთ ამ ქვეყანას საბჭოთა საქართველო“. საქართველოსა და ირლანდიას ბევრი რამ აქვთ საერთო.

— ირლანდიასა და საქართველოს საერთო აქვთ ქვეყნის მასშტაბი, მოსახლეობის რაოდენობა, ისტორიითაც კი ჰგვანან ერთმანეთს. ამიტომაც ძალიან გვინდა დავეხმაროთ ამ ქვეყანას. ბოლო ორი წელია, ამ საქმით ვართ დაკავებული.— ირლანდია საქართველოში მილიონი ევროს ღირებულების რამდენიმე პროექტს ახორციელებს. ჩვენთვის უცხო არ არის შიდაკონფლიქტები. ამიტომაც ვუწევთ კონსულტაციებს საქართველოს შესაბამის სამსახურებს. ვთანამშრომლობთ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. მიუხედავად დიდი მანძილისა და სიშორისა ჩვენს ორ ქვეყანას შორის, ვავითარებთ კულტურულ ურთიერთობებს. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოწყობილი ჯეიმს ჯოისისადმი მიძღვნილი გამოფენაც ამას ემსახურება. ჯოისი შემთხვევით არ აგვირჩევია. ათეული წლების განმავლობაში ირლანდიასა და საქართველოს სწორედ ჯოისი აკავშირებდა ერთმანეთთან. ქართულად ის გაცილებით ადრე ითარგმნა, ვიდრე რუსულად. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი არ აღიარებდა ჯოისს (მეტიც, ებრძოდა. — ავტ.), საქართველოში ეს მაინც შეძლეს. „ულისეს“ პირველი ათი თავი წიგნად 1983 წელს გამოიცა. პერიოდულ გამოცემებში კი 70-იანი წლებიდან იბეჭდებოდა.

— დღეს თუ კითხულობენ ირლანდიელი ახალგაზრდები ჯოისს?

— იყო დრო, როცა ნაკლებად კითხულობდნენ, მაგრამ ბევრს საუბრობდნენ მასზე. მოგეხსენებათ, თავად ჯოისსაც რთული დამოკიდებულება ჰქონდა სამშობლოსთან, მოუხდა კიდეც ირლანდიის დატოვება. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ლიტერატურაში ჯოისმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა, ირლანდიაში გაიზარდა მისი პოპულარობა. ჯოისი საინტერესო, მაგრამ ძნელად საკითხავი მწერალია. მის მკითხველს დიდი განათლება უნდა ჰქონდეს. გასახარია, რომ საქართველოში უყვართ და პატივს სცემენ მას. ქართველ მწერლებსაც ჰყავთ მსოფლიოში დამფასებლები და მკითხველები...

— ირლანდიაში რომელი ქართული მწერალია ყველაზე პოპულარული?

— დღეს ნებისმიერ ირლანდიელს რომ ჰკითხო, რომელი ქართველი მწერალი იცი ან წაგიკითხავსო, გიპასუხებენ, ბორის აკუნინიო. მართალია, ის რუსულად წერს, ირლანდიაში ბორის აკუნინს ქართველად მიიჩნევენ.

— დასასრულ, რას ფიქრობთ საქართველოსა და ირლანდიის ურთიერთობის ხვალინდელ დღეზე?

— ურთიერთობა უნდა გაგრძელდეს, განვითარდეს... იმედი მაქვს, გაისად გამოიცემა „ულისეს“ სრული ვარიანტი ქართულ ენაზე. გარდა ამისა, გვინდა დუბლინში მივიწვიოთ ქართველი ხელოვნები. რამდენიმე რეჟისორმა უკვე მიიღო კიდეც დუბლინის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა. მომავალში საქართველოს კულტურულ დღეებს მოვაწყობთ ირლანდიაში. ■

წიგნი თავგადასავლების მოყვარულთათვის!



„მე ერთი მოგზაურობაზე თავგადაკლული კაცი ვარ...“ — ამ სიტყვებით დაამახსოვრა თავი წიგნის ავტორმა ჟურნალ „გზის“ მკითხველს. თანაც, ამ სიტყვებს დროდადრო არა მხოლოდ ეფექტის მოსახდენად იმეორებდა, არამედ მართლაც ასე იყო...

აკაკი გეგენავა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერებით დატვირთული მოვიდა რედაქციაში. ასე გაჩნდა რუბრიკა „მოგზაურის დღიურები“, რომელიც იმთავითვე მოუვიდა თვალში მკითხველს. მეტიც, პუბლიკაციათა ბეჭდვა „დაგეგმილი“ ხანმოკლე ციკლის ნაცვლად, მთელი ოთხი წელიწადი გაგრძელდა. მის თითოეულ გამოშვებას მოუთმენლად ელოდნენ სათავგადასავლო ჟანრის მოყვარულნი, ხოლო როცა რუბრიკის „დასკვნითი“ ნაწილი გამოქვეყნდა, გვისაყვედურეს, ასე მალე(!) რატომ დაამთავრეთო?!

ახლაც გვწერენ და გვირეკავენ, რუბრიკის განახლებას გვთხოვენ. აკაკის კი დღესაც აჩერებენ ქუჩაში მადლობის გადასახდელად, იმ ფოტოებით ცნობენ, მის „მძაფრსიუჟეტიან“ ჩანაწერებს რომ ახლდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მოგზაური-პუბლიცისტი ამავდროულად ჟურნალ „გზის“ პოპულარულ სახედაც იქცა.

2002 წლის თებერვლიდან მოყოლებული, აკაკი გეგენავამ მკითხველს ახალი თვალით (თანაც ძალზე ორიგინალურად) დაანახვა არგენტინა თუ ბრაზილია, ჰოლანდია თუ საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი... და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები. გასაოცარი კომუნიკაბელობის, ინტუიციისა და მოგზაურისთვის დამახასიათებელი ხედვის წყალობით აკაკი უამრავ მეგობარს იძენს ყველგან, სადაც კი ფეხი დაუდგამს. შტატებში, რუსული სასტუმროს მეპატრონე ქალიდან დაწყებული, პრესტიჟული უნივერსიტეტის პროფესორით და ოლბანის ციხის „მეთვალყურით“ დამთავრებული. დიახ, ჩვენი გმირი ამერიკულ ციხეშიც მოხვდა სრულიად უდანაშაულო და...

თუმცა, უმჯობესია, ყველაფერ ამის შესახებ თავად წაიკითხოთ. ჟურნალ „გზის“ მკითხველები კი ალბათ კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებენ თვალს ნაცნობი მოგზაურის ერთად თავმოყრილ ჩანაწერებს. აკი, სწორედ ისინი გვთხოვდნენ, — წიგნად გამოეცით აკაკი გეგენავას „მოგზაურის დღიურებიო“...

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გამავრცელებლებთან

ყოფილ პოლიციელებს ყალბი ვალუტის ბიზნესში აღანაშაულებენ

თბილისის საოლქო სასამართლოში განსასჯელის სკამზე ყოფილი პოლიციელი ზის. ქარელის რაიონის მკვიდრს, 1959 წელს დაბადებულ ზურაბ ბაციკაძეს სისხლის სამართლის 212-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში მონაწილეობაში სდებენ ბრალს. საქმე დიდი რაოდენობით ყალბი ფულის რეალიზაციის მცდელობას ეხება. განსასჯელი, რომელიც პოლიციამ მომხდარი ფაქტიდან 4 წლის შემდეგ აიყვანა, კატეგორიულად უარყოფს ბრალს. ბაციკაძე აცხადებს, რომ არასოდეს მიუღია მონაწილეობა მსგავს დანაშაულში და ყალბ ფულთან არასდროს ჰქონია რაიმე კავშირი. აღნიშნულ საქმეზე დაკავებული და პასუხისგებაშია მიცემული მისი მეგობარი, ასევე ყოფილი პოლიციელი — თამაზ ტეტუნაშვილიც. ის ჯერ სასამართლო პროცესზე არ დაკითხულა, თუმცა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დანაშაულს აღიარებს, ბაციკაძის კავშირს კი ამ საქმესთან არ ადასტურებს. როგორც განსასჯელის ადვოკატი გაგი მოსიაშვილი აღნიშნავს, ბაციკაძე და ტეტუნაშვილი წლების მანძილზე მეგობრობდნენ. ისინი ბორჯომის პოლიციაში ერთად მუშაობდნენ, სამსახურიდან გათავისუფლებისა და ქარელში დაბრუნების შემდეგაც განაგრძობდნენ მეგობრობას, მაგრამ საქმიანი ურთიერთობა ერთმანეთთან არ ჰქონიათ. ტეტუნაშვილმა პოლიციიდან წასვლის შემდეგ კერძო ბიზნესს მიჰყო ხელი, ბაციკაძემ კი — სოფლის მეურნეობას. ადვოკატის თქმით, ბაციკაძე არასდროს ჩარეულა ტეტუნაშვილის ბიზნესში და აქედან გამომდინარე, არც მისი საქმიანობის ანუ ყალბი დოლარების გადაცვლის შესახებ იცოდა რამე. ადვოკატის თქმით, საქმის მასალებში ბაციკაძის ბრალის დამადასტურებელი არანაირი რეალური მტკიცებულება არ არსებობს, ხოლო მოწმის ჩვენება, რომელიც მას დანაშაულში ამხელს, გამოძიების მიერ მისი დაინტერესების შედეგადაა მიღებული.

დანაშაულის ფაქტი 2001 წლის 16 აგვისტოს დაფიქსირდა. სამართალდამცველთა თქმით, ტეტუნაშვილი სწორედ ბაციკაძის სახლში აპირებდა ყალბი დოლარების ნაღდ ფულზე გადაცვლას. მათი თქმით, საქმის კურსში იყო ბაციკაძეც. სპეციალურად დაგეგმილი ოპერაციის შედეგად, სამართალდამცველებმა იმ დღეს ტეტუნაშვილი სწორედ ბაციკაძის სახლში დააკავეს. თუმცა, მაშინ გამოძიებას ბაციკაძის მიმართ არანაირი ეჭვი არ გამოუთქვამს. მას, როგორც დანაშაულში მონაწილეს, არც დაკავებული ტეტუნაშვილი ასახელებდა, არც ბრალდების სხვა ძირითადი მოწმეები. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ბაციკაძე მაშინ მოწმის სახით დაჰკითხეს.

ზურაბ ბაციკაძის ჩვენებიდან:

„დაახლოებით 13.00 საათზე ჩემთან მოვიდა თამაზ ტეტუნაშვილი და მითხრა — ოსებს ჩემთან ვალი აქვთ მოსატანი, ქუჩაში ვერ შევხვდები და თუ შეიძლება, შენს სახლში შევხვდებიო. მე ამ დროს სახლში მარტო ვიყავი და დავთანხმდი. თამაზი თავისი ავტომანქანით — „ჟიგულით“ იყო. მას თან ახლდა ჩემთვის უცნობი, დაახლოებით 40 წლის ქალი. ქალი მანქანიდან არ გადმოსულა. ჩემი თანხმობის შემდეგ თამაზი წავიდა და საღამოს, დაახლოებით 17 საათზე მოვიდა ჩემთან სახლში. ეზოდან ვიღაცას ტელეფონით დაურეკა. სახლში არც შემოსულა. ცოტა ხანში ვიღაც მაღალი, დაახლოებით 50 წლის მამაკაცი მოვიდა. ისინი სახლის სარდაფისკენ წავიდნენ. სარდაფში შესვლიდან რამდენიმე წუთში ის კაცი წავიდა, თამაზი კი იქვე, ეზოში დარჩა. დიდი ხანი არ გასულა, რომ რამდენიმე მამაკაცი შემოვიდა სახლში, როგორც შემდეგ გავიგე, ისინი პოლიციის თანამშრომლები იყვნენ. მითხრეს, რომ სახლი უნდა გაეჩხრიკათ. ვერ გავიგე, რა ხდებოდა და გამიკვირდა მათი მოთხოვნა. ისინი თამაზთან ერთად ჩავიდნენ სახლის სარდაფში, სადაც თაროზე იდო ღია ფერის ფეხსაცმლის ყუთი რაღაც უცხოური წარწერებით. როცა ყუთი გახსნეს, მასში 15 შეკვრა ამერიკული დოლარი აღმოჩნდა. დათვალეს და თქვეს, რომ სულ 143.700 დოლარი იყო. მაშინ თამაზმა თქვა, ეს ფული ყალბიაო. ისიც დაამატა, რომ ფული გადმოუტანეს თუ გადმოიტანა ოსეთიდან. პოლიციელებმა შეადგინეს ოქმი, აღწერეს ამ დოლარების ნომრები, შემდეგ იგივე დოლარები ისევ იმ ყუთში ჩააწყვეს და დალუქეს. ოქმში დაწერეს, თუ ვინ ესწრებოდა ჩხრეკას და მეც ხელი მომაწერინეს. მომხდარის შესახებ მეტი არაფერი ვიცი.

ტეტუნაშვილს ჩემთვის არაფერი უთქვამს ყალბი დოლარების შესახებ. არც ის ვიცოდი, ამ დოლარების ვინმესთვის გადაცემას აპირებდა თუ თავისთვის უნდოდა. ეს რომ მცოდნოდა, მე მას სახლში შეშვებაზე უარს ვეტყოდი. ამ საკითხზე ნებისმიერ პიროვნებას დავუპირისპირდები“...

რაც შეეხება **თამაზ ტეტუნაშვილს**, შემთხვევის დღეს განვითარებულ მოვლენებს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ასე აღწერს:

„შემთხვევამდე ერთი თვით ადრე თბილისში გახლდით ჩასული პირად საქმეზე. იქ გავიცანი თბილისელი ქალბატონი — მზია მიქელაძე. მან ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და მითხრა, თუ რამე საინტერესო იქნება ბიზნესში, გაგაგებინებო. ის სომხეთიდან ტრაქტორების რუსეთში ჩაყვანას და მათ გაყიდვას გულისხმობდა. ამ საუბრისას მე და მზიას ვინმე თოდაძე (მის ნამდვილ გვარს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ. — ავტ.) *გაგვეცნო. მან მზიას თავისი ტელეფონის ნომერი ჩაწერინა და ორივეს დაგვიბარა, თუკი რაიმე საინტერესოს შეიტყობთ ტრაქტორებთან დაკავშირებით, აუცილებლად დამიკავშირდითო.*

ამის შემდეგ, თითქმის ერთი თვე გავიდა. ერთ დღეს, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, მზია მიქელაძემ დამირეკა მობილურზე და მითხრა — ოსეთში ვინმე სანდო პირი თუ გყავს, ყალბი ამერიკული დოლარები გვაშოვნინოს, მყიდველი მე მყავს თბილისში, სანდო კაციაო. ადრე არასდროს ვყოფილვარ დაინტერესებული ყალბი ფულით. მართლაც, შემთხვევით, ჩემთვის სანდო პიროვნებამ, ოსმა, სახელად — ვალერიმ თავად შემომთავაზა ყალბი ამერიკული დოლარების რეალიზაცია. ის ცხინვალში ცხოვრობს. ამ ამბის შემდეგ, 10 აგვისტოს, მზია მიქელაძემ კვლავ დამირეკა და მკითხა — რაიმე ხომ არ გაიგეო? ისიც მითხრა, ყალბი დოლარების ნიმუშები მომაწოდე, თბილისში ნაღდი მყიდველი მყავსო. ცხინვალში ჩავედი და ვალერი ვნახე (მისი გვარი არ ვიცი), გამოვართვი ნიმუშის სახით ორი ცალი ყალბი 100-დოლარიანი კუპიურა და თბილისში წავიღე. ნიმუშები 11 აგვისტოს გადავეცი მზია მიქელაძეს. ერთ-ორ დღეში მანაც დამირეკა და მითხრა — სინჯი მოეწონათ, დამიზუსტე კუპიურების რაოდენობა და რამდენ პროცენტში იძლევიანო. ვალერისგან შევიტყვე, რომ 15 ათასი ყალბი 100-დოლარიანი კუპიურა ჰქონდათ და 30%-ში იძლეოდნენ. მზიას პასუხი შევატყობინე და შევთანხმდით, რომ ის და მყიდველი 15 აგვისტოს ქარელში ჩამოვიდოდნენ და ფულის გადაცემაც ქარელში მოხდებოდა. მართლაც, დათქმულ დღეს, „ჟიგულით“ ჩამოვიდნენ სოფელში მიქელაძე, თოდაძე და ახალგაზრდა მამაკაცი მამუკა, გვარი არ ვიცი. იმ დღეს ვერ შევთანხმდით, რადგან მითხრეს, რომ 15 ათასზე მეტი რაოდე-

ნობის ყალბი ფული უნდოდათ. თანაც, ვერ შევთანხმდით იმ ადგილმდებარეობაზე, სადაც ფულის გაცვლა უნდა მომხდარიყო. მათი მოთხოვნით, ფული სადმე ტრასასთან ახლოს უნდა გადაგვეცა. იმავე საღამოს დამირეკა ვალერიმ და მითხრა, არის 160 ათასი ყალბი დოლარი და თუ წამღებები არიან, წაიღონო. ამ საუბარს თვითონ მიქელაძეც ესწრებოდა. ის იმ ღამეს ჩვენს სოფელში დარჩა. შემდეგ თოდაძეს დაურეკა და შეატყობინა ეს ცნობა. უთხრა — ჩამოდით 16-ში და ყველაფერი რიგზე იქნებაო. მეორე დღეს — 16 აგვისტოს, ერთმანეთს ქარელის ტრასაზე შევხვდით. მე, მზიამ, თოდაძემ და მამუკამ მოვილაპარაკეთ, რომ მე და მზია 2 საათში გადმოვიტანდით 160 ათას დოლარს და ტრასასთან ახლოს მდებარე სოფელში, ბაციკაძის სახლში გადავცემდით ფულს. ზურა ბაციკაძე ნანახი არ მყავდა და ამის შესახებ არაფერი იცოდა. მისი სახლი იმიტომ შევთავაზე მათ, რომ ის ახლოს იყო ტრასასთან. მე და მზია ერთად გადავედით ოსეთში და ვალერის შევხვდით. ვალერის თანხა თან არ ჰქონდა. მან და მზიამ ცოტა ხანს ისაუბრეს, რაღაცაზე ვერ თანხმდებოდნენ. მათი საუბრის მომენტში, მოშორებით 3 მანქანა („07“ მარკის) გაჩერდა. ვალერიმ ხელით ანიშნა და ერთ-ერთი მანქანა მოგვიახლოვდა. მან გადმოიღო ყუთი და მზიას დაუძახა. თანხა დაუთვალეს მზია მიქელაძეს, მანაც ფული მანქანაში ჩადო და მითხრა — თოდაძეს გადასცემ და გამოგატანს 30%-ს — 45 ათასი დოლარის შესაბამის ლარებსო. ამის შემდეგ მე მანქანაში ჩავჯექი, მზია კი დარჩა. გაკვირვებულმა ვკითხე — აქ რჩები-მეთქი? მიპასუხა — მე აქ ვრჩები, ფულს რომ მოიტან, შემდეგ, წამოვალო. მივხვდი, რომ მას ოსები არ უშვებდნენ.

საღამოს 17 საათზე უკვე ბაციკაძის სახლში ვიყავი. ზურას ვთხოვე, ჩემმა მეგობრებმა ვალი უნდა მომიტანონ-მეთქი. თოდაძესაც დავურეკე, ვუთხარი, რომ ადგილზე ვიყავი. 15 წუთში ზურას სახლში მოვიდნენ თოდაძე და მამუკა. თოდაძეს ვაჩვენე ფული. მან გადაითვალა ერთი შეკვრა, რომელშიც 8 ათასი დოლარი აღმოჩნდა და ჩაიდო ჯიბეში. შემდეგ დანარჩენი შეკვრებიც გადათვალა და ყუთი ჩადო ცელოფანში. ამის შემდეგ ოთახიდან გავედი. თოდაძემ კარი გადაკეტა, გასაღები კი ჯიბეში ჩაიდო. მამუკა ფულის მოსატანად წავიდა. დაახლოებით 15 წუთში მამუკა დაბრუნდა. მას თან ახლდნენ პოლიციის თანამშრომლები. პოლიციელებმა დამაკავეს. ჩხრეკა ჩაატარეს და მეც ახსნა-განმარტება ჩამომართვეს. მე მაშინ გულწრფელად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე აღვწერე, რაც მოხდა. ძალიან განვიცდი ჩემ მიერ ჩადენილ ქმედებას და ვინანიებ მას...“

აღნიშნული ჩვენება თამაზ ტეტუნაშვილმა ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მისცა. მის მიერ ჩვენებაში ნახსენები მამუკა სინამდვილეში ყალბი ფულის მყიდველი კი არა, ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს, კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ინსპექტორი — მამუკა მიროტაძე აღმოჩნდა. რაც შეეხება თოდაძეს, ის გახლავთ პიროვნება, რომელმაც პოლიციას შეატყობინა ტეტუნაშვილის განზრახვის თაობაზე, ოსეთიდან დიდი რაოდენობით ყალბი დოლარების შემოტანის შესახებ. ინფორმაცია მან სამართალდამცავებს შემთხვევამდე ერთი დღით ადრე მიაწოდა. გაირკვა, რომ 16

აგვისტოს განხორციელებული ყველა მოქმედება პოლიციის მიერ იყო დაგეგმილი. თავისი საქციელი **თოდაძემ** ასე ახსნა: *„12 აგვისტოს მზია მიქელაძემ გადმომცა 2 ცალი 100-დოლარიანი ყალბი კუპიურა. მითხრა, რომ ჩემი თანხმობის შემთხვევაში მისი მეგობარი — ტეტუნაშვილი ყალბ დოლარებს გადმოიტანდა ოსეთიდან და თუ მოვილაპარაკებდით, 16 აგვისტოს ქარელის რაიონში შეეძლოთ გადმოეტანათ კუპიურები. საუბარი იყო რამდენიმე მილიონ ყალბ დოლარზე... დავფიქრდი და უარი ვთქვი“.* თოდაძის თქმით, მან მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით გადაწყვიტა პოლიციაში განეცხადებინა.

დამატებითი დაკითხვისას თოდაძემ აღნიშნა, რომ თავდებით გათავისუფლებული ტეტუნაშვილი მას მომხდარის გამო ემუქრებოდა. *„...2002 წლის 8 იანვარს, მეტეხის ტაძარში სალოცავად მივდიოდი. სანამ ეკლესიამდე მივიდოდი, ტეტუნაშვილი შემხვდა. ჩამისვა მანქანაში და მაგინა — ეს რა გამიკეთეო? შემდეგ, რამდენჯერმე სილა გამაწნა. მემუქრებოდა და სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას მაყენებდა.“* აღსანიშნავია, რომ არც ერთ ზემოთ აღნიშნულ ჩვენებაში თოდაძე ზურაბ ბაციკაძის შესახებ არაფერს ამბობს და არ ახსენებს მას, როგორც დანაშაულის ერთ-ერთ მონაწილეს. ბაციკაძის გვარი პირველად თოდაძის მიერ 2002 წლის 27 მარტს მიცემულ ჩვენებაში გამოჩნდა, მაშინ ის დამატებით დაჰკითხეს. თოდაძემ აღნიშნა, რომ სახლის პატრონი — ზურაბ ბაციკაძე საქმის კურსში იყო ყალბი დოლარების ჩამოტანისა და რეალიზაციის შესახებ და დეტალურად იცოდა ყველაფერი. იმავეს ამბობს თავის ჩვენებაში მიროტაძეც.

მიროტაძის ჩვენებიდან:

„2001 წლის 15 აგვისტოს ჩვენთან, ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოში გამოცხადდა მოქალაქე, რომელმაც განაცხადა, რომ იგეგმებოდა დიდი რაოდენობით ყალბი ვალუტის საქართველოში შემოტანა, რეალიზაციის მიზნით. გვაცნობა, რომ ვინმე ტეტუნაშვილს ჰქონდა ყალბი დოლარები, დაახლოებით მილიონებზე იყო ლაპარაკი. მოქალაქემ ითხოვა, რომ მიგველო ზომები გამსაღებლების მიმართ. აღნიშნულის თაობაზე ჩვენთან სამმართველოში შემუშავდა ოპერატიული გეგმა. მე სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დამევალა, მიმეღო მონაწილეობა ოპერაციაში, როგორც მოქალაქეს... პირველი შეხვედრისას ჩვენ მათ ჩვენი პირობები შევთავაზეთ. ვუთხარით, რომ გვინდოდა დიდი რაოდენობით ყალბი ფული და რომ გაცვლა უნდა მომხდარიყო ქართულ მხარეს, სადმე გზასთან ახლოს... შემდეგ გვითხრეს, რომ ყველაფერი რიგზე იყო და გაცვლა მოხდებოდა ჩვენი პირობების თანახმად, ქართულ მხარეს, ტეტუნაშვილის მეგობრის ზურაბ ბაციკაძის სახლში, ქარელის რაიონის სოფელ არადეთში... ტეტუნაშვილმა გვითხრა, რომ პირველი ოპერაციის შემდეგ შეიძლებოდა ყალბი მილიონი დოლარის გადმოტანაც...

ზურაბ ბაციკაძემ ყველაფერი იცოდა აღნიშნული ოპერაციის შესახებ. იცოდა, რომ მათ ჩვენთვის ყალბი დოლარები მოჰქონდათ, სანაცვლოდ კი მათთვის თანხის 30% ნაღდი დოლარი მიგვქონდა. ის ესწრებოდა ჩვენს ყველა საუბარს და საქმის კურსში იყო...“

განსასჯელ ბაციკაძის ადვოკატის გაგი მოსიაშვილის თქმით, მოწმეები — თოდაძე და მიროტაძე აღნიშნავენ, რომ ბაციკაძის დანაშაულში მონაწილეობის შესახებ ტეტუნაშვილისგან იციან, პირადად კი ბაციკაძესთან არ უსაუბრიათ ამის შესახებ. თავად ტეტუნაშვილი კი, ადვოკატის თქმით, კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს. განსასჯელის დამცველმა ტეტუნაშვილის მიერ საოლქო სასამართლოს მოსამართლის სახელზე დაწერილი განცხადება წარმოგვიდგინა.

თამაზ ტეტუნაშვილი:

„მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ზურაბ ბაციკაძის უდანაშაულობას და მოგახსენოთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში. წლების მანძილზე ვმუშაობდი ბორჯომის პოლიციაში, სამსახურიდან ჩემი ნებით გავთავისუფლდი. ამის შემდეგ მცირე ბიზნესი წამოვიწყე. ყალბ დოლარებთან არანაირი კავშირი არ მქონია, ამის შესახებ მიქელაძისგან შემთხვევით და მოულოდნელად მივიღე შემოთავაზება. მიქელაძეც ბიზნესით გახლდათ დაკავებული და მასთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა. როცა ყალბი დოლარების რეალიზაციის შესახებ მითხრა, ვუთხარი, რომ ოსეთში მყავდა სანდო პიროვნება, რომელიც ამ საქმეში დამეხმარებოდა...

შეხვედრისას მიროტაძე და თოდაძე დაჟინებით მოითხოვდნენ, ფულის გადა-

ცემა ტრასასთან ახლოს მომხდარიყო... ამ პირობაზე შევთანხმდით. მე და მიქელაძე წავედით ადგილის შესარჩევად, ისინი კი იქვე დავტოვეთ. ჩემი მანქანით გზად გავიარე სოფელ არადეთში. მაღაზიასთან, ბიჭებთან ერთად იდგა ზურაბ ბაციკაძეც. მას დავუძახე, გვერდზე გავიყვანე და ვუთხარი — საქმიანი შეხვედრა მაქვს ბიჭებთან, ტრაქტორების ბიზნესი წამოვიწყე, ფული უნდა ჩამომიტანონ, ჩემი მეგობრები არიან და თუ შეიძლება, ცოტა ხნით შენს ბინაში შევხვდები ამ ხალხს და საქმესთან დაკავშირებით დავილაპარაკებთ-მეთქი. ზურაც დამთანხმდა... მე ვაღიარე ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული და მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ბაციკაძე არაფერ შუაშია. მე ის მოვატყუე და მისი ნდობით ვისარგებლე. ის მაღაზიასთან სრულიად შემთხვევით შემხვდა. ის რომ არ მენახა, სულ სხვა პირთან ვაპირებდი ამ ფულის გადაცემას. ზურაბ ბაციკაძემ ყველაფერი პოლიციის თანამშრომლების მოსვლის შემდეგ გაიგო. ის ფაქტის წინაშე დავაყენე. გაბრაზებული და განაწყენებული, უშვერი სიტყვებით მლანძღავდა და ჩემს საცემრად იწევდა, მაგრამ ამის უფლება პოლიციელებმა არ მისცეს.“

გაგი მოსიაშვილი:

„ზურაბ ბაციკაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 2003 წელს აღიძრა. მართალია, მას, როგორც დანაშაულში მონაწილეს, მოწმის სახით დაკითხული პირები 2002 წელს მიცემულ ჩვენებებში ასახელებენ, მაგრამ საქმის მოგვიანებით აღძვრა, სამართალდამცველების თქმით, წინასწარი მოკვლევის ჩატარებამ განაპირობა. როგორც ამბობენ, მათ ჯერ რეალური ფაქტები უნდა გამოეძიებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ მოეხდინათ რეაგირება. სინამდვილეში, სამართალდამცველების დაინტერესება ბაციკაძით მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მისგან ფულის გამოძალვა უნდოდათ. ჰქონდა კიდეც ადგილი მსგავს შეთავაზებას მათი მხრიდან. ბაციკაძეს შესთავაზეს, რომ 600 დოლარის სანაცვლოდ, მას პასუხისმგებლობისგან იხსნიდნენ. ბაციკაძემ თანხა არ გადაიხადა, რადგან არ ჰქონდა. სამწუხაროდ, ამ ფაქტის დამტკიცების საშუალება არ გვაქვს და ამიტომაც არ ვამახვილებთ მასზე ყურადღებას. ფაქტია, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანი ზის ციხეში და მას ასამართლებენ იმ საქმეზე, რასთანაც მას რეალურად არანაირი შეხება არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ მეგობრის სიტყვას ენდო და მას რამდენიმე წუთით სახლში შესვლის ნება მისცა. გამოძიებას მის წინააღმდეგ უტყუარი მტკიცებულება არ გააჩნია და ამას ჩვენ სასამართლო პროცესზე დავამტკიცებთ კიდეც. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ობიექტური იქნება, ბაციკაძე წარდგენილ ბრალდებაში უნდა გამართლდეს და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს“.

იმ შემთხვევაში, თუ ბაციკაძეს დამნაშავედ ცნობენ, კანონის თანახმად, მას საკმაოდ მკაცრი სასჯელი ემუქრება. მუხლი, რომელიც გამოძიებამ ყოფილ პოლიციელს მიუყენა, სასჯელის ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მომავალ სასამართლო სხდომაზე საქმეზე მეორე ბრალდებულის — თამაზ ტეტუნაშვილის დაკითხვა იგეგმება. ბაციკაძის ადვოკატი იმედოვნებს, რომ ტეტუნაშვილი კვლავ სიმართლეს იტყვის და ჩვენებას არ შეცვლის. სხდომაზე დასაკითხად დაბარებულია ასევე ბრალდების ძირითადი მოწმეც. რაც შეეხება, აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე კიდევ ერთ პირს — მზია მიქელაძეს, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, მაგრამ პოლიციას ის დღემდე არ აუყვანია. სამართალდამცველები ამბობენ, რომ მის ადგილსამყოფელს ვერ მიაკვლიეს. ■

შეიარაღებულ შეტაკებას პოლიციელიც ემსხვერპლა და კრიმინალიც

შს სამინისტროს ინფორმაციით, 24 ოქტომბერს, სოფელ მიწაბოგორაში სამტრედიის შს განყოფილების ოპერატიულ ჯგუფსა და კრიმინალებს შორის შეტაკება მოხდა. მაშინ, როცა პოლიციელები დამნაშავეთა ჯგუფის აყვანას ცდილობდნენ, კრიმინალებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. პოლიციას დამნაშავეთა ჯგუფის 6 წევრი უწევდა შეიარაღებულ წინააღმდეგობას. ურთიერთსროლის შედეგად, ადგილზევე დაიღუპა სამტრედიის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი, დაბა კულაშში მცხოვრები, 1975 წელს დაბადებული დავით კვანტალიანი. ასევე დაიღუპა კრიმინალთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომლის ვინაობაც დაუდგენელია. მისგან ამოიღეს „აკმ“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსაროული იარაღი, 2 მჭიდითა და 53 ვაზნით და ხელყუმბარა „ფ-1“.

მკვლელობის მცდელობა მესტიაში

მესტიის რაიონის სოფელ ლატანში მცხოვრები, 1987 წელს დაბადებული კახა ფარჯიანი მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციელები მას ორ პირთან ერთად აკავებდნენ. ამ დროს, ფარჯიანმა სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა თავად ფარჯიანი და პოლიციის ორი თანამშრომელი — რიგითი მიხეილ ბიძინაშვილი და ლეიტენანტი მიხეილ მაისურაძე. ცეცხლსასროული იარაღი ამოღებული არ არის.

მძარცველთა შორის ორი არასრულწლოვანი აღმოჩნდა

ბოლო ორი-სამი დღის მანძილზე, შს სამინისტროს ინფორმაციით, ძარცვისა და ყაჩაღობის ათამდე ფაქტი დაფიქსირდა. პოლიციელებმა ძარცვაში ეჭვმიტანილი ხუთი პირი, მათ შორის, სრულწლოვნებიც დააკავეს: ქუთაისელი, 1984 წელს დაბადებული მიხეილ ტურაბელიძე (რომელმაც ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთში მცხოვრებ მარინა კუპრაშვილს წაართვა ხელჩანთა 155 ლარით და პირადობის მოწმობით); თბილისელი, 1990 წელს დაბადებული ალბერტ ამბარცუმიანი, მეტსახელად აბო (რომელმაც მეტროს სადგურ „წერეთელთან“ ერთ-ერთ ახალგაზრდას — დ. ჩოხელს წაართვა მობილური ტელეფონი და 30 ლარი); სოფელ წილკანში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი, 1975 წელს დაბადებული კახა ტეფნიაშვილი და მისი თანატოლი ვახტანგ ქავთარაძე (მათ ტაქსის მძღოლს, თბილისელ მიხეილ მიხიგულაშვილს ხელ-ფეხი შეუკრეს და ავტომანქანა „მერსედესი“ წაართვეს). ძარცვისთვის დააკავეს ასევე დიდუბელი, წარსულში ნასამართლევი, 1951 წელს დაბადებული ისააკ შატაშვილი, რომელმაც, სამართლადამცველთა თქმით, „თელასის“ შენობაში ერთ-ერთ ქალბატონს მობილური ტელეფონი წაართვა. რაც შეეხება ყაჩაღურ თავდასხმებს, ამ ბრალდებით პოლიციამ ორი პირი დააკავა: წარსულში ნასამართლევი, ლილოს დასახლებაში მცხოვრები, 1986 წელს დაბადებული რამინ ბაირამოვი, რომელმაც სამართალდამცველთა თქმით, თეიმურაზ ალიევს დანის მუქარით 2.790 ლარი და 30 დოლარი წაართვა; ლილოში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი, 1990 წელს დაბადებული თამაზ მელიქიანი, რომელიც დანით შეიარაღებული დაესხა თავს იმავე დასახლებაში მცხოვრებ, 1985 წელს დაბადებულ ანდრეი ამდანოვს. მელიქიანი ამდანოვს ფულს სთხოვდა, ხოლო როცა უარი მიიღო, მას ბინაში მიუვარდა და მინები ჩაუმსხვრია.

76 წლის მოხუცს მკვლელობის მცდელობაში ედება ბრალი

სამართალდამცავებმა სოფელ ულიანოვკაში მცხოვრები, 1929 წელს დაბადებული ივანე ჩიჩოვი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, მას შელაპარაკება მოუხდა თანასოფლელთან, 1972 წელს დაბადებულ არჩილ ჯანგულაშვილთან, რის შემდეგაც, სანადირო თოფით ცდილობდა მის მოკვლას. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ჩიჩოვი აიყვანეს, სანადირო თოფი კი, 5 ვაზნასთან ერთად, ამოიღეს.

თბილისში უცხოელი ცეცხლსასროული იარაღით დაჭრეს

თბილისელმა, 1970 წელს დაბადებულმა გიორგი კუტიბაშვილმა, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, ცეცხლსასროული იარაღით უცხოელი დაჭრა. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაჭრილი თურქეთის მოქალაქე, ხოფაში მცხოვრები, 1976 წელს დაბადებული ერთან აშიკ ჰასან-ოღლია. დაკავებული კუტიბაშვილისგან ცეცხლსასროული იარაღი „გოლდ-სტარი“ მჭიდით და 3 ვაზნით ამოიღეს. ■

23 წლის ახალგაზრდამ 88 წლის ქალი გააუპატიურა

„მას საკუთარ მამიდასთანაც შეუსწრეს“...

ბრალდებულის შერაცხადობის საკითხს ფსიქიატრები არკვევენ

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, 23 წლის ბადრი ქაშიბაძეს (ყველა გვარ-სახელი შეცვლილია) სექსუალური დანაშაულის ჩადენისთვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. გამოძიების მასალებში აღნიშნული იყო, რომ ის წლების მანძილზე აუპატიურებდა მეზობლად მცხოვრებ მოხუც, მარტოხელა ქალბატონს. მიმართავდა ძალადობასა და მუქარას, სარგებლობდა მოხუცის უმწეო მდგომარეობით, უგრეხდა მას ხელებს და გაუკულმართებული ფორმით ამყარებდა მასთან სექსუალურ კონტაქტს. სასამართლო პროცესზე განსასჯელი თავს დამნაშავედ არ ცნობდა, წარდგენილ ბრალდებას არ იზიარებდა და გამართლებას მოითხოვდა. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ბრალდების პოზიცია სავსებით გაიზიარა და ჩადენილი დანაშაული მტკიცებულებებით დადასტურებულად გამოაცხადა.

განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, საქმე თბილისის საოლქო სასამართლოში გადაიგზავნა. პალატამ განაჩენი გააუქმა და საქმე განსახილველად იმავე რაიონული სასამართლოს სხვა შემადგენლობას გადასცა. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა საჩივარი პროკურატურის მხრიდან, რომელიც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა.

„ერთ-ერთ ღამეს, გამოძიებით დაუდგენელ რიცხვში, თბილისიდან სოფელში ავტომანქანით მიმავალმა კაკო ქოქოსაშვილმა მანქანის შუქზე შენიშნა დაზარალებულის სახლის კიბიდან ჩამომავალი ბადრი ქაშიბაძე, რომელიც სწრაფად განერიდა მანქანის სინათლეს... გამოძიებით დაუდგენელ დროს, სოფლის მკვიდრმა ანდრო კასრაძემ, გზად მიმავალმა, დაინახა ახალგაზრდა კაცი, რომელიც გამორბოდა დაზარალებულის სახლის მხრიდან და იგი მიამსგავსა თანასოფლელ ბადრი ქაშიბაძეს... ზამთრის ერთ-ერთ ღამეს გამოძიებით დაუდგენელ რიცხვში, ვარდო კუპრეიშვილმა თავისი ბინიდან გააცილა მასთან სტუმრად მყოფი დაზარალებული. მალე სახლში მეუღლეც მივიდა და ცოლს უთხრა, რომ დაზარალებულის ეზოში საშუალო აღნაგობის ახალგაზრდა კაცი შენიშნა, ახალგაზრდამ მას ზურგი საეჭვოდ შეაქცია. მეორე დღეს, ცოლ-ქმარმა შეიტყო, რომ სწორედ იმ ღამით, ბადრი ქაშიბაძე მოხუც ქალბატონს სახლში შეჭრია და მასთან სექსუალური კონტაქტი დაუმყარებია“... — ეს ფაქტები ბრალდების წარდგენის დადგენილებაშია ჩამოთვლილი.

პალატის მოსამართლეებმა შენიშნეს, რომ ბრალდების ფაბულაში არსად იყო მითითებული დანაშაულის ჩადენის დრო. მათი თქმით, მხოლოდ მოწმეთა განმარტებები იმის შესახებ, თუ როდის დაინახეს მათ დაზარალებულის სახლთან ბადრი ქაშიბაძე (ზოგჯერ კი — უცნობი პირი), საკმარისი არ იყო იმის დასადასტურებლად, რომ ზუსტად იმ დროს მოხდა დანაშაული. ამასთან, მიიჩნიეს, რომ გამოძიება არასრულყოფილად იყო ჩატარებული.

როგორც ბრალდების წარდგენის დადგენილებაშია აღნიშნული, ქაშიბაძე წლების მანძილზე აუპატიურებდა მოხუც ქალს. ის, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, მოსამართლეებში ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მუხლის განსაზღვრისას, აუცილებლად მიიჩნიეს იმის დადგენა და დაფიქსირება, თუ რამდენჯერ და რა დროს მოხდა ფაქტი.

გამოძიების მასალების მიხედვით, ქაშიბაძემ მოხუცის მიმართ ძალადობრივი ქმედება 2000 წლიდან დაიწყო. დაზარალებული თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს 3 წლის მანძილზე, სისტემატურად გრძელდებოდა. დაზარალებული რამდენჯერმე გარკვევით მიუთითებს ზემოთ აღნიშნულ წელს. თუმცა, გამოძიების მასალებში არსებული ერთ-ერთი ცნობის თანახმად, 2000-დან 2001 წლის ზაფხულამდე, ქაშიბაძე სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სხვა რაიონში იმყოფებოდა და აქედან გამომდინარე, 2000 წელს ის სოფელში არ უნდა ყოფილიყო. გაჩნდა ეჭვი, რომ დაზარალებულის ჩვენებაში ფაქტები განგებ, ბრალდებულის მდგომარეობის დასამძიმებლად იყო გაზვიადებული. ამ ეჭვს კიდევ ერთი დეტალი აძლიერებდა: დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, ერთ საღამოს, ქაშიბაძე მოხუცს ჩვეულებისამებრ, სახლში მიუვარდა, კარზე ბრახუნი აუტეხა და დაჟინებით სთხოვდა სახლში შეშვებას. მოხუცმა სწრაფად გააღო ჩაკეტილი კარი, შინ შევარდნილ ქაშიბაძეს წინააღმდეგობა გაუწია და იატაკიდან წინასწარ აღებული ხის ნაჭერი მაგრად ჩაარტყა თავში. დარტყმის შედეგად, ქაშიბაძე წაიქცა. აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებული 87-88 წლის გახლდათ და მას ხელჯოხის გარეშე გადაადგილებაც კი არ შეეძლო.

თუმცა, ეს წინააღმდეგობები ქაშიბაძის ბრალს სრულიად არ გამორიცხავდა. საქმის მასალებში მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ბევრი რამ მეტყველებდა, თუნდაც იმ მოწმეების ჩვენებები, რომელთა თქმითაც, *„დაკავებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ქაშიბაძეს საკუთარ მამიდასთანაც შეუსწრეს, ის მასთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას ძალადობის გზით ცდილობდა. ამას გარდა, ის რამდენიმე მოხუც ადამიანთანაც იყო შემჩნეული მსგავსი ქმედების მცდელობაში“...*

ქაშიბაძეს, უცნაურ საქციელს მამაც ატყობდა. *„ბავშვობაში ძალიან კარგი და დამჯერი იყო. რაც ჯარიდან ჩამოვიდა, ვეღარ ვცნობ. დაიწყო დალევა. საშინელი სიმთვრალე დასჩემდა. ბოლო დროს, ისედაც აგრესიული გახდა და სიმთვრალისას, საერთოდ, ყოველგვარ ზღვარს სცდება. მეორე დღეს, უკვე გამოფხიზლებულს, აღარაფერი ახსოვს ხოლმე“...* — აღნიშნავს ქაშიბაძის მამა ჩვენებაში, მაგრამ მიზეზს, რომელსაც შეეძლო, შვილის ხასიათის ასეთი მკვეთრი ცვლილება გამოეწვია, ვერ ასახელებს და აქცენტს მხოლოდ ჯარში მსახურობის პერიოდზე აკეთებს.

ბრალდებულის ადვოკატმა გამოძიების წინაშე შუამდგომლობა დააყენა — მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა მოითხოვა. გამოძიებამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან უსაფუძვლოდ მიიჩნია იგი. სასამართლო პროცესზე პროკურორმა აღნიშნა, რომ ქაშიბაძე გარყვნილ ქმედებებში შეამჩნიეს, მაგრამ მისთვის ისეთი არაფერი შეუნიშნავთ, რაც ფსიქიკის გადახრაზე შეიძლება მეტყველებდეს, ამიტომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა. მაგრამ ასევე როდი ფიქრობენ პალატის მოსამართლეები, რომელთაც სამართალდამცველებს მისცეს სპეციალური მითითება ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. მათ საქმე ხელახლა გამოსაძიებლად გენპროკურატურას გადასცეს.

■

სიყვარულმა ასაკი არ იცის

სოფლის მაშენებელი ანუ მამაჩემის საცოლე დედაჩემის ყოფილი დაქალი აღმოჩნდა

სიყვარულმა ასაკი რომ არ იცის, ეს თქვენი გამოგზავნილი მესიჯებიდანაც აშკარად ჩანს. ყველაზე პატარა, შეყვარებული მკითხველი 9 წლისაა, ყველაზე უფროსი — 72-ის. ვიდრე ამ მესიჯებს დავალაგებ და „გზავნილებად“ ვაქცევ, მინდა, სოციოლოგიური კვლევის საინტერესო შედეგების შესახებ გიამბოთ. თურმე, დადგინდა, რომ ქალების 15%-ს აღელვებს ნახევრად წამოწოლილი მამაკაცის დანახვა, 22%-ს — ის მამაკაცები უჩქროლებენ სისხლს, ვისაც ტანზე კარგად მომდგარი ჯინსის შარვალი აცვია. რა თქმა უნდა, თუ შარვალი დაკუნთულ ფეხებზეა მოტკეცილი და არა გამხდარ და გალეულ კიდურებზე. 12%-ს მზისსათვალიანი მამაკაცები იზიდავს. 20%-ს მანქანის „მაზუთში“ ამოსვრილი ხელები აღელვებს, რა თქმა უნდა, თუ ეს საცხი საკუთარი მანქანის შეკეთებისას მოეცხოთ. ხოლო 40% აღიარებს, რომ მათში ვნებასა და სურვილს 50 წელს გადაცილებული მამაკაცი აღძრავს. ასე რომ, ამ ასაკის მამაკაცებს შეუძლიათ თქვან, რომ წლები მათი სიმდიდრეა და თამამად შეუდგნენ თუნდაც 15-20 წლით უმცროსი ასაკის ქალის შებმას. ახლა კი წინ პირველი რესპონდენტის საოცარი და დაუჯერებელი თავგადასავალი გელით.

მარი ჯაფარიძე

საქორწილო ღამე, რომელიც 15 წლის დაგვიანებით შედგა

„სოფელში დავიბადე და გავიზარდე. ახლა უკვე 42 წლის ქალი ვარ. სკოლა რომ დავამთავრე, მშობლებს მოულოდნელად გამოვუცხადე, თბილისში მივდივარ, უნივერსიტეტში უნდა ჩავაბარო-მეთქი. მოულოდნელობისგან შეხტნენ, რადგან ძალზე მორიდებული, წყნარი გოგო ვიყავი და ფიქრობდნენ, რომ საკუთარ აზრს ასე თამამად ვერასოდეს გამოვთქვამდი — მით უფრო, ასეთ თამამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მივიღებდი. მშობლებს ჩემი კალთიდან მოცილება არ უნდოდათ. ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდათ, იქვე, რაიონში, რომელიმე კოლეჯში ჩამებარებინა. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, არა და არა-მეთქი. გეოლოგობა მინდოდა. ეს რომ გაიგეს, მეორე შოკი მაშინ მიიღეს. ბოლოს, დათმობაზე წავედი და მამის პირობას დავთანხმდი — თბილისში იმ შემთხვევაში გამომიშვებდნენ, თუ სამედიცინოზე ჩავაბარებდი. მამამ ჩამომიყვანა, ბინა მიქირავა და გამოცდებზეც მიგულშემატკივრა. იმავე წელს ჩავირიცხე. კვირაში ერთხელ მაკითხავდნენ მშობლები, უყურადღებოდ არ მტოვებდნენ, მაგრამ მაინც ძალზე ნერვიულობდნენ. ამიტომ სასწრაფოდ გამომიძებნეს საქმრო. სოფელში, ჩვენს მეზობლად დათიკო ცხოვრობდა. მისი ძმა ქალაქში ჯერ კიდევ ომის დროს წამოსულა. სწორედ ამ ქალაქელი ძმის ერთადერთ ვაჟს მირიგებდნენ. ზურა პირველად რომ ვნახე, სულ არ მომეწონა, მაგრამ ჩემთვის არც არავის უკითხავს, მინდოდა თუ არა მასზე გათხოვება. ის უკვე 22 წლის ბიჭი იყო, მაგრამ არც მას შეჰკითხებია ოჯახი, თანახმა იყო თუ არა, ჩემთან ქორწინებაზე. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, 17 წლის ასაკში, სამჯერ ნანახ კაცს გავყევი ცოლად. დიდად აღფრთოვანებული არც სიძე ჩანდა... ერთ ღოგინში არ ვწვებოდით, დღისით, მშობლების დასანახავად ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ზურა ინსტიტუტში მაკითხავდა, შინ მაცილებდა, ხანდახან კინოში დამპატიჟებდა და მერე, კაფეში, ყავასაც დავლევდით ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი სეირნობის დროს გული გადამიშალა და მიამბო, რომ თურმე ვიღაც ნანა ჰყვარებია, ძალიან განიცდიდა მასთან განშორებას და ის გოგოც დარდისგან სიკვდილის პირას ყოფილა მისული. გულწრფელად თანავუგრძნობდი და მასთან ერთად ვტიროდი, მაგრამ თვითონაც კარგად იცოდა, რომ არაფრის შეცვლა არ შემეძლო. ამ ამბავმა თითქოს დაგვაახლოვა და მეგობრებიც გავხდით. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ღამით ერთ ოთახში, გვერდიგვერდ საწოლში ვიწექით, ის ნანაზე მელაპარაკებოდა, მე ჩემს მეგობრებზე ვუყვებოდი ახალ ამბებს, მერე კი და-ძმასავით ვიძინებდით. ამის გამო სულაც არ ვწუხდი. ერთ მშვენიერ დღეს კი ვუთხარი — თუ გინდა, ცალკე გადავიდეთ საცხოვრებლად, ნანა და შენ დაქორწინდით, მე კი დასავით ვიცხოვრებ თქვენთან ერთად-მეთქი. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს დაუჯერებელი ამბავია? სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. ზურამ ცოტა ხანს იყოყმანა, მაგრამ მერე დამთანხმდა. მიუხედავად მისი მშობლების წინააღმდეგობისა, ბინა ვიქირავეთ. ოროთახიანი ბინა იყო. პატარა, სამკაციანი ქორწილიც გადავიხადეთ, სიძეპატარძალი დავლოცე და საქორწილო სარეცელიც დავუგე. ჩემმა მშობლებმა იცოდნენ, რომ ნანა ზურას ნათესავი იყო, ზურას მშობლებს კი ვუთხარით, რომ — ჩემი... მთელი 7 წელი ვიცხოვრეთ ერთად. მათ შვილი არ შესძენიათ. მე კი დღედაღამ წიგნებში ვიყავი თავჩარგული და სწავლის მეტი არაფერი მახსოვდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ერთ-ერთ სოფელში გამანაწილეს და მე მათგან წამოვედი. თუმცა, ხშირად ვაკითხავდი, ვნახულობდი. მათაც მთელი გულით უხაროდათ ჩემი ნახვა. წლების შემდეგ თბილისში დავბრუნდი, საკუთარი ბინაც შევიძინე, სამსახურიც ვიშოვე და ცხოვრება ისევ მარტომ განვაგრძე. 35 წლის ისე გავხდი, რომ თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი. ზურას და ნანას ისევ ხშირად ვნახულობდი. მათი აყვანილი შვილი 9 წლის იყო. დავიწყებულიც კი მქონდა, რომ დიდი ხნის წინ, მე და ზურა ცოლ-ქმარი ვიყავით. ერთ დღეს ზურამ სამსახურში მომაკითხა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და არ გამკვირვებია. სახლამდე მიმაცილა, მაგრამ შინ არ შემოვიდა. რაღაც, ჩაფიქრებული ჩანდა. ნანას დავურეკე. ის მშვენიერ, მხიარულ გუნებაზე გახლდათ. მეორე დღეს მე მივაკითხე ზურას სამსახურში, შემდეგ შევთავაზე, მისი მანქანით სადმე გაგვსეირნა. გზაში გამოვკითხე უგუნებობის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ ნანას ერთგულებაში ეჭვი შეჰპარვია. უკან ასდევნებია და დარწმუნებულა, რომ მართლაც ღალატობდა. ენა ჩამოვარდა. რა უნდა მეთქვა? თვითონ კი ნანასთვისაც არ გაუმხელია, რომ ყველაფერი იცოდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ოჯახის დანგრევა. რამდენიმე დღის შემდეგ, შუაღამისას — სამ საათზე ზურა შინ მომადგა. ცოლ-ქმარს უჩხუბია და ერთმანეთს ბოლოს და ბოლოს, დაშორებიან. ჩემს ერთოთახიან ბინაში გადმოვიდა საცხოვრებლად. ის ღამე საუბარში გავათენეთ, წარსულს ვიხსენებდით. ჩვენს საქციელზე გვეცინებოდა. ამ გადასახე-

დიდან სულ სხვაგვარად ჩანდა ყველაფერი. გამთენიისას, დაძინება გადავწყვიტეთ. უცებ, ზურა მომეხვია და მაკოცა. — მიყვარხარ-მეთქი, უნებურად წარმოვთქვი ეს სიტყვები და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მივხვდი, რომ უზომოდ მიყვარდა ეს კაცი და საკუთარ თავსაც კი არ ვუმხელდი. ვთამაშობდი და ვიტანჯებოდი... გასათხოვარიც ალბათ ამიტომ დავრჩი ამ დრომდე. ჩემი და ზურას საქორწილო ღამე 15 წლის დაგვიანებით შედგა. მოდი და ნუ იტყვი, რომ ჩემი ცხოვრება ზღაპარს ჰგავს. ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარს, ნათესავები კი დღემდე ვერ გარკვეულან, რა მოხდა ჩვენ შორის. არც არის საჭირო. თუ ვინმე ამ ჩემს მონათხრობს წაიკითხავს, მიხვდება... პატივისცემით, თინიკო".

ცხოვრება მართლაც ისეთ ამბებს გვთავაზობს, რომ ადამიანის ფანტაზიისთვის წარმოსადგენადაც კი ძნელია. კიდევ ერთი საოცარი ამბავი მაქვს თქვენთვის შემონახული, მაგრამ ამას შემდეგ ნომერში მოგიყვებით. ახლა კი ჯერ რამდენიმე რჩევა ჩემგან იმის შესახებ, როგორ უნდა მიხვდეთ, პროფესიონალია თუ არა კბილის ექიმი, რომელთანაც მიხვედით, ხოლო შემდეგ რჩევა მკითხველისგან, რატომ არ უნდა შეიყვაროთ საკუთარი დანტისტი. მაშ ასე, დანტისტი პროფესიონალია, თუ ის არ წუწუნებს, რომ თქვენს პირის ღრუში ბნელა, როცა არ ითხოვს თქვენგან მკაფიოდ წარმოთქმულ პასუხებს შეკითხვებზე და ზმუილის მიხედვით არჩევს სიტყვებს — „დიახ," „არა", „მტკივა", „მიშველეთ"... დანტისტი საშიშია, თუ ის კბილში თავის მტერს ხედავს და გადაწყვეტილი აქვს, მის ამოსაძირკვად მთელი ძალები მოიკრიბოს. ასეთ ექიმთან ვიზიტის შემდეგ, თქვენს ტანისამოსზე შესაძლოა, მისი ფეხსაცმლის ნაკვალევი და სახეზე ჩალურჯებული ადგილები დაგრჩეთ. ის ნამდვილი პროფესიონალია, თუ ბორმანქანის ჩართვის წინ პირჯვარს არ გადაგსახავთ და თქვენი პირის ღრუში ჩახედვის შემდეგ არ გაკრიტიკებს იმ ექიმებს, რომლებიც მანამდე მოგინახულებიათ. ეს ნამდვილი პროფესიული ეთიკაა. ახლა კი მკითხველის რჩევას მოვუსმინოთ.

არაპროფესიონალი, თმაგაბურძგნილი და თანაც... 50 წლის

„გზის" წინა ნომერში „გზავნილების" საჩივრის სვეტში წავიკითხე მესიჯი, სადაც კბილის ექიმის არაკვალიფიციურობაზე წუწუნებდა მკითხველი. სწორედ ასეთ არაპროფესიონალ დანტისტს შეეწირა ჩემი 2 კბილი და ბედნიერება. სამი წლის წინ, ზაფხულის ერთ საღამოს კბილი ამტკივდა. გამაყუჩებელი წამლები მივიღე და დაველოდე, როდის გამივლიდა ტკივილი, მაგრამ უფრო და უფრო მიმატებდა. მე კი კვნესას ვუმატებდი და ბალიშში თავჩარგული, კბილებს ვაკრაჭუნებდი. ხან ხალხური საშუალება, ნიორი, დამწვარი შაქარი და სიგარეტის კვამლი ვცადე, ხან ყურები დამიზილეს, შველისო, მაგრამ არაფერმა მიშველა. წამლებს ხომ მუჭებით ვიყრიდი პირში... იძულებული გავხდი, ღამის 2 საათზე მამაჩემის მანქანით მევლო და კბილის ექიმი მეძებნა. მოვიარე მთელი ქალაქი და როგორც იქნა, ერთი კორპუსის პირველ სართულზე შევნიშნე წარწერა — „დანტისტი, 24 საათი, გთხოვთ დარეკოთ ზარი". მითითებისამებრ, თითი ღილაკს დავაჭირე და კარში თმაგაბურძგნილი, ასე, 50 წლის კაცი გამოჩნდა. ჩემს დანახვაზე გაიღიმა და შინ შემიძღვა. მე სტომატოლოგიურ სავარძელში მოვთავსდი, ის კი ოთახიდან გავიდა და კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა. პირი დაებანა, თმა საგულდაგულოდ დაევარცხნა და ოდეკოლონიც ეპკურებინა. ჯერ გამაყუჩებელი ნემსი გამიკეთა, თან რაღაც სასაცილო ამბებს მიყვებოდა თავისი პრაქტიკიდან. შემდეგ კბილი ამომიღო. ორი დღის განმავლობაში ყბა შესივებული მქონდა, შემდეგ დამიცხრა და... კბილი ისევ ამტკივდა. ღამის ჭკუიდან გადავედი. მივაკითხე ისევ იმ ექიმს. ახლა მეორე კბილი ამომიღო და შემითანხმდა, რომ დანარჩენი დაზიანებული კბილების მკურნალობას მასთან განვაგრძობდი. მთელი 3 თვე ვიარე მასთან. ვასიკო მარტოხელა კაცი იყო, ცოლი არასდროს ჰყოლია, ერთმანეთს დავუახლოვდით. თავდაპირველად ეს ჩვეულებრივი, მეგობრული ურთიერთობა იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მივხვდი, რომ ეს კაცი მიყვარდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემზე 22 წლით უფროს კაცს შევიყვარებდი. პირველად სიყვარულში რომ გამომიტყდა, გავიფიქრე, ახლა ამას გემრიელად გავლანძღავ და სამუდამოდ გამოვემშვიდობები-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. დავიწყეთ შეხვედრები. ყველას მამაჩემი ეგონა. მეც, უკვე შევეჩვიე ამ ამბავს და აღარ განვიცდიდი. ვასიკო ეჭვიანობდა, თუ ტელეფონზე ვინმე დამირეკავდა, ეს საკმარისი მიზეზი იყო საჩხუბრად. თითქმის სულ გაბუტულები ვიყავით. ერთ-ერთ ასეთ გაბუტვას დაემთხვა ჩემი დაბადების დღე. შინ სტუმრები მყავდა, ვასიკოსთვის არც მითქვამს, რადგან არ ველაპარაკებოდი და მინდოდა, ჭკუა ესწავლა. მას კი გადაუწყვეტია, სიურპრიზი გაეკეთებინა ჩემთვის, უზარმაზარი თაიგული უყიდია და კარზე მომადგა. ხელს ხომ არ ვკრავდი? თანაც, მისი დანახვა უზომოდ გამიხარდა. თავში კი ერთი აზრი მიტრიალებდა — რა მეთქვა ჩემი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, რომ მკითხავდნენ — ვინ არის ეს ასაკოვანი კაციო?.. ხელი ჩავიქნიე და ოთახში შემოვუძეხი. სტუმრები უკვე სუფრასთან ისხდნენ. ვასიკოს გამოჩენისთანავე ყველა გაჩუმდა. უცებ, დეიდაჩემის გაფითრებულ სახესა და გაფართოებულ თვალებს წავაწყდი. ვასიკოც გაშეშებული იდგა და მას შეჰყურებდა. დეიდაჩემი წამოხტა, ერთი შეკივლა და ვასიკოს კისერზე ჩამოეკიდა. თაიგული ჩამოართვა და მადლობაც გადაუხადა... ბოლოს, თავზარდაცემი ამბავიც შევიტყვე. სტუმრები რომ დაიშალნენ, ვასიკომ დეიდაჩემს უხერხულად მოუბოდიშა, მე ხელზე მაკოცა და წავიდა. დეიდაჩემმა კი აღიარა — ეს არის ვასო, მე რომ გეუბნებოდითო... ის კი იმას გვეუბნებოდა, რომ ქმრის სიკვდილიდან 12 წლის თავზე ვიღაც სიმპათიური მამაკაცი შეუყვარდა და მისი საყვარელიც გახდა. თურმე კარგა ხნის ნაჩხუბრები ყოფილან და სტუმრად მოსული ვასიკო მონანიე სატრფოდ ჩათვალა. მე თავზარდაცემული ვიყავი. ვასიკო მირეკავდა, ახსნას ცდილობდა, მე კი მოსმენაც არ მინდოდა. ერთადერთი, რაც მისი ნათქვამიდან გავარკვიე, ის იყო, რომ ჩემზე დაქორწინებას აპირებდა და ამ ხნის კაცს საყვარლის ყოლის უფლება ჰქონდა... აღარაფერი მაინტერესებს. ღმერთმა ტკბილად შეაბეროთ ერთმანეთს. ისე, მართლაც, როგორი პატარაა ეს ქვეყანა! ჩემი ასაკის ყმაწვილი რომ შემყვარებოდა, ასეთი რამ ხომ არ დამემართებოდა?!"

როგორც ფსიქოლოგები ირწმუნებიან, მრგვალი ფორმის საგნები ნერვებს ამშვიდებს და მაგალითიც მოჰყავთ — თუ ფურცელზე დაწერილ ნულებს თვალს გაუშტერებთ, რამდენიმე წუთში იგრძნობთ, როგორ დამშვიდდებითო. თუ ეს ნულები ჩვენი საბანკო ანგარიშის გასწვრივ წერია, რა თქმა უნდა, დაგვამშვიდებს, მაგრამ თუ — საიუბილეო ტორტზე, თანაც წინ თუ ციფრი „7" უსწრებს, მაშინ... ჩვენი მკითხველი კი ირწმუნება, რომ თურმე 70 წლის ასაკშიც არ უნდა დაკარგო საყვარელი ქალის დასაკუთრების იმედი.

მოტაცებული „ახალი" ბებო

„ძალიან საინტერესო ამბავს გიყვებით, რომელიც ჩემს ბაბუას ეხება. ბებიაჩემი შედარებით ახალგაზრდა, 58 წლის ასაკში გარდაიცვალა. მაშინ ბაბუა 63 წლის იყო. ძალზე ახოვანი და ლამაზი კაცი გახლდათ. მამაჩემი სულ ეუბნებოდა ხოლმე, თუ გული ვინმეზე შეგივარდეს და ცოლის მოყვანას გადაწყვეტ, არ მოგერიდოს, დაუფარავად მითხარი, მე მოხარული ვიქნები, რომ დაგეხმაროო... რაიონში ვცხოვრობთ. სოფლის ბირჟასთან თუ ვინმე ჩაპუტკუნებული ქალი ჩაივლიდა, ჩემი ძმები ბაბუას ეხუმრებოდნენ ხოლმე — თუ მოგეწონა, გვითხარი და მოვიტაცებთო... მოკლედ, გადიოდა წლები, ბაბუას 70 წელი შეუსრულდა და გადავწყვიტეთ, მისი იუბილე აღგვნიშნა. სტუმრები მოვიწვიეთ, ტორტიც გამოვუცხვეთ, ზედ სანთლებიც დავამაგრეთ და საზეიმოდაც ჩავაქრობინეთ. თანაც, წინასწარ გავაფრთხილეთ, რომ ამ დროს სურვილი უნდა ჩაეფიქრებინა... სტუმრები რომ დაიშალნენ, გადავეკიდე, — ბაბუ, რა სურვილი ჩაუთქვი-მეთქი? ბაბუას ჩუმ-ჩუმად ულვაშებში ეღიმებოდა, შემდეგ ჩემი ძმებიც შემომიერთდნენ და არ მოვეშვით, ვიდრე ღრმად არ ამოიოხრა და არ გვითხრა — 18 წლის რომ ვიყავი, ერთი გოგო შემიყვარდა, სონა ერქვა. ძალზე გაჭირვებული ოჯახის შვილი იყო, ჩვენ კი მდიდრები ვიყავით; დედაჩემმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — სონას სახლში არ შემოგაყვანინებო. ბებიათქვენი გამირიგეს და ძალით დაგვაქორწინეს. ჩემი სონა კი, ჩემი სიყვარულის გამო, გაუთხოვარი დარჩა, ახლაც ზის და ბედს ელისო... ეგ ჩავიფიქრე, რომ სონა ჩემი გახდესო. დადუმებული ვუსმენდით ბაბუას ნაამბობს. ცოტა ხანში ისიც გაგვიმხილა, რომ სონა ის ქალი იყო, ვინც წლების განმავლობაში, რაიონის ერთ-ერთ სკოლაში დირექტორად მუშაობდა და თან დაამატა — უკვე 2 წელიწადია, ერთმანეთს წერილებს ვწერთ, მაგრამ ვერ გავბედე, მისთვის ცოლობა მეთხოვაო...

ეს დღე ასე დამთავრდა. რამდენიმე ხნის

შემდეგ კი ჩემი ძმები სონა მასწავლებელს ეწვივნენ. უთხრეს — სკოლაში უნდა წაგიყვანოთ, ბავშვებს თქვენთან შეხვედრა აქვთ დაგეგმილიო. ისიც გამოიპრანჭა და ჩემს ძმებს გამოჰყვა. მათ კი, პირდაპირ შინ მოგვაყენეს „ახალი“ ბებია. სონამ უზომოდ დაირცხვინა, მუხლისთავები დაილურჯა ხელების რტყმით, ივიშვიშა, მაგრამ ბოლოს შეიფერა პატარძლობა. უნდა გენახათ, როგორ 18 წლის გოგოებიჭივით იქცეოდნენ, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, ეთამაშებოდნენ, თვალებს ეშმაკურად უპაჭუნებდნენ და დასაწოლად შებინდებისთანავე გარბოდნენ... ეს ყველაფერი რომ გენახათ, დარწმუნდებოდით, რომ სიყვარულმა ასაკი მართლაც არ იცის...“

თბილისი რომ ჭრელაჭრელა ფერებში გადაღებეს, ამას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ზოგი ამბობდა — ცირკს დაამსგავსესო, ზოგი — კარგია, მაგრამ არ ღირდა ბიუჯეტიდან ამდენი თანხის დახარჯვაო. მომდევნო რესპონდენტის ნაამბობს რომ წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ თუნდაც მხოლოდ ამ ორი ადამიანის გამო ღირდა სახელმწიფოსგან ასეთი ხარჯის გაღება.

დიდი მადლობა ხელისუფლებას

„ამ მესიჯს 48 წლის ქალი გწერთ. არ მითხრათ, რამ გაგასულელა ამხელა ქალი, რა მესიჯების წერა აგიტყდაო, მაგრამ როგორც სიყვარულმა არ იცის ასაკი, ისე „გზავნილების“ მკითხველთა წლოვანება არ არის შეზღუდული და ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, მოგწეროთ და ჩემი ბედნიერების ამბავი გაგიზიაროთ. არ დავიწყებ იმ მიზეზებზე საუბარს, რის გამოც გასათხოვარი დავრჩი. გარეგნობით ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდად გამოვიყურები. თბილისში დავიბადე და გავიზარდე და ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, ოროთახიან ბინაში, მეექვსე სართულზე ვცხოვრობ. ივნისის პირველი რიცხვები იყო. დილით გავიღვიძე და სამსახურში წასასვლელად დავიწყე მზადება. საწოლ ოთახში ღამის პერანგი გავიხადე და თითქმის დედიშობილა, ტრუსით დავრჩი. გარდერობის კარი გამოვაღე და ტანისამოსი გადმოვალაგე. როცა კარი მივხურე, დავინახე, რომ ფანჯრიდან ვიღაც კაცი გაოგნებული მომშტერებოდა. უცებ დავავლე ხელი ტანისამოსს და მეორე ოთახში შევვარდი. თურმე მღებავი ყოფილა, რომელიც სპეციალურ მოწყობილობაზე იდგა და ჩვენს კორპუსს ღებავდა. მერე ეს კაცი გავიცანი. გოგი ძალზე კარგი ადამიანი აღმოჩნდა და ამ ხნის ქალი პატარა გოგოსავით ვიყავი შეყვარებული. ერთი თვის წინ დავქორწინდით და მის მიერ შეღებილ ჩემს სახლში, ერთად ვცხოვრობთ. თავს უზომოდ ბედნიერად ვგრძნობ. დიდი მადლობა ჩვენს ხელისუფლებას, რომ შენობები შეღება და ჩემი წილი ბედნიერება მაპოვნინა“.

ახლა კი მოკლე მესიჯების და საჩივრის სვეტის რიგიც დადგა.

ჩამშვები ბებია

„რამდენიმე დღის წინ, ძველი საბუთების დალაგებას მივყავი ხელი. შემთხვევით გადავაწყდი ჩემი ქმრის სტუდენტობის დროინდელ ბლოკნოტს. საერთოდ არ მჩვევია სხვის პირად ნივთებში ქექვა, მით უმეტეს, ქმრის კონტროლი, მაგრამ რატომღაც ეს ბლოკნოტი საგულდაგულოდ დავათვალიერე, შუაში ერთ-ერთ ფურცელზე უცხო კალიგრაფიით დაწერილი რაღაც შევნიშნე და რას ვხედავ! ვიღაც მაია სიყვარულს უხსნის ჩემს ქმარს, თანაც ისეთი სიტყვებით, რომ გული ამიჩქარდა. ეს გოგო ძალიან შემეცოდა, რადგან წერილში აღნიშნავდა, რომ გრძნობდა — მის სიყვარულს მომავალი არ ჰქონდა... დიდხანს ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა ჩემი ქმრისთვის ამის შესახებ, ბოლოს გადავიფიქრე, რადგან, ჯერ ერთი, ეს წერილი თითქმის 20 წლის წინ არის დაწერილი, ჩვენი ოჯახი კი მხოლოდ 5 წლის წინ შეიქმნა, მეორეც — გადავწყვიტე, ეს ქალი გავიცნო. ამისთვის ჩემი ქმრის კურსელების შეკრებას ვაწყობ. ამას ეჭვიანობის გამო კი არ ვაკეთებ — უბრალოდ, მაინტერესებს იმ ქალთან შეხვედრა, ვისაც ასე ლამაზად უყვარდა ჩემი ქმარი. პატივისცემი, თ“.

„მარი, გამარჯობა. საბერძნეთიდან გიმესიჯებ. მინდა ჩემი საიდუმლო გაგიმხილო, რომელსაც ხანდახან იმ აზრამდე მივყავარ, რომ თავი მოვიკლა; იქნებ, შენთან დამესიჯებამ დამამშვიდოს. ძალიან კარგ ოჯახში აღვიზარდე, ჩემი წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ, მე კი ვარცხვენ ყველას. ვარ 22 წლის. 15 წლამდე ჩვეულებრივად ვცხოვრობდი, მაგრამ მერე ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. შევნიშნე, რომ ჩემი მეგობარი ბიჭები გოგონებს უყურებდნენ და ეპრანჭებოდნენ, მე კი გოგონებისკენ გული არ მიმიწევდა. ლამაზ მამაკაცებზე კი ჭკუა მეკეტებოდა. მომწონდა, როცა გოგონას ლამაზად ეცვა და კარგი მაკიაჟი ჰქონდა. მინდოდა, მეც ასევე გამოვწყობილიყავი. დავიწყე ჩუმ-ჩუმად ქალის ტანისამოსის ჩაცმა და მაკიაჟის გაკეთება... ეს ყოველივე ძალიან მტანჯავს. ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდე მივდივარ. საბერძნეთში სწორედ ამიტომ წამოვედი. მინდა, თანხა მოვაგროვო და პლასტიკური ოპერაცია გავიკეთო: გავხდები ქალი და საბოლოოდ ამოვისუნთქავ. თავის მოკვლას ალბათ, ეს სჯობს. არ ვიცი, ვინ დამწყევლა ასე... ძალზე ვნერვიულობ, შესაძლოა, ცოტა არეულად მოგწერეთ, მაგრამ იმედი მაქვს. შეასწორებთ. გია მ.“

„გზის“ წინა ნომერში დაიბეჭდა მოკლე მესიჯი, რომელიც „ღიპუცას“ ეძღვნებოდა. სიტუაცია მეცნო და მინდა, ამ მესიჯის ავტორს ვუპასუხო: არ ვარ ცინიკოსი, უბრალოდ, ცხოვრება ყოფილა მკაცრი“.

„სიყვარული 3 წლის წინ მეწვია და დღემდე ვიტანჯები. ის არანორმალური კი, არაფერს მეუბნება. ჩვენი შეხვედრა უბრალო მოკითხვით შემოიფარგლება მხოლოდ. ეგ მახინჯი კი მადლობელი უნდა იყოს, ჩემნაირი გოგო მასზე რომ ფიქრობს. მთელი 10 სანტიმეტრით მაღალი ვარ მაგ ლილიპუტზე. ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები მიხსნიან სიყვარულს. მე კი მაგ მახინჯის გარშემო დავხტუნაობ და მაინც ვერაფერი შევაგნებინე. ძალიან ჭკვიანია და ალბათ, ამით მომხიბლა... იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოვა და შემეხვეწება. კოკო“.

„ამ მესიჯის წერისას, თვალები ცრემლით მევსება. ობოლი და უზომოდ უბედური ადამიანი ვარ. დავტირი გაუბედურებულ ოჯახს და მარტო მივუყვები წუთისოფლის გზას. მიუხედავად იმისა, რომ განათხოვარი ვარ და მეგონა, ჯერავის შევიყვარებდი, ნამდვილი სიყვარული 21 წლის ასაკში, 10 დღის წინ მეწვია. ლაშა თბილისის მატარებლის სადგურში გავიცანი. დანახვისთანავე შემიყვარდა. ოზურგეთში ვცხოვრობ. თბილისში ჩამოსულს, გამიჭირდა მარტო გზის გაკვლევა. ლაშა კი გვერდით დამიდგა. მამასთან, ციხეში ამანათიც კი შემაგზავნინა. მოვეწონე, ცოლობაც მთხოვა — ან შენ, ან არავინო. სადგურში დამტოვა და მითხრა — ძალიან მალე მოვალ, სიუპრიზი უნდა გაგიკეთოო... წავიდა საჩუქრის მოსატანად და თან წაიღო ჩემი იდუმალი სიყვარული. მატარებელს ველარ მოუსწრო. ვერც ტელეფონის ნომრის ჩაწერა მოასწრო. ლაშა, იქნებ „გზის“ საშუალებით მიპოვო! მომძებნე, თორემ, ჩემი ცოდვა არ მოგასვენებს... აი, ასეთი გახლავთ ჩემი 7-საათიანი ამბავი. მარი, აუცილებლად დამიბეჭდე და დამეხმარე დაკარგული სიყვარულის პოვნაში“.

„მარი, ვაბოდებ „გზავნილებზე“. ამიტომ მინდა, რომ სულ ხუთშაბათი იყოს. წინა ნომერში პირველად „გაიმეტე“ ჩემი მესიჯი დასაბეჭდად. დიდი მადლობა. ხატია“.

„მარი, კარგი რა! ჩემი მესიჯები არ მოგწონს და იმიტომ არ აქვეყნებ? გვთხოვ, დამიბეჭდე!.. დადუ, სადაგელო არსებავ, თუ კიდევ გაბედავ და გამაბრაზებ, მოგკლავ! აი, ასე! ფისო“.

„14 წლის ვიყავი, როცა შემიყვარდა. ის ჩემზე 5 წლით უფროსი იყო. მეგონა, მთელი ცხოვრება, მის გარდა, არავინ შემიყვარდებოდა. ჰოდა, მე სულელი, სკოლის სხვენში დავნებდი... ახლა სხვა მიყვარს, თანაც — ძალიან. ასმაგად მიყვარს, რადგან ყველაფერი მაპატია. მადლობა ღმერთს, რომ ისეთ ადამიანს შემახვედრა, რომლის გარდა, ველარავის ვხედავ. ვ.კ. მიყვარხარ. პატარა“.

„სიყვარულმა ასაკი მართლა არ იცის. მაშ, რითი ახსნით იმ ფაქტს, რომ 73 წლის მეზობელი გამითხოვდა?.. ერთმა ჩემმა ნაცნობმა კი, 80 წლის ასაკში ბოიფრენდი გაიჩინა. იმ კაცს არჩილი ერქვა, ის აჩიკუნას ეძახდა. მე კი... ეეჰ, რა არის ცხოვრება! მე კი, ჩემზე 16 წლით უფროსი ასაკის კაცი მომწონდა. 29 წლის ქალი ვარ და ასეთი სისულელის ჩადენის უფლებას თავს არ მივცემდი, ყურადღება თავდაპირველად, მისგან რომ არ მეგრძნო, მაგრამ ამხელა ასაკობრივმა სხვაობამ შემაშინა. ის კარგი ადამიანია და მასთან გატარებულ მცირე დროის ყოველ წუთს სასიამოვნოდ ვიხსენებ“.

„2 წლის წინ, სტუდენტობისათვის ვემზადებოდი. როცა მამაჩემმა გამომიცხადა, სხვა ქალი შემიყვარდა და ცოლად უნდა მოვიყვანოო... დედაჩემმა რომ გაიგო, გადაირია. 4 შვილი ვრჩებოდით სარჩენი. რატომღაც, მაშინ კარგად ვერ გავაანალიზე მამაჩემის სასიყვარულო აღტყინება და უემოციოდ ვუთხარი — მოიყვანე, ღმერთმა ბედნიერი გამყოფოთ-მეთქი!.. 50 წლის კაცი 16 წლის ბიჭივით, შეყვარებულის სურათს გულის ჯიბით ატარებდა. საცოლე კი დედაჩემის ყოფილი დაქალი აღმოჩნდა. მერე, მამაჩემს ყველამ ზურგი შეაქცია. ისიც მიხვდა თავის დანაშაულს და ოჯახში დაბრუნდა. ახლა იმ სიყვარულს მისტირის. ამ სულელურ საქციელს ოდესმე ვანანებ!.. მადონა, ადიგენი“.

„გზავნილებს“ მისი დაარსების დღიდან ვკითხულობ, მაგრამ მესიჯის გამოგზავნა არასოდეს მომსვლია აზრად. ამ თემამ კი ჩამაფიქრა. 17 წლის ვიყავი, როცა 55 წლის მამაკაცს შევუყვარდი მთელი სულითა და გულით. ეს ძალზე გრძელი ამბავია, დიდი თავგადასავალი და თუ სურვილი გექნებათ, ოდესმე უფრო ვრცლად მოგიყვებით. მე და რომანს ისეთი თავდავიწყებით გვიყვარდა ერთმანეთი, რომ ბევრ 18 წლის ახალგაზრდას შეშურდებოდა... შორენა“.

„მარი, ბოდიშს გიხდი, რომ შუაღამისას გიმესიჯებ. მინდა, ჩემი განვლილი ცხოვრების შესახებ მოგიყვე. 23 წლის ვიყავი, როცა დიდი სიყვარულით გავთხოვდი. ჩემი მეუღლე 43 წლის „ხისთავიანი“ კახელი იყო, მე კი — „რქიანი“ გურული. მე ვმუშაობდი ბინების ყიდვა-გაყიდვის ოფისში მთავარ მენეჯერად. დიტო ჩვენთან ბინის საყიდლად მოვიდა. ჩვენი სიყვარული სწორედ იქიდან დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩემი ნებით გავყევი კახეთში, მშობლებისგან მალულად. როცა მშობლებმა მომაკითხეს, დედაჩემმა დიტოს შეხედა და შეკივლა — შენ რა, ბაბუას გაჰყევი ცოლადო?!. მშობლები გამებუტნენ, მაგრამ მე ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ჩამოვედით თბილისში და სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა. ძალიან მიხდება მოკლე კაბა, მაგრამ დიტომ მისი ჩაცმა ამიკრძალა. მე „რქებით“ ვაწვებოდი, ჩემს გურულ კაპასობას ვიშველიებდი და პოზიციებს არ ვთმობდი. დიტო სულ თავისი ბიზნესით იყო დაკავებული, ღამეს კი ტელევიზორის ყურებაში ათენებდა. ერთ დღეს ამბავი მომიტანეს, შემდეგ კი ჩემი თვალითაც ვნახე, რომ დიტუნა და თავისი 39 წლის საყვარელი ერთად დასეირნობდნენ. დღემდე არ ვიცი, რატომ მომიყვანა ცოლად. მე სახლში დამსვა, ის ქალბატონი კი ყველგან თან დაჰყავდა. მე და დიტო ერთმანეთს დავშორდით. მან დამიტოვა თავისი ბიზნესი, ორსართულიანი სახლი თბილისში და ძალიან მაგარი ჯიპი. თვითონ კი კახეთში დაბრუნდა. ასე დამენგრა ოჯახი. მინდა დაბადების დღე მივულოცო ჩემს ყოფილ მეუღლეს. ხუთშაბათს, „გზის“ გამოსვლის დღეს, ის 48 წლის ხდება. ვუსურვებ, მალე შექმნას თბილი ოჯახი... 3 წელია, მისთვის თვალიც აღარ მომიკრავს. დიდი მადლობა მას, რომ სიყვარული მასწავლა“.

„მკითხველს გაუმართლა! ისედაც ყველა თემას სიყვარულს უსადაგებენ და ახლა ხომ მთლად ჩაიძირებიან მის მორევში... მე კი ვიტყოდი, რომ ყოველ წელს თავი შეყვარებული მგონია, თანაც ვამტკიცებ — შარშან პატარა ვიყავი, მეგონა, მიყვარდა, ახლა გავიზარდე და უკვე სერიოზული გრძნობა მეწვია-მეთქი. მაგრამ ასაკი ჯიუტად მემატება, მე კი ჭკუას ვერ ვსწავლობ...“

„სიყვარული შესაძლოა, ძალზე მცირე ასაკშიც გეწვიოს. ასეთ დროს ბავშვები ცოტა უცნაურად გამოხატავენ გრძნობას. ერთხელ, 7 წლის ვიყავი, როცა თერჯოლაში, მამიდასთან ვისვენებდი. საღამოს, სეირნობისას 2 წლით უფროსმა ბიჭმა კარგა მოზრდილი ქვები დამიშინა, ძლივს გადავრჩი. როცა ჰკითხეს, ასე რატომ მოიქეცი? — აღიარა, რომ ვუყვარდი. კრისტი“.

„სიყვარულმა რომ ასაკი იცოდეს, მაშინ 13 წლის გოგოს 24 წლის ბიჭი არ შემიყვარდებოდა. გია, მინდა გითხრა, რომ დღესაც ვფიქრობ შენზე. ვიცი, ცოლიც გყავს და პატარაც, მაგრამ რა ვქნა, ისევ ისე მიყვარხარ, როგორც 11 წლის წინ. ხედავ, მარი, თურმე, პატარა გოგონებსაც შესძლებიათ ძლიერი სიყვარული... დღეს კი თავს ვიტყუებ, რომ სხვა მიყვარს... გია, თუ კიდევ გახსოვარ, ჩემი ნახვა არ გაგიჭირდება. ...გაყინულხარო! — გახსოვს? „სო“.

„სიყვარულმა ასაკი მართლა არ იცის. განა სიყვარულმა არ გადამრია, 10 წლით უფროსი გოგო რომ მოვიტაცე? აბა, არ მომყვებოდა და რა მექნა?! ახლა ერთად ვართ. დათო“.

„ერთი პატარა გოგო შემიყვარდა, 12 წლით უმცროსია ჩემზე. იცით, რა კარგად ვუგებთ ერთმანეთს, როგორ გვიხარია ერთად ყოფნა და რა კარგად ვართ!.. მაგრამ ხანდახან აიკვიატებს, რომ უნდა დავშორდეთ, რადგან უფროსი ვარ. არადა, იცით, როგორი გიჟური სიყვარული გვაქვს?!. როგორზეც ბევრი ოცნებობს. ამას წინათ, ეკლესიაში, ღვთის წინაშე შევპირდი, რომ მთელი ცხოვრება მეყვარება და მასზე ვიზრუნებ. შევატყვე, გაუხარდა, მაგრამ მანც ეწინააღმდეგება საკუთარ გულს და „მაზოხისტობს“. ძალიან ყურადღებიანი ვარ, თბილი, ქალის ფასიც მშვენივრად ვიცი და გორილაზე ლამაზიც ვარ. რა უნდა მეტი?!. მარი, წაეხმარე ცოტა, ურჩიე რამე.. დამიბეჭდე, წავაკითხებ, გავერთობით, გავიცინებთ და... იმედია, „სოფელიც აშენდება“. უთხარი, რომ მთავარი — სიყვარულია, რომ პოვნა ძნელია, დაკარგვა — იოლი. ძალიან გაუბედავია და შესაძლოა, ამან დიდი სიყვარული დაკარგვინოს“...

„17 წლის, თავქარიანი გოგო ვიყავი, როცა პირველად ამიხსნა სიყვარული მამაკაცმა და მისი სითბო ვიგრძენი. აბა, ასაკს რას დაგიდევდით — მხოლოდ მასთან სიახლოვე მინდოდა, მაგრამ ჩემი პრინცი ინტიმურ ურთიერთობას არ ჩქარობდა. ეს თავშეკავება სწორედ მისი ასაკიდან გამომდინარეობდა. ზურა ჩემზე 14 წლით უფროსი იყო. უნდოდა, ყველაფერი ქორწინების შემდეგ მომხდარიყო. მე კი მრავალჯერ მიეცი იმის უფლება, რომ ფიზიკური სიახლოვე გვქონოდა, მაგრამ ამაოდ... მოულოდნელად სხვაზე გავთხოვდი. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი დამენგრა. ზურიკო კი ისევ ვერ დავივიწყე. მაშინ ჩემს ნებას რომ დაჰყოლოდა, ახლა ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა. ზურიკო, მიყვარხარ... ბედნიერებას გისურვებ, შენს ოჯახთან ერთად. ახლა ალბათ, ასაკი მართლაც გეტყობა, მე კი ისევ თავქარიანი გოგოს აზრები მიტრიალებს თავში“.

„ირაკლი ჩემზე 5 წლით უმცროსი იყო. უზომოდ მიყვარდა. მთელი 10 წელი კუდში დამდევდა და სიყვარულს მეფიცებოდა. მის ცოლი გავხდი და 5 თვის ფეხმძიმე მიმატოვა. მას შემდეგ 6 წელი გავიდა. დღემდე მაინტერესებს, რატომ მოიქცა ასე... ნინი“.

„36 წლის ქალი ვარ. ჩემი ცხოვრების მანძილზე, თითქმის ყველაფერი ვნახე. მყავს 2 შვილი. თავიდან მეგონა, რომ ჩემი მეუღლე ჩემთვის ყველაზე საყვარელ ადამიანად დარჩებოდა, მაგრამ 13-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ორივე მივხვდით, რომ ერთმანეთთან მარტო შვილები გვაკავშირებდა. ვინც ახლა მიყვარს, ჩემზე 9 წლით უმცროსია. ყველაზე წარმოუდგენელი კი ის არის, რომ ჩემი შვილის მეგობრების მეგობარია და მაშინ მნახა, როდესაც ჩემს გოგონას სეირნობის დროს სკვერში მივაკითხე. მერე წამოვიდა უამრავი მესიჯი ჩემს ტელეფონზე. რა თქმა უნდა, ვინაობას არ ამხელდა. შემდეგ ერთმანეთს შეეხვდით და თითქოს ინერციით კიდევ და კიდევ ვხვდებოდით... ჩვენ ფიზიკური ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა ცუდად ვგრძნობ თავს, როდესაც გული და გონება ერთმანეთს ებრძვის. მე და ამიკო უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ...“

„ჩემი მეზობელი შემიყვარდა. ის ჩემზე 50 წლით არის დიდი. მაგარი „ფორთხვა“ კაცია. რუდიკ, ჩემო სიცოცხლევ. ძალიან მიყვარხარ“.

საჩივრის სვეტი

„მინდა, ვუჩივლო ჩემს გასათხოვარ ბიძაშვილს, რომელიც უკვე 2 წელია, ჩემთან ცხოვრობს და მგონი, წასვლას არ აპირებს. ამას ისიც ემატება, რომ ღამით საშინლად ხვრინავს და სულ გამოუძინებელი ვარ. დამიბეჭდე, იქნებ, წაიკითხოს და წავიდეს ან რაიმე ხვრინვის საწინააღმდეგო საშუალება მაინც მასწავლეთ... თქვენი ერთგული მკითხველი, ბუბუტა“.

„მე და მამიდაჩემი ერთად ვცხოვრობთ. უკვე აღარ შემიძლია — ყოველდღე ვჩხუბობთ. სახლის ტელეფონით რომ ვლაპარაკობ, სულ იმას მეუბნება, ცოტა ილაპარაკეო. მობილურს ავიღებ და გაიძახის — დადე, ნუ ერთობიო... თვითონ რომ საათობით ლაპარაკობს, ის არაფერია?!. დავიღალე...“

„მინდა, ბებიაჩემს ვუჩივლო იმის გამო, რომ მაგარი „ჩამშვებია“. დედა და მამა მთელი დღე სამსახურში არიან და შინ მარტო ბებოა. საღამოს, მშობლები რომ მოდიან, სულ დაწვრილებით უყვება — რომელ საათზე მივედი ინსტიტუტიდან, რამდენი საათის განმავლობაში ვლაპარაკობდი ტელეფონით, ვის ვესაუბრებოდი, შინიდან გასული ვიყავი თუ არა, ვიმეცადინე თუ არა და ა.შ. ერთი სიტყვით, ცხოვრება გამიმწარა. მარი, უთხარი ბებიაჩემს, რომ ასეთი საქციელი მიუღებელია და ჩაშვება კარგ ტონად არ ითვლება. ოღონდ ცოტა ყურს აკლია და ხმამაღლა უნდა დაელაპარაკო...“

„მე მინდა, საჩივარი შემოვიტანო ჩემს სადედამთილოზე. რას მერჩის, არ ვიცი. რატომ არ მოვწონვარ სარძლოდ?.. სიმაღლით 180 სმ ვარ, შავთმიანი, წყარი, მორიდებული, მისი შვილი კი სიგიჟემდე მიყვარს. ნეტავ, კიდევ რა უნდა? თუ კარგად ამოიქექეა, ვპირდები, მასაც დედასავით შევიყვარებ და უზომო პატივს ვცემ. მეტი რა უნდა გავაკეთო? თუ სურვილი აქვს, დავურეკავ და ამ ყველაფერს პირადად მოვახსენებ...“

„ვუჩივი მეზობლის ძაღლს, რომელიც მაინცდამაინც ჩემს კართან, ისაქმეს ხოლმე. ღმერთო, რა დავაშავე, რატომ უნდა ვწმინდო სხვისი ძაღლის სიბინძურე?!. მიშველეთ!“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ჟორის მსხვერპლი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

„ვიცი, რომ ნარკოტიკების ზედოზირებით მოვკვდები. თავის დანებება არ შემიძლია. ღმერთზე ვფიქრობ ხშირად. სიკვდილის არა, მაგრამ უფალთან წარდგომის ძალიან მეშინია... — ამბობს დათო და მიუხედავად ამისა, ნარკოტიკებისთვის თავის დანებებას მაინც არ აპირებს.

დათოსგან განსხვავებით, ჩვენში ამ მავნე ჩვევისგან თავის დაღწევა ათასობით ადამიანს სურს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც სურვილი გაცილებით აღემატება შესაძლებლობას.

ნარკოტიკული ჯაჭვი:

"ვფიქრობდი, რომ ერთხელ გასინჯვით ნარკოტიკებზე არ "შევჯდებოდი"..."

თამარ როსტიაშვილი

დათო, *25 წლის:*

— ცნობისმოყვარეობის გამო ჰეროინი პირველად რომ გავსინჯე, მე-11 კლასში ვსწავლობდი. თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში დავიბადე და გავიზარდე. გარშემო ძალიან ბევრი ნარკომანი ცხოვრობს. იმ პერიოდში, ასეთი წარმოდგენა მქონდა: თუ ნარკომანი გავხდებოდი, ჩემს თანატოლებზე გაცილებით პრივილეგირებული ადამიანი ვიქნებოდი... შეძლებული მშობლები მყავდა და ე.წ. ჯიბის ფულს — გასართობად, კინოში თუ თეატრში წასასვლელად — თითქმის ყოველდღე მაძლევდნენ. ეს ფული კი, ვენაში მიდიოდა...

— მშობლები როგორ შეეგუვნენ თქვენს ნარკომანობას?

— როცა მშობლებმა ეს ამბავი გაიგეს, უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანი ვიყავი და წინააღმდეგობის გაწევას რაღა აზრი ჰქონდა?.. ახლა, უკვე მარტო ვცხოვრობ, მეგობრების დახმარებით საკუთარი ბიზნესი ავაწყვე და ყოველდღიური „სუბოს“ ფული არ მიჭირს...

— ნარკოტიკისთვის თავის დანებება არ გიცდიათ?

— ვცადე და ნარკოტიკების გარეშე მხოლოდ 3 დღე გავძელი. მივხვდი, რომ მეტის მოთმენა აღარ შემეძლო და ისევ „გავიჩხირე“. ახლა უკვე ხელი მაქვს ჩაქნეული. ვიცი, რომ ზედოზირებით მოვკვდები, მაგრამ თავის დანებება არ შემიძლია. ღმერთზე ვფიქრობ ხშირად. სიკვდილის — არა, მაგრამ უფალთან წარდგომის კი ძალიან მეშინია...

რეზი, *28 წლის:*

— ნარკოტიკი რომ გავსინჯე, პატარა ბიჭი უკვე აღარ ვიყავი; დღესაც ვერ გეტყვით, რატომ გავიკეთე. ვფიქრობდი, რომ ერთხელ გასინჯვით ნარკოტიკებზე არ „შევჯდებოდი“, მაგრამ მწარედ შევცდი. ახლა უკვე ძალიან დიდი სურვილი მაქვს თავის დანებების, მაგრამ ვერ ვახერხებ... ნარკოტიკების გამო, საყვარელი ადამიანი დავკარგე: შვილს არ მიჩენდა და ამის გამო ისე ვიჩხუბეთ, რომ უკვე რამდენიმე თვეა, რაც სახლიდან წავიდა. ნათესავები და ახლობლები, როგორც კეთროვანს, ისე მიყურებენ. ახლა უკვე ძალიან მინდა, მკურნალობა დავიწყო. ნარკოლოგიურში ვიყავი, მაგრამ სამწუხაროდ, იქ იმდენი კლიენტურა დადის, რომ ახალ პაციენტებს მკურნალობაზე უარს ეუბნებიან. ჩემ მსგავსად, ბევრ ნარკომანს სურს მკურნალობა. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო გაითვალისწინებს ჩვენს სურვილს და როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნაზე იფიქრებს.

ნატა, *22 წლის:*

— მთელი ცხოვრება, არასრულფასოვნების კომპლექსი მტანჯავდა. ძალზე ტანმორჩილი ვარ და ეს იმდენად დიდ ნაკლად მიმაჩნდა, ვფიქრობდი, ცხოვრებაში არც ერთ ბიჭს არ მოვეწონებოდი. სკოლაშიც და შემდეგ, ინსტიტუტშიც, ჩემს სამეგობროში უმეტესწილად, ბიჭები ჭარბობდნენ. ისინი, როგორც „ძმას“, ისე აღმიქვამდნენ და ჩემთან გოგოებზეც ღიად ლაპარაკობდნენ... ერთ დღეს, ერთ-ერთი ძმაკაცის დაბადების დღეზე მისი მეზობელი, ნიკა გავიცანი. ნიკა ჩემზე გაცილებით მაღალი იყო და გაცნობის პირველსავე დღეს, ჩემდამი განსაკუთრებული ინტერესი რომ გამოხატა, გამიკვირდა. იმ დღიდანვე დავმეგობრდით. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გავიგე, რომ ის წამალს იკეთებდა. ერთხელ, როდესაც მის სახლში ვიყავი, მან ნარკოტიკის მიღება გადაწყვიტა. შევეწინააღმდეგე, ვთხოვდი, რომ არ გაეკეთებინა. დიდი ხვეწნის მიუხედავად, არ დამიჯერა. რამდენიმე წუთში, მისი საქციელი გულუბრყვილოდ გავიმეორე: მაშინ ვფიქრობდი, რომ ამით „სამაგიერო გადავუხადე“... იმ დროს, 19 წლის ვიყავი და ვერ გავაცნობიერე, თუ რა სისულელე ჩავიდინე. უფრო დიდი შეცდომა მაშინ დავუშვი, როდესაც ნარკოტიკი მეორედ და მესამედ გავიკეთე... მშობლებმა ჩემი განარკომანების ამბავი რომ გაიგეს, ელდა ეცათ. მამას გულის სტენოკარდია დაემართა, ძლივს გადავარჩინეთ... ყველაფრის მიუხედავად, ოჯახი გვერდში დამიდგა და დღესდღეობით, სარეაბილიტაციო კურსს გავდივარ. ვიმედოვნებ, რომ შედეგს გამოიღებს. უკვე ერთი წელია, რაც ვმკურნალობ. ნარკოტიკზე იმდენად დამოკიდებული აღარ ვარ, თუმცა, ამ სენისგან საბოლოოდ თავის დასაღწევად კიდევ დიდი ძალისხმევა დამჭირდება.

— ნიკასთან ურთიერთობა გაწყვიტეთ?

— არა, რას ამბობთ?! ჩვენ კვლავ ვმეგობრობთ. ჩემგან განსხვავებით, მას სუსტი ნებისყოფა აქვს და მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკებისგან თავის დაღწევა მას მგონი, ჩემზე მეტად სურს, ამას ვერ ახერხებს. თუმცა მპირდება, რომ მკურნალობას მალე დაიწყებს...

ნარკოტიკების გამო, საყვარელი ადამიანი დავკარგე:შვილს არ მიჩენდა და ამის გამო ისე ვიჩხუბეთ, რომ უკვე რამდენიმე თვეა, რაც სახლიდან წავიდა

ბოლო წლებში, ჩვენს ქვეყანაში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მკვეთრად გაიზარდა ნარკომან გოგონათა რაოდენობაც. ნარკოტიკული ნივთიერებების, უმეტესად — ოპიომიდების (ძლიერი ნარკოტიკული საშუალებები) ჯგუფის ძირითადი მომხმარებლები, 30-დან 35 წლამდე ასაკის ადამიანები არიან. დღეისათვის, საქართველოში არაოფიციალური მონაცემებით, ნარკომანიით დაავადებული 200 ათასი ადამიანი ცხოვრობს. არასრულწლოვნებში იმატა მარიხუანის მოხმარების ფაქტმაც. ქვეყანაში მცხოვრებ ნარკომანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის მიუხედავად, სამწუხაროდ, არ არსებობს

ნარკომანთა სარეაბილიტაციო არც ერთი ცენტრი.

*როგორ და რა მიზეზებით ეფლობა ადამიანი ნარკოტიკების ჭაობში, რამდენად შესაძლებელია ამ მავნე ჩვევისგან თავის დაღწევა და რა შემთხვევაში შეიძლება, ადამიანი ნარკომანად ჩამოყალიბდეს? ამ საკითხებზე სასაუბროდ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს თავმჯდომარეს, **თამარ სირგილაძეს** ვეწვიეთ.*

ყველაფრის მიუხედავად, ოჯახი გვერდში დამიდგა და დღესდღეობით, სარეაბილიტაციო კურსს გავდივარ. ვიმედოვნებ, რომ შედეგს გამოიღებს

— ნარკოტიკს ადამიანები სხვადასხვა მიზეზის გამო მოიხმარენ. გარკვეული ნაწილისთვის ეს უბრალოდ, უცხო ხილია, რომლის გასინჯვაც აინტერესებთ, მაგრამ რამდენჯერმე მოხმარების შემდეგ, ისინი ჭაობში ეფლობიან... გარკვეული ჯგუფი ნარკოტიკს სტრესიდან თავის დაღწევის მიზნით იღებს. მოზარდი თაობის წამომადგენლებს კი, უმეტესწილად, მიკროსოციალურ გარემოში თვითდამკვიდრების სურვილი ამოძრავებთ.

— დღეს ჩვენში ყველაზე მეტად რომელი ნარკოტიკული საშუალებაა გავრცელებული?

— საქართველოში ახალგაზრდები ძირითადად, მარიხუანას და სუბოტექსს მოიხმარენ, მოზარდები — შესასუნთქ ნარკოტიკს, უფროსი თაობა კი, უმეტესწილად, ოპიუმიდების ჯგუფის ნივთიერებებს ეტანება.



როდესაც ყალიბდება ნარკოგიისადმი ფიზიკური დამოკიდებულება, წამლის შეწყვეტა იწვევს ნარკოტიკულ შიმშილს, გაუსაძლის მდგომარეობას

— რა დოზის მიღების შემდეგ ხდება ადამიანი ნარკოტიკზე დამოკიდებული?

— გააჩნია, რომელ ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს. ადამიანი ნარკომანად შესაძლოა, ნარკოტიკის ერთხელ გასინჯვის შემდეგაც კი ჩამოყალიბდეს. ინდივიდს, რომელსაც განუვითარდა წამალდამოკიდებულება, უჩნდება სურვილი, მოთხოვნილება, გადაულახავი აუცილებლობა, რომ განაგრძოს პრეპარატის მიღება. ნარკოტიკის მომხმარებელი უკვე ფსიქიკურად და ფიზიკურად დამოკიდებული ხდება წამალზე.

— რას ნიშნავს ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულება?

— ფსიქიკური დამოკიდებულება წარმოადგენს მდგომარეობას, რომლის დროსაც, ნარკოტიკი იწვევს დაკმაყოფილების გრძნობას; ამ დროს, ორგანიზმი მოითხოვს ნარკოტიკის პერიოდულად ან მუდმივად მოხმარებას — სიამოვნების მიღების ან უსიამოვნო ფსიქიკური მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით. ხოლო ფიზიკური დამოკიდებულების დროს, ჩვეული ნარკოტიკის მიღების შეწყვეტის შემდეგ, ძლიერი ფიზიკური აშლილობა ვლინდება; ფიზიკური დისკომფორტი აიძულებს ადამიანს, წამალი კიდევ ერთხელ მიიღოს: როდესაც ყალიბდება ნარკოტიკისადმი ფიზიკური დამოკიდებულება, წამლის შეწყვეტა იწვევს ნარკოტიკულ შიმშილს, გაუსაძლის მდგომარეობას, იმას, რასაც ნარკომანები „ლომკას“ უწოდებენ. ამდენად, ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანი უკვე ნარკოტიკის მცირე დოზას აღარ სჯერდება და უფრო მეტს ითხოვს. ამ პროცესს საშინელ მდგომარეობამდე მივყავართ. ამ დროს, სახეზე გვაქვს ე.წ. ტოლერანტობა — ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმი კარგავს მგრძნობელობას რომელიმე ნარკოტიკული საშუალების მიმართ და სუსტდება ორგანიზმის რეაქცია პრეპარატის განსაზღვრული დოზის მიმართ.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ მარიხუანაზე — ე.წ. პლანზე? არსებობს შეხედულება, რომ ის არ იწვევს ნარკოტიკულ დამოკიდებულებას.

— ისევე, როგორც ჰეროინი, კოკაინი და სუბუტექსი, მარიხუანაც ნარკოტიკული საშუალებაა. მოზარდები ფიქრობენ, რომ ე.წ. პლანი არ იწვევს ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორიც ძლიერ ნარკოტიკებს ახასიათებს. ეს შეხედულება მცდარია. მარიხუანის აქტიური მოხმარება ადამიანის ტვინში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს — კერძოდ, შიზოფრენიის მსგავს ფსიქოზურ მდგომარეობას. თუ ადამიანის ფსიქიკაში, ტვინის გარკვეულ უჯრედში, არსებობს ფარული მიდრეკილება ფსიქიკური დაავადებებისადმი, მარიხუანის მოხმარების დროს, ეს ფარული მიდრეკილება ძლიერდება და ამის შედეგად, ადამიანი ძლიერ ფსიქიკურ აშლილობამდე მიდის. ყოველივე ამის შემდეგ, მარიხუანის მომხმარებლების უმრავლესობა თავისდა უნებურად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდება. თუ ადამიანს, მარიხუანის მოხმარების შედეგად, ქრონიკული აშლილობა არ დაემართა, მისი მკურნალობა შედარებით იოლია. საერთოდ, ნარკოტიკებისგან თავის დაღწევა შესაძლებელია, მაგრამ ეს ხდება ძალზე რთული და ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად. ინდივიდმა თავადვე უნდა გააცნობიეროს ნარკოტიკების მოხმარების მავნებლობა. ნარკოტიკებისგან თავის დაღწევის დროს, ყველაზე დიდი მნიშვნელობა, მავნე ჩვევისადმი პაციენტის დამოკიდებულებას აქვს. თუ ადამიანი განიკურნა და თავი დაანება ნარკოტიკებს, მან არავითარ შემთხვევაში, არც ერთხელ აღარ უნდა მიიღოს წამალი, რადგან განკურნებული ადამიანი შესაძლებელია, კვლავ მოექცეს მავნე ჩვევის მარწუხებში. ჩვენს ქვეყანაში არსებობს ნარკომანიისგან განკურნებულ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რაც ნათლად მოწმობს იმას, რომ ეს მართლაც, შესაძლებელია.

— რამდენიმე ხნის წინ გაიცხადეთ, რომ ნარკომანთა სარეაბილიტაციო კლინიკები უნდა გახსნილიყო. რა ეტაპზეა ამ დაპირების შესრულება?

— ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა საბჭოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა და ვფიქრობთ, რომ უახლოეს მომავალში, საპატრიარქოს დახმარებით გავხსნით ნარკომანთა სარეაბილიტაციო ერთ პილოტურ კლინიკას. იმდენად დიდია ნარკომანიით დაავადებულთა მხრიდან კლინიკის არსებობის მოთხოვნილება, რომ მხოლოდ ერთი კლინიკა საკმარისი არ იქნება. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ გაისად, ნარკოლოგიური კლინიკების შესაქმნელად გარკვეული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

■

დღეს, ჩვენში ბევრი ადგილობრივი თუ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი მოქმედებს და დროდადრო, მასმედია ამა თუ იმ აქციის შესახებაც გვატყობინებს. მაგრამ საზოგადოებამ ნაკლებად იცის, კონკრეტულად ვინ რა საქმეს აკეთებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, უფრო ვრცლად შეიტყოს იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ეს ორგანიზაციები ეწევიან. ამჯერად, ყურადღება ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდზე შევაჩერეთ და მის ხელმძღვანელს, პაატა ჩახნაშვილს ვესტუმრეთ. ამ ორგანიზაციაში ჩვენს სტუმრობას, მისი დამფუძნებლის მოახლოებული იუბილეც დაემთხვა: 31 ოქტომბერს, ბადრი პატარკაციშვილს 50 წელი უსრულდება, რაც, ერთ-ერთი ჩვენი კოლეგის მოხდენილი შედარებით, ცხოვრებისეული გამოცდილების „საკონტროლო პაკეტის" შეძენას ნიშნავს. ამიტომაც, ბატონ პაატას, ფონდის საქმიანობის გარდა, ამ დღესთან დაკავშირებითაც დავუსვით რამდენიმე კითხვა.

ბადრი პატარკაციშვილმა ცხოვრებისეული მამოცდილების „საკონტროლო პაკეტი" შეიძინა და ფონდი, რომელიც **ბავშვთა ლეიკემიას უტევს**

ემა ტუხიამვილი

— ბატონო პაატა, რა თანხას განკარგავს ყოველწლიურად ეს ფონდი?

— წლის ბოლომდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი, ამიტომ ვერ გეტყვით, წელს რა თანხით განისაზღვრება ამ ფონდის ბიუჯეტი. თუმცა, გასული წლების მაგალითის გათვალისწინებით, შემიძლია გითხრათ, რომ საქველმოქმედო ფონდი ყოველწლიურად 4 მილიონ ლარს მაინც ხარჯავს.

— კონკრეტულად, უკვე განხორციელებული რამდენიმე პროექტის შესახებ მოგვიყევით და ისიც გვითხარით, რომელ სფეროებს მიიჩნევთ პრიორიტეტულად?

— ამ ეტაპზე, ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ეს არის ლეიკემია და რამდენიმე სახის ლიმფომა. აღნიშნულ პროექტზე მუშაობა საქველმოქმედო ფონდმა 2 წლის წინ დაიწყო, თუმცა თავიდან, ამის შესახებ საჯაროდ საუბარს თავს ვარიდებდით.

ვაგზავნით დაავადებულ ბავშვებს ძვლის ტვინის გადასანერგად იტალიაში; ერთი ბავშვის მკურნალობა დაახლოებით 70 ათასი ევრო ჯდება

— ცოტა რამ თვით ფონდის დაარსების შესახებ გვიამბეთ.

— ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ბადრი პატარკაციშვილი რუსეთში მოღვაწეობდა, ჰქონდა რამდენიმე პროექტი, რომელიც ქართული კულტურის, სპორტისა და სხვა სფეროებში ამა თუ იმ პროექტის დაფინანსებას ემსახურებოდა. მოგვიანებით კი, ბატონმა ბადრიმ გადაწყვიტა, სისტემატიზებული ხასიათი მიენიჭებინა თავისი საქველმოქმედო საქმიანობისთვის. ფონდის მუშაობაში ჩაბმული რამდენიმე ადამიანი შეუდგა იმ სფეროების შესწავლას, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდა საქველმოქმედო თანხებით დაფინანსებას. უკვე 3 წელია, ამ საქველმოქმედო ფონდს მე ვხელმძღვანელობ. ჩვენი საქმიანობის არეალი საქართველოს ფარგლებს გასცდა: გვყავს პარტნიორები ბევრ უცხო ქვეყანაში და მათთან ერთად ვახორციელებთ ერთობლივ პროექტებს.

მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ეს საკმაოდ რთული და ამავდროულად, ფინანსურად ძალზე მასშტაბური პროექტი გახლავთ. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვაგზავნით დაავადებულ ბავშვებს ძვლის ტვინის გადასანერგად იტალიაში; ერთი ბავშვის მკურნალობა დაახლოებით 70 ათასი ევრო ჯდება. ჩვენ გვყავს პარტნიორები იტალიასა და ინგლისში, ვინც აფინანსებს დაავადებული ბავშვების მკურნალობას იტალიის რამდენიმე კლინიკაში, ხოლო ჩვენი ფონდი მათ ტრანსპორტირებას, შენახვასა და ყველა აუცილებელ პირობას უზრუნველყოფს. ამ დაავადების მქონე ბავშვების მკურნალობის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია: საუკეთესო შემთხვევაში, სულ მცირე, 6 თვე მაინც სჭირდება. ხშირ შემთხვევაში, პაციენტის დონორობის სურვილს მისი მშობლები ან დედმამიშვილები გამოთქვამენ, ამიტომ გამგზავრება მთელ ოჯახს უხდება. იტალიის კლინიკებში დონორებს უტარდებათ გამოკვლევა-ტესტირება, რომლის შედეგადაც დგინდება, თუ ვისი ძვლის ტვინი შეიძლება მიესადაგოს პაციენტს. ზოგჯერ ახლობლის ძვლის ტვინი არ არის პაციენტთან თავსებადი და მას დონორთა ბანკში ეძებენ. ძიების პროცესი, რა თქმა უნდა, დროს მოითხოვს, რასაც მოსდევს მკურნალობის ვადების გაზრდა; ცხადია, იზრდება ხარჯებიც და სამწუხაროდ, მცირდება ეფექტური მკურნალობის შანსი. მაგალითად, გვყავდა ბავშვი, რომელმაც იტალიის წამყვან კლინიკაში 2 წელიწადზე მეტი გაატარა და მისი მკურნალობის ხარჯებმა 240 ათას ევროს მიაღწია, მაგრამ ეს ბავშვი დღეს ცოცხალია... ამ პროგრამის მუშაობის ფარგლებში, ჩვენი ძალისხმევით უკვე 4 ბავშვს გაუკეთდა ძვლის ტვინის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია, ხოლო მეხუთე ალბათ, ცოტა ხანში დაბრუნდება იტალიიდან.

— გამოდის, რომ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა არ არის მზად მსგავსი დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად...

— გამოგიტყდებით, რომ ძვლის ტვინის გადანერგვის პროგრამამ საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული ბევრი პრობლემა დაგვანახვა. აღმოჩნდა, რომ კლინიკები, რომლებიც მსგავსი დაავადების მქონე პაციენტებთან მუშაობენ, ძალზე შორს არიან იმ სტანდრატებისგან, რომლებიც მიღებულია ევროპაში. მაგალითად, ჩვენთან ვერ ხორციელდება მაღალდოზირებადი მეტოტრექსატის პროგრამა, მძიმე მდგომარეობაა საქართველოში C ჰეპატიტთან დაკავშირებით. როგორც წესი, ბავშვებს, რომლებსაც სისხლის ონკოლოგიური დაავადებები აღენიშნებათ, დაქვეითებული აქვთ იმუნური სისტემა და ხშირად სნეულდებიან C ჰეპატიტით. კიდევ ერთი პროცედურა, რომელიც პაციენტს ძირითადი სამკურნალო კურსის შემდეგ უნდა ჩაუტარდეს, დასხივება გახ-

ლავთ. სამწუხაროდ, საქართველოში არც ამის საშუალებაა. არადა, ეს აუცილებელია, რადგან პაციენტმა ძვლის ტვინის გადანერგვის შემდეგ, სარეაბილიტაციო კურსი თავის ქვეყანაში უნდა გაიაროს. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ასეთი მკურნალობის პირობებში, სავსებით შესაძლებელია, 10 დაავადებული ბავშვიდან 8 მაინც გადაარჩინო, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება. ჩვენი ფონდი დაუკავშირდა წამყვან კლინიკებს გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, შევქმენით კონსორციუმი და აღნიშნულმა სამედიცინო დაწესებულებებმა საკუთარ თავზე აიღეს დაავადებული ქართველი ბავშვების მკურნალობის სრული ციკლის უზრუნველყოფა. მაგალითად, თუ ბავშვი წევს იაშვილის სახელობის კლინიკის ონკოჰემატოლოგიურ განყოფილებაში და დაწყებულია მკურნალობა, მისი მონაცემები ავტომატურად იგზავნება ფრაიბურგის კლინიკაში, ქალბატონ შარლოტა ნიმაიერთან, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ონკოჰემატოლოგი გახლავთ; პარალელურად, ამ პაციენტის მონაცემები იგზავნება ექიმ კინსონთან ლონდონში; ისინი ერთმანეთთან ბჭობენ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და გვიგზავნიან თავიანთ ინსტრუქციებს... უკვე 2006 წლიდან, ჩვენი ფონდი იწყებს მაღალდოზირებადი მეტოტრექსატის პროგრამის ინსტალაციას საქართველოში. დაიწყება აგრეთვე დასხივების პროგრამის განხორციელება და მუშაობა დაიწყება C ჰეპატიტის პროგრამის განსახორციელებლად. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ მომავალი წლისთვის, ონკოჰემატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის დონე საქართველოში ისეთივე იქნება, როგორიც დღეს გერმანიაში არსებობს. ამ პროგრამის ფარგლებში, ჩვენ უკვე გავგზავნეთ ერთი ქართველი ექიმი იტალიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ერთ-ერთი ქართველი ექიმი კი, ცოტა ხნით ჩამოვა გერმანიიდან, შარლოტა ნიმაიერის კლინიკიდან და საქართველოში გააგრძელებს მოღვაწეობას. აუცილებელია, აღინიშნოს ის მხარდაჭერა, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო იჩენს: მან რამდენიმე სარეკომენდაციო პაკეტის დაფინანსებაც საკუთარ თავზე აიღო.

— როგორ შეუძლია აღნიშნული დაავადების მქონე ბავშვს თქვენ ფონდის პატრონაჟის ქვეშ აღმოჩნდეს?

— პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ჩვენი და ექიმების მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 53 ბავშვი ავადდება ონკოჰემატოლოგიით. ასეთ შემთხვევაში, ბავშვს ორი გამოსავალი აქვს: ან ონკოლოგიურ კლინიკაში უნდა მივიდეს, ან — ბავშვთა ონკოჰემატოლოგიურ განყოფილებაში, საიდანაც მათ შესახებ ინფორმაცია ჩვენს საქველმოქმედო ფონდს მიეწოდება. თუმცა, ჩვენი ფონდი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გაიგზავნოს სამკურნალოდ საზღვარგარეთ — ამ გადაწყვეტილებას იტალიაში იღებენ: ისინი პირდაპირ ამბობენ — ამა და ამ ბავშვს აქვს ან არ აქვს გადანერგვის პერსპექტივა. რაც შეეხება იმ მკურნალობას, რომლის შესახებაც წეღან მოგახსენეთ და საქართველოში 2006 წლიდან დაინერგება — ის ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაავადებული ბავშვისთვის, განურჩევლად მისი საცხოვრებელი ადგილისა.

— საინტერესოა, თავად ბადრი პატარკაციშვილი თუ მონაწილეობს ხოლმე ფონდისთვის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრაში?

— ჩვენი ფონდისთვის პრიორიტეტულია ბავშვები, მათი მკურნალობა, ბავშვთა სახლები, მათი კვება, ჩაცმა და ა.შ. ამჟამად, ნაკლებად ვაფინანსებთ კულტურულ ღონისძიებებს.

— თუ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფონდის დამფუძნებელი კონკრეტული ბავშვის ბედით დაინტერესებულა?

— რა თქმა უნდა, ეს ხდება და ძალიან ხშირად, ის იწვევს მათ და როგორც წესი, ეს შეხვედრა კარგი ურთიერთობებითა და საჩუქრების გადაცემით მთავრდება...

— რამდენად რთულია ისეთ ადამიანთან მუშაობა, როგორიც ბადრი პატარკაციშვილია?

— ძალიან რთულია და ამავე დროს — ძალიან ადვილიც. ბატონ ბადრის აქვს ჯანსაღი, კარგად გააზრებული, აწონ-დაწონილი პოლიტიკა ამა თუ იმ სფეროში მოქმედებისა. როგორც ხელმძღვანელი, წმინდად დემოკრატიული ტიპის მმართველია. შრომის კონტროლის ფორმა არა აქვს აგებული დასჯაზე. ინფორმაციის მიწოდება ორგანიზაციაში ხდება არა მარტო ზემოდან — ქვემოთ, არამედ პირიქითაც. თქვენც შეგიძლიათ ნებისმიერი ინფორმაცია აცნობოთ და იგი მივა ადრესატამდე, ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

— რადგან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას შევეხეთ, ხომ არ იცით, როდის აპირებს ბატონი ბადრი რუსეთის საზღვარი გადალახოს?..

— მე ამდენი ინფორმაცია ნამდვილად არ მაქვს, ამიტომ გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუმცა გეტყვით, რომ რუსეთში რამდენჯერმე გაიმართა ქართული კულტურის დღეები, რომლებიც ამ ფონდმა დააფინანსა. ბატონი ბადრი რუსეთის საქმიან წრეებში თუ კულტურის მოღვაწეთა შორის საკმაოდ კარგი ავტორიტეტითა და რეპუტაციით სარგებლობს, ამდენად ბევრი მეგობარი და დამფასებელი ჰყავს ამ ქვეყანაშიც.

— როგორც ცნობილია, 31 ოქტომბერს, ბატონი ბადრი 50 წლის იუბილეს აღნიშნავს. როგორი იქნება ცნობილი ბიზნესმენისთვის მოწყობილი დღესასწაული?

მომავალი წლისთვის, ონკოჰემატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის დონე საქართველოში ისეთივე იქნება, როგორიც დღეს გერმანიაში არსებობს

— აპირებს, რომ შეძლებისდაგვარად, მოკრძალებული სახე მისცეს ამ ყველაფერს, მაგრამ ვერაფრით გაექცევა იმ ფაქტს, რომ ძალიან ბევრი სტუმარი მოიყრის თავს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და სოლიდური თარიღია. ბატონ ბადრის ყველა კონტინენტზე ჰყავს მეგობარი და კეთილისმსურველი, ამიტომ ყველას ექნება სურვილი იმისა, რომ ეს დღე მიულოცოს. წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, თუ რამდენი სტუმარი ჩამოვა იუბილეზე, მაგრამ ვეჭვობ, რომ მათი რიცხვი ძალზე შთამბეჭდავი იყოს. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ ფეიერვერკი არ იქნება.

— სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის, ალბათ, ქართველი პოლიტიკოსებიც იქნებიან სტუმრად მიწვეულნი, ხომ?

— ამ დაბადების დღეზე, ისევე, როგორც ბატონი ბადრის მიერ გამართულ სხვა წვეულებებზე, შეგიძლიათ შეხვდეთ ყველა სფეროს წარმომადგენლებს — ფაბრიკის მფლობელით დაწყებული, პოეტით დამთავრებული. ალბათ, პოლიტიკოსებიც იქნებიან...

— ვფიქრობ, ხშირად გინახავთ ბატონი ბადრი სუფრასთან. თამადობა თუ უყვარს? და კიდევ: როგორ ფიქრობთ — ვინ იქნება თამადა 31 ოქტომბერს?

— ბადრი პატარკაციშვილი საკმაოდ კარგი თამადა და საინტერესო მოსაუბრეა. ცხადია, არ ვიცი, ვინ იქნება თამადა მის იუბილეზე. მისი ქალიშვილის ქორწილში სუფრას პაატა ბურჭულაძე უძღვებოდა.

— მისი ხასიათის გათვალისწინებით, რა საჩუქარს მიართმევთ?

— ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ როგორც წესი, ბატონ ბადრის ბევრ საჩუქარს უძღვნიან და მათ შორის, ბევრი, საკმაოდ ძვირად ღირებულია. ამ იუბილესთან დაკავშირებით კი, მან სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და სტუმრებისთვის გაგზავნილ მოსაწვევებში დელიკატურად მიუთითა: ვიცი, რომ გინდათ, საჩუქრით გამახაროთ, მაგრამ ყველაზე მეტად გამახარებთ, თუ საჩუქარს არ მიყიდით და იმ თანხას, რომელიც ამ მიზნით უნდა დაგეხარჯათ, ჩემს საქველმოქმედო ფონდში ჩარიცხავთ — ის ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდებაო...

■

ტელეკომპანია „202“-ის მომხიბვლელ წამყვანს და სააგენტო „შარმის“ მოდელს ქეთი ყიფშიძეს, დიდი სურვილი აქვს, ჟურნალისტიკაში წარმატებებს მიაღწიოს. ის საინფორმაციო პროგრამის წაყვანაზე ოცნებობს. რაც შეეხება პირად ცხოვრებას — ქეთი საყვარელი მამაკაცისგან იმედგაცრუებულია. „საერთოდ შემეცვალა მამაკაცებზე შეხედულება, — რა თქმა უნდა, მეგობრებს არ ვგულისხმობ. ვისაც ვენდობოდი და ვისშიც 100%-ით დარწმუნებული ვიყავი, სწორედ მან მიღალატა“, — ამბობს ქეთი.

ქეთი ყიფშიძეს საქმროს ულალატა - „როცა გავიგე, სიცილი ამიტყდა, ვერ ვიჯერებდი...“

სოფო ჭონიშვილი

— პროფესიით მთარგმნელ-რეფერენტი ვარ, ტექნიკური უნივერსიტეტი დავამთავრე, მაგრამ ჯერ დიპლომი არ ამიღია. ჟურნალისტიკასთან არანაირი შეხება არ მქონია. თუმცა ტელეწამყვანობა ყოველთვის ძალიან მომწონდა.

— შენ პროფესიით თუ გიმუშავია?

— როგორ არა. სანამ ტელევიზიაში მივიდოდი. ერთ-ერთ სარეკლამო სააგენტოში ვმუშაობდი, მთავარი მენეჯერი ვიყავი. ამ შემთხვევაში, ჩემი პროფესია მადგებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მევალებოდა. ყოველთვის რატომღაც ტელეწამყვანობა, მოდელობა და შოუბიზნესი მომწონდა. მაგრამ საქართველოში შოუბიზნესი ერთ ადგილზეა გაყინული. ძალიან მინდა, უფრო სერიოზული რაღაცის კეთება, მაგალითად, საინფორმაციო გადაცემას წავიყვანდი დიდი სიამოვნებით.

— ჯერ ტელეკომპანია — „პირველ სტერეოში“ მუშაობდი, შემდეგ, „202“-ზე გადახვედი. მართალია, რომ ამბობენ, „პირველი სტერეოს“ ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოუვიდაო?

— პირველად ტელეკომპანია „202“-ში მივედი, რაღაც კასტინგებს ატარებდა შალვა რამიშვილი. ამ პერიოდში, ბატონი მერაბ სეფაშვილი და შალვა ერთად მუშაობდნენ ახალი გადაცემის პროექტზე „202“-ზე. შემდეგ, ეს პროექტი ჩაიშალა. სანამ ბატონი მერაბი გადაწყვეტდა, ეს პროექტი „პირველ სტერეოზე“ გაეკეთებინა თუ არა, მე შალვასთან დავდიოდი ტრენინგებზე. როცა ბატონი მერაბი „პირველი სტერეოს“ ხელმძღვანელად დაინიშნა, დამირეკა და მასთან გადავედი, გახსნის დღიდან 6 თვის განმავლობაში ვმუშაობდი იქ. მერე, პირადი მიზეზების გამო, ესპანეთში მიწევდა წასვლა, სულ საცხოვრებლად არა, მაგრამ უმეტესი დრო იქ უნდა ვყოფილიყავი. „პირველი სტერეოდან“ ამიტომ წამოვედი: ხელმძღვანელობასთან ვერ შევთანხმდებოდი იმაზე, რომ ხან ესპანეთში და ხან თბილისში ვყოფილიყავი. იქიდან ჩემს წამოსვლას, სხვა წამყვანების წამოსვლაც დაემთხვა. ამიტომ ჟურნალებში დაიწერა, თითქოს ჩვენ დიდი სკანდალით დავტოვეთ ტელევიზია. არანაირი სკანდალი არ ყოფილა. პირადად მე, ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ მერაბს. „სტერეოს“ წამყვანებთან ახლაც ვმეგობრობ. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ჩემი ესპანეთში წასვლაც ჩაიშალა. ბატონ მერაბთან ვეღარ მივიდოდი, ამიტომ გადავწყვიტე, შალვასთან დამერეკა. მან ისეთი პირობები შემომთავაზა, რომელიც მაკმაყოფილებდა.

— ძალიან ბევრი სასიყვარულო „ესემესი“ მოგდის ხოლმე პირდაპირ ეთერში... თუ ხდება ისე, რომ არ კითხულობთ მესიჯებს, რომლებიც არ მოგწონთ?

— ერთხელ, ტელეკომპანია „202“-ის

ეთერში, სასაუბრო თემად გვქონდა ღალატი. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ასეთი „ესემესი“ გამომიგზავნა: „შენთან ცოლს კი ვუღალატებდი“... ძირითადად, მსგავსი შინაარსის მესიჯები მომდის. რაც შეეხება ცუდ „ესემესებს“, როცა „სტერეოს“ ეთერში ვმუშაობდი, იქ შეიძლებოდა კარგი და ცუდი მესიჯები გამოგერჩია. „202“-ზე კი ასე არ ხდება. როგორც მაყურებელი ხედავს ეკრანზე გასულ „ესემესებს“, ისე ვხედავთ ჩვენც. თუმცაღა, იქ ზის ისეთი ადამიანი, რომელიც მაყურებლისგან გამოგზავნილ „ესემესებს“, ასე ვთქვათ, „თარგმნის“ — უცენზურო სიტყვებს არ უშვებს. პირადად მე კი, ყოველთვის მოვითხოვ, რომ ჩემი მისამართით გამოგზავნილი მესიჯები, ცუდიც და კარგიც, ისე გაუშვან, როგორც მას მაყურებელი მიგზავნის. ზოგი წამყვანი ითხოვს, რომ არ გაუშვან ზოგიერთი „ესემესი“ — მაგალითად, „რა სექსუალური ხარ“... მიმიღია ძალიან ცუდი მესიჯებიც: „ქეთი, რას ჰგავხარ, გადი ეთერიდან“. „ქეთი ფეხმძიმედ ხარ?“ ასეთი კითხვაც დაუსვამთ პირდაპირ ეთერში. ეს, რა თქმა უნდა, მაღიზიანებს.

— როგორც ვიცი, სამოდელო სააგენტო „შარმის“ მოდელი ხარ, რამდენი წლის იყავი, მოდელობა რომ გადაწყვიტე?

— 15 წლის ვიყავი, როცა პირველად მივედი სამოდელო სააგენტოში. მაშინ არსებობდა სააგენტო „დიზი“. გადამიღეს ფოტოები ჟურნალისთვის, „ქართული მოდა“, რომელიც მაშინ გამოდიოდა. სხვათა შორის, დიდი პერსპექტივა მქონდა. შემდეგ გავთხოვდი და სხვა ქართველი მამაკაცების მსგავსად, ჩემმა ქმარმაც თავი გაიგიჟა და მოდელობისთვის თავი დამანებებინა. როცა ქმარს გავეყარე, მივხვდი, რომ ძალიან მენატრებოდა ჩვენებებზე გამოსვლა, ფოტოების გადაღება. ამიტომ გადავწყვიტე, კვლავ გამეგრძელებინა მოდელობა. ისევ მივედი სამოდელო სააგენტოში, ოღონდ, ამჯერად „შარმში“, რომელთანაც 3-წლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. რომ გითხრა, ჩვენებებზე ხშირად გამოვდივარ-მეთქი, მოგატყუებ, ბოლოს ბაკურ ბაკურაძის ჩვენებაზე გამოვედი 1 წლის წინ. უფრო ხშირად, კლიპებში გადაღებებზე მაქვს შემოთავაზებები. ახლახან გადამიღეს „სეფას ბიჭების“ კლიპში. სხვათა შორის, ძალიან კარგი სცენარი იყო.

— თუ გქონია შემთხვევა, რომ უარი გითქვამს გამოსვლაზე, ვთქვათ, საცურაო კოსტიუმით?

— არა. საერთოდ ვფიქრობ, როცა მოდელი ხარ, ეს უნდა გააკეთო. მაგრამ, როცა იცი, რომ ჩვენებებზე ქართველი მამაკაცები მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ მოდელების სხეულს უყურონ და არა საცურაო კოსტიუმს, ამის გამო კომპლექსდები. თუ გადამიხდიან იმდენს, რომ მიღირდეს, გავიდე პოდიუმზე საცურაო კოსტიუმით, რატომაც არ გავალ? ამაში კატასტროფას ვერ ვხედავ. თუმცა, მე უკვე სერიოზული გადაცემის წაყვანაზე ვფიქრობ, ამიტომ ეს ჩემთვის ლამაზი არ იქნება...

— თუ გაქვს რაიმე სერიოზული შემოთავაზებები?

— რეჟისორი გოგა დადუნაშვილი იღებს ფილმს. სინჯებზე სოსო ჯაჭვლიანმა მიმიწვია. სხვათა შორის, ძალიან კარგად გამომივიდა, კმაყოფილი დავრჩი. ძალიან მინდა მსახიობობა. ვნახოთ, რა იქნება; ჯერჯერობით, პასუხი არ მიმიღია.

— ამბობენ, რომ შენ და ალანა გაგლოევა კარგი მეგობრები ხართ. საიდან მოდის თქვენი მეგობრობა?

— ჩემი და ალანას მეგობრობა ბავშვობიდან მოდის, ჩვენ შორეული ნათესავებიც ვართ, დედაჩემიც ოსი იყო. ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. სხვათა შორის, ალანა ძალიან დაკავებულია, თავისუფალი დრო ცოტა აქვს. მიუხედავად ამისა, სადმე განმარტოებას და ჭორაობას მაინც ვახერხებთ ხოლმე. პოლიტიკაზე არასოდეს ვლაპარაკობთ. ჩვენ სუფთა მეგობრობა გვაკავშირებს. დღეს, ერთ-ერთ სერიოზულ შეხვედრაზე ვიყავი. ძალიან ვნერვიულობდი. რომ მივედი, ალანაც იქ დამხვდა. თავისი საქმეები გადადო და მე თანამიგრძნო, მამხნევებდა...

— რამდენი წლის არის შენი შვილი?

— ჩემი თაკო 5 წლისაა.

— შენ აღნიშნე, რომ მეუღლემ აგიკრძალა მოდელობა. ეს ხომ არ იყო ოჯახის დანგრევის მიზეზი?

— არა, ასეთი მარტივი მიზეზის გამო ოჯახს არ დავანგრევდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა პოდიუმზე ყოფნა.

— რა ასაკში გათხოვდი?

— 17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი, 3 წელი ვცხოვრობდით ერთად. იმდენად სხვადასხვანაირები ვიყავით ხასიათით, რომ ნებისმიერ წვრილმანზეც განსხვავებული აზრი გვქონდა, ყველაფერი ეს კი კამათს იწვევდა. ვთვლი, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. დედა და მამა არა მყავს. მამა რომ დამელუპა, 13 წლის ვიყავი. 17 წლის ასაკში, დედაც გარდამეცვალა. მყავს ბიძა — ზურა ჩხაიძე, რომელიც დღემდე გვერდში მიდგას. მისი და ჩემი მეგობრების დამსახურებაა, რომ დღემდე მოვედი...

სასაუბრო თემად გვქონდა ღალატი. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ასეთი „ესემესი“ გამომიგზავნა: „შენთან ცოლს კი ვუღალატებდი“...

— ქეთი, ამჟამად თუ ხარ შეყვარებული?

— კარგი, მოდი, სიმართლეს გეტყვით: 2 კვირის წინ, ჩემმა საქმრომ ცოლი მოიყვანა... ესპანეთში ცხოვრობდა. ისე, თბილისში გავიცანით ერთმანეთი. როცა ესპანეთში წავიდა, იქიდან ყოველთვის მირეკავდა, მკითხულობდა. ჩვენ მარტო შეყვარებულები კი არა, ძალიან კარგი მეგობრებიც ვიყავით. 100%-ით ვიყავი დარწმუნებული ამ ადამიანში. ძალიან კარგი და ახლო ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. მოხდა ისე,

ჩვენ მარტო შეყვარებულები კი არა, ძალიან კარგი მეგობრებიც ვიყავით. 100%-ით ვიყავი დარწმუნებული ამ ადამიანში

რომ რამდენიმე დღე არ დაურეკავს. მეც რაღაც ჩემი საქმეებით ვიყავი დაკავებული, ვიფიქრე, ალბათ ვერ მოიცალა და ვერ დამირეკა-მეთქი. როცა გავიგე, ცოლი მოიყვანაო, სიცილი ამიტყდა, ვერ ვიჯერებდი. მაგრამ მერე, დამირეკა თვითონ და მითხრა, რომ ესპანეთში ქართველი გოგო გაუცნია და მეორე დღეს, ცოლად მოუყვანია. მე მისთვის ყოველთვის კარგი მინდა. პირველ რიგში, ჩვენ მეგობრები ვართ. საერთოდ შემეცვალა შეხედულება მამაკაცებზე, რა თქმა უნდა, მეგობრებს არ ვგულისხმობ. ვისაც ვენდობოდი და ვისშიც დარწმუნებული ვიყავი, სწორედ მან მიღალატა...

— ბოლოს, ისევ საქმიანობას დავუბრუნდეთ. როგორ მუშაობთ „202“-ში შალვა რამიშვილის გარეშე?

— შალვასთან ფანტასტიკური ურთიერთობა მქონდა. ახლაც, ტელეფონით ვუკავშირდებით ხოლმე. როცა დავურეკე და ჩემი პირადი პრობლემის შესახებ ვუთხარი, მეგონა, დამცინებდა, მაგრამ — არა, პირიქით გამამხნევა, არ ინერვიულო, შენ ძალიან ჭკვიანი და ლამაზი გოგო ხარო, — მითხრა... შალვასგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, ძალიან ჭკვიანი ადამიანია, ცოტა ცინიკოსია, მაგრამ ამ დროს, ძალიან სამართლიანია. ძალზე განვიცდით მის ამბავს...

სულ ახლახან, რუსთავის დრამატულ თეატრში სპექტაკლის — „რამდენიმე ეპიზოდი კვაჭი კვაჭანტირაძის ცხოვრებიდან“ — პრემიერა შედგა. წარმოდგენა „ქართული დროით“ — ანუ აფიშაზე მითითებული 6 საათის ნაცვლად, მთელი 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. მაგრამ მსახიობები უბრალონი იყვნენ ამ საქმეში, თვითონვე ხშირ-ხშირად იჭვრიტებოდნენ კულისებიდან და მოთმინებით ელოდნენ, როდის ინებებდა „მისი აღმატებულება“ მაყურებელი დარბაზის შევსებას... როდესაც უკვე ტრადიციად ქცეული ფრაზა — სპექტაკლის მსვლელობის დროს, გთხოვთ, გამორთოთ მობილური ტელეფონებიო, — გაისმა, მივიხედ-მოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ დარბაზი გადაჭედილი გახლდათ, ხოლო ბილეთისა თუ მოსაწვევის გარეშე დარჩენილი ზოგიერთი მაყურებელი კედელს აჰკვროდა...

რა აყიდვინა ლევან წულაძემ რუსთავის მერს
და რამ შეაშინა საწოლზე „ფრენისას“ „კვაჭის“ პარტნიორი „ელენი“

მარი ჯაფარიძე

სპექტაკლი უკვე მოხუცებული, დაუძლურებული და ჩამოძონძილი კვაჭის მკვლელობით იწყება, რომელსაც ზეცისა და ქვესკნელის ანგელოზები დაადგებიან თავზე, რათა მისი სულისთვის იზრუნონ. ისინი უკვე გარდაცვლილ კვაჭის ხელახლა გაატარებენ მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას — დაბადების დღიდან, ბოლო მომენტამდე; ბოლოს, ორივე ანგელოზი უარს ამბობს მისი სულის მიღებაზე... ამრიგად, სპექტაკლში ორი კვაჭი მონაწილეობს: მოხუცს ბადრი კაკაბაძე განასახიერებს, ხოლო ახალგაზრდა კვაჭის როლში ზურა ინგოროყვა გვევლინება.

სპექტაკლი ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. მაყურებელი პირველსავე წუთებიდან ჩაერთო სცენაზე განვითარებულ მოვლენებში და ზუსტად რეაგირებდა რეჟისორისა და მსახიობების მიერ გაკეთებულ აქცენტებზე. ერთ-ერთი სცენის დროს, როდესაც თეატრის ჭერიდან ჩამოშვებულ ლოგინზე კვაჭი და ელენი სხდებიან და ლოგინი ისევ ჰაერში ადის, ტექნიკური ხარვეზის გამო, საწოლის ცალი მხარე უფრო მეტად აიწია, შემდეგ კი უცებ დაეშვა. დარბაზმა ამოიგმინა, ელენის როლის შემსრულებელმა, ნინო მესხმა ფერი დაკარგა, „კვაჭიმ“ კი, ვაჟკაცური სიმშვიდე შეინარჩუნა და „ელენიც“ დაამშვიდა, თანაც ისე, რომ ვერავინ მიხვდებოდა, ეს სცენარით იყო გათვალისწინებული თუ ექსპრომტად მოხდა... სპექტაკლის ბოლოს, დარბაზში ისეთმა ტაშმა და „ბრავომ“ იქუხა, რომ ცოტა არ იყოს, შევშფოთდი კიდეც: რუსთავის თეატრის შენობა სავალალო მდგომარეობაშია და თავზე არ ჩამოგვენგრეს-მეთქი, — მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. მაყურებელი მსახიობებსა და რეჟისორს სცენიდან აღარ უშვებდა და ხელისგულებს ჩემსავით, მთელი მონდომებით იწითლებდა. სპექტაკლის შემდეგ, მის დამდგმელ რეჟისორს, ლევან წულაძესა და ორივე „კვაჭის“ ვესაუბრე.

მათი ნიჭიერების იმედი ნამდვილად მქონდა...

— ბატონო ლევან, პირველ რიგში, კიდევ ერთ წარმატებას გილოცავთ. პრემიერამ მშვენივრად ჩაიარა...

— დიდი მადლობა. მთელი სული და გული ჩავდეთ ამ სპექტაკლში.

— რატომ გადაწყვიტეთ „კვაჭი კვაჭანტირაძის“ დადგმა, თანაც — რუსთავის თეატრში?

— თეატრის დირექციამ შემომთავაზა სპექტაკლის გაკეთება. რამდენიმე პიესა განვიხილეთ და არჩევანი „კვაჭი კვაჭანტირაძეზე“ შევაჩერეთ.

— ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ სპექტაკლზე მუშაობა მანამდე არ დაგიწყიათ, სანამ თეატრისთვის 40 პროჟექტორი არ შეიძინეს.

— ა-ა, ეს ჩემ მიერ წაყენებული პირობა არ გახლდათ. ასე ვთქვათ, ცოტა ეშმაკობა ვიხმარეთ და რუსთავის მაშინდელ მერს, მერაბ ტყეშელაშვილს ვუთხარით — სპექტაკლს ვერ დავდგამთ, თუ „ამასა და ამას“ არ გვიყიდით-მეთქი. მართლაც, უამრავი რამ შეიძინეს თეატრისთვის, მაგრამ ეს რუსთავის თეატრს მაინც ვერ უშველის... იქნებ, გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც თეატრს ხელს მოჰკიდებს და უშველის. აქ არაჩვეულებრივი ხალხი მუშაობს და ძალზე კარგი დასია. ამ თეატრს დიდი ისტორიაც აქვს, ბევრ ცნობილ მსახიობს დაუწყია აქ თავისი მოღვაწეობა... ამ ეტაპზე, როგორც შევძელი, ჩემი სიტყვა წავაშველე და თეატრს ბევრი რამ შევმატეთ — ეს არის პროჟექტორები, რეკვიზიტი თუ კოსტიუმები...

— კმაყოფილი ხართ მსახიობების ნამუშევრით?

— რა თქმა უნდა. მათი ნიჭიერების იმედი ნამდვილად მქონდა...

— ბატონო ბადრი, მოგწონთ მოხუცი, უფრო სწორად — „მკვდარი“ კვაჭის თამაში?

ბადრი კაკაბაძე:

— რა თქმა უნდა... წლების წინ, ამ სპექტაკლს ბატონი ანზორ ქუთათელაძე დგამდა, მაგრამ რატომღაც არ შედგა. ოცნებად დამრჩა კვაჭის როლის შესრულება. მართალია, მაშინ ახალგაზრდა კვაჭი ვერ ვითამაშე, მაგრამ სამაგიეროდ, ოცნება ავისრულე და მოხუცი განვასახიერე.

— „პაკლონის“ დროს, რამდენ-



იმე მსახიობის თვალზე ცრემლი შევნიშნე. ერთ-ერთი მათგანი თქვენც იყავით...

— ყველა მსახიობი ბავშვივითაა — ძალზე ცოტა უნდა, რომ ეწყინოს და ცოტა — რომ გაუხარდეს... ასაკსაც მნიშვნელობა აქვს: რაც უფრო ხანში შედის, უფრო სენტიმენტალური ხდება ადამიანი... ის ცრემლი კი, რომელიც თქვენ ახსენეთ, სიხარულის გახლდათ.

— წინათ თუ გიმუშავიათ ლევანთან ერთად?

— არა, ეს პირველი თანამშრომლობა იყო და ერთმანეთს ისე იოლად გავუგეთ, თითქოს წლებია, ერთად ვმუშაობთ. იმედია, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და ნაყოფიერად ვიშრომებთ...

— ბატონო ზურა, რატომ შეგარჩიეს ახალგაზრდა კვაჭის როლზე?

ზურა ინგოროყვა:

— არ ვიცი. ეს ლევანმა გადაწყვიტა. მე რუსთავის თეატრის მსახიობი გახლდით. 2 წლის წინ წამოვედი იქიდან და „სარდაფსა“ და რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი. ერთ დღეს, ლევანმა მითხრა — რუსთავში მივდივარ, სპექტაკლის დადგმას მთავაზობენ, დირექციას უნდა შევხვდე და ხომ არ წამოხვალო? ერთად ჩამოვედით. სწორედ დირექციასთან შეხვედრის დროს თქვა ლევანმა — კვაჭის როლზე ზურა ხომ არ მოგვესინჯაო? ეს ჩემთვისაც მოულოდნელი გახლდათ. დირექცია დათანხმდა და რაღა თქმა უნდა, მეც გამიხარდა.

— სპექტაკლის მიმდინარეობისას ძალიან ინერვიულეთ?

— უფრო მეტად რეპეტიციების დროს ვნერვიულობდი. სულ ვფიქრობდი — ნეტავ, როგორი გამოვამეთქი? ბოლო „პრაგონზეც“ კი ძალზე განვიცდიდი, მაგრამ სპექტაკლის დაწყებისას, როდესაც მაყურებელს პირველსავე ფრაზებზე შესაბამისი რეაქცია ჰქონდა, მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იყო, თუმცა, ბუნებრივია, ცოტა მაინც ვინერვიულე.

— ალბათ, განსაკუთრებულად იმ დროს, როცა თქვენ და ელენი 5 მეტრის სიმაღლიდან საწოლიანად კინაღამ ძირს დაეანარცხეთ, ხომ?

— ჰო, ეს მართლაც არასასიამოვნო შეგრძნება გახლდათ... როდესაც საწოლი ჰაერში უნდა ავიდეს, მე ხელს ვიქნევ და ტექნიკურ პერსონალს ვანიშნებ, — ასწიეთ-მეთქი. როგორც კი მივხვდი, რომ მისი კუთხეები არათანაბრად აიწია და საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით, მეორედ ავიქნიე ხელი, რომ საწოლი დაეშვათ, მაგრამ ბიჭები დაიბნნენ... როდესაც საწოლი შექანდა და ჩაცურდა, ნინოს შევხედე. სახეზე ფერი არ ედო. დავამშვიდე — ნუ გეშინია, ელენ, დამშვიდდი — ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.. შემდეგ ჩვენი დიალოგი განვაგრძეთ.

— კვაჭის როლი კარგად მოირგეთ?

— კი. მშვენივრად.

— რომელიმე პრემიერისთვის კიდევ ხომ არ ემზადებით?

— რუსთაველის თეატრში ვდგამთ „12 განრისხებულ მამაკაცს“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ვთამაშობ. ვფიქრობ, პრემიერა იანვარში შედგება.

— გისურვებთ წარმატებას...

ლევან წულაძეზე ამბობენ — ის ცუდ სპექტაკლს არ აკეთებს, მისი სპექტაკლი ან კარგია, ან — შესანიშნავი... ვფიქრობ, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მის შემოქმედებაში კიდევ ერთ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს... ■



ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ოპტიმისტები დღეს ინგლისურს სწავლობენ, პესიმისტები — არაბულს, რეალისტები...

ა) ...ჩინურს;
ბ) ...იაპონურს;
გ) ...რუსულს.

2. ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში კლიენტის იქ გატარებულ დროს ზუსტად აღრიცხავენ და ამის დამადასტურებელ ბეჭდიან საბუთსაც გასცემენ. რა ჰქვია ამ რესტორანს?

ა) „სრული ალიბი“;
ბ) სამოთხეში ყოფნის დრო“;
გ) „სიხარულის დრო“.

3. რომელმა კომპოზიტორმა გამოიყენა კონცერტში პირველად საყვირი?

ა) ბეთჰოვენმა;
ბ) ბახმა;
გ) შტრაუსმა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მიჯაჭვითვნე იცვლიერები ჯუჩაში გოგონებს ლასლიევენ...

მხატვარ-მოდელიერი, ნათია გაბადაძე უკვე რამდენიმე წელია, რაც ფეხსაცმლის დიზაინერად მისი მამის სალონში მუშაობს. მან შარშან, გაზაფხულზე, იტალიის საელჩოს მიერ მოწყობილ კონკურსში გაიმარჯვა და სასწავლებლად 3 თვით ფლორენციაში იყო წასული. ახლა კი, კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ კონკურსშიც სცადა ბედი, წარმატებასაც მიაღწია და ამ თვის ბოლოს კვლავ იტალიაში (ამჯერად — რომში) მიემგზავრება. „იტალიელები ქართველებს ძალიან ჰგვანან — ჩვენნაირი ზარმაცები, მაგრამ ნიჭიერი და სტუმართმოყვარეები არიან, ამ ქვეყანაში, ძალიან ცოტა ქართველია, რადგან იქაც ისევე ჭირს სამსახურის შოვნა, როგორც ჩვენთან“, — მითხრა ნათიამ. მან იტალიურად რამდენიმე სიტყვაც კი მასწავლა — სწორედ ის სიტყვები, რომლებსაც იქაურები ლამაზი გოგონებისთვის არ იშურებენ...

ლიკა ქაჯაია

— ხატვა, ბავშვობიდანვე მეხერხებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, სამხატვრო აკადემიაში ჩამებარებინა და მოვხვდი მოდელირების ფაკულტეტზე. მამაჩემი პროფესიით ტყავის ტექნოლოგი და დიზაინერია. როცა მას მუშაობისას *(ფეხსაცმლის კერვის პროცესი — ავტ.)* ვადევნებდი თვალყურს, ფეხსაცმლის დიზაინმა მეც დამაინტერესა და უკვე 3 წელია, რაც ამ სპეციალობას მივდევ. ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს.

— როგორი სტილის ფეხსაცმელია წელს მოდაში?

— წელს, მოდაში ისევ წვეტიანი ცხვირია, მაგრამ — დამოკლებული ვარიანტით. აქტუალურია ასევე, მრგვალი ცხვირიც. რაც შეეხება ფეხსაცმლის ქუსლს — მოდაშია ცოტა განიერი, დიდი, „გოჭის“ ტიპის ფეხსაცმელი; ჩექმა — ელვის გარეშე, ჩაჩაჩული, მაღალყელიანი; რაც შეეხება ფერს — აქტუალურია შავი, ყავისფერი, სხვადასხვა ტონალობის. თუმცა, ყველას თავისი გემოვნება აქვს...

— როგორ ფიქრობ — ქართველებს კარგი გემოვნება გვაქვს?

— კი, ძალიან გემოვნებიანი ხალხი ვართ. ჩვენთან ხშირად მოდიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც იციან, როგორი ფეხსაცმელი უნდათ. ამ შემთხვევაში, მე მათ მხოლოდ დეტალების შერჩევაში ვეხმარები. მათ კარგად ესმით, რომ თუ კარგი ფეხსაცმელი არ გაცვია, რაც არ უნდა კარგი ტანსაცმელი გეცვას, მაინც ცუდად გამოიყურები.

— ძნელია თუ არა ქართველი კლიენტების გემოვნების დაკმაყოფილება?

— ძნელია იმ მხრივ, რომ თითოეულ მათგანს განსხვავებული გემოვნება აქვს. ყველას უნდა, ხარისხიანი, საინტერესო, სხვებისგან გამორჩეული ფეხსაცმელი ეცვას. ამ ყველაფერს მივეჩვიე და დღეს ვცდილობ, ნებისმიერი ადამიანის გემოვნება დავაკმაყოფილო.

— თქვენს კლიენტებს შორის ცნობილი სახეები თუ არიან და გყავთ თუ არა მუდმივი კლიენტები?

— კი, როგორ არა. ჩვენი კლიენტების უმეტესობა, ყოველ სეზონზე იკერავს ფეხსაცმელს. მათ მოჰყავთ თავიანთი ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები. რაც შეეხება ცნობილ სახეებს — ჩვენთან ფეხსაცმელი შეუკერავთ: მამუკა ონაშვილს, სხვათა შორის, ძალიან დიდი ფეხი აქვს... კახა ლომაიას, თამუნა ამონაშვილს.

— წლეულს, ფეხსაცმლის აქსესუარები თუ არის მოდაში?

— როგორ არა. თასმები, ბალთები, „ჯოპკები“. ფეხსაცმელზე ლამაზი, სხვადასხვა ფერის ნაქარგებიც შეიძლება გაკეთდეს.

— განსაზღვრავს თუ არა ფეხსაცმლის ხარისხს მისი ფასი?

— ხარისხს — არა. ფასი მასალაზეა დამოკიდებული. მასალით კი (ტყავი, ძირები და ა.შ.), იტალიური, თურქული და ბერძნული ფირმები გვამარაგებს.

— რამდენად მოდური პროფესია გაქვს?

— დღესდღეობით, ფეხსაცმლის დიზაინერობაა საკმაოდ პოპულარული პროფესიაა. ამის ერთ-ერთი მაგალითი ისიცაა, რომ თბილისში უმრავი ატელიე გაიხსნა.

— ეი. ამ სფეროში ძლიერი კონკურენციაა, ხომ?

— კონკურენცია ნამდვილად არის. თუმცა, მე კონკურენტად არავის აღვიქვამ: დიზაინერებს, როგორც კოლეგებს, ისე ვუყურებ, იმიტომ, რომ ჩვენ ყველას ჩვენი მომხმარებელი გვყავს.

დღესდღეობით, ფეხსაცმლის დიზაინერობა საკმაოდ პოპულარული პროფესიაა

— გამოფენის მოწყობას ხომ არ აპირებ?

— გამოფენას ხშირად ვმართავ. ბოლოს, თბილისის ერთ-ერთ ცნობილ კლუბში მოვაწყვე, სადაც ფეხსაცმლის გარდა, გამოტანილი მქონდა ტანსაცმელი, აქსესუარები... მოკლედ, შემიძლია, ადამიანი თავიდან ბოლომდე შევმოსო...

— როგორც ვიცი, პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, იტალიაში იყავი. რამდენად რთული იყო ამ კონკურსში გამარჯვება?

— მასში სხვადასხვა სპეციალობის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, რომელთა ზუსტი რაოდენობა არ მახსოვს. მხოლოდ რამდენიმეს მიეცა შესაძლებლობა, სასწავლებლად საზღვარგარეთ წასულიყო. კონკურსი ჩატარდა გასაუბრების პრინციპით, რომლის დროსაც საკუთარი თავი უნდა წარმოგეჩინა.

— როგორ შეძელი თავის წარმოჩენა?

— წარმოვადგინე ნახატები, ჩვენების ამსახველი ფოტოსურათები და ა.შ. თან, კარგად ვიცოდი იტალიური ენა და ამანაც მიშველა. გამგზავნეს ფლორენციაში, სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად, სადაც ვსწავლობდი დიზაინს, კოსტიუმების ისტორიას. 3 თვის განმავლობაში, იმდენი რამ ვისწავლე, რასაც აქ საერთოდ ვერ ვისწავლიდი. ვიღებდი სტიპენდიას, 620 ევროს, რომლითაც თავი უნდა გამეტანა.

— გყოფნდა?

— ბინის ქირაზე, კვებაზე, ტრანსპორტზე (რომლითაც იშვიათად ვსარგებლობდი) მყოფნიდა, მაგრამ ტანსაცმლის ყიდვას, მოგზაურობას, გართობას — ამ ყველაფერს ჩემი ოჯახის დაფინანსებით ვახერხებდი.

— ბინაში მარტო ცხოვრობდი?

— არა, მეგობართან ერთად, რომელიც იმავე აკადემიაში სწავლობდა, ოღონდ — ფოტოგრაფიის განხრით. მანაც კონკურსში გაიმარჯვა და 2 თვით გაგზავნეს ფლორენციაში. ასე რომ, ერთი თვე მარტო ვცხოვრობდი.

— როგორი ხალხია იტალიელები?

— ძალიან კარგები არიან და ბევრი მეგობარი გავიჩინე. თითოეული მათგანი ცდილობდა, რაიმეში დამხმარებოდა, ყურადღებას არ მაკლებდნენ, ხშირად მეკითხებოდნენ: ხომ არ მოიწყინე? ქართული ენა ხომ არ დაგავიწყდაო? ამას იმდენად ხშირად მეკითხებოდნენ, რომ მეშინოდა, მართლა არ დამავიწყდეს ქართულად ლაპარაკი-მეთქი და საკუთარ თავს ვესაუბრებოდი ხოლმე.

— საქართველოს შესახებ რამე თუ იცოდნენ?

— სხვათა შორის, ახალგაზრდებმა ისიც კი არ იცოდნენ, საქართველო სად იყო. „ჯორჯიას“ რომ ვამბობდი, ყველას ამერიკის შტატი ეგონა. მერე მიწევდა იმის ახსნა, რომ ეს არის აბსოლუტურად სხვა ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისი კულტურა, დამწერლობა. ჩვენი დამწერლობა იმდენად მოეწონათ, რომ აღფრთოვანებულები გაყვიროდნენ: რა ლამაზიაო! ხშირად, ქართულად მალაპარაკებდნენ, უნდოდათ, ქართული სიტყვები კარგად წარმოეთქვათ, მაგრამ ზოგიერთ თანხმოვანს ვერ გამოთქვამდნენ და გიჟდებოდნენ — გვასწავლე, ამას როგორ ამბობო.

— ეი იტალიელებს ქართულს ასწავლიდი?

— კი, ვასწავლე — „გამარჯობა“, „როგორ ხარ“ და ა.შ... ფლორენციაში არის წიგნის მაღაზია, დახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენთან ლიტერატურული კაფეა. ამ მაღაზიაში გავიცანით მოხუცი იტალიელი მამაკაცები. საქართველო რომ ვუხსენეთ — შევარდნაძეო! — იყვირეს. სწორედ ის პერიოდი იყო, როცა ვარდების რევოლუცია მოხდა და ვუთხარი: შევარდნაძე აღარ არის, ახალი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი გვყავს-მეთქი. მერე ჩამოგვითვალეს ქართველი ფეხბურთელები. საქართველო მაგარიაო! გვთხოვეს: ქართული კერძები მოამზადეთ და აუცილებად გესტუმრებითო. წარმოიდგინეთ — ჩვენ საქმელს გავუკეთებდით ამ კაცებს, ისინი კი ღვინის ბოთლით ხელში მოვიდოდნენ. უარით გავისტუმრეთ — ქართული კერძების მომზადება არ ვიცით და იტალიურზე შეგვიძლია დაგპატიჟოთ-თქო...

— ქართული კერძების მომზადება მართალა არ გეხერხება?

— მეხერხება-მეთქი, ვერ ვიტყვი. ისე, ხშირად ვეუბნებოდი უცხოელებს, რომ ქართველებს გემრიელი კერძები გვაქვს. ერთ-ერთმა იტალიელმა ხაჭაპურის აღწერა სცადა: წარმოიდგინეთ პიცა, ჩადეთ შიგნით ყველი, დააფარეთ პიცა, — აი ეს არის თქვენი ხაჭაპურიო *(იცინის)*.. ვიფიქრე, რამეს მოვამზადებმეთქი, მაგრამ შემეშინდა: კარგი რომ არ გამოვიდეს, მეც შევრცხვები და ქართული სამზარეულოც-მეთქი...

— იტალიელები ქართველებს მართლა ჰგვანან?

— ძალიან. ისინიც ჩვენნაირი ზარმაცები, „მარიაჟები“ არიან... სხვათა შორის, საოცრად სტუმართმოყვარე ხალხია. თუ დაინახეს, რომ კარგი ადამიანი ხარ, თან გადაგყვებიან. ძალიან უხარიათ, როცა უცხოელმა იტალიური ენა იცის. თანაც, უკვირთ — სად და როგორ ისწავლეო?!.

— ეი. იტალიაში ბევრი მეგობარი გყავს. მათ საქართველოში არ ეპატიჟები?

— სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი საქართველოში იყო ჩამოსული. ის დმანისში, არქეოლოგიურ გათხრებზე დადის. თბილისში ჩამოვიდა, რაღაცები დავათვალიერებინე. ძალიან მოეწონა ჩვენი ქალაქი, ეკლესიები, ხელოვნება და ქუდები. ბევრი სვანური, ხევსურული ქუდი და სუვენირი წაიღო იტალიაში — მეგობრებს დავურიგებო.

— იტალია ყველაზე მეტად რით დაგამახსოვრდა?

— იქ სულ სხვა ატმოსფეროა. ყოველდღე რაღაც საინტერესო ხდება. ეწყობა გამოფენები, სპექტაკლები და ა.შ. ქუჩაში რომ გახვალ, იქაც ნახავ გასართობს: ვიღაც ხატავს, ვიღაც — უკრავს, მღერის, ცეკვავს. ფლორენციაში ძალიან ვიწრო ქუჩებია, 40-45 წლის ქალები მოტოციკლეტებითა და ველოსიპედებით დადიან. თან მინიქვედაბოლოები და პიჯაკები აცვიათ...

— რა შეგძინა საზღვარგარეთ ყოფნამ?

— პირველ რიგში, უფრო მეტი დამოუკიდებლობის გრძნობა გამიჩნდა. ვისწავლე ბევრი რამ. აქ ძირითადად სწავლა ლიტერატურის საშუალებით ხდებოდა. არ გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ უშუალოდ მასალასთან გვემუშავა. იქ კი როცა კოსტიუმების ისტორიის ლექციები მიტარდებოდა, ვნახე XX საუკუნის კაბები, X საუკუნის ჩანთები და ა.შ. მას, რასაც აქ ვერც კი ვნახავდი, იქ ხელითაც შევეხე... ვიყავი მილანში, სადაც ფეხსაცმლის დიდი გამოფენა იყო მოწყობილი. მე და ჩემი ქართველი მეგობარი (ვისთან ერთადაც ვცხოვრობდი) 2 დღით წავედით. მთელი ქალაქი ფეხით მოვიარეთ, ძალიან დავიღალეთ. საღამოს, სასტუმროს ძებნა დავიწყეთ, მაგრამ გამოფენის გამო, ყველა სასტუმრო გადაჭედილი გახლდათ, მთელი მსოფლიოდან იყო ხალხი ჩამოსული. ძლივს მივაგენით ერთ სასტუმროს, სადაც თავისუფალი ოთახები ჰქონდათ. პასპორტი მთხოვეს, მივეცი და ოთახის ნომერი მითხრეს. უკვე წარმოვიდგინე, თუ როგორ მოვისვენებდი, მივიღებდი შხაპს, მაგრამ... იტალიაში პასპორტის გარეშე არც ერთი სასტუმროში არ შეგიშვებენ. აღმოჩნდა, რომ ჩემს მეგობარს პირადობის მოწმობა ფლორენციაში დარჩა და სასტუმროში ვერ შეუშვებდნენ. ბევრი ვეხვწეთ თანამშრომლებს — იქნებ, ერთი ღამე გაგვათევინოთ-თქო, — მაგრამ უარით გამოგვისტუმრეს. მითხრეს — შენ, თუ გინდა, დარჩი, შენი მეგობარი კი ვერ შემოვაო. რა უნდა გვექნა? წარმოიდგინეთ 2 საცოდავი ქართველი გოგონა მილანში, სადაც არც ერთი ნაცნობი არ ჰყავთ... გამოსავალი რომ ვერ ვიპოვეთ, სადგურისკენ წავედით და ღამეც იქ გავათენეთ. თუმცა, სულაც არ მოგვიწყენია, რადგან ვიღაც არაბები გავიცანით (მატარებელს ელოდებოდნენ), რომლებმაც ხილზე დაგვპატიჟეს...

თასმები, ბალთები, „კნოპკები“. ფეხსაცმელზე ლამაზი, სხვადასხვა ფერის ნაქარგებიც შეიძლება გაკეთდეს

— კიდევ რომელი ქალაქები მოიარე და ყველაზე მეტად იტალიის რომელმა ქალაქმა მოგხიბლა?

— იტალიაში, ულამაზო ადგილი არ მინახავს. ვიყავი ტურინში, ალპებში, კარნავალზე ვენეციაში. ყველა ქალაქი თავისებურად ლამაზია... საოცრად ლამაზი სანახაობა იყო ვენეციაში გამართული კარნავალი. თუმცა, იყო საშინელი წვიმა, თოვლი, რამაც გუნება გაგვიფუჭა.

— იტალიაში ბევრი ქართველი ცხოვრობს?

— ფლორენციაში არც ერთი ქართველი არ შემხვედრია. ალბათ, იმიტომ, რომ იტალიაშიც (ისევე, როგორც ჩვენთან) სამსახურის შოვნა ძნელია...

— იტალიელებს ღვინის სმა არ უყვართ?

— ღვინო ძალიან უყვართ და ძალიან კარგი წითელი ღვინოც აქვთ. თუმცა, იმდენს არასდროს სვამენ, რომ გაითიშონ. არც სადღეგრძელოებით გამოირჩევიან. ერთხელ, ლუდით მადღეგრძელეს. გავგიჟდი: ლუდით დღეგრძელობა ჩვენთან არ შეიძლება-მეთქი, — ავუხსენი. მაგრამ ისინი ნებისმიერი სასმლით გადღეგრძელებენ.

— იქაური თაყვანისმცემლები არ შეგიძენია?

— თაყვანისმცემლების რა მოგახსენო, მაგრამ იტალიელები საშინელი მექალთანეები არიან, ყველას მოსწონხარ. ქუჩაში რომ გაივლი, ყველა გეძახის: „ბელა, ბელა“ („ბელა“ „ლამაზოს“ ნიშნავს).

— იქაურობა არ გენატრება ხოლმე?

— თვის ბოლოს, ისევ მივდივარ, ამჯერად — რომში... კულტურის სამინისტროში ჩატარდა კონკურსი, ისეთივე პროგრამით, როგორითაც ადრე, ოღონდ, სახელწოდება იყო შეცვლილი — მას „რომის პრემია“ ერქვა. აქაც გავიმარჯვე და ისევ მივდივარ 7 თვით. ამან ძალიან გამახარა. სხვათა შორის, ინტერნეტში ვნახე იმ აკადემიის საიტი, სადაც უნდა ვისწავლო. ეს არის რომის უძველესი სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ერთი-ერთი უძლიერესი მთელ ევროპაში. იქ ხშირად ტარდება კონკურსები და თუ შევძელი მონაწილეობის მიღება, ვეცდები საქართველოს სახელით წარმატებას მივაღწიო...

■

ქრონიკული ბრონქიტი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ქრონიკული ბრონქიტის მთავარ გამომწვევ მიზეზად პულმონოლოგებს გარემოს არახელსაყრელი ფაქტორები მიაჩნიათ. მათ მიეკუთვნება ნავთის, გაზისა და ქვანახშირის არასრული წვის პროდუქტები და სხვა მავნე ნივთიერებები. აზოტის ოქსიდი და ნახშირუანგი, რომელიც ოთახში გაზის ქურის ხანგრძლივად მოხმარებისას გამოიყოფა, აღიზიანებს ბრონქებს და ხელს უწყობს მათში ანთების განვითარებას.

ქრონიკული ბრონქიტის განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია სიგარეტის მოწევა. ამ მავნე ჩვევით ჩვენ ევროპასაც კი ვუსწრებთ. ბრონქების ანთების გამომწვევ მიზეზებს შორის მესამე ადგილზეა ინფექციები. განსაკუთრებით აგრესიულად ითვლება ვირუსები და მიკოპლაზმები. ცხვირ-ხახის ანთებები, ცხვირით სუნთქვის მექანიკური შეფერხება (მაგალითად, ადენოიდები), აგრეთვე ასაკი, სქესი (მამაკაცები უფრო ხშირად ავადმყოფობენ), სიმსუქნე, ალკოჰოლის მიღება, იმუნიტეტის დაქვეითება ასევე ხელს უწყობს ამ დაავადებას.

ზოგჯერ ქრონიკული ბრონქიტის ერთადერთ სიმპტომს, შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში პერიოდული ხველა წარმოადგენდეს. თანდათან იგი შეტევითი, „მყეფავი“ ხდება და მუდმივ ხასიათს იღებს — ავადმყოფს დღედაღამ მოსვენებას არ აძლევს. ნახველი მცირე რაოდენობით გამოიყოფა. ბრონქოსპაზმისა და ქოშინის განვითარება კი უკვე ნიშანია — ეს უკვე ბრონქული ასთმის მოახლოებას ნიშნავს.

გამწვავებისას ავადმყოფები უჩივიან სისუსტეს, სხეულის ტემპერატურის მატებას, ოფლიანობას, შრომისუნარიანობის დაქვეითებას. ნახველი მომწვანო ან ყვითელი ხდება, მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს.

აქტიურ ანტიანთებით მკურნალობას ადრეულ ეტაპზევე იწყებენ. დღეისათვის, წამყვანი პრეპარატია ერესპალი — იგივე ფენსპირიდი, რომელიც მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა მიიღოთ. ექიმი ნიშნავს აგრეთვე ანტიბიოტიკებს

(აზიტროპმიცინს, კლარიტრომიცინს). იმუნიტეტს ასტიმულირებენ რობომუნილით, ბრონქომუნალით, იმუდონით ან ექინაცეით. თუ ნახველი ცუდად ამოდის, ავადმყოფმა უნდა სვას თბილი, ტუტე მინერალური წყლები ან სხვა ტუტოვანი სასმელი.

ფიტოთერაპიას ფილტვების დაავადებათა მკურნალობაში წამყვანი ადგილი უკავია. რაღა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ავადმყოფის ალერგოლოგიური სტატუსი.

საუკეთესო ამოსახველებელი თვისებები აქვს ვირისტერფას, მრავალძარღვას, ძირტკბილას, სამფერა იას, ფიჭვის კვირტებს, არყის ხეს. ნუ გაგიტაცებთ მრავალკომპონენტიანი ნაყენები, რადგან ამ დროს გასათვალისწინებელია მცენარეთა შეთავსებადობა და შხამიანობა. მაგალითად, კრაზანა დიდი დოზით — მომწამლავია. ამასთანავე, იგი შეუთავსებელია კულმუხოსა და ევკალიპტთან.

მცენარის ნაყენი კლასიკური მეთოდით ადუღებული წყლის აბაზანაზე ან თერმოსში მზადდება და ინიშნება ნახევარი ჭიქა 3-4-ჯერ დღეში. ბავშვებს ნაყენი ასაკის შესაბამისად ენიშნებათ. ნახველის უკეთ ევაკუაციისათვის, კარგი იქნება, თუ თბილი ნაყენის მიღების შემდეგ, პოზიციურ დრენაჟს ჩაიტარებთ: დაწექით, საწოლის კიდეზე გადმოეკიდეთ წელს ზემოთ და მსუბუქად, ზედმეტი დაძაბვის გარეშე დაახველეთ. სუნთქვა ამ დროს ღრმა უნდა იყოს, მაგრამ არა ხშირი, ნახველის ამოღებას ხელს შეუწყობს მასაჟი ან ხელის დარტყმები ზურგზე.

კარგი ამოსახველებელი საშუალებაა, ცერეცო თაფლით. 2 ს/კ ცერეცოს თესლს უნდა დაახათ 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და დადგათ დაბალ ცეცხლზე 15-20 წუთით; შემდეგ შეაგრილეთ, განურეთ, დაამატეთ 4-6 ს/კ თაფლი და მიიღეთ ნახევარი ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში ჭამამდე.

ნახველის გასათხელებლად ეფექტურია ნაყენი, რომელიც ასე მზადდება:. 5-6 საშუალო ზომის ხახვი და ერთი თავი ნიორი უნდა მოიხარშოს ერთ ლიტრ რძეში. მიიღეთ შეგრილებული, ნახევარი ჩ/ჭ 5-6-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ფილტვების დაავადებების დროს, ბავშვებიც და მოზრდილებიც სიამოვნებით მიირთმევენ საკმაოდ ეფექტურ ხველის საწინააღმდეგო კოქტეილს, რომელიც მზადდება არყის ხის კვირტების, ვირისტერფას, მრავალძარღვას, ასკილის ნაყენითა და კვერცხის ცილით (მისი აუტანლობისას — ბრინჯის ნახარშით). ნარევს მიქსერით ურევენ.

სუნთქვის გასაუმჯობესებლად და ხველის საწინააღმდეგოდ გამოიყენება ევკალიპტის, ლავანდის, ლიმონის, პიტნის და ფიჭვის ეთერზეთები. ერთ-ერთი მათგანის 2-3 წვეთი უნდა დააწვეთოთ ცხვირსახოცზე და შეისუნთქოთ 5-წთის განმავლობაში. თუ ღამის შეტევითი ხველა გაწუხებთ, ნახევარ ჩ/ჭ თბილ წყალში ჩაასხით 5-8 წვეთი თქვენთვის სასიამოვნო ეთერზეთი და ეს ხსნარი პულვერიზატორით მოაფრქვიეთ საძინებელში.

იმუნიტეტს აძლიერებს ნარევი, რომელიც მზადდება 100 გ ფიჭვის კვირტებით — ანუ მისი გაზაფხულზე გამოსული მწვანე წანაზარდებით, 150-150 გ ალოესა და ასკილის წვენით, 50 გ ჟენშენის ნაყენით, 30 გ წყალში გახსნილი მუმიოთი და 300 გ თაფლით; ნარევი ერთი კვირის განმავლობაში უნდა დადგათ ბნელ ადგილას და შემდეგ მიიღოთ თითო ს/კ სადილობამდე, მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში.

ავადმყოფობის ნებისმიერ ფაზაში მნიშვნელოვანია სუნთქვითი ვარჯიში, ზურგის მასაჟი, დოზირებული ცურვა, სირბილი, თხილამურებზე სრიალი, აქტიური დასვენება. ■

მკაცრი ზნეობის ადამიანი	სახსრების დაავადება — ... ქარი	ჰარისონ ფორდის კინოგმირი ... ჯონსი	თოფის ხის ნაწილი	ხასიათი	საცალ
ყოყი			სალაბაზი	ზნეობა	
... ჩვენი არსობისა	მთრიმლავი ნივთიერება	„საიდუმლო მასალები“ ... კარტერი	ძვ. ქართული შეჯიბრება ცხენოსნობაში	გიგანტური მახრჩობელა გველი	მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ...“

წყლული „კვალს“ ტოვებს

როცა რაღაც გვტკივა და ექიმთან წასვლა არ გვინდა, თავს ვიმშვიდებთ — თავისთავად გაივლისო. გამწვავება გაივლის და ცხოვრებაც ისევ მშვენიერი ხდება. მაგრამ მთლად ასე არ არის წყლულის შემთხვევაში — გამწვავება კი ჩაცხრება, მაგრამ „კვალი“ მაინც რჩება.

წყლული დეფექტია, უფრო მარტივად რომ ვთქვათ — ნაპრალია, რომელიც კუჭის ან ნაწლავის კედელზე წარმოიქმნება და ზუსტად ისე, როგორც კანზე არსებული დიდი ჭრილობის შეხორცებისას რჩება ნაიარევი, კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავზეც წყლულის შეხორცების შემდეგ, ნაწიბური წარმოიქმნება. როცა დეფექტი ბევრია, ნაწიბურიც მრავლადაა და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ზედაპირი შეჭმუხნილი ხდება — ისეთივე საშინელი, როგორიც ადამიანის სახე დამწვრობის შემდეგ. შედეგად კუჭ-ნაწლავის საჭმლის გამტარი მილი ვიწროვდება — ვითარდება სტენოზი. ეს პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მკურნალობა.

ყველაზე ხშირად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილში შევიწროების განვითარების მიზეზი კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადების არასწორი მკურნალობა ან მკურნალობის კურსის დაუმთავრებლობაა. ძალზე საშიშია ე.წ. „მუნჯი“ წყლულები, რომლებიც უსიმპტომოდ ვითარდება და ნაწიბურდება. ტკივილები არ აღინიშნება და ადამიანი ვერაფერს ხვდება დაავადების შესახებ, ამიტომ, ბუნებრივია, არც მკურნალობს. არანაკლებ საშიშია, როცა ავადმყოფი, დაადგენს თუ არა, რომ წყლული აქვს, ექიმის ნაცვლად თავის ნაცნობ-მეგობრებთან მიდის რჩევის მისაღებად: მეზობლის რჩევით, წყლული შეიძლება „დაიხუროს“, მაგრამ ისეთივე დეფექტებით, როგორიც წეღან ვახსენეთ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ექიმიც არ ნიშნავს ადეკვატურ მკურნალობას. მაგალითად, მასტროსკოპიის გარეშე დანიშნული, მოძველებული, არაეფექტური აბებიც შეიძლება გახდეს მსგავსი შედეგების მიზეზი. ასევე აუცილებელია, დადგინდეს, არის თუ არა დაავადების განვითარება დაკავშირებული წყლულის გამომწვევი მიკროორგანიზმის — ჰელიკობაქტერიის არსებობასთან. თუ იგი დაფიქსირდა, წყლულოვანი დაავადების კლასიკურ თერაპიაში აუცილებლად რთავენ ანტიბიოტიკებს, რომლების გარეშეც, წყლული კვლავ და კვლავ გამოვლინდება.

თუ ავადმყოფი დროულად მიდის ექიმთან, იტარებს სრულ გამოკვლევას და ადეკვატურ მკურნალობას, მაშინ შედეგი ორგვარი შეიძლება იყოს: წყლული ან დაიხურება უხეში ნაწიბურის გარეშე, რბილი და ნაზი გახდება და შემდგომში, თანდათანობით ჩაენაცვლება კუჭის ჩვეულებრივი ქსოვილით, ანდა საერთოდ არ განვითარდება. რაღა თქმა უნდა, კუჭ-ნაწლავის ხვრელის შევიწროებაც აღარ დაემუქრება პაციენტს.

პათოლოგიური სტენოზისას, მკვეთრად გამოხატული სიმპტომატიკის შემთხვევაში, საჭირო ხდება გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა — მკურნალობის სხვა შესაძლებლობა აღარ რჩება. ამიტომ წყლულოვანი დაავადების პირველი საეჭვო სიმპტომების (კუჭის არეში წვა და „მშიერი“ ტკივილი, რომელიც გაივლის საჭმლის მიღების შემდეგ, გულძმარვა) შემჩნევისთანავე უნდა მიმართოთ ექიმს. დაუშვებელია ამ ჩივილების მოთმენა და თვითმკურნალობა ნაცნობ-მეგობრების მიერ გამოწერილი რეცეპტებით. ■

თვითშთაგონება ალერგიის წინააღმდეგ

თვითშთაგონება ეხმარება ადამიანს, თავი დააღწიოს ალერგიას — იტყობინებიან ბაზელის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მეცნიერები.

მათ ჩაატარეს გამოკვლევა, რომელშიც სხვადასხვა სიპტომით გამოხატული ალერგიის მქონე 79 ადამიანი მონაწილეობდა. პაციენტებს შეასწავლიდნენ სპეციალურ მეთოდიკას, რომელიც ეყრდნობოდა ყურადღების გადატანასა და ისეთ მდგომარეობაზე კონცენტრირებას, სადაც არ შეიძლება იყოს ალერგენები. ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს ჰქონდა ალერგია ოთახის მტვერზე ან მარცვლეულზე და მათ სთავაზობდნენ, წარმოედგინათ სათხილამურო დაღმართი — ნათელი ცა, თოვლი და ყინვა. შედეგად, ალერგიის სიმპტომები გამოსაცდელთა უმრავლესობას თითქმის 30%-ით შეუმცირდა. მეცნიერთა აზრით, ეს გამოკვლევა ადასტურებს, რომ ალერგიის განვითარებაში ფსიქიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მოტეხილობას ნანოშილაკების შეშვეობით უმკურნალებენ

კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს ნახშირწყლოვანი ნანომილაკები, რომლებიც აჩქარებს მოტეხილობის დროს ძვლების შეხორცების პროცესს.

ძვლოვანი ქსოვილის შემადგენლობაში შედის კოლაგენი და ჰიდროქსიაპატიტის კრისტალები. ნანომილაკები კოლაგენის იმიტაციას წარმოადგენს, ამიტომ ძვალში მათი ჩანერგვის დროს, ჰიდროქსიაპატიტი უფრო სწრაფად იწყებს ჩალაგებას. ჯერჯერობით, მხოლოდ წინასწარი მონაცემებია მიღებული, მაგრამ მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ მალე, ნანონივთიერების უბრალო ინიექცია დაგვეხმარება მოტეხილობებისა და სხვა დაზიანებების შეხორცების დაჩქარებაში ■

ოპტიმისტური ფაქტები

- შიში აცრის წინ ზრდის მის ეფექტურობას.
- ანასში აღმოჩენილია ნივთიერებები, რომლებიც ანელებს კიბოს განვითარებას.
- სახეზე გამონაყარი ბიჭებში ჯანმრთელი გულის ნიშანია.
- კარგი მეგობრების ყოლა ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას.
- მზეზე ყოფნა აქვეითებს პროსტატის კიბოს განვითარების რისკს.

| გზა | მუმიფიცირების ღმერთი ძვ. ეგვიპტეში | | |

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლვალის უბის წიგნაკიდან:

1. სისირი და მუხუდო სინონიმებია.
2. ბაობაბი 3 ათასი წელი ცოცხლობს.
3. ქალის კორსეტი მამაკაცმა გამოიგონა.
4. „ჰიდრავლიკა“ ბერძნული სიტყვაა და „მოძრავ სითხეს“ ნიშნავს.
5. ეკატერინბურგში კომპიუტერის კლავიატურას დაუდგეს ძეგლი.

6. გლადიატორების ბრძოლებში ქალებიც მონაწილეობდნენ.
7. რომის იმპერატორი ვესპასიანე ახალგაზრდობაში ჯორებს მწყემსავდა.
8. ჯორჯ ვაშინგტონი ხისგან დამზადებული კბილების პროთეზს ატარებდა.
9. ერეკლე თელავში იმავე სახლში გარდაიცვალა, რომელშიც დაიბადა.
10. ფინელი ბავშვები სკოლის შენობაში ფეხშიშველა, წინდების ამარა დადიან.
11. „მარე ნოსტრუმ“ — „ჩვენი ზღვა“ — ასე ეძახდნენ რომაელები ხმელთაშუა ზღვას.
12. ძველ საბერძნეთში გლოვის ნიშნად ოხრახუშისგან დაწნულ გვირგვინს ატარებდნენ.
13. „ბოინგ 747“-ის სალონში ჰერმეტიზებული ჰაერი ფრენისას დაახლოებით ერთ ტონას იწონის.
14. „ერთეულების სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონების სიკვდილი — სტატისტიკა“, — ამბობდა სტალინი.
15. რომში მხოლოდ თავისუფალი მამაკაცები აძლევდნენ ხმას. ქალები არჩევნებში არ მონაწილეობდნენ.
16. პირველ მსოფლიო ომში ეკლიანი მავთული ძალზე ეფექტური დამცავი საშუალება იყო. მას კავალერიის წინააღმდეგ იყენებდნენ.
17. „მომეცით პიანინო და გადავაბრუნებ სამყაროს“, — ამბობდა მუსიკოსი და პიანისტი ჯერი ლი ლუისი. მან ორ კვირაში ისწავლა პიანინოზე დაკვრა.
18. თეთრგვარდიელი გენერლის, ანტონ დენიკინის ცხედარი მოსკოვში წელს, 1-ელ ოქტომბერს გადაასვენეს და დონის მონასტერში დაკრძალეს.
19. „რქებით მიწოლა ყოველთვის არ ამართლებს; ზოგჯერ, უკანა ნახვრეტიდან უნდა შეძვრე, მით უმეტეს, რომ საამისოდ, იგი ყოველთვის ღიაა“,

„ახალი თაობის ნინო ანანიაშვილი“, — ასეთ შეფასებას აძლევს რუსულენოვანი ამერიკული პრესა ქართველ ბალერინას ანი გადელიას. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მოცეკვავე ამჟამად „ვერონა თეატრისა“ და „ბრაიტონ ბალეტის“ სცენაზე ცეკვავს. 22 წლის ქართველმა გოგონამ „მეტროპოლიტენ ოპერის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსშიც სცადა ბედი. ანი გადელია მეუღლესთან — ლევან მეტრეველთან ერთად ნიუ-იორკში ცხოვრობს. სანამ ანის დავუკავშირდით ამერიკაში, რამდენიმე კითხვით თბილისში მცხოვრებ მის დედას, ქალბატონ მარინა თხინვალელს მივმართეთ.

ახალი თაობის ნინო ანანიაშვილი „ფირფასვანი“

რესტორანი ნიუ-იორკში

ემა ტუხიაშვილი

— პატარაობისას, ანის სუსტი ბრონქები ჰქონდა, ამიტომ მირჩიეს, რომ 4 წლის გოგონა ფიგურულ სრიალზე შემეყვანა და და ასეც მოვიქეცი. ცოტა ხანში გაირკვა, რომ ჩემს შვილს საკმაოდ კარგი მონაცემები აღმოაჩნდა. ანის მწვრთნელი გახლდათ ქალბატონი გიული თავაძე, რომელიც თავის დროზე, ნინო ანანიაშვილს ასწავლიდა ფიგურულ სრიალს. სწორედ მან მირჩია, რომ ანი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიმეყვანა. მოგეხსენებათ, იქ მოსწავლეების მიღება მხოლოდ 9 წლის ასაკიდან ხდება. ჩვენც რამდენიმე წელი ყინულზე ვარჯიში განვაგრძეთ და როდესაც ანის ასაკმა მოგვცა შესაძლებლობა, მისი მონაცემები ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოსახვედრად წარვადგინეთ. ანიმ კონკურსი წარმატებით გაიარა და მთელი დატვირთვით შეუდგა ქორეოგრაფიის შესწავლას. დებიუტი სცენაზე 10 წლის ასაკში ჰქონდა, ეს იყო სპექტაკლი „დონ კიხოტი“, სადაც ანი თავის თანატოლ გოგონებთან ერთად „ჟმურკების“ პარტიას ცეკვავდა. სხვათა შორის, თვით ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ხშირად იდგმებოდა სპექტაკლები მოსწავლეების მონაწილეობით და ანი ყველა სპექტაკლში ცეკვავდა ხან სოლო პარტიას, ხან კი — მასობრივ სცენებში მონაწილეობდა. კლასიკური ბალეტის გარდა, ანი ქართულ ხალხურ ცეკვებსაც ეუფლებოდა, განსაკუთრებით კარგად „აჭარულის“ შესრულება გამოსდიოდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობი გახდა.

— ვიდრე ანის მიღწევებზე განვაგრძობთ საუბარს, მითხარით, გახსოვთ, როგორ მოირგო მან პირველად პუანტები?

— ამას რა დამავიწყებს, საშინელება იყო! იცით, რა მასალისგან მზადდება პუანტები?.. ცხვირი მთლიანად თაბაშირისგან არის ჩამოსხმული. ანის კი პატარა და თხელი ფეხი ჰქონდა, ამიტომ პუანტებში ტერფი თავისუფლად მოძრაობდა, რაც უხერხულობას უქმნიდა. ამის გამო, ბავშვს ხშირად ფეხზე ქაღალდებს ვახვევდი (რა თქმა უნდა, პედაგოგებისგან მალულად), რომ პუანტებში ფეხი შედარებით დაცული ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი ვარჯიშისგან ფეხები სულ გადატყავებული და დასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ ფანატიზმამდე უყვარდა ის საქმე, რომელსაც აკეთებდა და მაშინაც კი ცეკვავდა, როდესაც დადიოდა და მაშინაც, როდესაც სხვა საგნებში მეცადინეობდა...

— ცოტა ხნის წინ, რუსული

პრესა წერდა — ანი გადელია ახალი თაობის ნინო ანანიაშვილიაო. თავად ანის თუ ჰქონდა შესაძლებლობა, შეხვედროდა პრიმა-ბალერინას?

— ნინო ანანიაშვილს ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ქორეოგრაფიულ სასწავლებელთან, ხშირად ჩამოდიოდა და ბავშვებთან ერთად ცეკვავდა სპექტაკლებში — მაგალითად, „მაკნატუნაში“...

— ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე რა პარტიების შესრულება მოუხდა ანის?

— თავდაპირველად გეტყვით, რომ იმ წელს სახელმწიფო თეატრის დასში ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან მხოლოდ 5 ბავშვი ჩაირიცხა, ორი მათგანი უკვე ჩვენი თეატრის წამყვანი სოლისტია. ანიმ კი ამ თეატრში მხოლოდ 3 წელი გაატარა, ამიტომ არ შემიძლია გითხრათ, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინა ოპერისა და ბალეტის თეატრში. თუმცა მოასწრო, ეთამაშა მთავარი პარტიები „ჟიზელში“, „მძინარე მზეთუნახავში“, „გედების ტბაში“... აქვე მინდა გითხრათ, რომ თეატრში მუშაობის პარალელურად, ანი სწავლობდა უცხო ენების ინსტიტუტში, სადაც ფრანგულ ენასა და ლიტერატურას ეუფლებოდა.

— ქალბატონო მარინა, როგორ მოხვდა ქართველი ბალერინა ამერიკაში?

— ანიმ მიიღო მიწვევა ჰოლივუდიდან. ყოველ წელს, აგვისტოში, ჰოლივუდში იმართება მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც საშემსრულებლო ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ. იქ შეხვდებით, როგორც კლასიკური მუსიკის, ასევე როკმუსიკის შემსრულებლებს, მოცეკვავეებს და ა.შ. სხვათა შორის, იმ წელს ანისთან ერთად ფესტივალზე გაემგზავრნენ პატარა მომღერლები, ძმები გულაშვილები *(მათი წარმატებების შესახებ „გზა“ ვრცლად მოგითხრობდათ. — რედ.).* ჰოლივუდში ანი შეხვდა ამერიკის წამყვან — „ვერონა თეატრის“ ქორეოგრაფებს — ბორის და ალისა ლევინებს, რომლებმაც მას შტატებში დარჩენა შესთავაზეს.

ახლა კი, თავად ანის ინტერვიუ, რომელსაც ტელეფონით ვესაუბრე:

— ამჟამად ვცეკვავ ნიუ-იორკის საბალეტო დასში, რომელსაც ეწოდება „ბრაიტონ ბალეტი“. გარდა ამისა, ვმუშაობ აქვე არსებულ საბალეტო სტუდიაში, სადაც ამ ხელოვნებას პატარებს ვასწავლი. თეატრი ამჟამად „მაკნატუნაზე“ მუშაობს, სადაც მე თოჯინის პარტიას ვცეკვავ. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენები „მილენიუმის თეატრში“ შედგება.

— რამდენად რთული იყო შენთვის, როგორც ბალეტის მოცეკვავისთვის, ამერიკაში შენი ადგილი დაგემკვიდრებინა?

ჩემს პაგარა მოსწავლეებს შორის 5 ქართველი ბავშვია

— რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იმას, რასაც საქართველოში უკვე შევეგუეთ და ჟარგონულ ენაზე „ჩაწყობას“ ვეძახით, ამერიკაშიც შევეჯახე. საქმე ის გახლდათ, რომ ცოტა ხნის წინ მონაწილეობა მივიღე „მეტროპოლიტენ ოპერის“ საბალეტო კონკურსში, სადაც 500 კონკურსანტი გამოდიოდა. მოცეკვავეები ჩამოსული იყვნენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. წინასწარ ვიცოდით, რომ 500 მონაწილიდან ჟიური მხოლოდ 5-ს შეარჩევდა. კონკურსი რამდენიმე ტურად მიმდინარეობდა და მოხდა ისე, რომ მე მესამე ტურამდე შევძელი გასვლა — ე.ი. იმ 30 მოცეკვავეს შორის აღმოვჩნდი, ვისაც ხუთეულში მოსახვედრად უნდა ებრძოლა. მეორე ტურის დას-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

— ამბობენ ამერიკელები.

20. საშუალო ზომის ღრუბელი 25 ტონას იწონის. იგი დაახლოებით იმდენ წყალს შეიცავს, რამდენიც 7 სახანძრო მანქანის რეზერვუარში ეტევა.

21. კოსტა-რიკაში ჭიანჭველალეგიონერების შემოსევას სიხარულით ეგებებიან ადამიანები. ისინი მორიელების, ათასგვარი ხოჭოსა და სხვა მავნე მწერებისგან ასუფთავებენ სახლებსა და ეზოებს.

22. პირველ მსოფლიო ომში ფრანგული ზარბაზნები საკმაოდ ეფექტური იარაღი იყო, მაგრამ უკუცემის შემდეგ, ზარბაზნის ბორბლები უკან მიგორავდა და ამის შემდეგ, ხელახალი დამიზნება ხდებოდა საჭირო. გერმანულ ზარბაზნებზე გასროლის შემდეგ, უკუცემისას მხოლოდ ლულა მოძრაობდა.

23. მოსკოვში, ალექსანდრეს ბაღში მდებარე, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ყარაულში დასაყენებლად, საუკეთესო აღნაგობისა და გარეგნობის ჯარისკაცებს არჩევენ. წყვილში, რომელიც პოსტზე დგას, მორიგეები ძმებივით ჰგვანან ერთმანეთს. როდესაც ერთ-ერთი მათგანი ავად ხდება, მისი მეწყვილე პოსტზე არ გამოდის. ასე გრძელდება მათი სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის ამოწურვამდე.

24. დიდი ბრიტანეთის მეფის, გეორგ მესამის ერთ-ერთ ქალიშვილს ვინმე მეჯინიბე ფიცროისთან ჰქონდა რომანი და მთელი თავისი ქონებაც მას უანდერძა. მეორე ქალიშვილმა, სოფიამ კი, მამისაგან მალულად, ერთ-ერთი გენერლისგან გააჩინა შვილი. მეფე დაარწმუნეს, რომ სოფია პროვინციაში უნდა გამგზავრებულიყო, ემკურნალა, ბევრი ეცურავა, ნანადირევი ხორცი ეჭამა და ერთ წელიწადში უკან დაბრუნებულიყო. მეფეს არაფერი გაუგია.

25. რომის იმპერატორმა ნერონმა, რომელსაც მთელი ცხოვრება დიდ მსახიობად მიაჩნდა თავი, საბერძნეთში მოგზაურობისას რამდენიმე წარმოდგენა გამართა. ეს სპექტაკლები, რომლებშიც მთავარ როლს თავად ასრულებდა, დილიდან საღამომდე მიმდინარეობდა. შიშით ვერავინ ბედავდა დარბაზიდან გასვლას. ზოგიერთმა ბერძენმა მაინც მოახერხა დარბაზიდან გაპარვა. ისინი თითქოს სცენაზე ნანახისა და განცდილისაგან ექსტაზში ვარდებოდნენ, გული მისდიოდათ და გულწასულები გაჰყავდათ დარბაზიდან. ასეთი ხერხით აღწევდნენ ბერძნები ნერონის გაუთავებელ სპექტაკლებს თავს.



ნიუ-იორკში არსებობს წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, სადაც ქართველი მოძღვარი, მამა ალექსანდრე მსახურობს

გაქვს არჩეული, ყოველი წარმატებული ნაბიჯი ალბათ დიდი შრომის ფასად გიჯდება...

— დღეში 5-6 საათი მაინც ვცეკვავ, მაგრამ ეს მინიმუმია, რაც ბალერინამ თავის საქმეს უნდა დაუთმოს. მოგეხსენებათ, რომ ამერიკაში თავის რჩენა არცთუ ისე იოლია, ამიტომ ბავშვებს ქორეოგრაფიაში კერძო გაკვეთილებსაც ვუტარებ.

— ანი, ჰოლივუდში გამართული კონკურსის შემდეგ, პირველი „ვერონა ბალეტი“ იყო, ვინც თანამშრომლობა შემოგთავაზა. ახლა მასთან რა ურთიერთობა გაქვს?

— „ვერონა ბალეტის“ სტუდია ნიუ-ჯერსიში მდებარეობს, მასთანაც ვთანამშრომლობ და უფროს მოცეკვავედ ვითვლები. სხვათა შორის, ამ დასში მოსკოვიდან ჩამოსული ბევრი რუსი მოცეკვავეა.

— ქართველ ბალერინებს ან ბალერონებს თუ შეხვდი ამერიკაში?

— სამწუხაროდ, ქართველი ბალეტის მოცეკვავე ამერიკაში ჯერჯერობით, არ შემხვედრია. მაგრამ ჩემს პატარა მოსწავლეებს შორის 5 ქართველი ბავშვია. ალბათ მიხვდით, რომ ისინი ქართველი ემიგრანტების შვილები არიან და რამდენიმე ქართული სიტყვაც იციან, მაგალითად, დამშვიდობებისას, ამერიკული აქცენტით მეუბნებიან ხოლმე: ნახვამდისო!

— ქართული ცეკვები თუ შეასწავლე ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულე ბავშვებს?

— არ ვიცი, იცით თუ არა, რომ ნიუ-იორკში არსებობს წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, სადაც ქართველი მოძღვარი, მამა ალექსანდრე მსახურობს. სწორედ მისმა მეუღლემ მიამბო, ეკლესიასთან არსებული შემოქმედებითი წრეების შესახებ, და მთხოვა, რომ იქ ბალეტისა და ქართული ცეკვების გაკვეთილები ჩამეტარებინა.

— როგორც ვიცი, შენი მეუღლეც მოცეკვავეა. ის რას საქმიანობს ამერიკაში?

— ლევანი შოუბალეტი „ვერნისაჟის“ ყოფილი მოცეკვავეა, აქ ბავშვებს თანამედროვე ცეკვებს ასწავლის ნიუ-ჯერსის ერთ-ერთ ქორეოგრაფიულ სტუდიაში. სხვათა შორის, თანამედროვე ცეკვები ლევანმა მეც შემასწავლა და როდესაც ძალიან გადაღლილია, სტუდიაში მეც ვეხმარები ხოლმე.

დღეში 5-6 საათი მაინც ვცეკვავ

— 22 ოქტომბერს ქორწილი გქონდათ. გილოცავთ გაბედნიერებას და გთხოვთ, გვითხრათ, ქართული ელფერი თუ დაჰკრავდა ამ ზეიმს?

— მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკში საკმაოდ ბევრი კარგი რესტორანია, ქორწილისთვის შევარჩიეთ ქართული რესტორანი „ფიროსმანი“. ასევე გეტყვით, რომ ყოველთვის მინდოდა, ჩემს ქორწილში თეთრ კაბაში გამოწყობილს, „ქართული“ ცეკვა შემესრულებინა „დაისიდან“ და ეს ოცნება ამერიკაში ამიხდა... ■



მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკში საკმაოდ ბევრი კარგი რესტორანია, ქორწილისთვის შევარჩიეთ ქართული რესტორანი „ფიროსმანი“

„იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავის“ ავტორმა 1992 წელს რაინდის წოდება მიიღო და აქედან მოყოლებული — 1997 წლამდე, მას მხოლოდ ტიტულით — „სერ“ მიმართავდნენ. 1997 წელს დედოფალმა ახალი ტიტული უბოძა. ენდრიუ — ლორდი ლოიდ-უებერი, ბარონი სიდმონტონელი გახდა. კომპოზიტორის ღვაწლი საზოგადოებამაც სათანადოდ დააფასა. მის არსენალში უამრავი უმაღლესი თეატრალური, მუსიკალური და კინემატოგრაფიული ჯილდოა: 3 „გრემი“, 7 „ტონი“, „ოსკარი“, „ოქროს გლობუსი“ და ლოურენს ოლივიეს 5 ჯილდო.

მუსიკის ლორდი

ენდრიუ ლოიდ-უებერი ბავშვობიდან, ჩვილობიდან, დედის მუცლიდანვე პროფესიონალი მუსიკოსია. მისი მამა, უილიამი, ლონდონის მუსიკალური კოლეჯის დირექტორი და სამეფო მუსიკალური კოლეჯის მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პროფესორი იყო, ურთულესი მუსიკალური ინსტრუმენტის — ორგანის სპეციალობით. დედა ჯინი კი — ფორტეპიანოსა და ვიოლინოს პედაგოგი. როდესაც 1948 წლის 22 მარტს ქვეყნიერებას პატარა ენდრიუ მოევლინა, კლასიკური მუსიკის მრავალი შედევრი დედის მუცელში უკვე მოსმენილი ჰქონდა და ახალშობილის პირველი ტირილიც კი თითქოსდა განსაკუთრებულად მელოდიური იყო.

სამი წლის ასაკში უკვე ვიოლინოს აწრიპინებდა. ექვსი წლის, როდესაც სკამზე მჯდომმა კლავიატურამდე მიწვდომა მოახერხა, როიალსაც მიუჯდა, მაგრამ მისთვის საკმარისი ეს ინსტრუმენტიც არ აღმოჩნდა და კლავიშებს მალე ვალტორნის სარქვლებიც მიემატა. ვიოლინოთი ხელში, ან როიალთან მჯდარი ექვსი წლის ბავშვი ძნელი წარმოსადგენი როდია, მაგრამ ვალტორნით ხელში — უზარმაზარი სპილენძის კრენდელებით — მართლაც რომ უჩვეულო სანახავია!

დედოფალმა მას ლორდის ტიტული უბოძა, მაგრამ სინამდვილეში ის მეფეა, მიუზიკლების მეფე!

მუსიკალურმა ვუნდერკინდმა საკუთარი მუსიკალური პიესების შექმნა დაიწყო. ზოგიერთი მათგანის ნოტები ჟურნალმა — „მუსიკის მასწავლებელი“ გამოაქვეყნა და ეს ნაწარმოები ხალხის კუთვნილება შეიქნა.

მომავალი ლორდის ყრმობის წლები პასუხს მრავალ კითხვაზე იძლევა — რატომ ქმნის უებერი მიუზიკლებს და არა აკადემიურ კანტატებს ან საესტრადო სიმღერებს? (სხვათა შორის, მან ამ ორ დიამეტრულად ურთიერთსაწინააღმდეგო ფრონტზეც საკმაო წარმატებას მიაღწია). მაესტრო მოცარტის, შოსტაკოვიჩის, მენდელსონის (ამ უკანასკნელის „საქორწინო მარში“ მის ცხოვრებაში არაერთხელ გაჟღერდა) ნაწარმოებებს, როკ-ენ-როლის შავი და თეთრი მეფეების ლიტლ რიჩარდისა და ელვის პრესლის შემოქმედებას ბავშვობაში ხშირად უსმენდა, მაგრამ მიუზიკლი განსაკუთრებით მოსწონდა. ენდრიუმ მისი პირველი მიუზიკლები ადრეული ბავშვობის პერიოდში შექმნა და საოჯახო თოჯინების თეატრის „მსახიობების“ მონაწილეობით დადგა.

8 წლის ენდრიუ ზოგადი განათლების მისაღებად ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ, ვესტმინსტერის სკოლაში შეიყვანეს, სადაც სხვადასხვა დროს თეატრის ლეგენდები პიტერ უსტინოვი, პიტერ ბრუკი და XVII ს-ის ინგლისური მუსიკის კლასიკოსი — თავად ჰენრი პერსელი სწავლობდნენ. უებერი არქიტექტურის ისტორიამ გაიტაცა და შუა საუკუნეების არქიტექტურის შესწავლა გადაწყვიტა, მაგრამ მისი გეგმები მშობლებისათვის გამართულმა ერთმა სასკოლო კონცერტმა ძირფესვიანად შეცვალა. კონცერტზე ენდრიუ მაყურებლის წინაშე საკუთარი ნაწარმოებებით წარდგა და მსმენელი აღფრთოვანებული დატოვა. მომავალი პროფესიის არჩევისთვის კი პუბლიკის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია საუკეთესო სტიმული გახლავთ. ამის მიუხედავად, ენდრიუ უებერს ადრეული საკომპოზიციო ექსპერიმენტების გახსენება რატომღაც არ უყვარს. ბიოგრაფებს ფრიად გაუძნელდათ იმ ფაქტის დადგენა, რომ უებერის პირველი მიუზიკლის „კონკია ცერცვის ღეროზე ან სადმე სხვაგან“ თანაავტორი ვინმე რობინ სენტ-კლერ ბაროუ ყოფილა.

უფალო, მიუზიკლი დაიფარე!

უებერი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ექსკურსს მუდამ ტიმ რაისთან თანამშრომლობით იწყებს. „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავის“ ტექსტების ავტორი ენდრიუმ 1965 წელს გაიცნო. ახალგაზრდა კომპოზიტორმა ვინმე ტიმოთი მაილზ ბინდონ რაისისგან წერილი მიიღო, სადაც ავტორი ზრდილობიანად, მაგრამ დაჟინებით სთავაზობდა თანამშრომლობას. უებერი იმ ხანებში ოქსფორდის წმ. მაგდალენას კოლეჯში სწავლის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ ახალგაზრდულმა ოცნებამ და ამბიციებმა ოქსფორდი და წმ. მაგდალენა უკან მოიტოვა. მომავალი დიადი ტანდემის წევრები შეხვდნენ, ყავა მიირთვეს და სრულიად განსხვავებული თვისებების გამო ერთმანეთი მოიწონეს: უებერი — „ბოტანია“, მაგრამ გენიოსია, რაისი — დენდია, მაგრამ ისიც გენიალურია. რამდენიმე დღეში მათ მიუზიკლზე „ჩვენნაირები“ მუშაობა დაიწყეს. სამი თვის განმავლობაში, ენდრიუ კოლეჯსა და ახალ ნაწარმოებს შორის იხლიჩებოდა, ბოლოს და ბოლოს, შემოქმედებამ განათლების წყურვილს სძლია. მოგვიანებით, უებერმა გულწრფელად აღიარა, რომ კოლეჯი ტიმის გამო მიატოვა. სამუშაო რომ არ შეფერხებულიყო, პარტნიორი საცხოვრებლად მშობლების სახლში მიიწვია, სადაც უკვე ცხოვრობდა ენდრიუს დედის მოსწავლე, მოსკოვის ჩაიკოვსკის კონკურსის პირვე-



ლი პრემიის ლაურეატი ჯონ ლილი. მუსიკალურ კომუნაში ახალი ბინადრის გამოჩენამ სიტუაცია საკმაოდ დაძაბა. ენდრიუმ გამოსავალი გამონახა: ცალკე ბინა იყიდა და ტიმთან ერთად იქ გადასახლდა. ყველა დროის საუკეთესო მიუზიკლების ავტორის ბიოგრაფიაში ამის შემდგომაც საკმაოდ ხშირად გვხვდება ორაზროვანი ეპიზოდები, რომელთა გამო ზოგიერთები ენდრიუ უებერის სექსუალურ ორიენტაციას დღესაც ეჭვის თვალით უყურებენ, მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორმა სამი ცოლი გამოიცვალა და ორ მათგანთან ხუთი შვილი შეეძინა.

მიუზიკლი „ჩვენნაირები“ ფუჭი გასროლა აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა ფარხმალი არ დაყარეს და ახალი კანტატის — „იოსები და მისი საოცარი ფერადი სიზმრების მოსასხამი“ შექმნას შეუდგნენ. ის ამბავი, რომ კანტატა სასკოლო კონცერტისათვის დაიწერა, ავტორებს არაფრად მიაჩნდათ. სამაგიეროდ, „იოსების“ წყალობით ტიმმა სანუკვარ ოცნებას ხორცი შეასხა — სცენაზე გამოვიდა (ფარაონის პარტია შეასრულა), საგაზეთო სტატიამ კი შოუბიზნესის მესვეურთა ყურადღება მიიქცია და წლების შემდეგ „იოსები“ ლონდონის სცენებზე დაიდგა, ვიდეოვერსიაც გადაიღეს და მიუზიკლის ჩანაწერი ფირფიტის სახით გამოიცა.

ამასობაში, ტანდემის გონებაში ახალი სუპერიდეა ისახებოდა, — იდეა „სუპერვარსკვლავისა“. რაისი, ბობ დილანის ერთ-ერთ სიმღერაში დასმული საკითხის გადაჭრაზე თავს იმტვრევდა. ეს საკითხი ქრისტესა და იუდას ურთიერთობას ეხებოდა. უებერმა კი საოცრად ელვარე მელოდია შექმნა და საბოლოოდ, გამაოგნებელი სიმღერა „სუპერვარსკვლავი“ იშვა, რომელიც მიუზიკლის საწყისად იქცა.

სინგლი Jesus Christ განსაკუთრებული პოპულარობით გეიკლუბებში სარგებლობდა, რამაც ყვითელ პრესას კიდევ ერთი მიზეზი მისცა საიმისოდ, რომ უებერისა და რაისის სექსუალური ორიენტაციის შესახებ დასკვნები გამოეტანათ. სინამდვილეში კი „ცისფერების“ მიმართ ინტერესი ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ მათ ყველაფერი კაშკაშა უყვართ.

მსმენელში მიუზიკლმა Jesus Christ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, მაგრამ საზოგადოება, განსაკუთრებით რელიგიური საზოგადოება შეაზანზარა. ათეისტურ ქვეყნებში მიუზიკლის ჩანაწერმა ჰიპებით გატაცებულ ახალგაზრდებში ქრისტიანობისადმი ინტერესი აღძრა. დასავლელი პურიტანი ქრისტიანები კი როკოპერის წინააღმდეგ ამხედრდნენ. სკანდალმა ენდრიუსა და ტიმის პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა. მსხვილმა ხმის ჩამწერმა კომპანიამ MCA მათთან სასწრაფოდ კონტრაქტი დადო. შემოქმედებითი დუეტი ამერიკამაც გაიცნო. ბროდვეი ღმერთის შესახებ შექმნილი მიუზიკლის დადგმის განხორციელებას შეუდგა. 1972 წელს კი „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავის“ ეკრანიზაცია გადაიღეს. ენდრიუ უებერი დადგმით და ფილმით უკმაყოფილო დარჩა. მას არასოდეს მოსწონდა ის, რაც მის მუსიკას და ტიმ რაისის ტექსტს ზუსტად, სუფთა სახით არ გადმოსცემდა.

ამ პერიოდში ენდრიუ უებერის ცხოვრებაში კარდინალური ცვლილება მოხდა. კომპოზიტორი 16 წლის სარა ტიუდორ-ჰიუჯილზე დაქორწინდა. მასზე ჯვარი რომ დაეწერა, ენდრიუს საკმაო ხანს ლოდინი დასჭირდა, ვიდრე საპატარძლო სკოლას დაამთავრებდა. საქორწინო ცერემონიაზე ნეფის მუსიკალური ნაწარმოებები აჟღერდა, ამასობაში როკოპერის წყალობით ახალგაზრდა კომპოზიტორის საბანკო ანგარიში საგრძნობლად გაიზარდა. ენდრიუს ბუნების წიაღში ცხოვრება მუდამ ხიბლავდა. მან ფერმა შეიძინა და მემამულე გახდა. საქმეები კარგად მიდიოდა. უებერ-რაისის ტანდემმა კომერციული ფირმა გახსნა და მას QWERTYUIOP უწოდა (ეს უცნაური დასახელება საბეჭდი მანქანის ან კომპიუტერის კლავიატურის ზედა რიგის ასოების თანმიმდევრობაა).

რაც შეეხება შემოქმედებას, იდეალების სიმწირე არც ამ სფეროში იგრძნობოდა. ენდრიუ ინგლისელი კლასიკოსის პელემ გრეჰემ ვუდჰაუზის მოთხრობების მიხედვით ჯივსის შესახებ მიუზიკლის შექმნის იდეით აინთო. ტიმი კი ევა პერონის პიროვნებამ გაიტაცა, რომელიც უბრალო, გლეხის გოგოდან არგენტინის პირველ ლედად იქცა; მაგრამ ენდრიუს მორიგი „გააზნაურებული მდაბიოს“ დრამაზე მუშაობის პერსპექტივა სრულიად არ ხიბლავდა. სანამ შემოქმედებითი წყვილი კონსენსუსს გამონახავდა, ფულის შოვნა იყო საჭირო და მათ იაფფასიან თეატრალურ სპექტაკლ „ხულაბუალუში“ მიიღეს მონაწილეობა, რომლის მოქმედება ძირითადად, მამაკაცთა საპირფარეშოში ვითარდება. მეგობრებმა თავისუფალი დროის უდიდესი ნაწილი რესპექტაბელურ ჰობის დაუთმეს. ტიმი კრიკეტმა გაიტაცა. ენდრიუმ ფერწერული ტილოების შეგროვება დაიწყო და გურმანი გახდა. მან ეს ხარჯიანი გატაცებაც კი შემოსავლის წყაროდ აქცია: — რესტორნებში სტუმრობის ანგარიშების Daily Telegraph-ში აქვეყნებდა და ჰონორარს იღებდა.

ნაშოვნი ფულის დახარჯვის პრობლემა იოლად გადასაჭრელი აღმოჩნდა. უებერმა ჰემპშირში სიდმონტონის მამული შეიძინა, რომელიც თავდაპირველად, 29 აკრს შეადგენა, დღეისათვის კი კომპოზიტორის საკუთრებაში 5000 აკრი მიწა და სარკისებრი კობრით მდიდარი ტბაა. ენდრიუმ სახლი დედაქალაქშიც შეიძინა და მეუღლის უმთავრეს მოვალეობად მისთვის ოჯახური მყუდროების შექმნა იქცა. სარა ჰიუჯილმა ეს მოვალეობა მალე მსახურებს გადააბარა, რადგან გაირკვა, რომ ორსულად იყო. სარას შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის გამო შვილის გაჩენა სასტიკად აკრძალული ჰქონდა, მაგრამ მაღალანაზღაურებადმა მედიკოსებმა დასახულ ამოცანას თავი გაართვეს და უებერს ჯერ ქალიშვილი იმოჯინი შეეძინა, შემდეგ კი მემკვიდრე — ნიკოლასიც გაუჩნდა. მშობიარობებს შორის

მიუზიკლის — „კატები“ შექმნა უებერს ინგლისელი ბავშვებისათვის კარგად ცნობილმა ბებერმა ოპოსუმმა შთააგონა

სარა მეუღლის ახალ კანტორაში Really Useful Company („ჭეშმარიტად სასარგებლო კომპანია“) მუშაობდა. ეს კომპანია ენდრიუ უებერის მუსიკალურ საქმეებს აგვარებდა და შემდგომ ბრიტანული შოუბიზნესის მონსტრად იქცა.

ენდრიუ „ჯივსზე“ მუშაობას დამოუკიდებლად აგრძელებდა, ტიმი კი „ევიტას“ ჯიუტად თავს არ ანებებდა. ერთად მხოლოდ რამდენიმე ფილმის მუსიკალურ გაფორმებაზე იმუშავეს. ენდრიუმ მუსიკალური ოლიმპისაკენ მიმავალი ძმისთვის, ვიოლონჩელისტ

ჯულიან უებერისთვის „ვარიაციები“ შექმნა. ბოლოს და ბოლოს, „ჯივსი“ უესტ-ენდის სცენაზე დაიდგა, მაგრამ წარმოდგენა სამარცხვინოდ ჩავარდა. წარუმატებლობის მიზეზად, კრიტიკა დამდგმელ რეჟისორს ასახელებდა, მაგრამ ენდრიუმ ძველებური რიხი დაკარგა და ტიმს „ევიტაზე“ მუშაობას დათანხმდა. 1978 წელს ტიმმა ჯიუტ მეგობარზე გამარჯვება იზეიმა: — „ევიტამ“ მაყურებელი და კრიტიკა აღაფრთოვანა.

სამწუხაროდ, მალე მათი მეგობრობა საგრძნობლად განელდა. ამის მიზეზად ცოლიანი ტიმ რაისისა და „ევიტას“ სოლისტის ელენ პეიჯის ვნებიანი რომანი იქცა. ოჯახურ ფასეულობათა საცარი ადეპტი, ენდრიუ ლოიდ-უებერი მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, თავადაც თავქარიანი ტიმის მაგალითს მიჰბაძავდა და ოჯახს დაანგრევდა. მას შემდეგ ორი სუპერვარსკვლავის თანამშრომლობა მხოლოდ „ევიტას“ კინოვერსიისთვის შექმნილი სიმღერით და რაისის საყვარელი სპორტის სახეობის შესახებ შექმნილი მცირე თეატრალური კომედიით „კრივეტით“ შემოიფარგლა.

კატების ოპერა

უებერი „ბონდიანის“ სიმღერების ტექსტების ავტორს დონ ბლეიქსს შეუამხანაგდა და მასთან ერთად ციკლი „მოცხარი კვირადღეს“ შექმნა, რომელიც შემდეგ მიუზიკლის „სიმღერა და ცეკვა“ პირველ ნაწილად იქცა, მეორე ნაწილად კომპოზიტორმა „ვარიაციები“ გამოიყენა. ახალ მიუზიკლს დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

გამობრძმედილი პროდიუსერის, კამერონ მაკინტოშის ხელმძღვანელობით, ახალმა დუეტმა ლეგენდარულ „კატებზე“ მუშაობა დაიწყო. მოხეტიალე კატების შესახებ მიუზიკლის შექმნა უებერს ინგლისური საბავშვო ლიტერატურის, „ბებერი ოპოსუმის წიგნის“ ხალისიანმა გმირმა შთააგონა. „კატების“ და უებერის მომდევნო ორი მიუზიკლის მხატვრული ღირებულების შესახებ კამათიც კი უადგილოა, მაგრამ ერთი რამ კი სრულიად ცხადია: — ამიერიდან უებერის შემოქმედების ქვაკუთხედად შოუ იქცა. სპექტაკლის დადგმა რეჟისორ ტრევორ ნანს მიანდვეს, რომელმაც სახელი შექსპირისეული დადგმებით მოიხვეჭა.

„კატებმა“ უებერს ზღაპრული სიმდიდრე შესძინა. მისი ცხოვრებაც თავდაყირა დადგა, მაგრამ ამის მიზეზი სუპერშემოსავალი როდი იყო. ენდრიუსა და სარას მყუდრო, ბედნიერი ოჯახი მეორე სარამ, სარა ბრაიტმანმა დაანგრია, რომელსაც ჟურნალისტებმა „სარა №2“ შეარქვეს. ბრაიტმანი უებერის მიუზიკლში კატა ჯემაიკას როლს თამაშობდა, მაგრამ რატომღაც სპექტაკლ „კატებში“ ენდრიუს ყურადღება ვერ მიიქცია. უებერი ერთხელ კონკურენტების სპექტაკლ „ბულბულებს“ დაესწრო და მთავარი როლის შემსრულებლის მოქნილ სხეულს თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

მათი რომანი მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა. კვანძი კლასიკური ვოდევილის სტილში გაიხსნა. 1983 წლის აპრილში ენდრიუ სპექტაკლ Daisy Pulls It off-ის პრემიერაზე, რომლის პროდიუსერი თავად იყო, სარა ტიუდორ-ჰიუჯილთან, ე.ი. ცოლთან ერთად მიბრძანდა, საზეიმო ვახშამზე კი სარა ბრაიტმანთან ერთად გამოცხადდა. მეორე დღეს სარა №1-მა სასამართლოში განქორწინების შესახებ განცხადება შეიტანა და ფინანსური თვალსაზრისით, მოგებულიც აღმოჩნდა. თავდაპირველად სარა №1-ს ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი ერგო, მაგრამ შემდეგ მისმა იურისტებმა მოახერხეს, რომ ეს თანხა ერთნახევარჯერ გაზრდილიყო. ახალი სიყვარულით გაბრუებულ უებერს კი იმ დროს ფულზე საფიქრალად არ ეცალა.

ახალ მიუზიკლში „ვარსკვლავური ექსპრესი“ მთავარი როლი, რაღა თქმა უნდა, სარა ბრაიტმანმა მიიღო. პრემიერა 1984 წლის 22 მარტს, ენდრიუ ლოიდ უებერის დაბადების დღეს დაინიშნა. ამ დღეს მათი ქორწილიც შედგა.

პათოსით გამსჭვალულ ახალ მიუზიკლს ღვარძლიანმა კრიტიკოსებმა „მეორე „კატების“ დამღა მიაკრეს. მიუხედავად ამისა, მიუზიკლმა ავტორს განქორწინებით გამოწვეული ზარალი სრულად აუნაზღაურა. უებერმა გარდაცვლილი მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მხოლოდ საკუთარი სულის საამებლად „რეკვიემი“ დაწერა, მაგრამ მეფე მიდასის მსგავსად, კომპოზიტორის ყველა ქმნილება ოქროს მომტანი იყო. მუსიკალურ მაღაზიებში „რეკვიემის“ ჩანაწერები ელვის სისწრაფით იყიდებოდა. უებერის Really Useful Company-ს საქმეები შესანიშნავად მიდიოდა. კანტორა Ao Really Useful Group-ად



გენიოსის ჰობი. უებერს დრო ყველაფრისთვის ჰყოფნის: დაკავებულია ბიზნესით, ქმნის მუსიკას, წერს რესტორნის ანგარიშებს, აგროვებს ლენინისა და პრერაფაელიტების ნახატების კოლექციებს, გაგაცებულია ცხენების მოშენებით და შვილების გასართობად ახალ-ახალ სამაგიდო თამაშებს იგონებს

გადაკეთდა, სადაც უებერს 70%-იანი წილი ეკუთვნოდა. სააქციო საზოგადოების შემოსავალმა კი, 80-იან წლებში 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა.

სარა ბრაიტმანის ვარსკვლავური დიდების ზარმა მაშინ ჩამოკრა, როდესაც ენდრიუმ ფაქტობრივად მასზე და საკუთარ თავზე ახალი მიუზიკლის შექმნა ჩაიფიქრა, რომლის მთავარ გმირს პირქუშ მუსიკალურ გენიოსს ახალგაზრდა მომღერალი ქალის ხმა შეუყვარდება და ნებისმიერ ხერხს მიმართავს, რათა საყვარელი ქალი ოპერის პრიმამომღერლად აქციოს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მათ შორის უკვე შავ კატას გაერბინა, ამ ახალი სუპერსპექტაკლის სოლისტი მაინც სარა ბრაიტმანი იყო. დროთა განმავლობაში კატების რაოდენობამ იმატა. სარა ქმარს რეპეტიციებზეც კი ისტერიკებს უმართავდა და ცალკე ცხოვრებაც მოინდომა. ენდრიუმ მათ შორის მორბენალი შავი კატების ხროვას ვერ გაუძლო და 1990 წელს ცოლს გაეყარა.

კომპოზიტორის მარტოხელა ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1991 წელს ახალგაზრდა მედელინ ასტრიდ გორდონზე იქორწინა, რომელმაც საქვეყნოდ აღიარებულ გენიოსზე ზრუნვა დიდ პატივად ჩათვალა და ქორწინების წლისთავზე მეუღლეს კიდევ ერთი მემკვიდრე აჩუქა, მომდევნო წლებში კი კიდევ 2 შვილი გაუჩინა.

უებერმა ბრიტანულ ბაზარზე მიუზიკლების მეფის მდგომარეობა მყარად დაიმკვიდრა და დაჟინებული მზერა ახლა ამერიკის კონტინენტს მიაპყრო. ოკეანისგაღმელ მაყურებელს ჰოლივუდის მხცოვანი ვარსკვლავის ტიპური ამერიკული ამბავი შესთავაზა. „სანსეტის ბულვარის“ პრემიერა ლოს-ანჯელესში, სიუჟეტის მოქმედების ადგილის სიახლოვეს უნდა შემდგარიყო. პროდიუსერებმა მთავარი როლის შემსრულებლად ჯერ გლენ კლოუზი შეარჩიეს, შემდეგ კი ფეი დანაუეი მიიწვიეს, მაგრამ გაირკვა, რომ ფეი დანაუეის სიმღერა არ შეეძლო. უებერმა მის კანდიდატურაზე დაგვიანებული უარი განაცხადა, მაგრამ კონტრაქტი უკვე ხელმოწერილი იყო. ფეი დანაუეიმ კონტრაქტის დარღვევა სასამართლოში გაასაჩივრა და უებერს 2 მლნ დოლარის გადახდამ მოუწია. სამ-

წუხაროდ, დანაუეის შემცვლელმა მსახიობმაც ვერ გაამართლა და „სანსეტის ბულვარმა“ უებერს დიდი ზარალი მოუტანა.

ზარალის ანაზღაურება ენდრიუმ სხვა ბიზნესსფეროებში — ტელევიზიის, ელექტრონიკის ათვისებით სცადა და შედეგად სრული გაკოტრების საფრთხე დაემუქრა. ამის შემდეგ უებერმა გადაწყვიტა, უკვე არსებული შემოქმედებითი ბაზით ესარგებლა. „კატები“, „ოპერის აჩრდილი“, „ვარსკვლავური ექსპრესი“ მთელ მსოფლიოში იდგმებოდა და კომპოზიტორისთვის შემოსავალი მოჰქონდა. ენდრიუმ ფილმისათვის „ევიტა“ „ოსკარი“ მიიღო... ახალმა მიუზიკლმა „უსტვინე ქარს“ ისევ ფინანსური კრახი განიცადა. უნდა ითქვას, რომ „ოპერის აჩრდილის“ შემდგომ უებერმა მომჭირნეობას მიჰყო ხელი. მისი სპექტაკლები მხოლოდ კამერული როდი გახდა; კომპოზიტორმა მიუზიკლებში მელოდიათა რაოდენობაც შეამცირა. თუ ადრე ყოველი ნომერი ჰიტად იქცეოდა, უებერი „სანსეტის ბულვარიდან“ მოყოლებული ერთი-ორი მდიდრული მელოდიით კმაყოფილდება და დანარჩენ მასალას მხოლოდ ძალდაუტანებელ, ფონის შემქმნელ როლს აკისრებს.

ახალ ათასწლეულში ენდრიუ უებერმა ახალი მიუზიკლით შეაბიჯა. „მშვენიერი თამაში“ ჩრდილოეთ ირლანდიაში კათოლიკეთა და ანგლიკანური ეკლესიის მიმდევართა დაპირისპირებას მიეძღვნა. საჭირბოროტო, თანამედროვეობისათვის აქტუალური სპექტაკლების იდეა მუსიკოსს შემოქმედების ადრეულ ეტაპზეც აღელვებდა. მაშინ მას პრეზიდენტ კენედისა და კარიბის ზღვის კრიზისის შესახებ მუსიკის ენით სურდა მოეთხრო, მაგრამ იმ პერიოდში პრეზიდენტს იესო ქრისტე ამჯობინა. მათ თვალში, ვინც კომპოზიტორისგან ახლაც მარადიულ თემებს ელოდა, უებერს მხოლოდ ერთი რამ ამართლებს: „მშვენიერი თამაში“, მართლაც რომ მშვენიერია.

გასულ წელს ენდრიუ უებერმა უილკი კოლინზის რომანის „ქალი თეთრებში“ მუსიკალური ვერსია შექმნა და ამით მიუზიკლების შექმნა ჯერჯერობით დასრულა.

საინტერესოა, გადაიკვეთება თუ არა კიდევ ერთხელ ეუბერისა და ტომ რაისის გზები?! მათმა შვილებმა ევა რაისმა და ნიკოლას ლოიდ-უებერმა ხომ ერთად რამდენიმე სიმღერა შექმნეს!

■

„გზის“ წინა ნომერში, კინორეჟისორი თემურ ბაბლუანი მოგვითხრობდა ფილმზე — „სვანური ვენდეტა“, რომელსაც ამჟამად ფრანგული კინოსტუდიების ბაზაზე საქართველოში იღებს. ამ სურათში, ფრანგ მსახიობებთან ერთად, რამდენიმე ქართველსაც ვიხილავთ, მათ შორის — გივი სიხარულიძეს. ყველა რეჟისორს თავისი გამორჩეულად საყვარელი მსახიობი ჰყავს. სწორედ ასეთია თემურ ბაბლუანისთვის ბატონი გივი, რომელზეც „უძინართა მზის“ გამოსვლის შემდეგ რეჟისორი წერდა: „ჩემს ფილმზე მუშაობისას ვინც გამიმართლა, ეს უპირველესად გივი სიხარულიძეა. გივის შესრულებისგან გამომდინარე, თავიდან ჩაფიქრებულმა პერსონაჟმა სულ სხვა სახე მიიღო და რიგითი პერსონაჟიდან, გმირი ჩამოყალიბდა. ეს გივის ოსტატობის წყალობით მოხდა. გივის სამსახიობო შესაძლებლობები განუსაზღვრელია“...

ვანიაკი ბენაძდენი და საბჭოეთიდან დაბუქსული ფრანგი კინოვარსკვლავები

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო გივი, როგორ მიმდინარეობს მუშაობა ახალ ფილმზე?

— თემურ ბაბლუანი ფილმს თავისი სცენარის მიხედვით იღებს. თავდაპირველად, ეს უნდა ყოფილიყო საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი ფილმი, მაგრამ შემდეგ ისე განვითარდა მოვლენები, რომ მხოლოდ საფრანგეთის მხარე დარჩა. ფრანგების მხრიდან სურათში ფრანგული კინოს სამი და თეატრის ერთი ვარსკვლავი თამაშობენ. ორ მათგანს ორ-ორი „სეზარი“ აქვს აღებული. ქართველებიდან ვთამაშობთ: თემურის ვაჟიშვილი, ქალიშვილი, სიძე, რომელიც ფრანგია (თემურის შვილები საფრანგეთის მოქალაქეები არიან), მე, მურმან ჯინორია, გია როინიშვილი; ჰოლივუდიდან ჩამოვიდნენ ლევან უჩანეიშვილი და ჩემი ვაჟიშვილი ბექა. მათ ეპიზოდური როლები ერგოთ. ფრანგების მხრიდან, სურათის პროდიუსერია თემურის ვაჟიშვილი გელა, რომლის ფილმიც ვენეციის ფესტივალზე „ოქროს ლომით“ დაჯილდოვდა, ხოლო ოპერატორია ფრანგი ქართველი, გვარად მელიავა — კაცი, რომლის ბაბუის ბიოგრაფიაც რეჟისორ გუგული მგელაძის ფილმს — „ფესვები“ დაედო საფუძვლად.

— როგორც გავიგე, რეჟისორი და ჯგუფის სხვა წევრები დიდად კმაყოფილი არიან თქვენი ნამუშევრით. მართალია?

— ჩემს თავზე როგორ ვილაპარაკო, მაგრამ ერთი რამის თქმა, ნამდვილად შემიძლია — ნიჭიერ მსახიობებს არ ეწყინოთ და მიმაჩნია, რომ მსახიობის წარმატება რეჟისორის დამსახურებაა. ეს რეჟისორი, ამ შემთხვევაში, თემურ ბაბლუანია. მე თუ რამე გავაკეთე და ჩემს ნამუშევარს მოწონება ხვდა წილად, ეს, თემურ ბაბლუანმა გამაკეთებინა. როდესაც „უძინართა მზემ“ ბერლინის ფესტივალზე პრიზი — „ვერცხლის დათვი“ აიღო, ჩემი ყურით გავიგონე, ფილმის ნახვის შემდეგ ამერიკელებმა აღფრთოვანებით რომ წამოიძახეს — დაიბადა ახალი ფელინიო!.. მსოფლიო მნიშვნელობის რეჟისორია. თემურთან მუშაობა ადვილი არ არის, თუ არ მოეწონა, შეუძლია 100 დუბლი გადაიღოს. ვისაც კინო არ უყვარს, თემურთან ვერ იმუშავებს. ვისაც კინოში მხოლოდ მატერიალური მხარე აინტერესებს, ისიც ვერ იმუშავებს. მასთან მუშაობა იმ კაცისთვისაა ბედნიერება, ვისაც კინო და თავისი საქმე უყვარს. რაც შეეხება ჩემს ქებას, — ერთ ეპიზოდს მოგიყვებით: გადაღების დროს ფასანაურში ერთ-ერთი ტელეარხის ჟურნალისტები ჩასულან და თემურისგან ინტერვიუ აუღიათ. თემურს ცაში ავუყვანივარ, ვუქივარ და უთქვამს — ფილმში ფრანგი ვარსკვლავები თამაშობენ, მაგრამ მათ შორის გივი სიხარულიძემ გაიბრწყინაო. ჯგუფის წევრებმა დამირეკეს და მითხრეს — უყურე გადაცემას, ნახე, თემური შენზე რას ლაპარაკობსო. ვუყურე და ჩემი ქება ამოჭრილი იყო... თუ გივი სიხარულიძეს ებრძვიან, ქართულ ნიჭს და გენს ნუ ჩაწ-

იხლავენ, ნუ დამარხავენ. ნუ იტყოდნენ გივი სიხარულიძეზე, ეთქვათ — ერთ-ერთ ქართველ მსახიობზე თემურ ბაბლუანმა ასე თქვაო... თემური ისეთი კაცია, იშვიათად აქებს ვინმეს. რა ვქნა, რომ მე მაქებს *(იცინის)*?!. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ 1993 წელს დაწერა — გივი სიხარულიძისნაირი რანგის მსახიობი დღეს ჩვენს კინოში არ არსებობსო. მეორე დღეს კინოსტუდიაში რომ მივედი, ხალხი არ მელაპარაკებოდა. მაშინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ — ამ ქებას ჩემს თავზე არ ვიღებ, მაგრამ რა ვქნა, რომ ასე თქვა?!. მე ვარ მსახიობი, რომელსაც თემურ ბაბლუანი აძლევს მიმართულებას და თავისუფლებასაც: გადაღებების დროს. ტექსტი რომ მეშლება, თემური მამხნევებს — არ დაიბნე, გივი, გააგრძელე, შენი „შეშლილი“ ტექსტი უფრო კარგია, ვიდრე დაზეპირებულიო... ბოლო წლებში, კიდევ ერთი რეჟისორი შემხვდა, რომელიც თავისი ნიჭით თემურს მაგონებს. ეს ზაზა ურუშაძეა, რომელთანაც „ცხელ ძაღლში“ ვითამაშე. ერთხელ, როცა ვუთხარი — თემურს მაგონებ-მეთქი, — გახარებულმა მიპასუხა — ბედნიერი ვარ, ასეთ დიდ რეჟისორს რომ შემადარეო... ძალიან მეამაყება, რომ ჩემი უმცროსი მეგობარია ლევან უჩანეიშვილი — ხელოვნებაში ქართული გენის გაბრწყინება! მავანი ამბობს — ლევანმა კი ითამაშა, მაგრამ ეპიზოდური როლები; კი არის ჰოლივუდში, მაგრამო... ბოლო წლებში, ამერიკაში ხშირად მიხდება ყოფნა და ვიცი, ჰოლივუდის ფილმში მხოლოდ საჯდომი რომ გამოგიჩნდეს, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, — მან კი ჰოლივუდის ვარსკვლავებთან ერთად ითამაშა! ბოდიში მომიხდია, რა!.. ეს ქართველი მსახიობები ნუ კბენენ ლევანს, უნდა იამაყონ, ქართველი რომ ჰყავთ ჰოლივუდში.

— რას იტყვით ფრანგ ვარსკვლავებთან მუშაობაზე? მათი სტილი ძალიან განსხვავდება ქართულისგან?

— ფრანგი მსახიობები ძალიან მოწესრიგებული ხალხია. ფრანგმა იცის, რომ 3 საათზე უნდა ისადილოს და 3 საათი რომ დადგება, როგორ მძაფრ სიუჟეტსაც არ უნდა იღებდე, რომლის შეწყვეტაც არ შეიძლება, ის მაინც წყვეტს მუშაობას. მე არ შევწყვეტდი. ორი დღე და ღამე ვიშიმშილებ ჩემი შემოქმედების გამარჯვებისთვის. ეს განსხვავებაა ჩვენ შორის... კიდევ ის განსხვავებაა, რომ მათ ყველაფერი კარგად აქვთ ნასწავლი, ჩვენ — არ გვაქვს ნასწავლი, მაგრამ ჩვენი შინაგანი ენერგიით ვჯობნით მათ. ისინი თავიანთი მოწესრიგებულობით გვჯობნიან, ჩვენ — ჩვენი ენერგიით. ჩემი აზრით, ქართველი შემოქმედი ათი თავით მაღლა დგას მათზე. თუმცა, საფრანგეთში კინოხელოვნება უმაღლეს დონეზეა ტექნიკური თვალსაზრისით. ის, რაზეც ჩვენ უნდა ვიწვალოთ და ვიჯახიროთ, იქ წამებში კეთდება. ყველა თავისი საქმითაა დაკავებული და თავიანთი საქმის შეუდარებელი ოსტატები არიან. ჩვენთან ერთი ადამიანი ოპერატორიცაა, გამნათებელიც, ტექნიკური მუშაკიც და ათასი სხვა რამ, რაც გაჭირვებამ ასწავლა. ჩვენთან ერთ ფილმს 5 წელი რომ იღებენ, იქ ასეთი რამ არ ხდება. გეუბნებიან — ფილმს 3 თვეში გადაიღებო. თუ დროში ვერ ჩაეტევი, მერე ყველაფერში ფულს გადაიხდი, ყველაფერი დაგეკვითება და შეიძლება, გაკოტრდე კიდეც. მილიონებს იმისთვის გაძლევენ, რომ „საკასო“ ფილმი გადაიღო და ფესტივალზე გაიმარჯვო. საქართველოში გადაღებებზე მილიონ-ნახევრის ტექნიკა ჩამოიტანეს.

— თქვენ ჯგუფი თუ ჩაეტია გადაღებისთვის დაწესებულ დროში?

— თემურს გადაღებისთვის 3 თვე ჰქონდა. გადაღებები ჯერ სვანეთში იყო დაგეგმილი, მაგრამ რადგან სვანეთში ამინდის გამო ჩამოიქცა ყველაფერი, ფასანაურში, ხადოს ხეობაში მლეთაში და ყაზბეგის მხარეში გადავინაცვლეთ. თემური დროში ვერ ჩაეტია, რადგან ორი კვირა წვიმდა. როცა ნატურაზე ხარ დამოკიდებული, ცუდ ამინდში არ უნდა გადაიღო?! ისე მოხდა, რომ ფილმის დამთავრებამდე 5 დღით ადრე, ფრანგ მსახიობებს კონტრაქტის ვადა ამოეწურათ და გასამგზავრებლად გაემზადნენ. თემურმა სამხატვრო საბჭოს საფრანგეთში გადაღებული მასალა გაუგზავნა. როცა მასალა ნახეს, ოთხივე მსახიობს დაურეკეს და უთხრეს — ან მანდ დარჩებით და ფილმს დაამთავრებთ, ან ჩვენი კორპორაციის ფილმებში ვეღარასოდეს მიიღებთ მონაწილეობასო...

მსოფლიო მნიშვნელობის რეჟისორია. თემურთან მუშაობა ადვილი არ არის, თუ არ მოეწონა, შეუძლია 100 დუბლი გადაიღოს

— როგორ ტოვებდნენ დაუმთავრებელ ფილმს სულ რაღაც 5 დღის გამო?..

— აი, სწორედ ეს განსხვავებაა ქართველსა და ფრანგ მსახიობებს შორის. მე ჩემი ნამუშევარი მიყვარს და ერთი წუთით არ გავცვლი მილიონში. ფრანგ მსახიობს ორი „სეზარი“ აქვს, მე — „ჭიჭიკოს მედალი“, მაგრამ მაინც მასზე მაგარი ვარ *(იცინის)*...

— ბოლოს, იქნებ გადამლებ ჯგუფში არსებულ სიტუაციაზეც მოგვიყვეთ რაიმე.

— გადაღებების დროს, ფასანაურის სასტუმრო, გადამღები ჯგუფის წევრებით იყო გადაჭედილი. მე და გია როინიშვილი რომ ჩავედით, ნომრიდან ზოგიერთის გამოსახლება დააპირეს. ამაზე არ დავთანხმდით — არ ვართ განებივრებული ხალხი, სადაც გინდათ, დაგვაბინავეთ-თქო, — ვუთხარით. ძალიან კარგ ოჯახში დაგვაბინავეს. გადაღება რომ დამთავრდა, ღამის თორმეტ საათზე მივედით სახლში. გაგვიწყვეს სუფრა. მერე ნარდი მოვითხოვეთ მე და გიამ და დილის 8 საათზე მოვრჩით თამაშს. დილით ოჯახის უფროსმა გვითხრა — ბატონო გივი, ნარდის სათამაშოდ თუ მოხვედით აქ, გადასაღებ მოედანზე ჩამოგიტანდითო *(იცინის)*... მეორე დღესაც გვიან მივედით შინ. ისევ გაგვიშალეს სუფრა და ბოლოს, ისევ მოვითხოვეთ ნარდი. ოჯახის უფროსმა გამოგვიცხადა — ნარდი, ბატონო, მოგვპარესო. — როგორ თუ მოგპარეს-მეთქი?! — რად გინდათ ეს ნარდი, კიდევ უნდა გაათენოთო? პირობა მივეცით, 10 პარტიას ერთ-ერთი ჩვენგანი მოიგებს თუ არა, იმწუთას შევწყვეტთ თამაშს-თქო. დილით, ცხრის ნახევარზე მოვრჩით თამაშს!.. ჩვენი მასპინძელი მივიდა თემურ ბაბლუანთან და უთხრა — ეს ავადმყოფები მომაცილეთ, სანამ მეც არ გამაგიჟეს და ცოლთან ნარდის თამაში არ დამაწყებინესო *(იცინის)*... მთელი დღე უძილობისგან თვალები მეხუჭებოდა. თემურს რას გამოვაპარებდი?!. მითხრა — ამ ღამით გია ფასანაურში დაიძინებს, შენ კი გუდაურშიო. ასისტენტს კი დაავალა, ამათ სიახლოვეს სადაც კი ნარდს მოჰკრავ თვალს, ჩაქუჩით დაამტვრიეო... რაც შეეხება ლევან უჩანეიშვილს — ასეთი ოინი მიყო: ერთ დღეს ტელეფონით მირეკავს ვიღაც და მეკითხება — გივი სიხარულიძე ბრძანდებითო? — დიახ, მე გახლავართ-მეთქი. — თქვენთან დუდაევმა გამომგზავნაო... გავგიჟდი: რომელმა დუდაევმა-მეთქი? — აი, ჯოხარმა, იმ ქვეყნიდანო... ვერაფრით მივხვდი, ვინ იყო. ვისი სახელი არ ჩამომითვალა — ესა და ეს ვარო... ბოლოს მეუბნება — აი, ისა ვარ, ვისაც ყველაზე მეტად უყვარხარ, ოკეანის გაღმიდანო. მაშინ კი ვიყვირე — ლევან-მეთქი!.. ■

რაც შეეხება ლევან უჩანეიშვილს – ასეთი ოინი მიყო: ერთ დღეს ტელეფონით მირეკავს ვიღაც და მეკითხება – გივი სიხარულიძე ბრძანდებითო? – დიახ, მე გახლავართ-მეთქი. – თქვენთან დუდაევმა გამომგზავნაო.

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №42

ავადმყოფის სანახავად მიმავალ ახალგაზრდა ექიმს, ლანა მესხს ნარკომანი დაესხმება თავს. ლევანი, რომელიც ამ დროს მას გამოესარჩლება, ლანას პაციენტის მეზობელი აღმოჩნდება და შინ მანქანით მიიყვანს, თან გზად გაეარშიყება კიდეც. მაგრამ ლანას ისედაც თავზე საყრელად აქვს პრობლემები: საავადმყოფოში, სადაც ის მუშაობს, ახალი მთავარი ექიმი (რომელმაც მისი გარდაცვლილი მამა შეცვალა) ავიწროებს, შინ — დედასა და ძმის ცოლს შორის დაძაბული ურთიერთობაა; ქალბატონი თამარი იმაზეც წუხს, რომ ქალიშვილის გათხოვების პერსპექტივა არ ჩანს და ამით ხშირად აბეზრებს მას თავს... მთავარი ექიმისგან განსხვავებით, ლანას საუცხოო ურთიერთობა აქვს კლინიკის წამყვან ქირურგთან, დავით არჩვაძესთან, რომელიც იმ დილას, საგანგებოდ ურეკავს შინ და მნიშვნელოვან ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად უხმობს ახალგაზრდა კოლეგას...



საოპერაციოს წინ შეკრებილი რამდენიმე ადამიანი ერთმანეთში გაცხარებით კამათობდა. ლანას გამოჩენაზე, მათ ერთი ხანში შესული მამაკაცი გამოეყო:

— გამარჯობათ, ქალბატონო! — გზა გადაუჭრა მან ლანას. — ალბათ, გახსოვართ...

— დიახ, რა თქმა უნდა, — მშვიდად უპასუხა ლანამ, — გისმენთ!

— როგორ გადაწყდა — ნამდვილად თქვენ იქნებით ჩემი შვილის პალატის ექიმი თუ?..

— დიახ, ნამდვილად მე ვიქნები.

— რა არის, იცით?.. — ნიკაპი ნერვიულად მოისრისა მამაკაცმა. — ჩემი მეუღლე ახლა აქ არ არის, უცხოეთშია. ჩვენი შვილისთვის ოპერაციის გაკეთების გადაწყვეტილება პრაქტიკულად მარტომ მივიღე და სიმართლე გითხრათ, ძალიან ვღელავ...

— სულ ტყუილად, ჩემო ბატონო, — ისევ მშვიდად მიუგო ლანამ. — ბატონი დავითის ხელში ჯერ არც ერთ ავადმყოფს არ გასჭირვებია. დამიჯერეთ, ყველაფერი კარგად იქნება...

— თქვენს პირს შაქარი... — თავისთვის ჩაილაპარაკა შუბლშეჭმუხნილმა მამაკაცმა და განზე მორიდებით გადგა...

— როგორ არის საქმე? ხომ ფორმაში ხარ? — საოპერაციოში გამოჩენისთანავე ჰკითხა დავით არჩვაძემ ლანას.

— როგორც ყოველთვის, ბატონო დავით! — ხალისიანად უპასუხა ლანამ.

— „როგორც ყოველთვის“ არ გამოგადგება — დღეს განსაკუთრებულ ფორმაში უნდა იყო!

— გამოდის, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდება, ხომ? — ცნობისმოყვარეობამ სძლია ლანას.

— აბა, რა! — თვალები ეშმაკურად მოჭუტა დავითმა. — დღეს ოპერაციას შენ გააკეთებ, მე კი, უბრალოდ, ასისტენტი ვიქნები!

— მ-მე-ე? — მოულოდნელობისგან ენა დაება ლანას. — კი, მაგრამ როგორ?!

— როგორ და ჭრელად! — არხეინად უპასუხა დავითმა.

— თქვენ არ თქვით, ძალიან რთული ოპერაცია იქნებაო?!. — მთლად უმწეო გამომეტყველება მიიღო ლანამ.

— მერე რა?

— რა და... დილიდანვე მაინც გაგეფრთხილებინეთ, ბატონო დავით!

— აბა, აბა, კაცო!.. მოსაწვევი ბარათიც უნდა გამომეგზავნა და რო დამავიწყდა?!. ჩქარა, საქმეს მიხედე! — თვალები დაუბრიალა დავითმა ლანას.

...საოპერაციოდან გამოსულ დავით არჩვაძეს მაშინვე ავადმყოფის ახლობლები შემოეხვივნენ და კითხვები დააყარეს.

— ყველაფერი რიგზეა, ხალხო! — მოკლედ მოუჭრა სათქმელი მან. — დეტალები თუ გაინტერესებთ, აგერ, ა, ეს ქალბატონი მოგახსენებთ, — სწორედ იმწუთას საოპერაციოდან გამოსულ ლანაზე მიუთითა დავითმა და თავად დერეფანს გაუყვა.

ავადმყოფის პატრონებთან მარტოდ დარჩენილმა ლანამ ისინი შეძლებისდაგვარად დააწყნარ-დააშოშმინა და დავით არჩვაძეს სირბილით დაეწია.

— რა ქენი, დაამშვიდე ხალხი? — ჰკითხა დავითმა.

— ისინი — კი, მაგრამ მე ვინ დამამშვიდებს?.. — დაიწუწუნა ლანამ.

— შენ რაღა გჭირს?

— მე მჭირს, თუ მჭირს! ვაითუ, რაღაც ისე ვერ გავაკეთო... ხომ ნამდვილად ყველაფერი რიგზე იქნება, ბატონო დავით?.. — კი არ ჰკითხა, ლამის შეევედრა ლანა.

— გადამრევს ეს გოგო! — ხელები გაშალა დავითმა. — დილიდან ტვინი გამიბურღა, გინდა თუ არა, ოპერაცია მე გამაკეთებინეო და ახლა ამბავს აქეთ მეკითხება...

— ბატონო დავით, ძალიან გთხოვთ!.. — უფროსი კოლეგის არხეინობას ველარ გაუძლო ლანამ.

— ჰო, კარგი, კარგი... — ხელი მამაშვილურად გადახვია მას დავითმა. — რამე სერიოზული პრობლემა რომ იყოს, ასე ვიხუმრებდი?.. წამოდი ახლა ჩემთან კაბინეტში, შენი წარმატება აღვნიშნოთ...

ის იყო, დავითმა მაგიდის უჯრიდან კონიაკის ბოთლი ამოიღო, რომ კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა.

— დაიწყო... — ამოიოხრა მან და ბოთლი ისევ შეინახა. — ერთხელ მაინც ხომ შეიძლება, ოპერაციის შემდეგ, ავადმყოფის ყველა ახლობელი სათითაოდ არ მომადგეს კარზე და დაწვრილებით არ გამომკითხოს, როგორ გავჭერი, რა ამოვაჭერი, რამდენი ნაკერი დავადე და ჭრილობა როგორ შევუხვიე!.. თუმცა, რას ვნერვიულობ?.. შენ აგერ არ ხარ?! ჰოდა, პასუხიც შენ გაეცი! — სასწრაფოდ გადაბარა მან ლანას ყველაფერი და შემდეგ, კარს იქით მდგომს რიხიანად გასძახა: — შემოდით, ღიაა!

კარი ნელ-ნელა გაიღო და თავი ვიღაც მოხუცმა ქალმა შემოყო:

— შეიძლება?

— შემოდით, შემოდით! — ააჩქარა დავითმა ქალი. — რაშია საქმე?

— ბატონო დავით! — როგორც იქნა, ზღურბლს გადმოაბიჯა და კარი ფრთხილად მიხურა ქალმა. — თქვენს ხელებს ვენაცვლე...

— გასაგებია... — გააწყვეტინა დავითმა. — კიდევ?

— ჩემს ბიჭს უკვე დავხედე, შემოევლოს ბებო... — ისევ შორიდან დაიწყო ქალმა.

— ვის? — თვალები ჭყიტა დავითმა.

— ჩემს შვილიშვილს... რეანიმაციის ექთანმა მაჩვენა...

— გადამრევს ეს ხალხი! — ფეხზე წამოხტა და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა დავითმა. — ამ საავადმყოფოში ელემენტარული წესრიგი მაინც თუ ოდესმე აღდგება... გაგონილა, ახალნაოპერაციებ ავადყმოფს პატრონი რეანიმაციაში დააყენო თავზე?!. ვინ იცის, რა ინფექცია შეუტანა...

— მე — არა, ბატონო დავით! — შეწუხდა ქალი. — მე სულ ერთი წუთით თუ შევიხედე, ბაჩუკის ერთი დავხედე და მაშინვე უკან გამოვბრუნდი... იმის სიცოცხლეს გეფიცებით...

— ჰო, კარგი, კარგი... — მოლბა დავითი. — თქვენ რას გერჩით, რეანიმაციის ხალხი მყავს დასახოცი!.. მაგრამ რა?.. შეაყარე კედელს ცერცვი!.. დღეს ეჩხუბები, ხვალ უარესს აკეთებენ...

— ბატონო დავით, — ამასობაში მაგიდაზე ცელოფანის დიდი პარკით რაღაც დადგა ქალმა. — ეს...

— ეს რაღაა?! — პარკს ალმაცერად გადახედა დავითმა.

— ისეთი არაფერი...

— ამხელა „არაფერს“ მე პირველად ვხედავ, — მიუბრუნდა დავითი ლანას. — შენ?

— მეც, — კინაღამ სიცილი წასკდა

ლანას.

— იმის თქმა მინდოდა, რაღაც წასახემსებელი მოგართვით, — როგორც იქნა, ამოღერღა ქალმა. — თორემ, დილიდან ფეხზე უსმელ-უჭმელი ჩამოწყდით ხალხი და...

— აბა, ჯერჯერობით, საოპერაციოებში წამოსაწოლი და საქეიფო ადგილები არ გამოუყვიათ და რა ვქნათ?.. თუმცა, ჩვენს საავადმყოფოში ალბათ, აღარც ეს დროა შორს... — ხუმრობას განაგრძობდა დავითი. — რას გეტყვით, იცით?.. — მიუბრუნდა ის საბოლოოდ დაბნეულ ქალს. — ეს ყველაფერი დაბლა, რეანიმაციის გოგოებს ჩაუტანეთ და უთხარით, არჩვაძემ შემოგითვალათ, ჭამეთ, სვით და მერე ავადმყოფს წესიერად მიმიხედეთ, თორემ, ყურებს აგახევთ-თქო!

— იმათ თავიანთი წილი უკვე შევუტანე, — გაუბედავად შეაპარა ქალმა.

— მაშინ, ექთანებს და სანიტრებს მოუკითხეთ.

— უკვე მოვუკითხე, — პასუხი ისევ მზად ჰქონდა ქალს.

— რა ყველაფერი მოსწრებაზეა, კაცო!.. — კეფა მოიფხანა დავითმა.

— ნუ მეტყვით უარს, — ისევ დაიწყო ქალმა, — ნაყიდი არ გეგონოთ, ყველაფერი ჩემი ხელითაა მომზადებული... ღვინოც ოჯახიდან მაქვს მოტანილი...

— ღვინოცო?! — თვალები ისევ ეშმაკურად აუციმციმდა დავითს. — ღვინოზე ნამდვილად ვერ გეტყვით უარს!..

— სხვა დანარჩენიც შეგარგოთ ღმერთმა! — კაბინეტის კარი სასწრაფოდ გაიხურა ქალმა.

— ნახე ერთი, რისთვის გვებრძოდა ის ქალი ამდენ ხანს, — პარკზე ანიშნა დავითმა ლანას. მანაც პარკი თავისკენ მიიჩოჩა და ხაჭაპურისა და შემწვარი ქათმის ნაჭრების ამოლაგება დაიწყო.

— უყურე შენ! მართლა კარგად გარჯილა! რას გეტყვი, იცი?.. — ტელეფონის ყურმილს დასწვდა დავითი. — თუ ქეიფია — ქეიფი იყოს: ბიჭებსაც დავუძახებ!

— რომელ ბიჭებს? — ჩაეძია ლანა.

— გიზოს და თემოს.

— რა საჭიროა? — თემოს სახელის ხსენება დიდად როდი ეჭაშნიკა ლანას.

— რა იყო?.. კიდევ ხომ არ იჩხუბეთ?

— არც მიფიქრია... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ლანამ. — რა მაქვს თემოსთან გასაყოფი?!

— იცი რა... ნუ იმრიზები. ამ ბიჭს შენზე გული სერიოზულად უნდა ჰქონდეს შევარდნილი...

— მერე, მე არ მეკითხება?

— ქალს ვინ ჰკითხავს, გოგო?! ქალი მხარზე უნდა გაიდო და შინ ისე გააქანო!..

— ბატონო დავით!..

— „ბატონო დავით, ბატონო დავით!..“ — გამოაჯავრა კაცმა ლანას. — გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, ამ დილით რომ შენთვის მეკითხა — ოპერაციას გააკეთებ თუ არა-მეთქი? — ხომ გაიგიჟებდი თავს — არა და არაო?!.

— ალბათ... — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ უპასუხა ლანამ.

— მერე, რას მოიგებდი?.. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვერ გაბედავდი ასეთი რთული ოპერაციის დამოუკიდებლად გაკეთებას... ასეა შენი და თემოს ამბავიც...

— ბატონო დავით, მართლა და მართლა!.. — გააწყვეტინა ლანამ. — სად ჩემი და თემოს ამბავი და სად დღევანდელი ოპერაცია?!.

— ოპერაციას რაც შეეხება... — მაშინვე აიტაცა დავითმა. — დღეს, პრინციპში, არა გიშავდა რა, ოთხიანზე „გაქაჩე“... ამის შემდეგ კი, დაიმახსოვრე, რომ ყოველი ახალი ოპერაცია ისე უნდა გააკეთო, თითქოს მხოლოდ ამაზე იყოს დამოკიდებული შენი, როგორც ექიმის, ბედი და მთელი შემდგომი ცხოვრებაც. სხვანაირად, წინ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ — გასაგებია? — ხმას აუწია მან.

— გასაგებია! — კინაღამ ჯარისკაცივით გაეჭიმა უფროს კოლეგას ლანა...

შინ დაბრუნებულ ქალს, ზარი ჯერ წესიერად დარეკილიც არ ჰქონდა, რომ კარი დაბარებულივით გაიღო და ზღურბლზე სახეგაბადრული თამარი გამოჩნდა.

— რა იყო?.. — გაუკვირდა ლანას. — კართან მითვალთვალებდი?

— არც უმაგისობაა... — აღიარა თამარმა. — გამოვყრუვდი სახლში მარტო.

— მარტოო?! — გაუკვირდა ლანას, თან, პალტო სწრაფად გაიხადა და საკიდარზე ჩამოკიდა. — შენი საყვარელი რძალი სადღაა?

— ჩემი რძალი, შვილი და შვილიშვილიც დაბადების დღეზე არიან წასული.

— ასეთი ვინ დაიბადა, რომ დედაბუდიანად აიყარნენ?

— ვინ და ქეთო.

— რომელი ქეთო?

— მაკას დედა, ჩემი მძახალი. რამ დაგაბნია?!

— აჰ, „პარდონ“, ქეთოს დავიწყება როგორ იქნება?! — ირონიულად გაეღიმა ლანას. — მერე, შენ რატომ არ დაგპატიჟა? სუფრასთან ადგილი აღარ დარჩა თუ?..

— რა ადგილი დარჩებოდა?.. მაგის ამბავი რომ ვიცი, მთელ ცოლეულობას თავის მანქანაში ჩასვამდა და ქეთოსთან ისე მიაბრძანებდა...

— მართლა, ხომ არ იცი, რამდენი წლის შესრულდა ქალბატონი ქეთო?

— ზუსტად არ ვიცი. მგონი, სამოცდასამის თუ სამოცდახუთის.

— არ გრცხვენია?! — სიცილი ვეღარ შეიკავა ლანამ. — საყვარელი მძახლის ასაკი არ უნდა იცოდე?

— მძახლის კი არა, შენი გადამკიდე, მალე ჩემს ასაკსაც ვეღარ გავიხსენებ, — ხელი ჩაიქნია სამზარეულოსკენ შებრუნებულმა თამარმა. — ივახშმებ?

— ვივახშმებ კიდეც და ერთ-ორ ჭიქა ღვინოსაც სიამოვნებით დავლევ, — დედას აედევნა და სამზარეულოს მაგიდასთან მოხერხებულად მოკალათდა ლანა.

— რა მოხდა?.. ქეთო ხომ არ უნდა ადღეგრძელო? — მაცივრიდან წითელი ღვინით სავსე, დიდმუცელა ბოთლი გამოიღო თამარმა და შვილს ჭიქა შეუვსო.

— ქეთოს უჩემოდაც მოუხერხებენ რამეს, — ჭიქა სწრაფად ჩამოართვა ლანამ. — შენც დაისხი!

— ხომ იცი, რომ მე ვერ დავლევ...

— რომ გაიგებ, რას ვადღეგრძელებ, აუცილებლად დალევ.

— მართლა? — თავისთვისაც შეივსო ჭიქა თამარმა. — ამოშაქრე ერთი, რა მოხდა?

— რა და დღეს ურთულესი ოპერაცია პრაქტიკულად მარტომ გავაკეთე! — ამაყად გამოაცხადა ლანამ და თამარს ჭიქა მიუჭახუნა. — განა ეს ამბავი აღსანიშნავი არ არის?!

— რა თქმა უნდა, არის, — დაეთანხმა შვილს გახალისებული თამარი. — არჩვაძემ რა გითხრა, კარგი გოგო ხარო?

— არჩვაძემ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ლანამ — არჩვაძე ოპერაციაზე საერთოდ არ ყოფილა და რა უნდა ეთქვა?!

— როგორ თუ არ ყოფილა? — ფერი ეცვალა თამარს.

— მოულოდნელად, მეორე სამსახურში გამოიძახეს და ბურთი და მოედანი მთლად მარტოს დამრჩა!

— გაგიჟდი?! — ჭიქა კინაღამ ხელიდან გაუვარდა თამარს. — მარტომ ოპერაციის გაკეთება როგორ გაბედე?!

— როგორ და ჭრელად! — უფროსი კოლეგის სიტყვები გაახსენდა ლანას, ღვინო ნელ-ნელა მოწრუპა, შემდეგ ჭიქა მაგიდაზე დადგა, დედასთან მივიდა და მხარზე ხელი მოხვია: — დაწყნარდი, მართლა გიჟი ხომ არ ვარ, ასე გამერისკა. ბატონი დავითი მთელი ოპერაციის განმავლობაში, ჩემ გვერდით იდგა და საჭირო რჩევებსაც მაძლევდა.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა თამარმა და ჭიქა ისევ ასწია: — მაშინ, შენს მართლა წარმატებულ ნაბიჯს გაუმარჯოს, შვილო!

— გაუმარ-ჯოს! — ჭიქა მხიარულად მიუჭახუნა ლანამ და ბოლომდე დაცალა ლანამ. — ისე, რა კარგია, სახლში მარტო რომ დამხვდი. იცი, როგორ მომენატრა შენთან მოწმეების გარეშე ურთიერთობა!

— რომელი მოწმეების, გოგო?! — იწყინა თამარმა. — შენი ოჯახის წევრებს მოწმეებს ეძახი?

— ხომ იცი, რომ ეგოისტი ვარ და შენს თავს ვერავის ვუყოფ, — თამარს ახლა ორივე ხელისგული დაუკოცნა ლანამ.

— გამიშვი ხელი, შე მართლა ეგოისტო! — გაიბრძოლა თამარმა.

— ისე, აღიარე, რომ ამ საღამოს ნამდვილად კარგი საჩუქარი გაგიკეთე!

— ვაღიარებ... — დაეთანხმა თამარი. — მაგრამ რა იქნებოდა, ამ დღეს, მამაშენიც მოსწრებოდა?! წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა... — ამოიოხრა მან და დასძინა: — რას გეტყვი, იცი?..

— რას?

— მეც მაქვს შენთვის საჩუქარი.

— მართლა?.. რა?

— რა და... — მაგიდის ზედაპირს ხელი ფრთხილად გადაუსვა თამარმა და ფეხზე ნელ-ნელა წამოდგა: — ცოტა ხანს აქ დამელოდე!

— დაგელოდები რომელიმ!.. — რაღაც საინტერესოს მოლოდინში სკამზე მოხერხებულად მოეწყო ლანა...

თამარი სამზარეულოში მალევე შემობრუნდა, პატარა ლამაზი კოლოფი შემოიტანა და მაგიდაზე დადგა. ლანა მაშინვე თვალებად იქცა:

— ეს რა კოლოფია?

— ამაში ოჯახის ძვირფასეულობას ვინახავ, — კოლოფს თავი ფრთხილად ახადა თამარმა.

— რომელ ძვირფასეულობას?.. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, შენმა მართლაც ძვირფასმა ვაჟიშვილმა ყველაფერი კაპიკებად არ გაგიყიდა?

— ყველაფერი ნამდვილად არ გაუყიდია... — კოლოფიდან ძველებური ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და ასეთივე საყურეები ამოიღო თამარმა: — აი, ესენი შენთვის გადავარჩინე.

— ჩემთვის? — სამკაულების ელვარებამ წამით თვალი მოსჭრა ლანას.

— ჰო, შენთვის... მაგრამ ეს კიდევ არ არის მთავარი... — კოლოფიდან ახლა გასაღებების ასხმულა ამოიღო თამარმა და შვილს გაუწოდა.

— ეს რაღაა? — ასხმულას უხალისოდ დახედა ლანამ და შემდეგ, რუსულად დაუმატა: — „Ключи от дома, где деньги лежат“.

— ნუ მაიმუნობ! — დატუქსა შვილი თამარმა. — ეს შენი ბინის გასაღებია.

— რომელი ჩემი ბინის? — დაიბნა ლანა. — რაებს იგონებ? ჩემი ბინა რომ მქონდეს, აქ რა გამაჩერებდა?!. ის კი არა და, შენც მაშინვე მოგკიდებდი ხელს და...

— ნუ ხარ სულსწრაფი! — გააწყვეტინა თამარმა. — დაწყნარდი და კარგად მომისმინე!.. ეთერ იაკობაშვილი ხომ გახსოვს, ჩემი სკოლის მეგობარი?..

— როგორ არ მახსოვს?! ისრაელში რომ წავიდა საცხოვრებლად და თავისი ბინა შენ დაგიტოვა მისახედად...

— ისიც ხომ გახსოვს, ის ბინა სამი წლის წინ რომ გაიყიდა?..

— მაგას რა დამავიწყებს?! ბინა ბინად და ახლა ავეჯს და ჭურჭელს აღარ იკითხავდი?!. რამდენი გეჩიჩინეთ მაშინ შენ და მამაჩემს — ჩვენ ვიყიდოთ, ასეთი ბინა ხელიდან გასაშვები არ არის-მეთქი...

— მერედა, ვინ გითხრა, რომ ხელიდან გავუშვით?..

— რაო? — გონება უცბად გაუნათდა ლანას. — იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ?..

— სწორედაც! — დაუდასტურა თამარმა. — ახლა ის ბინა შენია. აიღე გასაღები და შენი ხმა აღარ გავიგონო!

— ღმერთო, რა ბედნიერებაა! — ასხმულა გულში ჩაიხუტა ლანამ. შემდეგ, თამარს გადაეხვია და კოცნა დაუწყო: — დედა, დედიკო!.. შენ კიდევ ვერ ხვდები, როგორ გამაბედნიერე!

— გაგაბედნიერე კი არა, საბოლოოდ დაგღუპე! — ამოიოხრა თამარმა. — ამის შემდეგ ხომ გათხოვებაზე საერთოდ აღარ იფიქრებ...

— ვიფიქრებ, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ერთ სურვილს კიდევ შემისრულებ, — პატარა ბავშვივით დაარწია თამარი შვილმა.

— რა სურვილს? — უნდოდ ჰკითხა თამარმა. — კიდევ რა საძაგლობა მოიფიქრე?!

— შენც ჩემთან უნდა გადმოხვიდე.

— არც იფიქრო! — შვილის ხელებიდან თავი სასწრაფოდ გაითავისუფლა თამარმა. — ჩემი ადგილი აქ არის, ჩემი შვილის — რეზიკოს გვერდით!

— მე ვისი შვილი ვარ, მეზობლის?

— შენც ჩემი შვილი ხარ, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა თამარმა.

— რა მაგრამ, რა?! — ხმას აუწია ლანამ. — გინდა, მაინცდამაინც შენს ტუტუც რძალს გაახეთქვინო გული?!.

— ტუტუცია თუ ბრიყვი, მაინც ჩემი ერთადერთი ვაჟის კანონიერი მეუღლე და ერთადერთი შვილიშვილის — ჩვენი გვარის გამგრძელებლის დედაა, აბა!.. — ხმაში პათეტიკა გამოურია თამარმა.

— მერე, მე?.. — ახლა მართლა იტკიცა ლანამ. — მე სულ არავისი და არაფერი ვარ?!

— როგორ არა ხარ, შვილო?! — დაუყვავა ლანას თამარმა. — მაგრამ ქალიშვილის ხვედრი სულ სხვაა. ის მშობლების სახლში მხოლოდ სტუმარია, ბუდეს კი, სულ სხვაგან იკეთებს და სხვის შვილებსაც ზრდის...

— კარგი, რა, დედა, განათლებული, გონიერი ქალი მგონიხარ და ჩამორჩენილივით მსჯელობ: ჩვენი გვარის გამგრძელებელიო, სხვისი ბუდის გამკეთებელიო...

— რას გეტყვი იცი?.. — გააწყვეტინა თამარმა. — მოვრჩეთ ამ თემაზე ლაპარაკს! ახლა მაინც ვერაფერს გაიგებ!

— აბა, როდის გავიგებ?

— საკუთარი ქმარ-შვილი რომ გეყოლება, მაშინ, — სამკაულები ყუთში ჩაუწყო შვილს თამარმა. — ახლა კი, მოჰკიდე ამ ყველაფერს ხელი, მშვიდობაში მოიხმარე და ისიც არ დაგავიწყდეს, რომ ეს მამაშენის უკანასკნელი საჩუქარია და საგანგებო მოფრთხილება უნდა!.. როგორ

მთხოვა, ცხონებულმა — სანამ არ გათხოვდება, ბინის ამბავი არ გააგებინოო, — მაგრამ რა ვქნა?.. შენ და შენს ძმას მართლა ერთმანეთს ხომ არ დაგაჭმევინებთ!.. მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა?! მაკამ და რეზიკომ არაფერი უნდა გაიგონ, იცოდე!..

— რანაირად? — გაუკვირდა ლანას. — ახალ ბინაში რომ გადავალ, არ იკითხავენ, საიდანო?

— ვეტყვი, ჩემმა მეგობარმა დროებით დაუთმო-მეთქი.

— კარგი, უთხარი. მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ მაინც გაიგებენ სიმართლეს...

— მანამდე, კიდევ რამეს მოვიფიქრებ...

ახალ ბინაში ლანა მალევე გადავიდა. გადასვლის დღეს, თამარმა პატარა სუფრა გაუწყო. სუფრასთან მაკა და რეზო სიხარულს ვეღარ ფარავდნენ. ლანა ორივემ გულითადად ადღეგრძელა და გზა დაულოცა. ბაბუის მოსახელე, პატარა ირაკლი კი, მამიდის კალთიდან აღარ ჩამოდიოდა და ყურში გაუთავებლად ჩასჩურჩულებდა: „მეც წამიკვანე, ლა...“ მხოლოდ თამარი ვეღარ იკავებდა ცრემლს და ამიტომაც, შვილს თვალს ჯიუტად არიდებდა...

თავიდან, ლანას ძალიან გაუჭირდა მარტო ცხოვრება. მერე, ნელ-ნელა, მეპატრონისა და დიასახლისის როლშიც შევიდა, მეზობლები გაიცნო, მეგობრები და თანამშრომლები შინ რამდენჯერმე მიიპატიჟა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თამარიც ხშირად აკითხავდა შვილს, მაგრამ მასთან გადასვლას მაინც ძველებურად უარობდა. ლანამ დედას გასაღების დუბლიკატები დაუმზადა, რძლისგან გულნატკენი თამარიც შვილის სახლს ხშირად, მისი არყოფნის დროსაც აფარებდა თავს და გულს მარტო იოხებდა. მერე სახლს დაალაგებდა, საღილს მოუმზადებდა და წასვლის წინ, მაგიდაზე წერილსაც ტოვებდა, სადაც ლანას უწინდებურად ჭკუას არიგებდა. ერთი-ორჯერ ლანას, რეზო და მაკაც ესტუმრნენ და ხაზგასმული თავაზიანობითა და სითბოთიც კი მოიკითხეს. ამან თამარი არნახულად გაახარა, ლანას კი, ცინიკური ხუმრობის კიდევ ერთი საბაბი მისცა. თუმცა, გულში მანაც აღიარა, რომ ასე იყო თუ ისე, ძმის ოჯახთან ურთიერთობა მაინც მოუწესრიგდა...

ლანას სამსახურშიც ერთგვარი „დათბობის“ პერიოდი დაუდგა. დავით არჩვაძის წაქეზებით გაკეთებული პირველი სერიოზული ოპერაციის შემდეგ, კიდევ რამდენიმე ასეთი ოპერაციის ჩატარება მიანდვეს. შემდეგ, არჩვაძე საზღვარგარეთ ლექციების წასაკითხად მიიწვიეს და მისი „ჩრდილიდან“ თავდაღწეულმა ამირან ჩხიკვიშვილმა მაშინვე ფრთები გაშალა და ყველა რთული ოპერაციის გაკეთებაც თავად გაიპიროვნა, ხოლო ლანასა და სხვა ქირურგებს ასისტენტობასაც კი ამადლიდა. ამ ფაქტმა, ცხადია, ყველა და განსაკუთრებით, ლანა გააღიზიანა. ჩხიკვიშვილი ხომ მას ხშირად, სრულ იგნორირებას უწევდა. მოთმინებით აღჭურვილ ლანას ბოლო ძაფი მაშინ გაუწყდა, როცა ჩხიკვიშვილის მიერ ნაოპერაციები რამდენიმე ადამიანი ხელახლა გასაჭრელი გახდა, ერთ-ერთი კი, გარდაიცვალა კიდეც.

ამ ფაქტით აღშფოთებული ლანა მთავარ ექიმს კაბინეტში შეუვარდა და ყველაფერი, რასაც მასზე, როგორც ქირურგსა და ხელმძღვანელზე ფიქრობდა, პირწმინდად გადმოულაგა. პასუხად ამირან ჩხიკვიშვილმა კაბინეტში ფრთხილი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა, შემდეგ, მაგიდას მიუჯდა, ფანჯარაში სივრცეს გახედა და ლანასკენ არც კი შემობრუნებულა, ისე ჰკითხა:

— ქალბატონო ლანა, არ გეჩვენებათ, რომ მთლად დაუკრეფავში გადახვედით?..

— დაუკრეფავში კარგა ხანია, თავადვე ხარ გადასული! — ჟარგონზე ჟარგონითვე უპასუხა ლანამ.

— მართლა?! — ქედმაღლურად გადმოხედა მას ჩხიკვიშვილმა. — დავუშვათ, ასეცაა, მერე?.. რას მიზამთ?.. მიჩივლებთ?..

— თუ სხვა გზას არ დამიტოვებთ, შეიძლება, გიჩივლთო კიდეც! — გულახდილად უპასუხა ლანამ.

— კარგი, ერთი. მაინც — ვისთან?

— თუნდაც, ქალაქის ჯანდაცვაში..

— მერე არ იცი, რომ იქ ყველა, ჩემი ძმაკაცია?!. ან იქნებ, მთლად მინისტრთან აპირებთ შესვლას?.. თუ ასეა, არც ის დაგავიწყდეთ, რომ მარტო მინისტრთან კი არა, მთლად თამაზ მიხაილოვიჩთანაც კი „ჩახუტებული“ ვარ...

— ვისთან? — ჩაეკითხა ლანა. — მე ასეთს არავის ვიცნობ!

— პრეზიდენტის მამაზე მოგახსენებთ. იმედია, ის მაინც იცით, რომ ჩვენი პრეზიდენტის მამა საკმაოდ ცნობილი და დაფასებული ექიმია.

— მერე?

— მერე ის, ქალბატონო ლანა, რომ მე ამ საავადმყოფოში შემთხვევით არ მოვხვედრილვარ და არც ამ სავარძელში ვზივარ შემთხვევით... რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ადრე აქ მამათქვენი იყო უფროსი და ისიც მესმის, რომ თქვენთვის ძნელია, მის ადგილზე სხვისი ყურება, მაგრამ რას იზამთ?.. აკი, ამას წინათაც გითხართით — ეს ცხოვრება კიბეა: ზოგი ადის და ზოგიც — ჩადის-მეთქი...

— გამოდის, რომ არათუ არ მალავთ, ამაყობთ კიდეც იმით, რომ ამხელა საავადმყოფოს ხელმძღვანელად, ნიჭის, პროფესიონალიზმისა და დამსახურების გამო კი არა — პროტექციით დაგნიშნეს!

— პროტექციით კი არა, ქალბატონო ლანა, საგანგებო შერჩევის შემდეგ... დიახ... ვარდების რევოლუციის დროს, თქვენ და თქვენისთანები შინ თბილად რომ იყავით მოკალათებული და სეირს ტელევიზორში უყურებდით, მე ბარიკადებზე, წინა რიგებში ვიდექი. კაცმა არ იცის, რა მომივიდოდა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო და იმ დამყაყებულ ხელისუფლებას იარაღი გამოეყენებინა...

— პირველად ვნანობ, რომ არ გამოიყენა... — კბილებში გამოცრა წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულმა ლანამ და კაბინეტის კარი გაიჯახუნა...

მეორე დღეს, საავადმყოფოში მისულ ლანას, დიდი და პატარა, კეთროვანივით უვლიდა გვერდს, გამონაკლისი სულ რამდენიმე ადამიანი თუ აღმოჩნდა, მათ შორის — გიზო ვაშაკიძე.

— დღეს დილით, კონფერენციაზე რატომ არ მოხვედი? — დანახვისთანავე ეცა გიზო ლანას.

— ძალიანაც კარგად იცი, რატომ არ მოვედი, — გულგრილად უპასუხა ლანამ.

— ვიცი რომელია!.. უკვე მთელი საავადმყოფო შენზე ლაპარაკობს. არა, მაინც რა გეცა? რა ბზიკმა გიკბინა, რომ...

— ძალიან გთხოვ... — შეაჩერა გიზო ლანამ. — აღარ გააგრძელო! მძიმე ავადმყოფი მელოდება.

— რომელი მძიმე ავადმყოფი, გოგო?!. იცი, რომ ჩხიკვიშვილმა ბრძანება უკვე დაწერა?!

— რა ბრძანება? — გაუკვირდა ლანას.

— შენი მოხსნის ბრძანება.

— კი, მაგრამ რის საფუძველზე? — ფერი ეცვალა ლანას.

— დღეს კაცს თანამშრომლის მოხსნა უნდოდეს და საფუძველს ვერ მოძებნის?.. თანაც შენც საბაბს არ აძლევ თუ რა?! — კონფერენციებზე აღარ დადიხარ, მთავარი ექიმის ბრძანებებს კი, საერთოდ ფეხზე იკიდებ...

— მე იდიოტურ ბრძანებებს არ ვასრულებ!

— ცოტა ხმადაბლა!.. — თავადაც ხმას დაუწია გიზომ. — დაგავიწყდა, რომ აქ კედლებსაც ყურები აქვს?! ხომ გაგიგონია — დათვი რომ მოგერევა, ბაბა უნდა დაუძახოო... თუ ისევ მამაშენი გგონია აქ უფროსი?.. ის დრო წავიდა...

— ჰოდა, მეც წავალ! — გადაწყვეტილება უცბად მიიღო ლანამ. — ყველას ჯანდაბამდე გზა გქონიათ!

— ა, უყურე ახლა ამას!.. — დოინჯი შემოიყარა გიზომ. — მე რაღას მერჩი, გოგო?

— შენც ჩხიკვიშვილის კუდი არ ხარ?!.

— ვიყავი, მაგრამ მალე, აღარ ვიქნები. იმიტომ, რომ მეც მივდივარ აქედან.

— კარგი ერთი!.. — გაუკვირდა ლანას. — შენც მოგხსნეს?

— როგორ გეკადრება, ქალბატონო!.. მე ჩემი პირადი განცხადებით მივდივარ.

— რას მეუბნები?! თუ საიდუმლო არ არის, საით გაგიწევია?

— კერძო ფარმაცევტულ ფირმაში. ჩემი ძმაკაცი ხსნის დღე-დღეზე...

— სიბერეში ბიზნესმენობა გადაწყვიტე?

— რა დროს ჩემი სიბერეა, გოგო?! არ იცი, რომ კაცი 40 წლის მერეღა იწყებს გაფურჩქვნას?!

— აბა, შენ იცი! — დამცინავად გაეღიმა ლანას. — ოღონდ, ძალიანაც არ გადაიფურჩქნო, თორემ, შეიძლება, „ფურცლები“ დაგცვივდეს... — გზის გაგრძელება დააპირა ლანამ.

— მოიცა! — შეაჩერა ის გიზომ.

— კიდევ რაღა გინდა?

— რა და... — დერეფანში ქურდულად გაიხედ-გამოიხედა გიზომ. — რა შუა გზაში ვართ გამომდგარი?! წამო ჩემთან კაბინეტში და იქ დავილაპარაკოთ.

გაგრძელება იქნება ■

ვოვა გუცაევი
ფეხბურთელი, რომლის შესაძენად «რეალი» არაფერზე იხევდა უკან

დავით ყიფიანის „ვერა ჯრუზი"

მადრიდის „რეალში" მიწვევა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია. არადა, ევროპის ყველაზე ტიტულოვან კლუბში ყოველთვის მხოლოდ მაღალი დონის ოსტატები ასპარეზობდნენ და აღნიშნული ტრადიცია დღემდე გრძელდება. შესაძლოა, საქართველოში ბევრმა არ იცოდეს, რომ ესპანურ სუპერკლუბში თამაშის ყველაზე რეალური შესაძლებლობა თბილისის „დინამოს" ყოფილ ფორვარდს ვლადიმერ გუცაევს ჰქონდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებულმა „რკინის ფარდამ" მას ამის საშუალება არ მისცა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ბატონი ვოვა ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ, შემდეგ — ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა, ხოლო დღესდღეობით, ის ქვეყნის პარლამენტის წევრია, თუმცა, საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის მიუხედავად, ფეხბურთს არ ჩამოშორებია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში მოღვაწეობს.

გიორგი ლანჩავა

სლავა მეტრეველისგან მიღებული მაისური

— ბავშვობაში, ეზოში ფეხბურთს ძალიან კარგად ვთამაშობდი, ხოლო სკოლაში ჩემზე უფროსებს სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში ვჯობნიდი. ამიტომ ფიზკულტურის მასწავლებელმა მძლეოსნობაში ვარჯიშის დაწყება შემომთავაზა. მაგრამ ერთ დღეს, ვიღაცამ ჩვენს უბანში ამბავი მოიტანა, რომ „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში, რომლის დირექტორიც გრიშა გაგუა იყო, ყოველ კვირას, ბავშვებს ფეხბურთს ათამაშებდნენ, რათა ნიჭიერი მოზარდები შეერჩიათ. თან, მწვრთნელებთან ერთად, პატარებს სკოლის უფროსი ასაკის აღსაზრდელებიც აკვირდებოდნენ. მაშინ 11 წლის ვიყავი და უბნიდან 10 ბიჭი გასასინჯად ისე წავედით, რომ მშობლებისთვის არაფერი გვითქვამს. ადგილზე მისვლის შემდეგ, კარში ჩადგომის სურვილი გამოვთქვი, მაგრამ მითხრეს, რომ მეკარეობისთვის სიმაღლე ხელს არ მიწყობდა, ჯობდა, წინ მეთამაშა. სინჯებმა კარგად ჩაიარა და გაგუამ „ნორჩ დინამოელში" დამტოვა. 1969-1970 წლებში, საფეხბურთო სკოლაში ვოვა ელოშვილთან გავაგრძელე ვარჯიში. ამის მიზეზი ის იყო, რომ „ნორჩი დინამოელის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა, რომლის გვარსაც არ დავასახელებ, აიჩემა: ტანად პატარა ხარ და ვინაიდან ახლა სხვა ფეხბურთია, არ გამოდგებიო. ცხადია, იქიდან ნაწყენი წამოვედი, ელოშვილმა კი სიამოვნებით მიმიღო და 1970 წელს, თბილისის „დინამოს" მაშინდელ მწვრთნელთან, გივი ჩოხელთან გამიწია რეკომენდაცია. ამ უკანასკნელმა ჩემი თამაში მეორე მწვრთნელთან, ნიაზ ძიაშპასთან ერთად ნახა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დამიბარა. პირველსავე ვარჯიშის დასრულებისთანავე, „დინამოს" დუბლშემადგენლობაში მოვხვდი, სადაც სრული სეზონი არც მითამაშია. 1971 წლის დასაწყისში, „დინამოს" თავკაცად გავრილ კაჩალინი დანიშნეს, რომელიც ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსს ყოველთვის აძლევდა და გამონაკლისი არც მე გახლდით. კაჩალინმა სეზონის უკანასკნელ 9 მატჩში მომცა მოედანზე გამოსვლის საშუალება და მისი იმედი გავამართლე. ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან" გვქონდა, რომლის სათანდო ანგარიშით დამარცხების შემთხვევაში, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილს ვიკავებდით. თან, ამ მატჩში ფეხბურთიდან აცილებდნენ სლავა მეტრეველს, რომელმაც მინდორზე 3-4 წუთი დაყო და საკუთარი მაისური გადმომცა... თამაში 3:0 მოვიგეთ და „სპარტაკის" მარცხენა მცველი ოლშანსკი, რომელიც მე მიჭერდა, ისეთ დღეში ჩავაგდე, რომ მგონი, მას შემდეგ, თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში აღარც უთამაშია... სხვათა შორის, მანამდე, ანალოგიური რამ მოსკოვის „დინამოს" მცველს, ზიკოვს დავმართე... „სპარტაკთან" გამარჯვებამ ბრინჯაოს მედლები მოგვიტანა, მაგრამ მე არ დავჯილდოებულვარ, რადგან სეზონში მატჩების 50% არ ჩამიტარებია.

„ტვენტე" – იგივე „თვენთი"

— 1972 წელს, თბილისის „დინამომ" თავის ისტორიაში პირველად, უეფას თასზე იასპარეზა, სადაც მეტოქედ ჰოლანდიის „ტვენტე" შეგვხვდა. იმ პერიოდში ჰოლანდიური ფეხბურთი მაღალი რეიტინგით სარგებლობდა, ჩვენი მეტოქეც გამოცდილი გუნდი იყო, რომლის რიგებში, ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელები თამაშობდნენ: „ტვენტეს" შესახებ ფაქტობრივად, არავითარი ინფორმაცია არ გვქონდა და კაჩალინმა თამაშამდე 3-4 დღით ადრე, პრესიდან გაიგო ამ გუნდის თაობაზე ზოგიერთი რამ. მას კლუბის სახელწოდება — „ტვენტე" იგივე ინგლისური „თვენთი" ეგონა და გვითხრა კიდეც: „ვეთამაშებით გუნდს, რომლის სახელიცაა „თვენთი" — ანუ „ოციო". თბილისში შეხვედრა 3:2 მოვიგეთ, მაგრამ სტუმრად „ტვენტემ" დამსახურებულად გვაჯობა 2:0 და შემდეგ ეტაპზე გავიდა. ჩვენი პირველი წარუმატებლობა ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ იმ დროს ნაკლებად გვქონდა ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა ევროპულ ფეხბურთში. დღევანდლისაგან განსხვავებით უცხოური კლუბების თამაშს ტელევიზიით წელიწადში ერთხელ ვუყურებდით და გვეგონა, რომ ისინი „დაფრინავდნენ".

ბრეჟნევის ვეტო და ლობანოვსკი-ბესკოვის არჩევანი

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველად 1972 წელს, მწვრთნელმა ალექსეი პარამონოვმა მიმიწვია და გუნდთან ერთად ორი მატჩი ჩავატარე ჯერ ბულგარეთში, შემდეგ ფინეთში; ორივე ერთნაირი ანგარიშით 1:1 დასრულდა, მაშინ ჩემთან ერთად ნაკრებში რეზო ძოძუაშვილი, გივი ნოდია და მურთაზ ხურცილავა იმყოფებოდნენ. 1974 წლის გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, 1973 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ორი მატჩი უნდა ჩაეტარებინა ჩილეს ეროვნულ გუნდთან. ამ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება ახალი მომხდარი იყო და საბჭოთა მთავრობას დიქტატორ აუგუსტო პინოჩეტთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მოსკოვში ჩატარებული პირველი შეხვედრა, რომელიც 0:0 დასრულდა, ტელევიზიასაც კი არ გადმოუცია. განმეორებითი მატჩის წინ, საბჭოთა სპორტის ჩინოვნიკები კრემლში დაიბარეს და მათ ასპროცენტიანი გარანტია ვერ მისცეს, რომ ჩვენი გუნდი ჩილეში მოიგებდა. ამიტომ ბრეჟნევმა ნაკრებს განმეორებითი შეხვედრის ჩასატარებლად გამგზავრების უფლება არ მისცა, რადგან მაშინდელი იდეოლოგიის თანახმად, სანტიაგოში წარუმატებლობა კომუნიზმის

კრახად ჩაითვლებოდა... შედეგად, მსოფლიო პირველობაზე ჩილელები გაემგზავრნენ. მოსკოვურ მატჩში მხოლოდ პირველი ტაიმი ჩავატარე, ვინაიდან კუნთი დამეჭიმა. საერთოდ, ფეხბურთის თამაში იმ დროს მომიხდა, როდესაც ქვეყნის ნაკრებს უმეტესწილად, ან ვალერი ლობანოვსკი წვრთნიდა, ან კონსტანტინ ბესკოვი. პირველი მათგანი გუნდის თავდასხმის ხაზში უპირატესობას ბლოხინი-ონიშჩენკოს წყვილს ანიჭებდა, მეორე კი — ბლოხინი-ანდრეევისას. მე და დათო ყიფიანს შეკრებაზე კი გვიწვევდნენ, მაგრამ გვაგრძნობინებდნენ, რომ ძირითად შემადგენლობაში ჩვენი ადგილი არ იყო.

ლარნაკი კონსერვატორიის მანდილოსნებისგან

— ჩემ მიერ კარიერაში გატანილ ნებისმიერ გოლს თავისი „რეიტინგი“ აქვს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ევროპის თასების თასის ფინალში იენის „კარლ ცაისის“ კარში გატანილი ბურთია, როდესაც თამაშის დასრულებამდე ბევრი დრო არ რჩებოდა და ანგარიში რომ არ გაგვეთანაბრებინა, შეიძლება, ვერც მოგვეგო. ასევე, მეტისმეტად საჭირო დროს დავლაშქრე „ლივერპულის“, „ვესტ ჰემის“, „ფეინოორდის“, „ჰამბურგის“ კარი. აღსანიშნავია, რომ პრინციპულ მატჩებს გაცილებით კარგად ვთამაშობდი და ხშირ შემთხვევაში, საკუთარ ანგარიშზე გოლიც ჩამიწერია. მახსოვს, დონეცკში, „შახტიორთან“ ჩატარებული საბჭოთა კავშირის თასის ნახევარფინალში გადამწყვეტი ბურთი გავიტანე, რის შედეგადაც ფინალში გავედით. არადა, „შახტიორი“ ამ თამაშისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. რადგან იგი „მაღაროელის დღეს“ ტარდებოდა და დღესასწაული ჩავუმწარე... 1976 წელს, რეკონსტრუირებული „დინამოს“ სტადიონის გახსნის პირველ შეხვედრას უელსის „კარდიფ სიტისთან“ ვატარებდით. თამაშის დაწყებამდე, გასახდელში დაგვიბარეს და ნოდარ ახალკაცმა გვითხრა: ახლა ერთი პიროვნება შემოვა და მას მოუსმინეთო. მართლაც, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაშინდელი რექტორი გვწვია ლამაზი ლარნაკით ხელში, რომელმაც გვითხრა: ეს ლარნაკი კონსერვატორიის მანდილოსნების მიერ დაწესებული პრიზია და მას ის მიიღებს, ვინც მატჩში პირველ გოლს გაიტანსო. მე ვიხუმრე: ამ გოლის გამტანი, ჩემ გარდა არავინაა და ჯობია, ლარნაკი გვერდით დამიდოთ-მეთქი... მართლაც, ისე მოხდა, რომ უელსელებს პირველი ბურთი მე გავუტანე და პრიზიც დავისაკუთრე.

ქართველ ფეხბურთელებში მძლეოსნობის დამნერგავი

— დღეს საქართველოში ფეხბურთელები მძლეოსნობაში რომ ვარჯიშობენ, ეს ტენდენცია ჩემგან წამოვიდა. როდესაც თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში თამაში დავიწყე, 64 კილოგრამს ვიწონიდი და რამდენიმე მატჩის ჩატარების შემდეგ მივხვდი, რომ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ამ წონით ასპარეზობა გამიჭირდებოდა. გადავწყვიტე, წონაში მომემატებინა, მაგრამ ეს კუნთოვანი მასის გაზრდის ხარჯზე უნდა გამეკეთებინა. ამიტომ, მოვნახე მძლეოსნობის მწვრთნელი, სპრინტერი გიგლა კობიაშვილი და მასთან დავიწყე ვარჯიში. ამ პიროვნებასთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე, ლენინის სახელობის დარბაზში, რომლის სიგრძეც 70, ხოლო სიგანე, დაახლოებით 10 მეტრი იყო, 6 თვის განმავლობაში ვვარჯიშობდი. წვრთნა ზოგჯერ დილის 7 საათზე მიწევდა, ზოგჯერ კი — ღამის 11 საათზე. სხვათა შორის, ამავე დარბაზში ვიქტორ სანეევიც ვარჯიშობდა, რომელიც 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა. აღსანიშნავია, რომ სანეევი მწვრთნელის გარეშე ემზადებოდა და მან შემდეგ, ოლიამპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა. მინდა გითხრათ, რომ მაშინ მძლეოსნებს „სისხლი გავუშრე“: ვინც კი დარბაზში სპრინტერი იყო, 30 მეტრზე სირბილში ყველას ვჯობნიდი. მათ ადგილიდან ორი ფეხით ხტომაშიც ვუგებდი, სადაც ჩემი რეკორდი 3 მეტრი და 20 სანტიმეტრი გახლ-

დათ. შენახული მაქვს ნოდარ ახალკაცის მიერ „დინამოში“ ჩატარებული ტესტების შედეგები და გუნდში მყოფ ფეხბურთელთაგან ჩემ მიერ ნაჩვენებ რეზულტატთან ახლოსაც კი ვერავინ მოდიოდა.

„ავტოგენით“ ტრავმირებული

— მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელი, სევიდოვი ჩვენთან შეხვედრის წინ, ჩემს პერსონალურად აყვანას ნოვიკოვს ავალებდა, შენგელიას მეურვეობას — ნიკულინს, ხოლო ყიფიანისას — ტოლსტიხს. ის თავის ფეხბურთელებს პირდაპირ ეუბნებოდა: არც თქვენ ითამაშოთ და არც ისინი ათამაშოთო... დაცვაში მათ აგრეთვე, ბუბნოვი ეხმარებოდა, რომელიც ვითომ მცველი იყო, არადა სინამდვილეში, „ჯალათი“ გახლდათ... ნოვიკოვს გუნდში მეტსახელად „ავტოგენს“ ეძახდნენ, რადგან ვარჯიშზე თანაგუნდელებსაც არ ინდობდა. 1980 წელს, თბილისში მოსკოველებთან დაპირისპირებისას, ნოვიკოვმა ფეხში იმდენი მირტყა, რომ ბოლოს, მოედნიდან გამიტანეს, მაგრამ მსაჯს მცველისთვის ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენებია. თუმცა, 3 დღის შემდეგ, სადისციპლინო კომიტეტმა უხეშობისთვის ნოვიკოვს დისკვალიფიკაცია მისცა, რაც მაშინ საკმაოდ იშვიათად ხდებოდა. როდესაც ექიმმა გამსინჯა, აღმოჩნდა, რომ მუხლი სერიოზულად მქონდა დაზიანებული და ამ ტრავმის მოშუშებას თითქმის 5 თვე მოვანდომე.

„ალოუნადა“, რომელმაც მეტოქე დეპრესიაში ჩააგდო

— ზიკოვისა და ოლშანსკის შემდეგ, მოედანზე ყველაზე მეტად მოსკოვის „დინამოელი“ მახოვიკოვი მყავს გამწარებული. 1979 წელს, ნიკიტა სიმონიანმა საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიმიწვია და შეკრებას იტალიის დაბა კოვერჩანოში გავდიოდით. სიმონიანი კვირაში ორჯერ, კუპერის ტესტს გვაბარებინებდა, რომელიც მე და ბლოხინს არ გვიყვარდა. ამ ტესტის არსი ის არის, რომ ფეხბურთელმა 12 წუთში 3200 მეტრზე უნდა ირბინოს, რაც მოედნის გარშემო 8 წრის ტოლფასია. მახოვიკოვი ტესტს ყოველთვის აბარებდა და როგორც მე, ასევე ბლოხინს 3 წრით გვჯობნიდა. თან, რამდენჯერაც „ჩაგვირბენდა“, ბლოხინი იმდენჯერ კარგად შეუკურთხებდა... შეკრების დასრულების შემდეგ, თბილისის „დინამომ“ სტუმრად ჩაატარა მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“ და ნაკრების კაპიტან, მახოვიკოვს მოედანზე „კლოუნადა“ მოვუწყვე: ბურთს ხან ფეხებს შორის ვუძვრენდი, ხან კიდევ, თავს ზემოთ ვუგდებდი. დიდ ეკრანზეც კი აჩვენეს, ამის შემხედვარე სიმონიანი როგორ „კვდებოდა“ სიცილით... თამაშის შემდეგ, ვალერი გაზაევს ვესტუმრე შინ, სადაც საკმაოდ გვიანობამდე დავყავი. როდესაც იმ სასტუმროში წამოვედი, სადაც „დინამო“ ცხოვრობდა, ღამის 12 საათზე, გაზაევის კარზე ვიღაცას ზარი დაურეკავს. ვალერას მთვრალი, თან, თვალცრემლიანი მახოვიკოვი შერჩენია ხელში, რომელსაც იღლიაში არყის ბოთლი ჰქონია ამოჩრილი. გაზაევს უფიქრია — ეს ან ვიღაცამ სცემა, ან ცოლი გაექცაო და თანაგუნდელი შინ შეუპატიჟებია. თურმე, მახოვიკოვი ზლუქუნებდა და ვალერისთვის უთქვამს, — ნახე, იმან, რა გამიკეთაო?.. გაზაევს გაკვირვებულს უკითხავს — ვინო? — რაზეც მახოვიკოვს უპასუხია — შენმა ამხანაგმა ვალოდიამ, დღეს დინგით მიწა რომ მათხრევინაო... ვალერას პარტნიორი ასე დაუწყნარებია — არა უშავს, შენ არც პირველი ხარ და არც ბოლო იქნებიო.

მადრიდის „რეალის“ სასურველი ფეხბურთელი

— თბილისის „დინამო“ 1981 წელს, მადრიდში ტრადიციულ ოთხთა ტურნირზე მიიწვიეს, რომელიც „რეალის“ ლეგენდარული პრეზიდენტის, სანტიაგო ბერნაბეუს სახელს ატარებდა. აღნიშნულ ასპარეზობაში, ევროტურნირებზე გამარჯვებულ გუნდებთან ერთად, წამყვანი ევროპული საფეხბურთო ჩემპიონატების კლუბები მონაწილეობდნენ. ტურნირზე „დინამომ“, მადრიდის „რეალ-

მა“ მიუნხენის „ბაიერნმა“ და ჰოლანდიის „ალკმაარმა“ მოიყარეს თავი. კენჭისყრის შედეგად, პირველი მატჩი „რეალთან“ უნდა გვეთამაშა, ხოლო „ბაიერნს“ — ჰოლანდიელებთან. მგონი, მასპინძლებმა ეს სპეციალურად გააკეთეს, რადგან, ფინალში „რეალი“-„ბაიერნის“ დაპირისპირების ხილვა უნდოდათ. ქომაგებით გავსებული „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე „რეალის“ წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი გუნდისთვის ძნელია და მატჩის პირველ წუთებში, ცოტას ვნერვიულობდი. მადრიდელთა ერთ-ერთი შეტევისას, ჩვენი მცველის მიერ მოგერიებული ბურთი საკუთარ ნახევარზე მივიღე და ამ დროს, ახალკაცმა და კუტიკაძემ ერთდროულად დამიძახეს: „ვოვა, წადი!“ მართლაც, ბურთიანად დავიძარი, გზად 6 თუ 7 მეტოქეს ავუარე გვერდი, მათ შორის — მეკარესაც, რომელმაც, სანამ დავარტყამდი, წამაქცია. მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტი ზუსტად დაარტყა შენგელიამ... მეორე ტაიმში მარჯვენა ფლანგზე კვლავ რამდენიმე მეტოქეს გავცდი და ჩემი დარტყმის შემდეგ, მეკარის მიერ მოგერიებული ბურთი შენგელიამ შეაგორა კარში. ცხადია, მოვლენათა ასეთი განვითარება სტადიონზე ვერავის წარმოედგინა და მსაჯმა ყველაფერი გააკეთა, რომ მასპინძლებს მოეგოთ. „რეალმა“ ჯერ თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანა გოლი, ხოლო შემდეგ — არბიტრის „მოგონილი“ პენალტიდან. საბოლოოდ, ესპანელებმა 4:2 მოგვიგეს. თამაში რომ დასრულდა, სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები ფეხზე ადგნენ და ტაშით გაგვაცილეს. საღამოს, სასტუმროში ადგილობრივ ავტორიტეტულ ჟურნალისტთა ჯგუფი გვესტუმრა, რომელთაც ჩემთან და შენგელიასთან ინტერვიუს ჩაწერა სურდათ. საუბრის ბოლოს, ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი კითხვა დაგვისვა: მარადონა რომ თბილისის „დინამოში“ გადმოვიდეს, ძირითად შემადგენლობაში მოხვდებაო? მე ვუპასუხე — მარადონა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გახლავთ, მაგრამ მის პოზიციაზე ჩვენთან ყიფიანი თამაშობს და ალბათ, ძირითადში მოხვედრა გაუჭირდება-მეთქი... ამავე ჟურნალისტის შემდეგი ფრაზა ასეთი გახლდათ: მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვემსახურები და ისეთი დაბალანსებული გუნდი, როგორიც „დინამოა“, მხოლოდ 1979 წელს, ბრაზილიის ნაკრები და იოჰან კრუიფის „აიაქსი“ მინახავს... მეორე ჟურნალისტმა მითხრა: „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ასეთ მაღალ დონეზე ალფრედო დი სტეფანოს შემდეგ, თქვენ გარდა, არავის უთამაშიაო. აქვე გეტყვით, რომ „რეალთან“ მატჩისას ტრავმა მიიღო დავით ყიფიანმა, რომელსაც ესპანელი ანხელი იმდენჯერ ეუხეშა, რომ ბოლოს და ბოლოს, წვივის ძვალი გაუბზარა... ტურნირზე მესამე ადგილისთვის მატჩი მიუნხენის „ბაიერნთან“ ჩავატარეთ, რომლის რიგებში იმ დროს, კარლ-ჰაინც რუმენიგე და პაულ ბრაიტნერი გამოდიოდნენ. ისევე, როგორც „რეალთან“ შეხვედრისას, შენგელიამ ანგარიში ჩემ მიერ მოპოვებული პენალტის შემდეგ გახსნა. გერმანელებმა საპასუხო გოლი კი გაგვიტანეს, მაგრამ მალევე, რამაზმა ჩემი გადაცემის შედეგად „დინამო“ დააწინაურა. როდესაც „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა დაინახეს, რომ ვერ მოგვიგებდნენ, უხეშობა დაიწყეს და თან წამდაუწუმ მსაჯთან პრეტენზიას გამოთქვამდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ არბიტრმა თამაში გააჩერა და ბრაიტნერთან ერთად, რუმენიგეს უხმო, რათა მათ თანაგუნდელები დაეწყნარებინათ. ამის შემდეგ, ერთ-ერთ მომენტში, ორთაბრძოლისას, თავაძე მეტოქე ფეხბურთელს შეეჯახა და მსაჯმა ჯარიმა ჩვენს სასარგებლოდ დანიშნა. ამან გერმანელები ისე გააბრაზა, რომ ბრაიტნერ-რუმენიგეს წყვილის ბრძანებით, მათ მინდორი დატოვეს. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც გასახდელში ჩვენც ჩავედით და შხაპი მივიღეთ,

გერმანული კლუბის წარმომადგენლებმა ნოდარ ახალკაცს თამაშის გაგრძელება შესთავაზეს, რაზეც, ცხადია, უარი მიიღეს... ტურნირის დახურვის ცერემონიის დროს, ოთხივე გუნდი მოედნის ცენტრში გაგვამწკრივეს. დირექტორი ესპანურად რას აცხადებდა, ბუნებრივია, არ გვესმოდა. უეცრად, ჩემს გვარს მოვკარი ყური, მაგრამ რეაქცია არ მქონია, რადგან ვერ მივხვდი, რატომ წარმოთქვეს. ამ დროს, თარჯიმანი მოვიდა და ამიხსნა, რომ სტადიონის საპატიო სტუმართა ლოჟაში მეძახდნენ, სადაც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით დამაჯილდოეს. გარდა ამისა, მაშინ „დინამო“ საუკეთესო გუნდად აღიარეს, ხოლო შენგელია ასპარეზობის ბომბარდირი გახდა. საღამოს, სასტუმროში მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი საკუთარ ამალასთან ერთად გვესტუმრა. მათ ნოდარ ახალკაცი და კახი ასათიანი იკითხეს. ესპანელები მაგიდას მიუსხდნენ და ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებს რაღაცას ელაპარაკებოდნენ. ცოტა ხანში, ახალკაცმა დამიძახა და სტუმრები გამაცნო. თან განმიმარტა — „რეალს“ შენი შეძენა სურსო. მე ვუთხარი: ფარსადანოვიჩ, ხომ იცით, ეს წარმოუდგენელია-მეთქი!.. არადა, ესპანელებს ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი ჰქონდათ მოტანილი და ახალკაცს ეუბნებოდნენ: დაასახელეთ თანხა, რამდენადაც ამ ფეხბურთელს აფასებთო, ხოლო პირად კონტრაქტზე მას თავად მოველაპარაკებითო. ბოლოს და ბოლოს, მადრიდელებს ახალკაცმა ბოდიში მოუხადა და განუცხადა, რომ „დინამოში“ არაფერი მაკლდა და ამ კლუბში თამაშით ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მაშინ ესპანელებმა ბატონ ნოდარს ჩემი ივჯარით წაყვანა შესთავაზეს და უთხრეს: სანაცვლოდ, ჩვენს ორ ძლიერ ფეხბურთელს გათხოვებთო, რაზეც ასევე უარი მიიღეს. ამ შემთხვევაში, „რეალის“ ხელმძღვანელობა მზად იყო, სანტილიანასა და ხუანიტოს შელეოდა.

ზონინის ტვინის შერყევა და იაკუშინის ლოთობა

— ფეხბურთის თამაშს 1986 წელს დავანებე თავი და რესპუბლიკის სპორტკომიტეტში ფეხბურთის სამმართველოს უფროსად დამნიშნეს. ერთი წლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გურამ ენუქიძემ დამიბარა, რომელიც „დინამოს“ კურირებდა და კლუბში გუნდის უფროსის თანამდებობა შემომთავაზა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდით. იმ დროს, „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად გერმან ზონინი მუშაობდა, რომელიც მაღალი დონის სპეციალისტი არ იყო, მაგრამ გამოცდილება ჰქონდა და იმდენი შეძლო, რომ გუნდს უმაღლესი ლიგიდან გავარდნა აღარ ემუქრებოდა. მაგრამ მალე ისეთი პერიოდი დადგა, რომ ფეხბურთელებს მისი აღარ სჯეროდათ და ზონინს „დინამო“ უნდა დაეტოვებინა. თუმცა, ცენტრალურ კომიტეტში ვერ გამონახეს მიზეზი, რომელიც კლუბიდან მისი გაშვების საფუძველი გახდებოდა. ერთ-ერთ ვარჯიშზე, მალხაზ არზიანმა, რომელსაც ძლიერი დარტყმა ჰქონდა, შემთხვევით ბურთი ყურში მოარტყა მწვრთნელს და ზონინი ტვინის შერყევის დიაგნოზით საავადმყოფოში დააწვინეს. ცხადია, ცეკაში „დინამოდან“ მისი გათავისუფლების საბაბი მიეცათ და მწვრთნელს ექიმი მიუგზავნეს, რომელმაც ზონინს უთხრა — თქვენი მუშაობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, აღარ შეიძლებაო. ისიც მიხვდა, რომ წასვლის დრო იყო და წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. რადგან „დინამოში“ მომუშავე არაქართველ მწვრთნელებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე გეტყვით: როდესაც მიხაილ იაკუშინი უკანასკნელად თავკაცობდა გუნდს, ლოთობის გამო კვირაობით ვარჯიშზე არ გვინახავს. იაკუშინი დიღმის მასივში თავის ერთოთახიან ბინაში არყის ბოთლებიანად ჩაიკეტებოდა ხოლმე და კარს მხოლოდ ნოდარ ახალკაცს უღებდა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მას სმას უშლიდა, ცოლი გახლდათ, მაგრამ ის თბილისში დიდხანს ვერ ჩერდებოდა და როგორც კი წავიდოდა, იაკუშინს „ზაპოი“ ეწყებოდა. ერთხელ, კიევში გვქონდა თამაში და იგი ისე დათვრა, რომ სტადიონზე ვერ წამოვიდა... ბოლოს, იაკუშინი „დინამოდან“ მას შემდეგ გაუშვეს, რაც გუნდის ვარჯიშზე მთვრალი მოვიდა და კარის ძელთან წამოწოლილი ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა მინდორზე.

„ყიდვა-გაყიდვის" დამნერგავი ლობანოვსკი და ემეცი

— სანამ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" გადმოვიდოდა, რომელსაც ემეცი წვრთნიდა და ვიდრე კიევის „დინამოს" ვალერი ლობანოვსკი ჩაუდგებოდა სათავეში, მატჩების ყიდვა-გაყიდვაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. მახსოვს, რომ 60-იანი წლების ბოლოს, ქუთაისის „ტორპედო" პირველ ლიგაში ვარდებოდა და თბილისის „დინამომ" ქუთაისელებს თამაში დაუთმო. მაშინ ამის გამო „დინამოელები" ცეკაში დაიბარეს და ლამის ტყავი გააძვრეს. თავის დროზე, ალმა-ათის „ქაიარათს" უმაღლესი ლიგის დატოვების საშიშროება ემუქრებოდა და ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი თბილისში ჩვენთან უნდა ჩაეტარებინა, რომლის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, ყაზახური კლუბი ლიგაში ადგილს შეინარჩუნებდა. თამაშის წინადღეს, „ქაირათის" ფეხბურთელებმა ფრეს სანაცვლოდ თანხა შემოგვთავაზეს, რაზეც ცივი უარი მიიღეს და მეორე დღეს, ალმა-ათელებს 4:0 მოვუგეთ. ლობანოვსკიმ და ემეცმა კი ერთგვარი ალიანსი ჩამოაყალიბეს, რომლითაც საბჭოთა ფეხბურთში „აღებ-მიცემობა" დანერგეს. ასე ჩაეყარა საფუძველი სიბინძურეს, რასაც თამაშების ყიდვა ჰქვია. მაგალითად, კიევის „დინამო" სტუმრად ყველა გუნდს ფრეს სთავაზობდა, რაშიც ფულსაც იხდიდა, ხოლო უკრაინის ნებისმიერი კლუბი ვალდებული იყო, კიევში თამაში წაეგო. ამ ავანტიურაში არ იყვნენ გარეული თბილისის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი", რომელსაც კონსტანტინ ბესკოვი წვრთნიდა. ჩვენ სტუმრადაც და შინაც კიეველებს ყოველთვის ნაღდ ბრძოლას ვუმართავდით. ფულზე არ იყიდებოდა აგრთვე ის გუნდები, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში ედუარდ მალოფეევი წვრთნიდა. მიუხედავად ამისა, ახლა ამბობენ, რომ ჩემი თაობის „დინამოს" „ჩაწყობილი" მატჩები მაინც უთამაშია, მაგრამ ეს თავად ფეხბურთელებმა არ იცოდნენ. მაშინ ტოტალიზატორები ლეგალურად არ ფუნქციონირებდნენ, არსებობდა ე.წ. „შავი ტოტალიზატორი" და გარკვეული პირები „დინამოს" მოტოქეებს „ყიდულობდნენ", რათა მათ თამაში წაეგოთ. ისინი ასეთ ნაბიჯს იმიტომ დგამდნენ, რომ სხვა აზარტული მოთამაშისთვის სანაძლეო მოეგოთ, რადგან ფული „დინამოს" გამარჯვებაზე ჰქონდათ დადებული. მართლაც, კარიერის დასრულების შემდეგ, დამისახელეს რამდენიმე მატჩი, სადაც გვეგონა, რომ მოედანზე „დავფრინავდით", მაგრამ ისინი წინასწარ „გაყიდული" ყოფილა.

უმიზეზოდ დაპატიმრებული ყიფიანი

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოდან ჩემი წასვლის მიზეზი, ქართულ-ოსური კონფლიქტი გახლდათ. მე უფლება არ მქონდა, რომელიმე მხარეს დავმდგარიყავი და ამიტომ, გარიდება ვარჩიე. მაშინ კვიპროსზე გავემგზავრე, ცნობილი რუმინელი მწვრთნელის ანგელ იორდანესკუს მიწვევით, რომელიც ფამაგუსტას „ანორთოსისს" წვრთნიდა. იორდანესკუ, თავის დროზე, მოსკოვში გავიცანი და მან თავის გუნდში მეორე მწვრთნელობა შემომთავაზა. იმ პერიოდში, თბილისიდან დავით ყიფიანმა დამირეკა და მთხოვა, მისთვის სამუშაოდ რომელიმე გუნდი მომეძებნა. ვიცოდი, რომ ნიქოზიის „ოლიმპიაკოსი" უმწვრთნელოდ გახლდათ დარჩენილი და ამ კლუბის პრეზიდენტს ყიფიანის კანდიდატურა შევთავაზე, რასაც ის დათანხმდა. მაშინ კვიპროსზე რუსების მოზღვავება იყო და ბევრი მათგანი საღამოს ერთ-ერთ ადგილობრივ რესტორანში იკრიბებოდა, სადაც დათოც ხშირად დადიოდა. ერთ დღეს, ამ რესტორანს კვიპროსულმა პოლიციამ ალყა შემოარტყა და ვინც შიგნით იმყოფებოდა, ვითარების გასარკვევად, ყველა განყოფილებაში წაიყვანა. დაკავებულთა შორის ყიფიანიც აღმოჩნდა, რომელიც მეორე დღესვე გაათავისუფლეს, რადგან საქმეში „ოლიმპიაკოსის" პრეზიდენტი ჩაერია და პოლიციელებს განუმარტა, თუ ვინ იყო დათო. როგორც შემდეგ გაირკვა, რუსების ერთ-ერთი დაჯგუფება, რომელიც ამ რესტორანს სტუმრობდა, კვიპროსელ ბიზნესმენს ავიწროებდა და ამ უკანასკნელმაც დასახმარებლად პოლიციას მიმართა. ასე რომ, ყიფიანის დაკავება გაურკვევლობის ბრალი გახლდათ.

„ვერა ჯრუზი" და „No parking"

— როდესაც მოსკოვში სათამაშოდ ჩავდიოდით, მატჩამდე ქალაქში გართობის მიზნით რომ არ გავსულიყავით, ნოდარ ახალკაცს საქართველოს წარმომადგენლობაში ამერიკული ფილმების სანახავად დავყავდით, თან, მათ სათარგმნად სპეციალურად თარჯიმანს იწვევდა. გუნდში მიღებული წესის თანახმად, საკმაოდ პატარა დარბაზის წინა რიგში ახალგაზრდა ფეხბურთელები სხდებოდნენ, უკან კი — გამოცდილები. მე და დათო ყიფიანს გვერდიგვერდ გვიწევდა ჯდომა და ვინაიდან დათო ყველაფრის ცოდნაზე თავს დებდა, ერთხელაც შეეცადა, ფილმი ჩემთვის თარჯიმანზე ადრე გადაეთარგმნა. მართლაც, ფილმი რომ დაიწყო და ტიტრები დაიწერა, ყიფიანიც თარჯიმნობას შეუდგა და თან დროდადრო მეუბნება — „აუ, ეს, იცი, რა მსახიობია! აუ, იმან შარშან „ოსკარი" აიღო!" — და ა.შ. უეცრად, ეკრანზე წითელი ასოებით დაიწერა — „ვერა კრუზი". დათომ მაშინვე ამიხსნა: „ეს, იცი, რა ქალია? შარშან „მის ამერიკა" გახდა!" ამ დროს, მესმის თარჯიმნის ხმა: „ვერა კრუზი — ეს არის ქალაქი მექსიკის საზღვარზე". ამის გაგონებაზე, ისეთი სიცილი ამიტყდა, რომ ფილმის ჩვენება შეწყვიტეს და დარბაზში სინათლე აანთეს, რათა გაეგოთ, თუ რა მაცინებდა. როდესაც ყველაფერი მოვყევი, მთელი გუნდი სიცილით დაიხოცა და ფილმი აღარავის ახსოვდა. შემდეგ, ფეხბურთელები დათოს ეხუმრებოდნენ კიდეც: „დავიდ დავიდიჩ, ვერა კრუზი ხომ მაგარი ქალია?!" ერთხელ სევილიაში ვიყავით ტურნიზე და ქალაქგარეთ მდებარე სასტუმროში დაგვაბინავეს, რომელსაც მშვენიერი საცურაო აუზი ჰქონდა. ჩვენ გარდა ტურნირში ესპანური „სევილია", ჰოლანდიის „ამსტერდამი" და კიდევ რომელიღაც ადგილობრივი გუნდი მონაწილეობდა. დილით მოთელვა რომ ჩავატარეთ. აუზში ბანაობა გადავწყვიტეთ. აუზს წინ დიდი ასოებით ეწერა: „No parking".ვერ მივხვდით, ეს რას ნიშნავდა და მაშინვე ყიფიანს დავუძახეთ, რომელიც გაგვეხუმრა და წარწერა ასე გადაგვითარგმნა: ამ აუზში შავკანიანების ჩასვლა არ შეიძლებაო. აუზში ცოტა ხნის ჩასულები ვიყავით, როცა „სევილიის" სამი შავკანიანი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომელთაც ასევე ბანაობა ჰქონდათ გადაწყვეტილი და ტანსაცმლის გახდას შეუდგნენ. ამის შემხედვარე, წყლიდან დავიწყეთ ძახილი: „No parking" — თან სევილიელებს ხელით ვაჩვენებდით, რომ აუზში არ ჩამოსულიყვნენ. ბუნებრივია, მათ ვერ გაიგეს, რას ვითხოვდით და წყალში ჩახტნენ, რამაც ყველა აღგვაშფოთა და აუზიდან გაბრაზებულები ამოვედით. თუმცა შემდეგ, როდესაც დათომ განგვიმარტა, რომ ეს ინგლისური წარწერა აუზთან ავტომანქანების გაჩერებას კრძალავდა, საკუთარ თავზე გვეცინებოდა.

ნაკრების თავკაცი და გაუგებრობები ლეგიონერებთან

— როდესაც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი, ალბათ კარგად გახსოვთ, ჩემსა და რამდენიმე ფეხბურთელს შორის გაუგებრობა მოხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩემი აზრით, სპორტსმენს ღამის 11 საათზე უნდა სძინებოდა, ხოლო ის მოთამაშეები, რომლებიც საზღვარგარეთ გამოდიოდნენ და თავი პროფესიონალებად მიაჩნდათ, სხვაგვარად ფიქრობდნენ. მაგალითად, ისინი თვლიდნენ, რომ შეეძლოთ მთელი ღამე კაზინოში გაეტარებინათ, როდესაც ეროვნული გუნდი შეკრებაზე იმყოფებოდა. ცხადია, ამას ვერ შევეგუებოდი. რაც შეეხება თემურ ქეცბაიას, ალბანელებთან მატჩში მის მაგივრად მოედანზე არჩილ არველაძე გამოვიყვანე, რომელმაც გოლი გაიტანა, მაგრამ ამ ცვლილებამ თემური გაანაწყენა და ნაკრებში ჩემი ხელმძღვანელობით თამაშზე უარი თქვა. ალბათ, თემურს ეს ახალგაზრდა ასაკის გამო მოუვიდა, თორემ, იგი ჩემი უფროსი ვაჟის ნათლიაა და თავის დროზე, „ანორთოსისშიც" მე წავიყვანე. მოგეხსენებათ, ქეცბაია წარმოშობით გალელია და აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, მისი ოჯახი 5 წლის განმავლობაში ჩემი მშობლების ბინაში ცხოვრობდა. ასევე გეტყვით, რომ კახი ცხადაძის ბრალდება ჩემ მიმართ, საქართველოს ნაკრებში მისთვის დაბრკოლების შექმნის შესახებ აბსურდულია. ნაკრებში მუშაობის პერიოდში, ცხადაძეს მუხლის ტრავმა აწუხებდა და ფაქტობრივად, ფეხბურთს ჩამოშორებული იყო. სხვათა შორის, ვლადიკავკაზის „ალანიიდან" ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში" მისი გადასვლა ჩემი დამსახურებაა. ვალერი გაზაევი, რომელიც მაშინ „ალანიას" წვრთნიდა, ცხადაძეს სატრანსფერო ფურცელს არ აძლევდა, რადგან ინგლისელები ოსურ კლუბს მიუღებელ პირობას სთავაზობდნენ. კახამ დახმარებისთვის მე მომმართა, რის შემდეგაც, გაზაევს ვთხოვე, რომ ჩემი ხათრით მიეცა მისთვის მანჩესტერში კარიერის გაგრძელების საშუალება. ვალერი დათანხმდა და ინგლისში სატრანსფერო ფურცელი მეორე დღესვე გაგზავნა. ■

Porsche-ს ნათელი მომავალი



იმ დროს, როცა ბევრი სხვა საავტომობილო კომპანია თავისი პერსონალის შემცირებას ახორციელებს, ფირმა „პორშე“ 2010 წლამდე ყველა თანამშრომლის ხელშეუხებლობის გარანტიას იძლევა. ამის შედეგად, კომპანიის 8300 მუშა-მოსამსახურე მომავალს ოპტიმიზმით შეჰყურებს. ამჟამად, „პორშე“ 4 საწარმოს მფლობელია. ისინი განთავსებულია: შტუტგარტში, ლუდვიგსბურგში, ვეისახსა და ლაიფციგში (ამ ქალაქში სრულიად ახალი ქარხანა აშენდა). ამ ცოტა ხნის წინ, ფირმის ხელმძღვანელობამ განაცხადა აგრეთვე, რომ უახლოეს 5 წელიწადში, კომპანიის საწარმოო ბაზის მოდერნიზებასა და განვითარებაში სულ 600 მლნ ევროს ინვესტირება განხორციელდება.

„პორშეს“ სათავო საწარმო, შტუტგარტ-ცუფენჰაუზენი გახლავთ, სადაც 4800 მუშა-მოსამსახურე შრომობს. ის ძირითადად, 911-ე მოდელის ოჯახის სპორტულ ავტომობილებს უშვებს. ვეისახში განთავსებულია საკონსტრუქტორო და კვლევითი ცენტრები, სადაც 2800 კაცია დასაქმებული. მის განვითარებას 250 მლნ ევროზე მეტი მოხმარდება. ლუდვიგსბურგში სათადარიგო ნაწილების საწყობია, ხოლო ლაიფციგში, ჯიპის — Cayenne და სპორტული მანქანის — Carrera — აწყობა ხდება. ხუთწლიან საინვესტიციო პროგრამაში დასახელებული ვეებერთელა თანხის ჩადება სავსებით მოტივირებულია: „პორშეს“ მანქანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მზარდი მოთხოვნით სარგებლობს. აშშ-შიც კი, სადაც ევროს მაღალი კურსის გამო, გერმანული კომპანიები სერიოზულ სიძნელეებს აწყდებიან, „პორშეს“ პრობლემები არ აქვს.

სავარაუდოა, რომ კომპანიის პოზიციები კიდევ უფრო გამყარდება ახალი, ოთხადგილიანი სპორტული კუპეს — Panamera — წყალობით, რომლის პროექტი გასულ ზაფხულს დაამტკიცეს. მანქანის გაყიდვა 2009 წლისთვისაა დაგეგმილი, ამ პროექტის ინვესტირება კი, საერთო ჯამში, მილიარდამდე ევრო დაჯდება. ■

„ჯიბის“ Hummer – საგანგებოდ ევროპისთვის

ევროპის ბაზარზე უკვე იყიდება ამერიკული ყველგანმავალი — Hummer H3, რომელიც ამ მანქანების ოჯახში ყველაზე კომპაქტური გახლავთ. მისი მონაცემებია: სიგრძე — 4,74 მ, სიმაღლე — 1,89 მ, სიგანე — 1,90 მ, მასა — 2,1 ტონა. სალონი ხუთადგილიანია, საბარგულის მოცულობა — 835 ლ, ხოლო უკანა სავარძლების დაკეცვისას — 1577 ლ-ს აღწევს. H3 აღჭურვილია ხუთცილინდრიანი, 3,5 ლ მოცულობის ბენზინის ძრავათი, რომლის სიმძლავრე 220 ცხ.ძ-ს შეადგენს. ჯიპის მაქსიმალური სიჩქარე 158 კმ/სთ-ია. 2008 წლისთვის, დიზელისძრავიანი Hummer H3-იც გამოვა. მანქანის მინიმალური ფასი 39.990 ევროს შეადგენს. საბაზო კომპლექტაციაში შედის: უსაფრთხოების 2 ბალიში, კონდიციონერი, მინების ელექტროამწეები და ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქები. ე.წ. ტოპვერსია — Executive 49.990 ევრო ღირს. ■

Cherokee-ს დიზელი გაუჩნდა

ცნობილი მარკის ყველგანმავალი — Jeep Grand Cherokee ახლა უკვე დიზელის ძრავათიც გამოდის. კომპაქტური და მსუბუქი აგრეგატი — 3.0 CRD — ახალი თაობის ძრავას წარმოადგენს. მან შეცვალა ხუთცილინდრიანი დიზელი — 2.7 CRD, რომელსაც სიმძლავრით 33%-ით სჯობნის და უზრუნველყოფს, როგორც ადგილიდან გარბენის მნიშვნელოვან აჩქარებას, ასევე საშუალო გადაცემებზე სიჩქარის მომატებასა და მაქსიმალური სიჩქარის მაღალ მაჩვენებელს. მისი სიმძლავრე 218 ცხ.ძ-ს შეადგენს. კომპანია „ბოშის“ მიერ შემუშავებული, მაღალწნევიანი შეშხეფების სისტემის, ცვლადი გეომეტრიის მქონე ტურბოკომპრესორისა და თითოეულ ცილინდრზე 4 სარქველის წყალობით, ახალი დიზელი სრულად უპასუხებს Euro 4-ის სისტემის მკაცრ ეკოლოგიურ მოთხოვნებს. დიზელისძრავიანი Jeep Grand Cherokee 2 კომპლექტაციით იყიდება და სტანდარტული აღჭურვილობის გარდა, სავარძლების გამათბობლები, სიგნალიზაცია და 6-დისკიანი ჩეინჯერის მქონე აუდიოსისტემა ახლავს თან. ■

JEEP GRAND CHEROKEE 3.0 CRD

ჯოს სტოუნი – უსახლკარო ცხოველების იმედი

სოულის ბრიტანელი მომღერალი ჯოს სტოუნი ქარიშხალ „კატრინას“ შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი შინაური ცხოველების ბედმა შეაწუხა და ჩრდილოეთ სანაპიროს ცხოველთა დაცვის ამერიკული ლიგის (North Shore Animal League America) მიერ გამართულ კამპანიაში მიიღებს მონაწილეობას, რომლის მიზანი შინაური ცხოველების დასახმარებლად შექმნილი ფონდისათვის თანხების შეგროვებაა.

„გული მტკივა, როდესაც ვხედავ, რომ უსახლკაროდ დარჩენილი ცხოველების ბედი არავის აღელვებს. იმ ადამიანთა მოძიებაა საჭირო, რომელიც ამ არსებებს ახლა თავშესაფარს მისცემენ და მოუვლიან. დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი მათ შესახებ სხვა ქალაქის მკვიდრნი შეიტყობენ, მაგალითად, ნიუ-იორკელები, ამ ცხოველებს საკუთარი სახლის კარებს ფართოდ გაუღებენ და ისეთივე სიყვარულით მოუვლიან, როგორითაც მათ უწინდელი პატრონები უვლიდნენ“, — განაცხადა 18 წლის ჯოს სტოუნმა.

■

კირსტენ დანსტი ხელფასის გაზრდას ითხოვს

კირსტენ დანსტმა კომპანია Sony-ს მესვეურთა მსუბუქად დაშანტაჟება გადაწყვიტა და განაცხადა, რომ „ადამიანი-ობობა-3“ შესაძლოა ამ სერიის უკანასკნელი სურათი აღმოჩნდეს, რომელშიც ის ითამაშებს. იქვე გააკეთა გამჭვირვალე მინიშნება იმის შესახებ, რომ თუ მას გაცილებით მეტს გადაუხდიან და ამასთან ერთად, სემ რეიმი და ტობი მაგუაიერიც პროექტში დარჩებიან, შესაძლოა, გადაწყვეტილება შეცვალოს კიდეც... თუ პირველი და მეორე „ობობას“ ფენომენალურ მაჩვენებლებს გავიხსენებთ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კომპანია Sony სერიის გაგრძელებით ძალზე დაინტერესებული უნდა იყოს, ამიტომ გამორიცხული სულაც არ არის, რომ კირსტენ დანსტის ამბიციური მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება.

■

ანჯელინა ჯოლიმ გაეროს ჯილდო მიიღო

ანჯელინა ჯოლიმ გაეროს ლტოლვილთა კომიტეტის კეთილი ნების ელჩის რანგში გაწეული ჰუმანიტარული სამუშაოსთვის ჯილდო მიიღო. ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიას 700 დიპლომატი და VIP-სტუმარი ესწრებოდა.

ცნობილმა მსახიობმა განაცხადა, რომ ჰუმანიტარული სამუშაო შვილებზე ზრუნვასთან ერთად, მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საქმეა. ჯოლი 4 წლის კამბოჯელ მედოქსს და ეთიოპიელ გოგონას ზახარას ზრდის, რომელიც ზაფხულში იშვილა. მსახიობმა პირობა დადო, რომ იმ ვალდებულებებს, რომელიც მან 4 წლის წინ იკისრა, როდესაც გაეროს კეთილი ნების ელჩი გახდა, მომავალშიც შეასრულებს. მისი უმთავრესი მიზანი სამხედრო და სამოქალაქო კონფლიქტების შედეგად ლტოლვილებად ქცეული ხალხისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენაა. გაეროს კეთილი ნების ელჩის რანგში მოღვაწეობის 4 წლის მანძილზე ჯოლიმ კამბოჯა, პაკისტანი, ტანზანია, ეთიოპია, ეკვადორი, კენია, კოსოვო, შრილანკა, იორდანია, ნამიბია, ეგვიპტე, ჩეჩნეთი და ინგუშეთი მოინახულა და სხვადასხვა ჰუმანიტარულ ფონდში 2 მლნ დოლარი გადარიცხა.

■

როდ სტიუარტს მეორე ბავშვის გაჩენაც სურს

სახელგანთქმული როკმუსიკოსის როდ სტიუარტის საცოლემ, 7 თვის ორსულმა მოდელმა პენი ლანკასტერმა განაცხადა, რომ როდი უკვე მეორე ბავშვზე ოცნებობს. 60 წლის როდ სტიუარტი და 34 წლის პენი 6 წელია, რაც ერთად ცხოვრობენ, მაგრამ მომღერალმა საცოლეს ხელი მხოლოდ აპრილში სთხოვა. პენიმ, საკმაოდ დაგვიანებული წინადადება საუკეთესო რომანტიკული ტრადიციების სრული დაცვით, პარიზში უიკ-ენდის დროს მიიღო. მუხლზე დაჩოქილმა როდმა ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი საცოლეს ეიფელის კოშკის წვერზე გადასცა. საცოლის ორსულობამ სტიუარტი აღაფრთოვანა. აღსანიშნავია, რომ მომღერალს თუ წინა ქორწინებებიდან შეძენილი 6 შვილი

უკვე ჰყავს, პენისთვის ეს ბავშვი პირველი შვილია. ვარსკვლავური წყვილი გაჩერებას არ აპირებს. „თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ, როდი კი უკვე მეორე ბავშვზე ფიქრობს. ორი შვილი — ეს ხომ არაჩვეულებრივი იქნება“, — განაცხადა მომავალმა დედამ და დასძინა, რომ ქორწილი ბავშვის გაჩენამდე გადადეს. „ახლა ჩვენი ფიქრები მხოლოდ ბავშვს დასტრიალებს, ქორწილზე კი მოგვიანებით ვიფიქრებთ. ქორწილის გადადება ახალგაზრდებს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევთ, რადგან როდისა და მისი ყოფილი მეუღლის, 36 წლის მოდელის რეიჩელ ჰანტერის განქორწინების სასამართლო პროცესი ჯერ არ დასრულებულა და ადვოკატთა ვარაუდით, ეს მხოლოდ გაისად მოხდება. პენის ეს ამბავი ნაკლებად აღელვებს. მან გულწრფელად აღიარა, რომ თავს ისედაც როდ სტიუარტის ცოლად გრძნობს და ოფიციალურ სტატუსს მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. პენის ცხოვრების უმთავრესი მიზანი შვილები და საყვარელი მამაკაცია.

■



შვარცენეგერი კინოს უბრუნდება

ჰოლივუდის ორმა ბრწყინვალე კინოვარსკვლავმა ერთდროულად გააკეთა განცხადება კინოში დაბრუნების შესახებ. სტალონე უახლოეს ხანში „როკის“ მეექვსე ფილმის გადაღებას დაიწყებს, კალიფორნიის გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი კი ერთდროულად ორი ბლოკბასტერის — „ტერმინატორისა“ და „მართალი ტყუილის“ გაგრძელებებში ითამაშებს. დიდ პოლიტიკაში წასული მსახიობის ეკრანზე დაბრუნების გეგმები მსახიობმა ელიზა დუშკემ გაახმოვანა, რომელიც არნის „მართალ ტყუილში“ უწევდა პარტნიორობას. მისი განცხადებით, გადამღები ჯგუფის წევრები არნოლდ შვარცენეგერს სექტემბერში შეხვდნენ. კალიფორნიის გუბერნატორი ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებს, მაგრამ არც უარყოფს.

■

ბრიუს ლის გარდაცვალების საიდუმლო გახსნილია!

ბრიუს ლის ყოფილმა პროდიუსერმა რაიმონდ ჩოუმ განაცხადა, რომ 1973 წლის 20 ივლისს 32 წლის მსახიობის მოულოდნელი სიკვდილი არასწორად მიღებულმა წამალმა გამოიწვია. „ეს ნამდვილად უბედური შემთხვევა იყო“, — ამბობს ჩოუ. ერთ-ერთი პრეპარატის მიმართ ორგანიზმის ზემგრძნობელობამ ტვინის შეშუპება გამოიწვია და მისი სიკვდილის მიზეზად იქცა. ბრიუს ლი სტუდია Golden Harvest-ის ბოევიკებში მონაწილეობდა, რომლის ერთ-ერთი მესვეური რაიმონდ ჩოუ იყო. ახალი სურათის — „სიკვდილის თამაში“ ზოგიერთი ტექნიკური დეტალის განხილვის დროს ლი თავის ტკივილმა შეაწუხა და ეკვიგეზიკის (equigesic) აბი მიიღო. რამდენიმე საათის შემდეგ კი მისმა ჰონკონგელმა მასპინძელმა მსახიობმა ბეტი ტინ პეიმ ბრიუს ლი მკვდარი იპოვა.

კინოვარსკვლავის გარდაცვალებიდან დღემდე ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ მისი დაღუპვა შემთხვევით არ მომხდარა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მსახიობი მოწამლეს, რადგან მან შალოინელი ბერების სწავლების საიდუმლო გათქვა.

■



ორწლიანი შესვენების შემდეგ მომღერალი აგნესა ისევ ამღერდა. მისი თაყვანისმცემლები თვის ბოლოს, „მაესტროს“ ეთერში ახალ კლიპს იხილავენ. მისთვის სიმღერა შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენს, როგორც მისი მეუღლე, ლაშა თალიაშვილი ამბობს — ფულისთვის არ მღერის, უბრალოდ, სიმღერა მისი პროფესიაა და რასაც ადამიანი აკეთებს, ის უნდა დაუფასონ... ინტერვიუს ჩაწერაზე აგნესა მეუღლესთან ერთად მოვიდა, მეც შემთხვევით ვისარგებლე და მათ ოჯახის შესახებაც ვესაუბრე...

მე-6 კლასიდან ჩასახული სიყვარული

სოფო ჭონიშვილი

— ერთმანეთი სად გაიცანით?

აგნესა:

— ერთმანეთს სკოლიდან ვიცნობდით. უბრალოდ, ვმეგობრობდით. მე-6 კლასში ვიყავით, ლაშა რომ მომწონდა. შემდეგ, მოხდა ისე, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, მე სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტში, ხოლო ლაშამ — „გეპეიში“ ჩააბარა. მეც და ლაშაც მანქანით დავდიოდით, ხშირად ვხედავდით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ „გამარჯობა“ და „ნახვამდით“ შემოიფარგლებოდა. იმ პერიოდში, მე და ჩემი ძმა ჩოგბურთზე დავდიოდით, ლაშაც თამაშობდა ჩოგბურთს.

ლაშა:

— არა, მაშინ მე უკვე აღარ ვთამაშობდი.

აგნესა:

— მოხდა ისე, რომ ერთხელ, როცა

ჩემი ძმა ჩოგბურთზე მივიყვანე, ლაშაც იქ დამხვდა, თავის მეგობრებთან ერთად. მოვიდა ჩემთან, რაღაცები მკითხა. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. 3 წელი შეყვარებულები ვიყავით.

— პირველი პაემანი თუ გახსოვთ?

ლაშა:

— ოფიციალური პაემანი არ გვქონია, ძალიან ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა და ხშირად ვიკრიბებოდით.

აგნესა:

— არა. გამახსენდა — გვქონდა პაემანი. არსებობს ასეთი რესტორანი — „ზარი“, იქ შევხვდით ერთმანეთს, ძალიან მყუდრო და წყნარი სიტუაცია იყო.

— როდის გამოუტყდით ერთმანეთს სიყვარულში?

ლაშა:

— ვიცოდი, რომ აგნას მოვწონდი და



ახლაც იმიგომ დავიგვიანეთ, რომ საჭმელს აკეთებდა...

ვუყვარდი...

აგნესა:

— 3 წლის შეყვარებულობის შემდეგ ვუთხარი, რომ ბავშვობაში ძალიან მომწონდა.

— გაიპარეთ თუ ტრადიციულად იქორწინეთ?

ლაშა:

— ოფიციალური ნიშნობა არ გვქონია. ერთმანეთს 3 წელი ვხვდებოდით. ჩვენი ურთიერთობის შესახებ მშობლებმაც იცოდნენ. მამამისს არ ვიცნობდი, რადგან მოსკოვში ცხოვრობს. მე ვაპირებდი იქ ჩასვლას და მის გაცნობას. ორ დღეში უნდა გავფრენილიყავი, ვიზაც გაკეთებული მქონდა, როცა აგნესას დედამ დამირეკა და მითხრა: დღეს ჩვენთან მოდიო. მივედი და მამამისი უკვე ჩამოსული დამხვდა.

აგნესა:

— ბეჭედი ქორწილამდე მაჩუქა.

— ლაშა, მოეწონე აგნესას მშობლებს?

— კი, როგორ არა.

აგნესა:

— სარძლოც მოეწონათ მის მშობლებს...

— ქორწილი როდის გქონდათ?

ლაშა:

— ქორწილის დღე, ნიშნობაზე არ დაგვითქვამს. მე და აგნესა შევთანხმდით, როდის ვიქორწინებდით და შემდეგ ვუთხარით მშობლებს.

— მეჯვარეები ვინ იყვნენ?

აგნესა:

— ცნობილი სახეებიდან — არავინ, მეჯვარეები ჩენი ბავშვობის მეგობრები იყვნენ.

— საქორწინო მოგზაურობაში თუ იყავით?

— საქორწინო მოგზაურობაში ეგვიპტეში ვიყავით, 2 კვირით. ძალიან შთამბეჭდავი იყო ყველაფერი. იმ სასტუმროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ეგვიპტის პრეზიდენტი ისვენებდა. იქვე იყო ზღვა, დისკოთეკები, თამაშები... რაც მთავარია, იქ ყოფნის დროს შევიძინეთ ძალიან კარგი მეგობრები.

ლაშა:

— ბაქოელები იყვნენ, რომლებთანაც დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს. ჩამოდიან ჩვენთან და ჩვენც ჩავდივართ ხოლმე მათთან სტუმრად.

— 3 წლის განმავლობაში, შეყვარებულები ყოფილხართ. დაქორწინების შემდეგ თუ აღმოუჩინეთ ერთმანეთს, რაიმე განსხვავებული თვისება?

— ახალი, ისეთი არაფერი.

აგნესა:

— 3 წლის განმავლობაში ჩვენ ისე მივეჩვიეთ ერთმანეთს, რომ ერთმანეთის ყველა თვისება ვიცოდით.

— თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ ერთმანეთის დადებითი და უარყოფითი თვისებები?

ლაშა:

— ჩემს მეუღლეს 90% დადებითი თვისებები აქვს. მთავარი კი ის არის, რომ ძალიან ერთგული ადამინია; უარყოფითი...

აგნესა:

— ...ცოტა ფეთქებადი ვარ.

ლაშა:

— ფეთქებადი — არა. ყოველთვის თავისი ნათქვამი ჰგონია მართალი.

აგნესა:

— ლაშას დადებითი თვისებაა ის, რომ ძალიან ყურადღებიანია. არასოდეს ავიწყდება დღესასწაულები...

ლაშა:

— მარტო დღესასწაულები?!

აგნესა:

— მისი ცუდი თვისება ის არის, რომ გასაბრაზებელზე შეიძლება არ გაბრაზდეს და ისეთ რაღაცაზე გაბრაზდეს, რომ შეიძლება, ჭკუიდან გადახვიდე...

— მერე, დიდხანს გაგყვება ხოლმე გაბრაზება?

ლაშა:

— უცებ არ მავიწყდება, მაგრამ არც დიდხანს მიმყვება გაბრაზება. დიდხანს რომ გამყვეს აგნაზე გაბრაზება, მაშინ მშობლების სახლში უნდა გავუშვა...

აგნესა:

— მაქსიმუმ ერთი დღე. დილით რომ გავბრაზდებით ერთმანეთზე, საღამოს უკვე შერიგებულები ვართ.

— მშობლებთან ერთად ცხოვრობთ თუ ცალკე?

— ჯერჯერობით, მშობლებთან ერთად.

— აგნესა, სამზარეულოში ტრიალი თუ გიყვარს?

ლაშა:

— ახლაც იმიტომ დავიგვიანეთ, რომ საჭმელს აკეთებდა *(იცინის)*...

აგნესა:

— ბავშვობიდან მიყვარდა სამზარეულოში ყოფნა და იმის ყურება, როგორ ამზადებდნენ კერძებს. ბევრ ქალს ვიცნობ, ვისაც არ უყვარს სამზარეულოში ტრიალი. ძალიან მიყვარს გემრიელი საჭმელები, შესაბამისად — გაკეთებაც.

ლაშა:

— ერთი სიტყვით, კარგი კულინარია.

აგნესა:

— ერთადერთი, ნამცხვრის გამოცხობა არ ვიცი. კი ვცადე ერთი-ორჯერ, მაგრამ...

— ლაშა, მეუღლის მომზადებული კერძებიდან, რომელი მოგწონს ყველაზე მეტად?

— თითქმის ყველა, რასაც ამზადებს. ძალიან ბევრ და კარგ რამეს ამზადებს.

აგნესა:

— სადაც არ უნდა მივდიოდე, ვიცი, საჭმლის მომზადებისთვის რამდენი წუთი მჭირდება და ამისათვის დროს ყოველთვის ვიტოვებ.

— მეუღლე არ გეხმარება ხოლმე?

— არა. შეიძლება კვერცხი შეიწვას, იმ შემთხვევაში, თუ დილით ადრე ვერ გავიღვიძე.

— აგნესა, ვიცი, რომ ახალ კლიპს იღებ, ვინ არის კლიპის რეჟისორი?

— დიახ, კლიპი უკვე გადაღებულია და მონტაჟდება. ტექსტი დათო ფორჩხიძისაა, მუსიკა — გელა გნოლიძის, კლიპის რეჟისორი გიორგი გაფრინდაშვილია.

— სად ხდებოდა კლიპის გადაღება?

— სასტუმრო-რესტორან „ამბასადორში“. კლიპი შინაარსობრივად დატვირთული არ არის. აქ უბრალოდ, ჩემი საქორწილო კაბის დემონსტრირება ხდება... ვწერ ასევე ახალ სიმღერას. მუსიკა მზადაა, მისი ავტორიც გელა გნოლიძეა, ტექსტი ჯერ არ მომიფიქრებია.

■

...ცოტა ფეთქებადი ვარ

მომღერალ ნინა წკრიალაშვილს ეს ზაფხული ძალზე ნაყოფიერად გაუტარებია. ორი ფესტივალი მოუვლია, პრიზი „გზაში დაუწევიათ“, ცნობილი მექსიკელი ფეხბურთელი, მარკესიც კინაღამ გაუცნია და სულ რამდენიმე დღის წინ თავისი ოცნების სახლშიც გადაბარგებულა... რატომ არ უნდოდა მარტო ღამის გათევა ახალ სახლში, ეყოლება თუ არა მის შვილს სხვა მამა და რა ჰქონდა ჩაფიქრებული, როცა ის ფალოსს ძერწავდა — ყოველივე ამის შესახებ თვითონ მომღერალი გვიამბობს.

გვლათფრინები, თვლფიქვლები, „ლასვეგნებს“ სვვვლმოთოში

ლა... რამ ვჭამა თვლოსვლ სვფვვილი ჯოთანი

მარი ჯაფარიძე

— ნინა, რა ხდება ახალი შენს ცხოვრებაში?

— ჯერჯერობით, მხოლოდ ის, რომ ახალ ბინაში გადმოვედი საცხოვრებლად. ეს გახლდათ ჩემი ოცნების სახლი, რადგან ჩემი გემოვნებით გავაკეთე რემონტი და თავს ძალზე კომფორტულად ვგრძნობ. თანაც, მგონია, რომ ეს, ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისია და ამის შემდეგ, მხოლოდ სასიამოვნო ამბები უნდა გადამხდეს თავს. სულ რამდენიმე დღეა, რაც გადმოვედი და ვნახოთ, გაამართლებს თუ არა ჩემი წინათგრძნობა.

— შემოქმედებაში საკმაოდ დიდი პაუზა გამოგივიდა...

— მთელი ზაფხული გასტროლებზე ვიყავი და ძალზე საინტერესოდ გავატარე დრო. შემდეგ ავად გავხდი, დამჭირდა სასწრაფო ოპერაცია და მთელი თვე საავადმყოფოში ვიწექი. ამის გამო ახალი ვერაფერი გავაკეთე. უნდა გამოსულიყო ჩემი პირველი ალბომი, რომელსაც სულ რამდენიმე სიმღერა აკლია და ჯერჯერობით ამ საქმის ბოლომდე მიყვანაც ვერ მოვახერხე. ორშაბათიდან მთელი დატვირთვით დავიწყებ მუშაობას. უნდა ჩავწერო ორი სიმღერა. ერთს გააკეთებს დათო ფორჩხიძე, მეორეს — დიმა თეიმურაზოვი. ორივე დინამიკური და ენერგიული სიმღერაა. რომელიც უკეთესი გამოვა, იმ სიმღერაზე კლიპსაც გადავიღებთ. ამის შემდეგ კი, საშველი დაადგება ალბომის გამოსვლასაც, რომელზეც თითქმის 2 წელია ვმუშაობ.

— რადგან ამბობ, რომ სასიამოვნოდ გაატრე ზაფხული, ალბათ გასახსენებელიც ბევრი გექნება.

— ბარსელონაში ჩატარდა საბავშვო ფესტივალი, ორგანიზატორების მოთხოვნა იყო, რომ კონკურსანტ ბავშვს აუცილებლად ხლებოდა სტუმარი, რომელიც მისი ქვეყნიდან იქნებოდა. ისე მოხდა, რომ ჩვენს კონკურსანტთან, ნინა მახარობლიძესთან ერთად მე მომიწია გამგზავრებამ. ჩემთვის მოულოდნელი იყო ის, რომ ჟიურიში აღმოვჩნდი. ძალიან ვინერვიულე ამის გამო, მაგრამ საბოლოოდ, უზომოდ კმაყოფილი დავრჩი. ქართველმა გოგონამ პირველი ადგილი დაიკავა. გრან-პრი ლატვიელ ბავშვს ერგო. მე კი ფესტივალის გახსნისა და დახურვისადმი მიძღვნილ კონცერტზე ვიმღერე... ესპანეთში გახლდით ივნისში. ივლისში კი, ლიტვაში ჩატარდა დუეტების საერთაშორისო კონკურსი. მოწვევა მომივიდა — პირობა იყო წამოყენებული, რომ უნდა წამეყვანა ერთი მომღერალი ბიჭი, რომელთან ერთადაც დუეტს ვიმღერებდი. გადაწყდა, რომ მე და დათო ფორჩხიძე წავსულიყავით. მაგრამ ერთი კვირით ადრე აღმოჩნდა, რომ დათო წამოსვლას ვერ ახერხებდა. დათო, პიკასოთი (ირაკლი ნოზაძე) ჩავანაცვლეთ. სასწრაფოდ ჩავწერეთ სიმღერა და გავემგზავრეთ. რამდენიმე დღით ადრე წავედით, რომ ბელორუსიაში, „სლავიანსკი ბაზარის“ ფესტივალში მონაწილე ვერიკო ტურაშვილისთვის გვეგულშემატკივრა... ლიტვაში მე და პიკასომ ვიმღერეთ ირაკლი ვენევსკის სიმღერა — „მოგეფერო მინდა“ — და სულ რომ არ ველოდით, ისე გავედით მესამე ადგილზე. ფესტივალის დასკვნით ნაწილში ვიმღერეთ თუ არა, მაშინვე ჩემოდნებს წამოვავლეთ ხელი და ავტობუსში ჩავსხედით, რომ თბილისისკენ მიმავალი თვითმფრინავისთვის მიგვესწრო, მანამდე ლიტვიდან ავტობუსით ისევ ბელორუსიაში უნდა ჩავსულიყავით, იქიდან — თბილისში გამოვფრენილიყავით. შუა გზაში დაგვირეკეს და გვითხრეს — მესამე ადგილზე გახვედითო. პრიზები გზაში დაგვაწიეს, ხოლო გადაღებულ ვიდეომასალას ველოდებით, დღედღეზე უნდა ჩამოვიდეს... ლიტვის შემდეგ, შვილთან ერთად ურეკში წავედი დასასვენებლად და ორი კვირა იქ დავყავი. შემდეგ ერთი თვე საავადმყოფოში „დავისვენე“ და ახლა, როგორც იქნა, მოვემზადე სამუშაოდ და მთელი შემართებით დავიწყებ კიდეც...

— მართლაც კარგად დაგისვენია...

— ამდენ მოგზაურობაში საინტერესო ამბებიც დამიგროვდა. ესპანეთში რომ მივფრინავდით, ჩვენთან ერთად იყო „ჯეოსტარელი“ გიორგი ბუშელაშვილი. ბარსელონაში ამსტერდამის გავლით ჩავფრინდით. ამსტერდამში, თვითმფრინავში ამოვიდნენ ფეხბურთელები. ჩემ გვერდით სავარძელი თავისუფალი იყო. რას ვხედავ; მარკესი მოემართება ჩემკენ ღიმილით და ჩემ გვერდით მოკალათდა. ძალიან სიმპათიური მამაკაცია, თანაც

— ასეთი ცნობილი ფეხბურთელი!.. გამიხარდა, ჩემი მეზობელი რომ იქნებოდა ფრენის დროს. საყველპურო ესპანურიც ვიცი და ვცადე, მასთან კონტაქტი დამემყარებინა. გიორგი ბუშელაშვილი ჩემ უკან, სავარძელზე იყო მოკალათებული და თავიდანვე ვიცოდი, რომ ფრენის ძალზე ეშინოდა. უეცრად, მხარზე ხელს მადებს და მეუბნება — მაგას უთხარი, ადგეს და ადგილი გამიცვალოს, რომ მე და შენ ვისაუბროთ: იქნებ, დრო მალე გავიდეს, ძალზე მეშინიაო. თვალები დავუბრიალე — გაჩუმდი, ცნობილი ფეხბურთელია, მინდა, გავიცნო-მეთქი, — თან გვარს ვერ ვახსენებ, რათა ჩემი მეზობელი ვერ მიხვდეს, რომ მასზე ვსაუბრობთ. ის კი გაიძახის — სულ არ მაინტერესებს, ვინ არის, უთხარი, რომ ადგილი გამიცვალოსო. ჩემთან რომ ვერაფერი გააწყო, მარკესს მხარზე ხელი დაადო და ანიშნა, ადგილი გამიცვალეო. ისიც ადგა და გაუცვალა. გიორგი ღამის მოვკალი. მთელი გზა ხმას არ ვცემდი. ასე ჩამიშალა ბუშელაშვილმა ვარსკვლავთან ნაცნობობა.

— ახლა ის გვითხარი, პირად ცხოვრებაში თუ გეგმავ სიახლეს?

— ჯერჯერობით, ახალი არაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში და ამას რომ ვამბობ, არავის სჯერა. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ სამწუხაროდ, არავინ მიყვარდება. ველოდები, რომ ვინმე შემიყვარდეს. ჩემი მეგობრები დამცინიან — რაღა დროს შენი სიყვარულიაო?! — მაგრამ მე ასე არ ვთვლი. ჯერ ისეთი ბებერი არ ვარ, რომ სიყვარულზე ხელი ჩავიქნიო. თითქოს განწყობილებაც არ მაქვს საიმისოდ, რომ პაემნებზე ვიარო. როგორც ჩანს, არც მაწუხებს მარტოობა, მაგრამ ხანდახან კი ვგრძნობ, რომ მაინც მახსენებს თავს სურვილი... ახალ სახლში პირველი ღამე რომ გავათიე, მივხვდი, რომ არ მინდოდა მარტო ყოფნა, მაგრამ რა უნდა მექნა?! სიყვარულის გარეშე ვერავისთან გავჩერდები... ვიცი, უსიყვარულოდ ძალზე მალე მომბეზრდება და მეორედ რომ დაანგრევ ოჯახს, ეს უკვე ძალიან ცუდია. მით უმეტეს, როცა შვილი გყავს და ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობ.

— სანდროს აზრი თუ იცი მაგ საკითხთან დაკავშირებით? ხომ არ გიკითხავს შვილისთვის, უნდა თუ არა, რომ ოჯახში მესამე ადამიანი გამოჩნდეს?

— ამ რამდენიმე დღის წინ, ჩემი 2 თვის ძმისშვილი ავიყვანე ხელში და ძალიან მომინდა, რომ ასეთი პატარა შვილი მეც მყოლოდა. ეს ხმამაღლა გამოვთქვი. სანდრომ იმავე წამს დააფიქსირა თავისი აზრი — თუ შვილს გააჩენ, აუცილებლად მამაჩემისგან უნდა გააჩინო, იმიტომ, რომ სხვა მამა არ მინდაო. სანდროს უზომოდ უყვარს მამა და ჰგონია, თუ მე გავთხოვდები, მას მამა შეეცვლება. როდესაც ავუხსენი, რომ მას იგივე მამა ეყოლება, შემდეგ დამთანხმდა და დაწყნარდა. ჯერ ჩემს ცხოვრებაში საიმისო არაფერი ხდება, რომ ბავშვს კონკრეტულად ველაპარაკო ამ თემაზე.

— მინდა, ერთ-ერთი შენი კლიპის შესახებ გკითხო, რომელიც ძალზე თამამი განაცხადი იყო: ვგულისხმობ კლიპს, სადაც თიხისგან ფალოსს ძერწავ...

— მაყურებელმა რატომღაც, მართლაც ფალოსად აღიქვა ის, რასაც ვძერწავ, მაგრამ სინამდვილეში ეს ეპიზოდი სულ სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული. ამ კლიპის გადაღება სულ რაღაც 2 საათში გადაწყდა. სტუდიაში ვიყავი და ცოტა წავიწუწუნე — ყველას ყველაფერს უკეთებთ, მე — არაფერს-მეთქი. გიგა აგლაძე შეწუხდა, წამოხტა და მითხრა — ახლავე გადავიღებთ კლიპსო! არც თმა მქონდა მოწესრიგებული, არც მაკიაჟი, მაგრამ რადგან აიკვიატეს, აღარ გადათქვეს. შინიდან წამოვიღე პატარა, დაბალი, მრგვალი საყვავილე ქოთანი, რომელზეც თიხა უნდა შემომეხვია. კლიპს ჩემი ძმის სახლში ვიღებდით. ქოთანი კი სტუდიაში დამრჩა. ჩემი ძმა ჯერ გადაირია — ახალგარემონტებულ სახლს თიხით არ მოგათხუპნინებთო! — მაგრამ დავიყოლიეთ. მერე, ერთადერთი ნივთი, რომელიც იმისთვის გაიმეტა, რომ თიხა შემომეკრა, იყო შანდალი. ავდექი და თიხა ამ შანდალს შემოვაკარი. სწორედ ამის გამო მიიღო ისეთი ფორმა, თორემ, წინასწარ ჩაფიქრებული იყო, რომ საყვავილე ქოთანი უნდა გამეკეთებინა. ჩვენ ყველამ ჩვეულებრივად აღვიქვით, მაგრამ კლიპის დამონტაჟების დროს, სტუდიაში მოვიდა კაბუ. უყურებდა ტელევიზორის ეკრანს და ხმას არ იღებდა. ბოლოს მეკითხება — რას აკეთებო? — საყვავილე ქოთანს-მეთქი. — ქოთანი კი არა, უნამუსო ვიყო, ეს თუ ზანგის „ის“ არ იყოსო... დაჟინებით მოითხოვდა, რომ ხელახლა გადაგვეღო კლიპი, მაგრამ დაგვეზარა და დავტოვეთ ისე, როგორც იყო.

მოვიდა კაბუ. უყურებდა ტელევიზორის ეკრანს და ხმას არ იღებდა. ბოლოს მეკითხება – რას აკეთებო? – საყვავილე ქოთანს-მეთქი. – ქოთანი კი არა, უნამუსო ვიყო, ეს თუ ზანგის „ის“ არ იყოსო...

— ყოველთვის აღნიშნავ, რომ ძალზე მკაცრი მამა გყავს. რა გითხრა, როცა ეს კლიპი ნახა?

— ჩემდა სასიხარულოდ, მამაჩემმაც საყვავილედ აღიქვა. წინასწარ გული მისკდებოდა, როგორი რეაქცია ექნებოდა. ამიტომ კლიპი არ ვაჩვენე და მხოლოდ ტელეეკრანზე ნახა. გადმოცემით იცოდა, რომ საყვავილეს ვძერწავდი. კლიპის ყურების დროს ერთი-ორჯერ კი ჩაახველა, მაგრამ საბოლოო ჯამში, არაფერი უთქვამს...

■

დიდოსტატები დიდ ფეხბურთს გამოეთხოვნენ

გასული საფეხბურთო სეზონის მიწურულს არაერთმა ცნობილმა მოთამაშემ კარიერის დასრულების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ზოგიერთი მათგანი აქტიურ სპორტს ქრონიკული ტრავმების გამო გამოეთხოვა, ზოგმაც ჩათვალა, რომ საყვარელი საქმისთვის ასაკის გამო უნდა დაენებებინა თავი.

ფერნანდო რედონდო

მიუხედავად იმისა, რომ რედონდოს ცოტა ხნის წინ არაერთი კლუბიდან ჰქონდა მიწვევა, მან მაინც აღარ ისურვა კარიერის გაგრძელება. „საზღვარგარეთ წასვლა არ მსურს, რადგან საცხოვრებელ ადგილად მადრიდი

ავირჩიე და ოჯახთან ერთად არსად გადასახლებას აღარ ვაპირებ. ესპანური კლუბების მიერ შემოთავაზებული წინადადებები კი იმიტომ უარვყავი, რომ ამ ქვეყანაში „რეალის“ მაისურის გარდა, ვერც ერთს ვერ შეეგუები. „რეალი“ მუდამ ჩემს გულში დარჩება“, — ამბობს არგენტინელი ოსტატი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა „სამეფოკლუბელთა“ მიერ ჩემპიონთა თასის მეშვიდედ და მერვედ დაუფლებაში. „ჩემი ოჯახის თხოვნა მხედველობაში მივიღე და ამ სეზონში დავისვენებ, — განაგრძობს რედონდო, — მომავალი სეზონიდან კი, ფეხბურთს რაიმე სხვა ამპლუაში დავუბრუნდები. რას გავაკეთებ, ჯერ არ გადამიწყვეტია, მოფიქრებაა საჭირო, რათა ჩემთვის შესაბამისი საქმიანობა ამოვირჩიო“.

სტივ მაკმანამანი

33 წლის მაკმანამანმაც ფეხბურთთან გამოთხოვება გადაწყვიტა. გასული სეზონის

ბოლოს მას „მანჩესტერ სიტისთან“ საკონტრაქტო ვადა ამოეწურა. ტრავმებით შეწუხებულმა სტივმაც თავისი აქტიური საფეხბურთო კარიერისათვის წერტილის დასმა ჩათვალა მართებულად. „ოჯახთან ერთად გადავწყვეტ, ღირს თუ არა კარიერის გაგრძელება, — განაცხადა მაკმანამანმა, — მომავალში ტრავმირებულს თამაში აღარ მსურს. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ შემიწყობს, ფეხბურთიდან წავალ. ჩემს ხასიათში არ ზის ის, რომ მანამდე ვითამაშო, ვიდრე გუნდიდან არ დამითხოვენ.“

ალაუდიო კანიჯა

მიმდინარე წლის თებერვალში ერთ-ერთი არგენტინული რადიოს მეშვეობით აქტიური სპორტიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება 38 წლის კლაუდიო კანიჯამ. „ბოლო შვიდი თვის განმავლობაში არ მითამაშია, მაგრამ ფორმას მაინც ვინარჩუნებდი. ამჟამად, ისე ვგრძნობ თავს, როგორც 30 წლის ასაკში. თუმცა კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება აღარ მსურს“, — განაცხადა 1990 წლის მუნდიალის ვიცე-ჩემპიონმა და ისიც დაამატა — ახლა ოჯახთან ერთად ის უნდა გადავწყვიტო, თუ სად ვიცხოვრებო. სხვათა შორის, არგენტინის ჩემპიონატში მოასპარეზე ორი გუნდი — „სან ლორენსო“ და „ნიუელზ ოლდ ბოიზი“ კლაუდიოს კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობდნენ, მაგრამ მან არ ისურვა.

კლაუდიო კანიჯამ 1985 წელს „რივერ პლეიტში“ დაიწყო თამაში, შემდგომში იტალიაში „ვერონას“, „ატალანტასა“ და „რომას“ მაისურით 138 მატჩი ჩაატარა და 34 გოლი გაიტანა. მერე „ბენფიკაში“ აღმოჩნდა, საიდანაც ისევ სამშობლოში დაბრუნდა და „ბოკა ხუნიორსის“ ღირსებას იცავდა. სწორედ იქ, მას დიეგო მარადონასთან მოუხდა თამაში. კანიჯა შოტლანდიასა („დანდი იუნაიტედი“, „რეინჯერსი“) და კატარშიც („ალ-არაბია“) თამაშობდა, თუმცა, მისივე თქმით, ამ ქვეყნებისაკენ იგი არა ფულის შოვნის, არამედ ეგზოტიკის შეგრძნების მიზნით გაეშურა.

კლაუდიო კანიჯამ სამ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა (1990, 1994, 2002). თავად მიიჩნევს, რომ არგენტინის ეროვნული ნაკრების მაისურით, 15 წლის განმავლობაში ასპარეზობისას, მისი ყველაზე დიდი მიღწევა 1991 წელს ალფიო ბასილეს ხელმძღვანელობით სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებაში გამარჯვება იყო. აღსანიშნავია ის, რომ 1994 წლის მუნდიალზე დიეგო მარადონას ორგანიზმში აკრძალული სტიმულატორის კვალის აღმოჩენის შემდეგ, ბასილემ კლაუდიო ძირითადი შემადგენლობიდან გაიყვანა, რაც ფეხბურთის ბევრ გულშემატკივარსა და მიმომხილველს საეჭვოდ მოეჩვენა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, მანამდე, იტალიაში ასპარეზობისას კანიჯა ორჯერ ამხილეს დოპინგის მოხმარებაში.

1990 წელს კანიჯა არგენტინის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გერმანიის გუნდთან დამარცხდა. 2002 წელს, კორეა-იაპონიის სტადიონებზე მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში კი, მარსელო ბიელსამ სამივე მატჩი (არგენტინელები ჯგუფური ეტაპიდანვე გამოეთიშნენ ტურნირს) სათადარიგოთა სკამზე გაატარებინა და მოედანზე სიმბოლურად შესვლაც არ აღირსა. მიუხედავად ამისა, კლაუდიომ მსაჯის შეურაცხყოფისთვის მაინც მოახერხა წითელი ბარათის მიღება. ალბათ გასაკვირია, მაგრამ იმ მწვრთნელთაგან, რომლებთანაც კანიჯას უმუშავია, იგი უპირატესობას სწორედ ბიელსას ანიჭებს.

გაბრიელ ბატისტუტა

კიდევ ერთი არგენტინელი ვარსკვლავი, რომელმაც კარიერა დაასრულა, გაბრიელ ბატისტუტაა. 2003 წლის ზაფხულში მას კატარულმა „ალ-არაბიამ“ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმების სანაცვლოდ 7,6 მილიონი ევრო შესთავაზა. პირველ სეზონში ბატიგოლმა მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა, 18 მატჩში 25 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა პაექრობაშიც გაიმარჯვა. აი, მეორე სეზონში კი, არ გაუმართლა. ტრავმების გამო არგენტინელმა სუპერფორვარდმა მხოლოდ სამჯერ შეძლო მოედანზე გასვლა, თანაც თავი არაფრით გამოუჩენია. კლუბის მფლობელმა შეიხებმა ითმინეს, ითმინეს და მიმდინარე წლის 11 მარტს ბატიგოლთან კონტრაქტი შეწყვიტეს. ორი დღის შემდეგ გაბრიელმაც, რომელიც არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში გატანილი გოლების მიხედვით რეკორდსმენია (56 გოლი 78 მატჩში), საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. თუმცა ისიც დაამატა — მწვრთნელის პროფესიას გავყვებიო.

ჯალმინია

34 წლის ასაში გამოეთხოვა აქტიურ სპორტს ჯალმა დიას ფეიტოზა, რომელსაც საფეხბურთო სამყარო ჯალმინიას სახელით იცნობს; თავისი ბოლო შეხვედრა მან გასული წლის მეორე ნახევარში, მექსიკურ „ამერიკაში“ გაატარა. კლუბმა ბრაზილიელთან სამ თვეში შეწყვიტა კონტრაქტი (გაფორმებიდან), რის მიზეზადაც ფეხბურთელის არადამაკმაყოფილებელი ფორმა იქცა. ამის გამო მან მოედანზე მხოლოდ 170 წუთი დაყო.

ჯალმინიას პროფესიონალური კარიერა 16 წელი გრძელდებოდა. მან 524 მატჩში 166 გოლი გაიტანა. ჯალმა ფეიტოზამ, რომელიც რიო-დე-ჟანეიროდანაა, პირველად „ფლამენგოს“ მაისური მოირგო. იმ პერიოდში გუნდს სახელგანთქმული ტელე-სანტანა წვრთნიდა. შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელი „პალმეირასში“ აღმოჩნდა, რომელსაც ჩვენთვის კარგად ცნობილი ვანდერლეი ლუქსემბურგო ედგა სათავეში. „პალმეირასში“ ჯალმინიას კაფუსთან, ხუნიორთან, ფლავიო კონსეისაოსთან, რივალდოსთან, მიულერთან და ლუიზაოსთან ერთად უწევდა თამაში. ამიტომ მისგან ნამდვილი ოსტატი დადგა.

პირველად ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში ჯალმინიამ 1996 წელს ითამაშა ლიტვის გუნდის წინააღმდეგ, 1997 წელს კი, ყვითელ-მაისურიანებთან ერთად ბოლივიაში ამერიკის თასსაც დაეუფლა. სწორედ იმ პერიოდში ბრაზილიელი ნახევარმცველი ესპანური „დეპორტივოში“ აღმოჩნდა. ლა-კორუნიაში ექვსი წლის მანძილზე ასპარეზობა ფეიტოზას კარიერის მწვერვალად იქცა. ახალ კლუბთან ერთად მან ოთხი ტურნირი მოიგო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი 2000 წელს პრიმერადივიზიონში გამარჯვება იყო. მაშინ ჯალმამ 31 მატჩში 10 გოლი გაიტანა.

2002 წლის აპრილში ჯალმინიას კონფლიქტი მოუხდა „დეპორტივოს“ მთავარ მწვრთნელ ხავიერ ირურეტასთან. ბრაზილიელმა ლაკორუნიული გუნდის ხელმძღვანელს თავი დაარტყა. ალბათ ეს ეპიზოდი კლუბის ფანებს არასოდეს დაავიწყდებათ. იგივე შეიძლება ითქვას თავად ფეხბურთელის შესახებაც. მოგეხსენებათ, სწორედ იმ წელს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ ემზადებოდა. კორეა-იაპონიაში გამგზავრების კანდიდატთა შორის ჯალმინიაც ირიცხებოდა, თუმცა ირურეტასთან მომხდარმა ინციდენტმა ლუიშ ფე-

ლიპე სკოლარის თავის თანამემამულეზე აზრი შეაცვლევინა. მოგვიანებით, ყვითელმაისურიანთა ყოფილმა მწვრთნელმა თავად განაცხადა, რომ „დეპორტივოში“ ჯალმინიასა და კლუბის თავკაცს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო მან გულფიცხი ფეხბურთელის მუნდიალზე წაყვანა აღარ ისურვა. ასე აღმოჩნდა ჯალმას ნაცვლად ნაკრებში ახალგაზრდა და საფეხბურთო სამყაროსთვის ჯერ კიდევ უცნობი კაკა, რომელიც დღეს ნამდვილი ვარსკვლავია.

ჯალმა დიას ფეიტოზას ყველა ბრაზილიელი ფეხბურთელისთვის საოცნებო ყვითელი მაისურის ჩაცმის საშუალება აღარ მისცემია. მან ნაკრებში 14 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ჯალმინია „დეპორტივოში“ კიდევ ერთი წლის განმავლობაში იყო, რასაც მისი გუნდიდან დათხოვნა მოჰყვა. „პროფესიონალურ დონეზე თამაშით სიამოვნების მიღების სურვილი უკვე გამიქრა, — ამბობს ჯალმინია. — მხოლოდ ძალიან მაცდუნებელი წინადადება გადამაფიქრებინებდა კარიერის დასრულების გადაწყვეტილებას“. „პალმეირასმა“ მართლაც შესთავაზა კონტრაქტი, თუმცა ამაოდ. ფეხბურთელმა გუნდის შემადგენლობა დაიწუნა“.

■

ლებრონ ჯეიმსზე ახალგაზრდა მოდელი ნადირობს

„კლივლენდ კავალიერზის“ ლიდერ ლებრონ ჯეიმსს თაყვანისმცემლები არასოდეს აკლდა. ბოლო დროს კი, მას კიდევ ერთი გულშემატკივარი გამოუჩნდა — ახალგაზრდა ამერიკელი მოდელი, სტეისი ბლოსერი. ორივე მათგანი ქალაქ ეკრონიდანაა (ოჰაიოს შტატი). სტეისი ლებრონის მატჩებს უკვე გასული სეზონიდან სტუმრობს და როგორც ჩანს, კალათბურთელის ყურადღების მიპყრობას ცდილობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბლოსერი დედიშობილა ფოტოს გადაღების კატეგორიული წინააღმდეგია. ალბათ სწორედ ამის გამო, იგი ამერიკაში დღეს არცთუ ისე ცნობილი მოდელია. ასეა თუ ისე, სტეისი სარეკლამო აქციებში, მეორეხარისხოვან ფილმებსა და კლიპების გადაღებებში მონაწილეობით შემოიფარგლება. იგი არც სპორტის მიმართაა გულგრილი. მაგალითად, უნივერსიტეტში სწავლისას ფრენბურთელთა გუნდში თამაშობდა, ხოლო სკოლის პერიოდში ტანვარჯიშს მისდევდა.

■

დასაწყისი, იხილე გვ. 9

ზომაზე მეტად გულუბრყვილოებიც მგონია სვანები... სვანეთში დღესაც მაქვს ძალიან ლამაზი სახლი. მიყვარს ჩემი სოფელი ლენტეხის რაიონში — ლახუნდერი მზის გულზეა გაშლილი, ძალიან უსაფრთხო ადგილზეა, ვერც მიწისძვრა ვნებს რამეს, ვერც მეწყერი და ვერც წყალდიდობა. ჩემი წინაპრები მღვდლები იყვნენ.

— უცხოეთში წარმატებული ქართველი ხელოვნები განსაკუთრებულად ღელავენ ხოლმე მშობლიური მაყურებლის წინაშე გამოსვლისას. რატომ?

— იმიტომ, რომ აქ ყველა მღერის და ცეკვავს და საკონცერტო დარბაზში იმისთვის კი არ მოდიან, რომ ხელოვნებით დატკბნენ და მოდუნდნენ, არამედ გიმოწმებენ თითოეულ ილეთს, მანერას... ფიქრობენ — ოჰ, ამას მეც ხომ ვაკეთებო!.. ამიტომ არის ძნელი ქართველის აღფრთოვანება და ქართველების წინაშე სცენაზე გამოსვლა. მე ამას შესაძლებლობების გადამოწმებას ვუწოდებ.

— უცხოელი მაყურებელი არ არის პრეტენზიული?

— როგორ არა?! იქაც თავიანთ „წიკები" აქვთ. უცხოელიც არ გაპატიებს ერთფეროვნებას. დღეს არავის უნდა ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ რაიმეს ახალს აკეთებს. ვერაფერს მიაგნებ ისეთს, რაც კაცობრიობას დღემდე არ აღმოუჩენია და არ გაუკეთებია. ყოველივე ამის კარგად შესწავლა და გაცნობიერებაა საჭირო, რომ შენი ნიჭიერების შესაბამისად გადმოსცე სინთეზი. ცერისა და ქუსლის მოძრაობა ქართულ ცეკვაში საუკუნეების მანძილზე დაიხვეწა — მთავარია, შენ რა დროს მოუსვამ ამ ცერს და როდის გამართავ ქუსლს. შენს გემოვნებაზეა დამოკიდებული მაყურებლის აღფრთოვანება, თორემ, ფუძე — ნახაზი მუდმივად ერთი რჩება. ■



ეთერა ბაბო (აკოფაური) — როგორც სოფელში ეძახიან, ჩემი დის ქორწილიდან დამამახსოვრდა. ყველას ღიმილი მოგვგვარა ასაკოვანი ქალბატონის ომახიანმა და არცთუ ისე უშედეგო ცდამ, არეული სუფრა დაეშოშმინებინა: მიკროფონი მოითხოვა, სუფრის წევრებს სიჩუმისა და წესრიგისკენ მოუწოდა და ნეფე-დედოფალი დალოცა. „ფეშქაშად" კი, ერთი კარგი ლექსიც უძღვნა წყვილს.

ეთერა ბაბო პოეზიაზეა შეყვარებული, საუბრისას, განსაკუთრებით ხშირად, გალაკტიონის ლექსებს იშველიებს. როგორც მითხრეს, სოფელში არც ლხინი ჩაივლის მის გარეშე და არც ჭირი. ამას წინათ, კვლავ სუფრაზე შევხვდი და სიამოვნებით დამთანხმდა, გაეხსენებინა ძველი ცხოვრება, ძველი დროება...

„ამინაც იყვნენ უვარგისები ზოგი ქალი ვერ ითმენდა უკაცობას..."

ნინო ჯავახიშვილი

— მელაანელი ქალი ვარ, არაშენდაში გათხოვილი. დედაჩემი ბაკურციხელი იყო — ბაბალე ერქვა. მამა კი, არც მახსოვს: ჩემს დაბადებამდე გარდაცვლილა. გულყრა ჰქონია. თურმე, ახალგაზრდები საკირეზე კირს წვავდნენ, მერე, ვენახი რომ შეეწამლათ, მამისთვის ძმებს უთქვამთ — რაკი ცეცხლზე ტრიალი არ შეგიძლია, შენ საქონელი წაასხიო. საკირეზე თურმე, საკლავსაც კლავდნენ და ქეიფობდნენ. მამას საქონელი მიუტოვებია და ახალგაზრდებს შეერთებია. მალე პირსაქმება დასწყებია და სახლში მიუყვანიათ. შეყრილა მთელი სოფელი. პაპაჩემი თურმე, თავადების ნაქონ ვენახებს ამუშავებდა. უპატრონოდ დარჩენილი საქონელი შესულა და წაუხდენია. სახლში გაცოფებული დაბრუნებულა და შვილისთვის უთქვამს — ეგრე ჩამოგცვივდეს მკლავები, როგორცა აეს ყლორტებია ჩამოცვენილიო! — ჰო, მამი, ვკვდები და მკლავები მართლაც ჩამომცვივდებაო, — უპასუხია მამაჩემს. მღვდელს გაუფრთხილებია პაპაჩემი — ნუ სცოდავ, შენს შვილს ვერასდროს ნახავ, გიკვდება, მაგას კი კვლავაც გამოუვა ყლორტებიო... მკვდარიც მეჯავრება ის შეჩვენებული პაპაჩემი... დედაჩემი თურმე, კარგად უვლიდა ოჯახს და მეორედ გათხოვებას არც ფიქრობდა. მაგრამ სოფელში ხმა დარხეულა — ბაბალეს ხელიდან გაშვება არ უნდოდათ, მაზლს უნდა შერთონ ცოლადო. ბიძაჩემებმა — დედის მხრიდან — იწყინეს ეს ამბავი, თვითონ დედაჩემმაც და ბაკურციხეში ერთ ქვრივ კაცზე გაათხოვეს ძმებმა. მახსოვს, დედა თან იცვამდა და თან ტიროდა. როცა ვკითხე — რა გატირებს-მეთქი, — მიპასუხა — ფეხსაცმელები აღარა გაქვთ, მამა კი აღარ გყავთ და ვინ უნდა გიყიდოთო?.. — ნუ გეშინია, ძიას უთხარი და გვიყიდის-მეთქი, — დავამშვიდე. თურმე, იმიტომ ტიროდა, რომ თხოვდებოდა.

— მამინაცვალი როგორ გექცეოდათ?

— არც კი ვიცნობდი. წასვლიდან რამდენიმე დღეში, მამაჩემის ძმა მოვიდა და ორივენი უკან, მელაანში წამოგვიყვანა. დედას კი ამბავი დაუტოვა — თუ გინდა,

ბავშვების სანახავად მოდი ხოლმე, მაგრამ ძმისშვილებს მამინაცვლის ხელში არ ჩავაგდებო... ბიძაჩემს ცოლად კაჭრეთელი ქალი ჰყავდა. უთხრა — თუ ამ ბავშვებს დამიზრდი, კი, ბატონო, ვიყოთ ცოლ-ქმარი, თუ არა და — მე ამათ გარეშე არ შემიძლია და წადიო... ძალიან კარგი ბიცოლა გვყავდა. ცოლიც და ქმარიც გვეუბნებოდნენ — ოღონდ თქვენ ისწავლეთ და ჩვენ ყველაფერში ხელს შეგიწყობთო. მაგრამ ვერც მე და ვერც ჩემმა დამ სკოლის დამთავრება ვერ მოვახერხეთ. ომი დაიწყო. მაშინ 15 წლის ვიყავი. ერთი ბიძა პირდაპირ მინდვრიდან წაიყვანეს ომში, სად — დღესაც არ ვიცით. ორნიც ერთად წაიყვანეს. არც ერთი არ დაბრუნებულა. ამის შემდეგ, სწავლას თავი დავანებე და კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა. მაშინდელი დრო რომ მახსენდება, ახლაც მაურჟოლებს... „დიდრონ“ დედაკაცებთან ერთად მთელი დღე „სემიჩკას“ ვთოხნიდი. ერთხელ, ჭამის დროს, რადგან ყველაზე პატარა ვიყავი, ყველამ მე დამავალა — ეთერ, პატარა ხარ და წყალი მოგვიტანეო. წამოხტა ერთი ქალი — თქვენ არადედაკაცებო, თქვენ უსულგულოებო, ეს ბავშვი გვერდით რომ მოგყვებათ მუშაობის დროს, რატომ არავინ მიეხმარებით, პატარა თუ არის?! ამ ბავშვის საცოდაობით ვიწვებიო!..

— **ადრეულ ასაკში გათხოვდით, არა?**

— გიორგი გილიგაშვილი არაშენდელი იყო, მელაანში და ჰყავდა გამოთხოვილი და ჩვენს სოფელში სალენ მანქანაზე მუშაობდა. თურმე, მოწონებივარ და დისთვის უთქვამს — ვარო, ეს რა კარგი პატარა გოგოა, მამწონსო. ვაროს უთქვამს — შენ მაგ გოგოს ვინ გამოგატანს? ღარიბი ხარო!.. — აბა, მაგასაც ნახავ, თუ არ მოვეწონებიო, — დაუქადნია.

— **მერე, მოგეწონათ?**

— არ ვიცი, მშვენიერი ახალგაზრდა იყო, მამწონდა, მაგრამ არ ვამხელდი. ვცდილობდი, ხშირად დამენახა ხოლმე...

— **სიყვარულში როგორ გამოგიტყდათ?**

— გამომიტყდა რომელია!.. ისეთ წერილებს მწერდა... მანუგეშებდა — ნუ გეშინიაო, ცხოვრებას ავაწყობთო... ლექსებსაც კი წერდა ჩემზე, მაგრამ აღარ მახსოვს. მერე, პაპაჩემთან მივიდა და უთხრა — თქვენი გოგო მამწონსო. მე რომ მკითხეს აზრი, უარზე დავდექი — სანამ ჩემი ბიძები არ მოვლენ, არ გავთხოვდები-მეთქი. ჩემი ბიძები დღემდე არ მოსულან, კიდევ კარგი, იმათ ჩამოსვლას არ დაველოდე... 16 წლისა გავთხოვდი. ძალიან გვიჭირდა. ჩემი ქმარი ნაფრონტალი იყო, ერთი ხელი მოკლე ჰქონდა. ფიზიკურ დატვირთვას ვერ უძლებდა. ბევრჯერ ბავშვი აკვანში ჩაკრული დამიტოვებია და სამუშაოდ წავსულვარ ერთი კილო პურის გამო... 4 შვილი გავაჩინე, მაგრამ ერთი, გაჭირვებისგან მომიკვდა. პენიცილინი მაშინ უკვდავების წამალი იყო, ვერ ვიშოვეთ და უწამლობით დაიღუპა. ახლა მყავს 9 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი.

— **ეთერა ბაბო, ადრე როგორ იქცეოდნენ შეყვარებულები? ახალგაზრდებს რომ უყურებთ, თუ მოგწონთ მათი თავისუფალი ქცევა?**

— რა მოსაწონია?! ან როგორ იქცევიან, ან რას იცვამენ?.. ადრე ჭიპს ვინ გამოიჩენდა?! განა ადრე არ ხდებოდა რაღაცრაღაცები, მაგრამ საქვეყნოდ ვინ დაუწყებდა ერთმანეთს ხვევნა-კოცნას?! ჩემი ქმრისაც კი მრცხვენოდა საწოლში. მეტყოდა ხოლმე — რა იყო, რისი გრცხვენია, შენი ქმარი ვარო!.. ზოგჯერ კი, შარსაც მდებდა — ალბათ, სხვაგან ხარ დაკმაყოფილებულიო... როცა შევწუხდებოდი, ვეტყოდი — თვალი შენც დაგიდგეს, მაშ, მარტო შენზე ხომ არ დავიწერ ჯვარსა-მეთქი!..

— **ამას რომ ეუბნებოდით, ქმარი არ გიბრაზდებოდათ?**

— ხან ბრაზდებოდა, ხან — სწყინდა, მაგრამ მენდობოდა. ჯვარზე და ხატზე დავიფიცავ, რომ ჩემზე ერთი უხეირო სიტყვაც კი არავის დასცდენია. ცუდი ამბები მაშინაც ხდებოდა სოფელში. ერთი ჩუმლაყელი ქალი იყო ჩვენს სოფელში გათხოვილი. ომიანობის დროს, მთელი სოფელი გადარია — დიდი და პატარა აღარ იცოდა... მაშინაც იყვნენ უვარგისები — ზოგი ქალი ვერ ითმენდა უკაცობას...

— **ვიცი, რომ ძალიან გიყვართ პოეზია...**

— ძალიან. საერთოდ, კითხვა მიყვარს, ქაღალდის პატარა ნაგლეჯიც არ მრჩება წაუკითხავი. ლექსებს თვითონაც ვწერ ხოლმე, როცა ვინმე გამაბრაზებს ან პირიქით — კარგ საქმეს მიკეთებს. ახლანდელ ბიჭებს ასეთი რამ გამოვუთქვი:

„ახლანდელი ბიჭები, ქორწორდაგრეხილები,
პირში პაპიროსები, ჯიბეგაფხეკილები“...

ერთხელ, სოფლის მაღაზიის ნოქარმა გამაბრაზა. მისი ცოლი ჩემს შვილს გეოგრაფიას ასწავლიდა. მაღაზია სულ დაკეტილი ჰქონდა. დედამისს ვკითხე — მარუა ძალო, ვალიკო სად არის? საპონი მინდა და ვერ მიყიდია-მეთქი. — მერე რა, რომ დაკეტილია მაღაზია, გეგმა უკვე შესრულებული აქვსო, — მითხრა. — რატომ არ ექნება, რა? ველისციხეში 5-მანეთიან შარვლებს 10 მანეთად ყიდისო, — თქვა მეზობლის ქალმა. ნოქრის ცოლს სწყენია ეს ამბავი და ერთ დღეს, გაკვეთილი უკითხავს ჩემი შვილისთვის, თან დაუყოლებია — თუმცა, შენს ოჯახში ხეირიანი ვინ გამოვიდა, შენ რომ გამოსულიყავიო?! — თან სკოლაშიც დავუბარებივარ. ძალიან მეწყინა, მაგრამ ვიფიქრე — ახლა არაფერს ვეტყვი, მაგრამ საქვეყნოდ მოვჭრი თავსმეთქი. ის ნოქარი მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარეც იყო. ერთხელაც, კრებაზე სიტყვით გამოვედი და ვთქვი, რომ ბავშვმა თუ გაკვეთილი არ იცის, მასწავლებელმა ამის გამო მის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენოს — არასწორია-მეთქი. ბოლოს კი, ერთი ლექსიც წავიკითხე:

„ერთსაც კი ვიტყვი, თუ მაპატიებთ,
ჩვენი სოფლისა წლის ანგარიშზე.
მაღაზიები ორივე არის —
სამრეწველო და სასურსათეა.
სასურსათეზე თავს შევიკავებ,
სამრეწველო კი — დაკეტილია.
იმას არ ვიტყვი, ზედმეტად ჰყიდის(!)
აბა, ტყუილი ხომ სირცხვილია...
მაგრამ მას ვჩივი, მას ვემდურები,
უფრო ხშირად რომ დაკეტილია“.

ოჰო-ჰო-ჰო, როგორც ცერცვი, ისე ახტუნავდა. არადა, რა მოხდა?.. ისეთი არაფერი მითქვამს... სოფელში ჩემზე ამბობდნენ — ენამოსწრებულიაო. ერთი ხუმარა ქალი იყო, ანიკოს ვეძახდით. ერთ დღეს, მინდორში სათიბად მარტო ჩემი ქმარი წავიდა. დაუსვენია ხალხს. ერთი საწყალი ბიჭი იყო, იმას ჩასძინებია. მისულა ეს ანიკო და თურმე აღვიძებს: დათო, შენ ის დედაკაცი მოგკლავს, ბიჭო, ის ეგეთი ორმოა, შენ იმას ვერ ამაავსებო... ეს ჩემი კაცი თურმე იცინოდა და ანიკოს ახლა მისთვის უკითხავს — რა იყო, გიორგი, რა გაცინებს? შენთან როგორღაა საქმეო?.. — რას ამბობ, დედაკაცო, ჩაძინებისთანავე მაღვიძებს — თავი ცუდად გიდევსო... მოკლედ, კარგად უცინიათ და სოფელიც შეუყრიათ თურმე — გიორგის თავისი ცოლი აღვიძებს ხოლმეო... ერთხელ, ცოლ-ქმარი ქუჩაში ვისხედით. სოფლის ვეტექიმმა ჩამოიარა — რა გვრიტებივით სხედხართ, საქმე ისევ ძველებურად არისო?.. მე ვითომ ვერც მივხვდი, რაზე მიგვანიშნებდა. ეჰ, ვაი იმას და ბრალი იმისა, ვინც თავის ქმარს ვერ გააღვიძებს და სხვის ქმართან მიდის, მე ჩემი ჯვარწერილი გამიღვიძებია და „გამიცქვიტებია“, მაშ, მელაანიდან აქ რისთვისღა მოვდიოდი?.. სანამ მაჭარში სითბო გვაქვს, ერთმანეთს უნდა ვემსახუროთ-მეთქი, — ვუპასუხე. გადმოხტა მანქანიდან — მოკლედ, რა ქალი ხარ, ერთი სიტყვა მაინც გითხრათ ისეთი, შენ რომ გაჯობოთო...

— **ვიცი, თამადობა გიყვართ. ერთი სადღეგრძელოც გვითხარით, საუბრის დასასრულს...**

— თამადობა მიყვარს, რომელია! 300-კაციან სუფრას ისე გავუძღვები, ბევრ კაცს შეშურდება. ზოგჯერ სადღეგრძელოს ლექსადაც ვამბობ. განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას მანიჭებს ქორწილში სიძეპატარძლის ასე დალოცვა: მე მინდა, რომ თქვენი ცხოვრება ყოფილიყოს სურნელოვანი და ყვავილებით ნაქარგი; იყავით ბეჯითები, ცხოვრებაში არასდროს გქონოდეთ რეგრესი, სულ პროგრესით გევლოთ; თქვენი ცხოვრება არასდროს ყოფილიყოს ეკლიანი და თუ ყოფილიყოს, გისურვებთ ეკლიანი გზების გადალახვას; იყავით ერთმანეთის მოხათრეები; იცოცხლეთ იქამდე, სანამ ციმციმებს შორეულ ცაზე ვარსკვლავები; შვილები გმირებად დაგეზარდოთ და სახელოვანი მშობლები ყოფილიყავით! ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ქალი, შაბა კაპი და ზოდიაქო

აღმოსავლური ასტროლოგია დასავლურისგან ბევრი რამით განსხვავდება, თუმცა, საერთოც ბევრი აქვს (მაგალითად, ზოდიაქური წრე, სადაც ორივე შემთხვევაში, 12 ნიშანია). აღმოსავლური, კონკრეტულად კი — ჩინური ასტროლოგია ბევრ ისეთ ტრაქტატს მოიცავს, რომელიც აბსოლუტურად გასაგებია ყველასათვის, რადგან არ მოითხოვს რთულ მათემატიკურ და ასტრონომიულ-ასტროლოგიურ გამოთვლებს. ერთ-ერთი მათგანია „ციან-ძინი", რომელიც სავარაუდოდ, ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნეში, ჩინელმა ვარსკვლავთმრიცხველმა — ში შენმა შეადგინა. იქ ლაპარაკია მზე-მთვარის კალენდარზე, პლანეტების „ღირსებებზე", ზოდიაქურ წრესა და ბევრ სხვა საინტერესო დეტალზე. გთავაზობთ ამ ტრაქტატის მცირე ნაწილის ინტერპრეტაციას, კონკრეტულად — სხვადასხვა თვეში დაბადებულ ადამიანთა ხასიათის ნიშან-თვისებებს.

შაბა კაპი, რომელიც ლაიბადა...



იანვარში (ხარის თვე)

არ არის მომთხოვნი საკვებისა და ტანსაცმლის მიმართ. 3 ან 18 წლის ასაკში შესაძლოა, სერიოზულად გახდეს ავად ან არასასიამოვნო ამბავი შეემთხვეს. 50 წლის ასაკისთვის, მდიდრდება ან ბრწყინვალე კარიერას იკეთებს. მაღალი თანამდებობის პირებთან საქმიანი ურთიერთობა მისთვის ძალზე წარმატებული იქნება. ის ადვილად ემორჩილება სხვათა გავლენას. **კრიზისულია 3, 18, 67 და 80 წლის ასაკი.**

თებერვალში (ვეფხვის თვე)

ის ცხოვრებისეულ საკითხებში ბრძენი, გაწონასწორებული და გონებამახვილია. არასდროს იბრძვის სახელის მოსახვეჭად, თუმცა არც მის უქონლობას განიცდის. სამაგიეროდ, მას სერიოზულ ემოციურ პრობლემებს უქმნის ახლობლებთან დაპირისპირება. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება უცნობი ადამიანების რჩევებს. ძალიან კარგი მრჩეველია და მის იდეებს ბევრი ადამიანის ხსნა შეუძლია. 33, 47 და 53 წლის ასაკში თავს გამოიჩენს, მაგრამ ამავე პერიოდში, ჯანმრთელობის გაუარესებაცაა მოსალოდნელი. **კრიზისულია 16, 67 და 87 წლები.**

მარტში (კურდღლის თვე)

მას ცინცხალი გონება აქვს და შეუძლია, ყველა ადამიანთან საერთო ენა გამონახოს. სწავლისას უფრო ჰუმანიტარული საგნები იზიდავს, ვიდრე ტექნიკური. ხანდახან ცდილობს, მოსწყდეს რეალობას და ამ მიზნით ალკოჰოლსაც იყენებს. 37 წლის ასაკში ხშირად, სრულად ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს. თუმცა ხშირად, 47 წლის ასაკში ახალ შესაძლებლობებს ავლენს და მდიდრდება. **კრიზისულია 50, 60 და 90 წლები. სახიფათოა მაისი.**

აპრილში (დრაკონის თვე)

ხშირად, ოჯახში ნაბოლარაა. იმპულსური მებრძოლია და ამის გამო, მტრებსაც იჩენს. დიდ წარმატებას მიაღწევს სასულიერი სფეროში (რასაკვირველია, თუკი მოინდომებს). მას გამდიდრების შანსი ეძლევა 21, 36, 46 და 57 წლის ასაკში. **კრიზისულია 62, 66 და 80 წლები. სახიფათოა მაისი.**

მაისში (გველის თვე)

ვერ იტანს ვერანაირ ზეწოლას და ცდილობს, მოერიდოს განათლებულ ადამიანებს, რადგან მათ გვერდით უმწეოდ გრძნობს თავს. მისთვის აუცილებელია სულიერი ცხოვრება, ამიტომ ახლოს უნდა იყოს რელიგიასთან. მშვიდად და გაწონასწორებულად გრძნობს თავს 21, 37, 42, 59 წლების ასაკში. **30 წლის ასაკში უნდა მოერიდოს ცეცხლსა და წყალს.**

ივნისში (ცხენის თვე)

ნიჭიერი, მაგრამ არაორდინარული ადამიანია. მისთვის ერთი სიტყვაც საკმარისია საიმისოდ, რომ მთელ თეორიას ჩასწვდეს. გამოირჩევა დაგროვების ნიჭით, რასაც გასამდიდრებლად იყენებს. პატივს მიაგებს წინაპრებს და ეძვირფასება ძველი ნივთები. 31 წლის ასაკში მოეძალება პრობლემები, რომლებიც დაახლოებით 37 წლის ასაკამდე არ მოასვენებს. **კრიზისულია 40, 50, 77 და 80 წლები.**

ივლისში (ცხვრის თვე)

კეთილმოსურნეა, ყველას მიმართ კეთილგანწყობილებას ავლენს და ცდილობს, არავის აწყენინოს. მისგან კარგი მეცნიერი დგება და ამის წყალობით, გამდიდრების შანსიც ეძლევა. შესაძლოა, ბევრჯერ დაქორწინდეს. 20 და 27 წლის ასაკში, უნდა მოერიდოს კონფლიქტურ სიტუაციებს, განსაკუთრებით — იარაღს. მას სუსტი ჯანმრთელობა აქვს, მიუხედავად ამისა, ხშირად, ღრმა მოხუცებულობამდე ცოცხლობს. **კრიზისულია 27, 34, 48 და 82 წლები.**

აგვისტოში (მაიმუნის თვე)

დამოუკიდებელი ხასიათის გამო, უმხედრდება მშობლებს და ცდილობს, ცალკე იცხოვროს. ასაკში შესვლისას, მატერიალურ და სულიერ სიმშვიდეს აღწევს. 32-დან 38 წლამდე, ძალზე დადებითი პერიოდი უდგას. შესაძლებელია, ბევრჯერ იქორწინოს. 50 წლის ასაკში, მას გაკოტრება ემუქრება. 53 ან 55 წლის ასაკში შესაძლოა, დიდი განსაცდელის წინაშე დადგეს. **კრიზისულია 23, 28, 69, 72 და 93 წლები.**

სექტემბერში (მამლის თვე)

უყვარს კამათი და თუ ჭკვიანიცაა, მისგან კარგი პოლიტიკოსი, ორატორი ან მეცნიერი დგება. ცხოვრების მეორე ნახევარში უფრო ბედნიერია, ვიდრე პირველში. მას ყველაზე მეტად მეგობრები და პარტნიორები ეხმარებიან. **კრიზისულია 7, 19, 39 და 69 წლები.**

ოქტომბერში (ძაღლის თვე)

ახლობლებში გემოვნებიანი ადამიანის სახელით სარგებლობს. შესწევს უნარი, გაალამაზოს როგორც ადამიანი, ასევე გარემო. დიდ წარმატებებს აღწევს სახელმწიფო სამსახურში. აუცილებელია, ადრეულ ასაკში, დახმარება გაუწიონ მშობლებმა, ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, 6, 7, 16 და 25 წლებში შესაძლოა, უსიამოვნებაში გაეხვეს. **კრიზისულია 39, 40, 60 და 70 წლები.**

ნოემბერში (ლორის თვე)

მას მუდმივად უწევს ახლობლებზე ზრუნვა, რადგან ხშირად, საკუთარ წრეში ყველაზე ძლიერია. შეუძლია დაფარულის ახსნა და ფარული მტრების დამარცხება. 29 წლის ასაკში ის ან დიდ გამარჯვებას აღწევს, ან დეპრესიაში ვარდება. **კრიზისულია 29, 61 და 80 წლები. მისთვის ასევე სახიფათოა მე-11 თვე (მთვარის კალენდრით).**

დეკემბერში (ვირთხის თვე)

ის შემტევია, ამასთანავე, მკაცრი, რისთვისაც მას უარყოფითად მოიხსენიებენ. ფლობს მეცნიერების ნიჭს. ცუდად ეწყობა ჭკვიან ადამიანებს. სწრაფად ადის სამსახურებრივ კიბეზე და იოლად იკეთებს კარიერას. ცდილობს, სახელმწიფო სამსხურში დაიმკვიდროს თავი. საკუთარ ავტორიტეტს იყენებს პირადი მიზნებისთვის. **კრიზისულია 24, 32 და 70 წლები.**

სხვადასხვა თვეში დაბადებულ ქალთა ხასიათის ნიშან-თვისებებს ჟურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.





29-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა.



ანეკდოტები

***

— ექიმო, ჩემთვის დალევა არ შეიძლება?

— შევამოწმე თქვენი ანალიზები და დავასკვენი — აწი გინდ დალიეთ, გინდ — არა...

***

სვანი კაზინოში შევიდა და „რულეტკას“ თამაშობს. ყველა ფიშკა დადო 22-ზე და მოიგო. ყველა მოგებული ფიშკა დადო ისევ 22-ზე და ისევ მოიგო. ასე გამეორდა 5-ჯერ.

გადარეული დირექტორი სვანს ეკითხება:

— ამიხსენით, როგორ იგებთ?

— სისტემა შევიმუშავე: ქალაქში ჩამოვედი 7 წლის წინ, ვცხოვრობ მე-7 სართულზე და ჩემი სახლიდან კაზინომდე 7 კილომეტრია.

— მერე რა? — დაიბნა დირექტორი.

— რა და!.. 7 გამრავლებული 3-ზე უდრის 22-ს!..



***

სამსახურში მიმდინარეობს საკვალიფიკაციო ტესტირება. გამოვარდა გამოცდიდან შაქრო, მოიწმინდა სიმწრის ოფლი და მიაჯახუნა კარი.

— რა ქენი? — მივარდა მარო.

— რაღა რა ვქენი, იგეთი ტესტი შამხვდა, სირცხვილისგან კინაღამ დავიწვი კაცი...

— მაინც რა იყო ეგეთი?

— სად ეზრდებათ ქალებს ყველაზე ხშირი და ხვეული თმაო. აბაი, მაგაზე რა უნდა მეპასუხა...

— პასუხი თუ იკითხე?

— კი, ზიმბაბვე ყოფილა.

— მერე?

— რა მერე, ამ ხნის კაცი ვარ და იმ ადგილს თუ ზიმბაბვე ერქვა, პირველად გავიგე.

***

ახალგაზრდა ცოლი ქმარს:

— საყვარელო, არ დამიჯერებ, მაგრამ ეს წვნიანი მე თვითონ გამოვაცხვე.

***

— ჰა, ახალგაზრდებო, ახალდაქორწინებულო გვრიტებო... როგორ ცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ?

— ...ძაღლი უკვე გაგვექცა.

***

— რა გჭირს, ბიჭიკია, ტანსაცმელი დაგხევია, სახე დაგსისხლიანებია... წამო, სახლში გაგაცილებ.

— შემეშვი... სახლიდან მოვდივარ.

***

სვანი უფროსი ეუბნება თანამშრომელს:

— რატომ დადიხარ წვერგოუპარსავი?

— ბლანჟე მინდა მოვუშვა.

— შენი საქმეა, მაგრამ სამუშაო საათების შემდეგ!

***

— რა ცუდი თაობა წამოვიდა, ავტობუსში ადგილსაც კი არ დაგითმობენ.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ დაგითმეს?!

— მე დამითმეს, მარა ჩემი ცოლი ფეხზე რომ დგას?!

***

საროსკიპოში კაცი მივიდა:

— სასწრაფოდ მომეცით ორი ქალი 50-50 დოლარად.

— ჩვენი ტაქსა 100 დოლარია.

— ...კარგი, მომეცით ტაქსა.

***

ზღვაში, ნაპირთან ახლოს, ქალი არცთუ ხმამაღლა გაიძახის:

— მიშველეეთ! ვიხრჩობიი! არა, თქვენ ნუ შეწუხდებით, აი, ის შავთმიანი მამაკაცი, თქვენ უკან რომ არის, ნეილონის ტრუსებში... მიშველეეთ!

***

— ექიმო, თქვენმა წამალმა სასწაულებრივად მიშველა!

— ხომ გითხარით, ასეც ხდება ხოლმე-მეთქი...

***

სახელგანთქმული ქირურგი იმერელ პაციენტს აწყნარებს:

— ეს ძალიან ადვილი ოპერაციაა. დასრულებიდან ნახევარი საათის შემდეგ ფეხების ამოძრავებას შეძლებთ, ერთ საათში ლოგინის გარშემო ირბენთ, საღამოს კი შინ საკუთარი ფეხით წახვალთ.

— ექიმო, თუ შეიძლება, ოპერაციის დროს წამოვწვები პაწას.

***

ანკეტის შეკითხვაზე — „ოჯახური მდგომარეობა“, სვანმა ამაყად უპასუხა: „ზემოდან!“.

***

სპილომ და ჭიანჭველამ ერთად მხურვალე, რომანტიკული ღამე გაატარეს. გაიღვიძებს ჭიანჭველა დილით და რას ხედავს: სპილო მკვდარი გდია.

— აუჰჰ. — ამოიხვნეშა ჭიანჭველამ. — საწყალო ჩემო თავო!.. ერთი ცეცხლოვანი ღამის გულისთვის თხარე ახლა მთელი ცხოვრება საფლავი.

***

სვანს ეკითხებიან:

— სექსი ტელეფონით თუ გიცდია?

— კი ვცადე ერთხელ! — პასუხობს სვანი, — მარა ნახვრეტები ძალიან პატარა იყო!

***

— ვალიკო, როგორ იქეიფეთ იმ დღეს?

— არ ვიცი, ჯერ არ მოუყოლიათ.

***

პროგრამისტების საუბრიდან:

— ღამით ბილ გეიტსი დამესიზმრა!

— საინტერესოა, როგორ აგიხდება: ბევრი ფული გექნება თუ ვირუსი შეგეყრება?!

***

დაქორწინებული მამაკაცი წებოვანაზე დამჯდარი ბუზის მდგომარეობაშია:

სიტკბო მოსაწყენია, მაგრამ გაფრენაც რომ შეუძლებელია...

***

გახურებულ ჩხუბში ცოლი წამოისვრის:

— ...შენ, რომელსაც საუკეთესო წლები შემოგწირე!..

— როგორ?!. უარესი წლებიც მელის?!

ნებისყოფა და ყურადღება

განსაზღვრულ ქმედებებსა თუ საგნებზე კონცენტრირების უნარი, ყურადღების სფეროს განეკუთვნება, ნებისყოფა კი, ამ უნარის საფუძველთა საფუძველი გახლავთ. რამდენად ძლიერი ნებისყოფის პატრონიც ბრძანდებით, ჩვეულებრივ, იმდენად ნაყოფიერია თქვენი მიღწევები სწავლაში, მუშაობასა თუ მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში.

ტესტში დასმულ შეკითხვებს უპასუხეთ „დიახ“, „არ ვიცი“ („ყოფილა შემთხვევა“, „ასეც ხდება“) ან „არა“. შეეცადეთ, რომ მაქსიმალურად ობიექტურად უპასუხოთ შეკითხვებს.

1. გაქვთ თუ არა იმის უნარი, ბოლომდე მიიყვანოთ თქვენ მიერ დაწყებული უინტერესო საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ვადები და შექმნილი ვითარება გაძლევთ იმის საშუალებას, დროებით სხვა რამეზე გადაერთოთ და შემდეგ, კვლავ დაუბრუნდეთ მას?

2. შეგიძლიათ თუ არა, რომ განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე დასძლიოთ საკუთარი წინააღმდეგობა, როცა რაიმე თქვენთვის ნაკლებსასიამოვნო საქმის გაკეთება გიწევთ (მაგალითად, გამოსასვლელ დღეს შეასრულოთ ზეგანაკვეთური სამუშაო)?

3. კონფლიქტური სიტუაციის (სამსახურში თუ ყოფაში) შექმნისას, შეგწევთ თუ არა იმის უნარი, რომ საკუთარი თავი ხელში აიყვანოთ და მაქსიმალურად ობიექტურად და ფხიზლად შეაფასონ სიტუაცია?

4. იმ შემთხვევაში, თუ ექიმი დიეტას დაგინიშნავთ, შეძლებთ თუ არა, ცდუნებას არ აჰყვეთ და უარი თქვათ ნებისიმერ კულინარიულ შედევრზე?

5. იპოვით თუ არა საკუთარ თავში იმის ძალას, რომ დილით ჩვეულებრივზე ადრე ადგეთ, თუკი ეს წინა საღამოს დაგეგმეთ?

6. დარჩებით თუ არა შემთხვევის ადგილზე, პოლიციისათვის ჩვენების მისაცემად?

7. მიღებულ წერილზე პასუხს მოკლე ხანში უგზავნით თუ არა ადრესატს?

8. თუკი ძალზე გაშინებთ მოსალოდნელი მგზავრობა თვითმფრინავით ან ვიზიტი სტომატოლოგთან, იპოვით თუ არა საკუთარ თავში ძალას, რომ ბოლო მომენტში ხელი არ აიღოთ განზრახვაზე?

9. დალევთ თუ არა ძალზე მწარე წამალს, რომლის მიღებასაც დაჟინებით გირჩევთ ექიმი?

10. შეასრულებთ თუ არა ცხელ გულზე მიცემულ პირობას, მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა, უამრავი საზრუნავი გაგიჩინოთ ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხართ თუ არა სიტყვის პატრონი?

11. შეგიძლიათ თუ არა, რომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაემგზავროთ მივლინებაში თქვენთვის სრულიად უცხო ქალაქში?

12. მკაცრად იცავთ თუ არა დღის რეჟიმს?

13. როგორც მკითხველი, ხართ თუ არა არაკეთილგანწყობილი იმათ მიმართ, ვინც გამუდმებით აგვიანებს ბიბლიოთეკაში წიგნის დაბრუნებას და დავალიანება აქვს?

14. ყველაზე საინტერესო ტელეგადაცემაც კი ვერ გაიძულებთ გვერდზე გადადოთ ძალზე საჩქარო და მნიშვნელოვანი

სამუშაო. ასეა თუ არა ეს?

15. მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბისას მოწინააღმდეგემ ძალზე საწყენი სიტყვებით შეგამკოთ, შეგიძლიათ თუ არა შეწყვიტოთ ჩხუბი და საკადრისი პასუხი არ გასცეთ მას?

დაანგარიშეთ ქულები:

პასუხებისთვის „დიახ“, დაიწერეთ 2 ქულა; „არ ვიცი“ („ყოფილა შემთხვევა“, „ასეც ხდება“) — 1 ქულა; „არა“ — 0 ქულა.

ტესტის შედეგები

0-12 ქულა: ნებისყოფის თვალსაზრისით, სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ გაქვთ. თქვენ უბრალოდ აკეთებთ იმას, რაც გეიოლებათ და თქვენთვის საინტერესოა. არ გაფიქრებთ არც ის, რომ ამან შესაძლოა ზიანი მოგიტანოთ. საკუთარ მოვალეობებს საკმაოდ გულგრილად ეკიდებით, რაც ხშირად უსიამოვნებების მიზეზი ხდება. ამ შემთხვევაში მხოლოდ სუსტ ნებისყოფაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ თქვენს შინაგან სიზარმაცეზეც. შეეცადეთ, ამ კუთხით შეხედოთ საკუთარ თავს; იქნებ, ეს დაგეხმაროთ შეიცვალოთ დამოკიდებულება როგორც თქვენი თავის, ასევე გარშემო მყოფთა მიმართაც და რაღაც სასიკეთოდ შეცვალოთ თქვენს ხასიათში. თუკი ამას მოახერხებთ, ეს სიკეთის მეტს არაფერს მოგიტანთ.

13-21 ქულა: საშუალო ნებისყოფის მქონე ადამიანი ბრძანდებით. როცა წინააღმდეგობას ხვდებით, მის დაძლევას ცდილობთ, მაგრამ თუკი ამ წინააღმდეგობისთვის გვერდის ავლის შესაძლებლობა არსებობს, აუცილებლად ამ გზას ადგებით. არასოდეს იჩენთ გადამეტებულ გულმოდგინებას, მაგრამ მიცემულ სიტყვას ასრულებთ. თქვენთვის უსიამოვნო, უინტერესო საქმეს ხელს კი მოჰკიდებთ და გააკეთებთ კიდეც, მაგრამ მანამდე აუცილებლად იწუწუნებთ. არასოდეს დაიკისრებთ ზედმეტ მოვალეობას საკუთარი ნებით, რაც საკმაოდ უარყოფითად აისახება ხელმძღვანელების თქვენდამი დამოკიდებულებაზე და ირგვლივ მყოფების თვალშიც ცუდად გახასიათებთ. თუკი ამ ცხოვრებაში რაიმე უფრო სერიოზულის მიღწევა გსურთ, აუცილებლად უნდა გამოიმუშაოთ ნებისყოფა.

22-30 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ ნებისყოფის თვალსაზრისით, ყველაფერი წესრიგში გაქვთ. სანდო ადამიანი ხართ და არასოდეს არავის უმტყუნებთ. თქვენ არც ახალ-ახალი დავალებები გაკრთობთ, არც შორეული მივლინებები და არც ის საქმეები, რომლებსაც სხვები, როგორც წესი, თავს არიდებენ. მაგრამ არაპრინციპული საკითხების მიმართ თქვენი მტკიცე და შეურიგებელი პოზიცია, ზოგჯერ აღიზიანებს ირგვლივმყოფებს. ნებისყოფა ძალზე კარგი თვისებაა, მაგრამ ადამიანს ლავირების უნარი, შემწყნარებლობა და გულმოწყალებაც უნდა ახასიათებდეს.

მაო ძედუნი პოპულტურის გმირი გახდა

ჩინეთის ხელისუფლებამ განკარგულება გასცა, დაეხურათ მაო ძედუნისადმი — როგორც „პოპკულტურის ელემენტისადმი“ მიძღვნილი უცნაური გამოფენა.

როგორც პეკინის გალერეის მფლობელი ამბობს, გამოფენის ორგანიზა-

ტორები თავიანთ სამუშაოს იუმორით, ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე მიუდგნენ. „...უბრალოდ, მხატვრებს მაო ძედუნი, ისევე როგორც ცნობილი რევოლუციონერი — ჩე გევარა, უკვე დიდი ხანია, რაც პოპკულტურის ნაწილად მიაჩნიათ და ამაში პირადად მე, აღმაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ“, — აღნიშნა მან. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებს, გამოფენის ორგანიზატორებისთვის გამოფენის დახურვის კონკრეტული მიზეზი არ განუმარტავთ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც 1966-1977 წლის კულტურული რევოლუციის დროინდელი პროპაგანდისტული ნამუშევრები, ისე თანამედროვე მხატვრების ნაწარმოებები. ექსპონატებს შორის თავს იწონებდა ისეთი ორიგინალური ნამუშევრები, როგორიცაა მაო ძედუნის ქანდაკება მობილური ტელეფონით ხელში და წარწერით: „მუდამ ხალხის სამსახურში!“; ასევე მაოს გამოსახულება მერილინ მონროსთან ერთად და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულმა ექსპონატებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გამოფენის გახსნის პირველსავე დღეს, დარბაზის შესასვლელთან, „დიადი მაო ძედუნის ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად“, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია მოეწყო. ■

პატრულებს მჯაცრად გააკონტროლებენ

ამიერიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, საპატრულო მანქანები, სატელიტური სათვალთვალო ტიპის სისტემით აღიჭურვება, რომლის დანიშნულება — არა გამტაცებლებისგან თავდაცვა, არამედ სამართალდამცავების უკეთ გაკონტროლებაა.

ამ სიახლის შესახებ, სამხრეთ აფრიკის ნაციონალური პოლიციის მთავარმა კომისარმა — ჯეკ სოლებიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა და დასძინა, რომ მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი; რომ თავი მოაბეზრა თანამშრომლების შესახებ გამუდმებული საჩივრების მოსმენამ...

საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო დროს, პოლიციის განყოფილებებში გახშირდა მოქალაქეთა ზარები. ისინი უკმაყოფილონი არიან სამართალდამცავების მუშაობით; ჩივიან, რომ ხშირად ხედავენ გზის პირას გადაყენებულ ან პარკში მდგომ საპატრულო მანქანას, მასში მჯდომი პოლიციელი კი იმის მაგივრად, რომ ფხიზლად იყოს და სიტუაციას აკონტროლებდეს, მშვიდად თვლემს ან გატაცებით კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს.

„მე მსურს, ნებისმიერ დროს ვიცოდე, სად იმყოფება და რითია დაკავებული ჩემი თითოეული თანამშრომელი. ამიერიდან, სამუშაო საათების თვითმიზნურად გამოყენებას ვერც ერთი მათგანი ველარ მოახერხებს“, — განაცხადა პოლიციის შეფმა. ■

შოტლანდიელ მოზარდს SMS-გზავნილების ავადმყოფობა შეეყარა



შოტლანდიელ 18 წლის მოზარდს, რომელსაც SMS-გზავნილების „ავადმყოფობა შეეყარა“, იძულებითი მკურნალობის კურსი დაუნიშნეს. გზავნილებზე მას დაახლოებით 8 ათასი დოლარი აქვს დახარჯული.

მოზარდი, რომლის გვარ-სახელსაც არ ასახელებენ, კვირაში — 700 მესიჯს, კომპიუტერით კი თვეში დაახლოებით 8 ათას იმეილს აგზავნიდა, რის გამოც სამსახურიდან დაითხოვეს. გზავნილების უმეტესობის ადრესატი მისი მეგობარი გოგონა გახლდათ, რომელსაც მოგვიანებით დაშორდა. „მე მიყვარს მესიჯების გაგზავნა. ეს პინგ-პონგის თამაშს მაგონებს: გზავნი, შემდეგ პასუხი მოგდის...“, — თქვა ბიჭმა და დასძინა, რომ მესიჯების გაგზავნა მის ნერვულ სისტემაზე დამამშვიდებლად მოქმედებს და ყოველთვის აინტერესებს, ვინ და რა შინაარსის წერილი გამოუგზავნა მობილური ტელეფონითა თუ კომპიუტერით...

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ახალი ტექნოლოგიებით ამგვარი გატაცება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. „ეს ახალ სახიფათო ტენდენციაზე მოწმობს“, — განაცხადა ფსიქოლოგმა — პროფესორმა პატრიკ დონელიმ. ■

ნამიბიელი ვირები ღამღამობით გაანათებენ

ნამიბიაში, შინაურ ვირებს ყურებზე სინათლის ამრეკლავ ნიშნებს დაუყენებენ, რათა ცხოველები ღამით იოლად შესამჩნევი გახდნენ და ავტოსაგზაო შემთხვევას აღარ ემსხვერპლონ.

ქვეყნის ვირთა დაცვის ფონდის მონაცემების მიხედვით, ავარიების მეოთხედი სწორედ იმის გამო ხდება, რომ მძღოლები სიბნელეში ცხოველებს ვერ ამჩნევენ.

შებინდებისთანავე ვირები ტრასაზე გადიან და გასაგრილებლად ასფალტზე წვებიან, ტრანსპორტის მიახლოებისას კი ადგომას და გზის პირას გადასვლას ველარ ასწრებენ.



როგორც ფონდის ხელმძღვანელი ამბობს, თავდაპირველად ამრეკლავებს რაიონებში დაარიგებენ, რადგან ავტოსაგზაო შემთხვევა იქ ყველაზე ხშირად ხდება; მოგვიანებით კი, აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება.

რას უპირებენ უპატრონო ცხოველებს, რომლებიც ასევე დიდ საფრთხეს უქმნიან სატრანსპორტო მოძრაობას, ფონდის აქტივისტებს ჯერჯერობით არ გადაუწყვეტიათ.

ნამიბიაში, თითოეულ ოჯახში, საშუალოდ ხუთი ვირი ჰყავთ, რომელთაც გადასაადგილებლად, ტვირთის გადასატანად, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის იყენებენ. ■

ფოტოკუჩიოზები

№22(108) 27.X–9.XI.05

ოჯახის

მეუნიკალური

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

პოლიომიელიტი

როგორ ვიქცეთ სანიმუშო ცოლად

რატომ ტკაცუნობს სახსრები

მთავარი თემა: ხველა

მიტრალური პროლაფსი

b139/26

ქიმიოთერაპია

გაცივების საწინააღმდეგო შვიდი რეცეპტი

დიეტა მოხუცებულთათვის

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის